მაცნე

ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

3.1974

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
Отделение общественных наук

თბილისი · 1974 ТБИЛИСИ

ძაცნე

ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

3.1974

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, ი. **კაჭარავა** (რედაქტორის მოადგილე), **რ. კიკნაძე** (რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), **გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი**

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, **В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава** (*зам. редактора*), Р. К. Кикнадзе (*зам. редактора*), Г. А. Меликишвили (*редактор*), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили.

პასუხისმგებელი მდივანი ე. ვაშაკიძე

Ответственный секретарь **Э. Вашакидзе**

შინაარსი

წერილები

რ. კოჭლაშვილი, საქართველოში აგრარული ურთიერთობის საკითხისათვის (1926—1929 წწ.) 7
ნ. ტერ-ოგანოვი, ირანის შეიარაღებული ძალები და ირან-საფრანგეთის სამხედრო თანამშრომლობა XIX საუკუნის დასაწყისში 18
თ. ცაგარეიშვილი, ზესაქონლეობის ძირითადი ფორმები ქვემო ქართლში 31
ა. ქალდანი, მშენებლობის ხალხური წესები სვანეთში 42

ცნობები და შენიშვნები

რ. რცხილაძე, ტერმინ „βάρβαρος"-ის მნიშვნელობისათვის ჰეროდოტეს „ისტორიაში" 56
მ. აბდუშელიშვილი, დიღმის სამაროვანზე მოპოვებული პალეოანთროპოლოგიური მასალების შესახებ 62
ა. კახიძე, ფიჭვნარის სამაროვანზე 1967—68 წლებში აღმოჩენილი უცხოური მონეტები 79
თ. ბარნაველი, ფიგურული ნიშნები განვითარებული შუასაუკუნეების ქართულ მონეტებზე 86
თ. ყაუხჩიშვილი, ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში 102
თ. ოთხმეზური, ქართლი 1723—1735 წლებში . 114
ც. კახიანი, სვეტიცხოვლის ორენოვანი ეპიტაფია 125
ც. ბეზარაშვილი, მასალები გლეხი ქალის სამოსელის შესწავლისათვის ქსნის ხეობაში . . 131

დისკუსია და განხილვა

ზ. რატიანი, მსახურთა კლასობრივი ვინაობის გაგებისათვის . 139
ი. ჭყონია, სახლიშვილობის სოციალური ბუნებისათვის 153

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ბ. ანჩაბაძე, XVII საუკუნის თურქი მოგზაურის ევლია ჩელების ცნობები საქართველოს შესახებ 162
ი. ბრაშინსკი, ვანი, I. არქეოლოგიური გათხრები 1947—1969 166

ქრონიკა და ინფორმაცია

უნგრელი ისტორიკოსის ლ. ტარდის დაბადების 60 წლისთავი 172
პროფესორ ა. აფაქიძის დაბადების 60 წლისთავი 173
მ. ნიორაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის 1973 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილი საანგარიშო სესია 174
ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია 180
სოციალისტური ქვეყნების მეცნიერთა კონფერენცია ბუდაპეშტში . . . 181
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია 182
ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო სესია ქუთაისში . 187

ა. რობაქიძე, პროფესორ სერგი მაკალათიას ხსოვნას 188
ბ. ჯალაბაძე, ნიკოლოზ რეხვიაშვილი (ნეკროლოგი) 190

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

Р. КОЧЛАМАЗАШВИЛИ, К вопросу об аграрных отношениях в Грузии (1926—1929 гг.) 7
Н. ТЕР-ОГАНОВ, Вооруженные силы Ирана и ирано-французское военное сотрудничество в начале XIX в. 18
Т. ЦАГАРЕЙШВИЛИ, Основные формы скотоводства в Квемо Картли 31
А. КАЛДАНИ, Народные способы строительства в Сванети . 42

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Р. РЦХИЛАДЗЕ, К значению термина „βάρβαρος“ в «Истории» Геродота . . 56
М. АБДУШЕЛИШВИЛИ, О палеоантропологических материалах, добытых на Дигомском могильнике 62
А. КАХИДЗЕ, Иноземные монеты из могильника Пичвнари 79
Т. БАРНАВЕЛИ, Фигурные знаки на грузинских монетах зрелого средневековья 86
Т. КАУХЧИШВИЛИ, Античный мир в историографии эпохи Руставели 102
Т. ОТХМЕЗУРИ, Картли в 1723—1735 годах . . . 114
Ц. КАХИАНИ, Двуязычная эпитафия из Светицховели 125
Ц. БЕЗАРАШВИЛИ, Материалы для изучения женской крестьянской одежды в Ксанском ущелье . . 131

ДИСКУССИЯ И ОБСУЖДЕНИЕ

З. РАТИАНИ, К вопросу о классовой принадлежности «мсахуров» 139
И. ЧКОНИЯ, К социальной природе «сахлишвилоба» 153

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Г. АНЧАБАДЗЕ, Сведения турецкого путешественника XVII века Эвлия Челеби о Грузии 162
И. БРАШИНСКИЙ, Вани, 1. Археологические раскопки 1947—1969 166

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

60-летие венгерского историка Л. Тарди 172
60-летие профессора А. Апакидзе 173
М. НИОРАДЗЕ, Отчетная сессия 1973 г., посвященная полевым археологическим изысканиям Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН Грузинской ССР 174
Научная конференция аспирантов и молодых научных работников 180
Научная конференция социалистических стран в Будапеште 181
Научная сессия Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН Грузинской ССР 182
Научная сессия молодых научных работников в г. Кутаиси 187

А. РОБАКИДЗЕ, Памяти профессора С. Макалатия 188
Г. ДЖАЛАБАДЗЕ, Н. Рехвиашвили (некролог) 190

წ ე რ ი ლ ე ბ ი

რობერტ კოჰლამაზაშვილი

საქართველოში აგრარული ურთიერთობის საკითხისათვის (1926—1929 წწ.)*

აგრარული რევოლუციის განხორციელების შემდეგაც საქართველოს სოფლის მოსახლეობის ნაწილი, უმთავრესად კულაკობა, კვლავ ინარჩუნებდა მიწის დიდ ფართობს. ამის გამო, მიუხედავად იმისა, რომ გლეხობამ კარგად იცოდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიწის ნაციონალიზაციის ფაქტი, სოფლად მაინც გრძელდებოდა მიწების ყიდვა-გაყიდვა, რაც მეტად ართულებდა მიწათსარგებლობის საკითხის ბოლომდე თანმიმდევრულ გადაჭრას. მიწების ყიდვა-გაყიდვა სხვადასხვა ფორმით (ხანგრძლივი იჯარა, დაგირავება და სხვ.)[1] ხდებოდა.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ 1926 წელს რესპუბლიკის 11 მაზრაში აღმოაჩინა მიწის ყიდვა-გაყიდვის 1213 შემთხვევა[2]. 1927 წელს მიწის ყიდვა-გაყიდვისათვის გაასამართლეს 510 კაცი[3].

მიწის ყიდვა-გაყიდვა ფართოდ იყო გავრცელებული ამიერკავკასიის სხვა-რესპუბლიკებშიც. ამიტომ საკ. კპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო ორგანიზაციის თათბირმა 1926 წლის მაისში საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტებს დაავალა რაც შეიძლება სწრაფად აღეკვეთათ იგი[4].

მიწის ყიდვა-გაყიდვა, როგორც მასალებიდან ჩანს, უფრო ძლიერდება 1924 წლიდან[5], რაც აიხსნება, იმით, რომ აგრარული რევოლუციის დაკვრითი წესით განხორციელების შემდეგ კულაკები კვლავ ცდილობენ შეისყიდონ მიწის ახალი ფართობი. როგორც ქვემოთაც დავინახავთ, მიწის მყიდველთა უმრავლესობას სწორედ კულაკები შეადგენენ. მათ ზოგიერთმა საშუალო გლეხმაც მიბაძა.

მიწების ყიდვა-გაყიდვა ყველაზე ხშირად სწორედ იჯარის, კერძოდ, ხანგრძლივი იჯარის ფორმით ხდებოდა. 1926 წლის მასალების მიხედვით ირკვევა, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვის 39 პროცენტი ამ ფორმაზე მოდიოდა.

მიწების ყიდვა-გაყიდვა გაცვლის ფორმითაც ხდებოდა, რასაც ხელს უწყობდა უმთავრესად შორმიწიანობა და ხარვეზიანობა. თითოეული გლეხი ცდი-

---

* აგრარული ურთიერთობიდან ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ მიწის ყიდვა-გაყიდვას და იჯარას.

[1] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 13, აღწ. 1, ს. 2041, ფურც. 151—152.

[2] იქვე, ფურც. 150.

[3] იქვე, ფ. 14, აღწ. 1, ს. 3096, ფურც. 133.; კ. ო რ ა გ ვ ე ლ ი ძ ე, მიწის ყიდვა-გაყიდვა, ჟურნ. „სოფლის კომუნისტი", № 4, 1929, გვ. 9—10.

[4] ჟურნ. „სოფლის კომუნისტი", № 4—5, 1926, გვ. 3.

[5] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 13, აღწ. 1, ს. 2041, ფურც. 155.

ლობდა საცხოვრებელ ადგილთან, რაც შეიძლება ახლოს ჰქონოდა მიწის ნაკვეთი. თუ გავითვალისწინებთ სატრანსპორტო საშუალებათა ნაკლებობასაც, მაშინ სრულიად გასაგები იქნება ჩვენთვის გლეხთა ლტოლვა შორმიწიანობის აღმოფხვრისაკენ. ამიტომ ისინი მიმართავდნენ ნაკვეთების გაცვლას, ასეთ შემთხვევაში კი გადასაცვლელი მიწის ნაკვეთები ხშირად ერთმანეთის არაექვივალენტური აღმოჩნდებოდა ხოლმე (სიდიდით, ხარისხით) და საჭირო ხდებოდა ფულის დამატება. ამ ფორმითაც ხშირად ხდებოდა მიწების ყიდვა-გაყიდვა.

მიწის გაყიდვის ფორმებს შორის მესამე ადგილი ეჭირა ნაგებობათა გაყიდვას. ამ ფორმით მიწების გაყიდვის გავრცელებას ხელი შეუწყო საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 1926 წლის 30 აპრილის ინსტრუქციამ, სადაც აღნიშნული იყო, რომ ნაგებობათა გაყიდვისას აღნიშნული უნდა იყოს მიწის ფართობიცო. ამიტომ ნაგებობათა გაყიდვის საბაბით იყიდებოდა მიწის ნაკვეთები.

მიწის გაყიდვის უფრო იშვიათ ფორმას წარმოადგენდა მიწის დაგირავება.

ზოგჯერ ღარიბი გლეხი შეძლებულს აძლევდა თავის ნაკვეთს გირაოთი ვარკვეული ვადით, თან იღებდა მისგან გარკვეულ თანხას, რაც ფაქტიურად მიწის ფასი იყო. დამგირავებელი შემდეგში არ ცდილობდა დაგირავებულის გამორთმევას და მიწა რჩებოდა დამგირავებელს, ფაქტიურ მყიდველს[6].

მიწის გამყიდველთა უმრავლესობას ღარიბი გლეხები შეადგენდნენ[7]. საბჭოთა ხელისუფლებამ მართალია, მათ მისცა მიწა, მაგრამ ისინი მოკლებულნი იყვნენ წარმოების სხვა საშუალებებს და ამიტომ უძნელდებოდათ მისი დამუშავება. მუშა საქონლისა და ინვენტარის დაქირავებას ისინი ამჯობინებდნენ ან იჯარით გაეცათ მიწა, ანდა გაეყიდათ.

მიწის გაყიდვის გამო გლეხები ისჯებოდნენ, მაგრამ ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლა მარტო ადმინისტრაციული მეთოდებით არ შეიძლებოდა. საჭირო იყო მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება და პარტიისა და ხელისუფლების ორგანოების მიერ უფრო ენერგიული ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება.

მიწის გამყიდველთა შორის თავისი ხვედრითი წონით მეორე ადგილი ეკავა ყოფილ თავად-აზნაურებს. ისინი გაურბოდნენ ფიზიკურ შრომას და ამჯობინებდნენ მიწის გაყიდვას და ქალაქებში გადასვლას საცხოვრებლად.

მიწის გამყიდველთა შორის მომდევნო ადგილზე იდგნენ საშუალო გლეხები, თუმცა, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, ისინი უფრო ხშირად ყიდულობდნენ, ვიდრე ყიდდნენ.

მიწის გაყიდვას, შედარებით იშვიათად მიმართავდნენ შეძლებული გლეხები. ეს უკანასკნელნი კარგად იყვნენ უზრუნველყოფილი წარმოების საშუალებებით და მიწას თვითონ ამუშავებდნენ ან იჯარით გასცემდნენ ხოლმე.

სოფლის მუშა-მოსამსახურეები უმთავრესად თავიანთი სამსახურით იყვნენ დაკავებულნი და ცხადია, მიწის დასამუშავებლად თითქმის არ ეცალათ. ამიტომ ხშირად მიმართავდნენ მიწების გაყიდვას. თუმცა მიწის გამყიდველთა შორის მათი ხვედრითი წილი მეტად მცირე იყო (2%), მაგრამ ეს აიხსნება მათი საერთო სიმცირით.

---

[6] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 13, აღწ. 1, ს. 1421, ფურც. 373.

[7] იქვე, ს. 2041, ფურც. 160.

მიწის მყიდველთა უმრავლესობას შეძლებული გლეხები შეადგენდნენ[8]. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოების საშუალებათა შედარებითი სიუხვე შესაძლებლობას აძლევდა მათ დაემუშავებინათ მიწის დიდი ფართობი.

წარმოების საშუალებებით უზრუნველყოფილნი იყვნენ, აგრეთვე, საშუალო გლეხები. ამიტომ ისინიც საკმაოდ ხშირად იძენდნენ მიწებს, მიწებს იშვიათად ყიდულობდნენ ღარიბი გლეხები, მუშა-მოსამსახურენი და თითქმის სულ არ ყიდულობდნენ ყოფილი თავად-აზნაურები.

მიწის ყიდვა-გაყიდვის მიზეზები ორგვარი იყო: 1. ძირითადი მიზეზი და 2. ხელშემწყობი ფაქტორი.

მიწის გაყიდვის ძირითად მიზეზებად უნდა ჩაითვალოს ეკონომიური გაჭირვება და მოსახლეობის ნაწილის მიერ ქალაქურ ცხოვრებაზე გადასვლა.

მიწის ყიდვის ძირითად მიზეზს წარმოადგენდა მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწის სიმცირე, ან უმიწობა. იმისათვის, რომ ყველა მეურნეობა ნორმის ფარგლებში დაკმაყოფილებულიყო მიწით, საჭირო იყო 1878507 დეს. მიწა, ფაქტიურად კი გვქონდა 1324190 დეს. ე. ი. ნორმას აკლდა 554317 დეს (29,5%)[9]. ამიტომ მიწის ყიდვა-გაყიდვის მთავარი მიზეზი მცირემიწიანობა იყო. შეიძლება ითქვას, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვა პირდაპირ პროპორციულია მცირე მიწიანობისა. რაც უფრო მწვავედ იგრძნობა მიწის სიმცირე, მით უფრო ხშირი იყო მიწების ყიდვა-გაყიდვის შემთხვევები, რასაც გვიჩვენებს თუნდაც რაჭა-ლეჩხუმის მაზრის მაგალითიც[10].

მიწის ყიდვის მეორე მიზეზი იყო სოფლის მეურნეობის საერთო აღმავლობა. გაიზარდა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია, სოფლად დაგროვდა გარკვეული სიმდიდრე და ამის საფუძველზე გაიზარდა მეურნეობის გაფართოების ტენდენცია. დაგროვილ ფულს გლეხი იყენებდა მიწის შესაძენად. ამიტომ გლეხური მოსახლეობა ფულს არ ინახავდა, გლეხობას თითქმის არ შეჰქონდა ფული შემნახველ სალაროში. შემნახველ სალაროთა ცენტრალური გამგეობის ცნობით 1926 წლის 1 აპრილისათვის მეანაბრე გლეხთა რიცხვი შეადგენდა 15, ხოლო მათ მიერ შეტანილი თანხა — 1628,73 მან[11]. ე. ი. თითოეულს შეუტანია საშუალოდ 108,6 მან.

მიწის ყიდვის მესამე მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ დიდი რაოდენობით სამუშაო ძალის არსებობა, რომელიც უბიძგებდა მეურნეს მიწის შეძენისაკენ, შრომის ობიექტის გაფართოებისაკენ.

მიწის ყიდვა-გაყიდვის ხელშემწყობ ფაქტორთა შორის პირველ რიგში უნდა დაეასახელოთ შორმიწიანობა, ხარვეზიანობა და მრავალნაკვეთიანობა. საქართველოს სოფლებში მეურნეობათა 45,3% ჰქონდა 5—10 ნაკვეთი, თითოეულს, ზოგიერთ მეურნეობას კი — 30 და მეტი, ზოგიერთი ნაკვეთი 15—20 კმ-ით იყო დაშორებული საცხოვრებელი ადგილიდან. ასეთ შემთხვევაში მე-

[8] პარტიული არქივი (ობილისი), ფ. 13, აღწ. 1, ს. 2041, ფურც. 159.
[9] იქვე, ფურც. 167.
[10] იქვე, ფურც. 170.
[11] იქვე.

ურნეობის წარმოება ტექნიკურად ძნელდებოდა, განსაკუთრებით ღარიბი გლეხობისათვის, რომელიც წარმოების სხვა იარაღებთან ერთად მოკლებული იყო სატრანსპორტო საშუალებებსაც.

მიწის ყიდვა-გაყიდვას ხელს უწყობდა მრავალწლიანი იჯარაც — მას ხელს უწყობდა, აგრეთვე, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სუსტი კონტროლი მიწათსარგებლობისადმი.

მიწათსარგებლობის საბჭოთა კანონმდებლობის დარღვევის გამო შექმნილი საქმეები სასამართლოში წლობით ჭიანურდებოდა. ასე მაგალითად, 705 საქმიდან 1923 წლიდან 1926 წლის ივლისამდე გაარჩიეს მხოლოდ 376 (53%). ზოგიერთი საქმე სასამართლოში იყო 9—16 თვის განმავლობაში[12].

კიდევ უფრო რთული იყო სოფლად საიჯარო ურთიერთობანი, რომელიც მოიცავდა სოფლის მეურნეობის წარმოების როგორც ძირითად, ისე არაძირითად საშუალებებს: მიწას, ბაღებს, ვენახებს, სათიბებს და სხვ. იგი მიგვითითებს სოფლად არსებულ წარმოებით ურთიერთობათა რთულ, გარდამავალ ხასიათზე.

სსრ კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მონაცემებით 1926 წელს მთელ კავშირში მოიჯარადრე მეურნეობათა რიცხვი შეადგენდა 17,4 პროცენტს, აქედან ამიერკავკასიის სფრ-ში — 14,6 პროცენტს, სომხეთში — 17,6, დასავლეთ საქართველოში — 10,4, აღმოსავლეთ საქართველოში — 16,1 პროცენტს. 1927 წლისათვის რუსეთის სფსრ-ში მიწას იჯარით იღებდა მეურნეობათა 22,1 პროცენტი, უკრაინაში — 22,9 პროცენტი, ბელორუსიაში — 13,9, ამიერკავკასიის სფსრ-ში — 26,6, თურქმენეთში — 17,4, უზბეკეთში 12,6 პროცენტი[13]. აქ, ჩვენი აზრით, საეჭვოა ის, რომ ამიერკავკასიაში მოიჯარადრეთა რიცხვმა ერთი წლის განმავლობაში ასე იმატა (12 პროცენტით). ალბათ, წინა წელსაც დაახლოებით ამდენივე იყო.

დინამიკური აღწერის მასალების მიხედვით საქართველოში 1926 წელს სახნავსა და სათიბს იჯარით იღებდა მეურნეობათა 4,5 პროცენტი, 1927 წელს კი — 7,2 პროცენტი[14]. აქ, რა თქმა უნდა, მოიჯარადრე მეურნეობათა რიცხვი რამდენადმე შემცირებულია, სინამდვილეში მათი რიცხვი გაცილებით მეტი იყო.

საიჯარო ურთიერთობაში საქართველოს სოფლებში ჩაბმული იყო მეურნეობათა 27,8 პროცენტი[15], თუმცა არც ეს ციფრი უნდა იყოს მთლად ზუსტი.

1926 წელს სახნავის იჯარით გამცემ და ამღებ მეურნეობათა რიცხვი საქართველოში თანაბარი იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ იჯარით გაცემული სახნავი ფართობი არ ნაწილდებოდა მოიჯარადრეთა შორის და გლეხი მთლიანად იღებდა რომელიმე მეურნეობის მიერ იჯარით გაცემული მიწის ფართობს, თუმცა საქართველოს ცალკეულ მხარეებში მდგომარეობა სხვადასხვანაირი იყო. იჯა-

---

12 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 13, აღწ. I, ს. 2041, ფურც. 163.

13 В. Яковцевский, Аграрные отношения в СССР в период строительства социализма, М., 1964, გვ. 244, 250.

14 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ს. 2653, ფურც. 36, ს. 3104, ფურც. 56; ჟურნ. „სახელმწიფო სტატისტიკის მოამბე", № 4—3, 1928, გვ. 18—19.

15 საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი, ფ. 295, აღწ. 2, ს. 25, ფურც. 19.

რით აღებული სათიბი კი ნაწილდებოდა რამდენიმე მოიჯარადრე მეურნეობას შორის.

სახნავის იჯარით ამღებ და გამცემ მეურნეობათა რიცხვი ყველაზე მეტი იყო მეხილეობის (გორი) რაიონში, ყველაზე ნაკლები — მესაქონლეობის (დუშეთი) რაიონში, რადგან აქ უმთავრესად მეცხვარეობა წარმოადგენდა მეურნეობის მთავარ დარგს. ასეთ მეურნეობათა რიცხვი მცირე იყო, აგრეთვე, მეთამბაქოეობის (აფხაზეთი) რაიონში, რადგან თამბაქო მეტად შრომატევად კულტურას წარმოადგენს და გლეხთა უმრავლესობა ძლივს ახერხებდა საკუთარი მეურნეობის მოვლას.

მიწას იჯარით იღებდნენ როგორც ღარიბი, ისე მდიდარი მეურნეობები, მაგრამ როგორც საბჭოთა კავშირის მუშგლეხინისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის მასალებიდან ირკვევა ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა მხარეში მოიჯარადრეთა ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენდა საშუალო გლეხი. ისინი შეადგენდნენ მოიჯარადრე მეურნეობათა 67 პროცენტს და მათ ხელში თავმოყრილი იყო მთელი საიჯარო ფონდის 60,5 პროცენტი. ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენდა. ერთგვარი „დისონანსი" შეჰქონდა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს, სადაც ღარიბი მეურნეობები შეადგენდნენ მოიჯარადრეთა დიდ ნაწილს — 52,4 პროცენტს[16]; ეს შეიძლება აიხსნას დასავლეთ საქართველოს მცირემიწიანობით, რაც ყველაზე მეტად იგრძნობოდა ღარიბ გლეხობაში, რომელიც, როგორც ჩანს, ვერ ახერხებდა თავისი სამუშაო ძალის გაქირავებას და იმისათვის რომ თავი ერჩინა, იჯარით იღებდა მიწას.

საშუალო გლეხთა დომინანტური ადგილი მოიჯარადრეთა შორის აიხსნება, ჯერ ერთი, მათი საერთო სიმრავლით, გლეხურ მეურნეობათა შორის დიდი ხვედრითი წონით და მეორეც, წარმოების საშუალებებით მათი შედარებით უკეთ უზრუნველყოფით.

მდიდარ მეურნეობათა შედარებით მცირე ხვედრითი წონა მოიჯარადრეთა შორის აიხსნება, ჯერ ერთი, მათი საერთო სიმცირით, მეორე ისინი უკეთ იყვნენ უზრუნველყოფილი მიწით, და მესამე იმით, რომ გაურბოდნენ მიწის იჯარით აღებას, რათა ხელისუფლებას არ ჩაეთვალა ისინი კულაკებად. ამიტომ არჩევდნენ წარმოების საშუალებათა გაქირავებას, ვიდრე მიწის იჯარით აღებას.

ღარიბი მეურნეობები უფრო იშვიათად მიმართავდნენ მიწის იჯარით აღებას, რადგან მოკლებული იყვნენ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარსა და მუშა საქონელს. ამის გამო ღარიბი მეურნეობანი უფრო ხშირად იჯარით სცემდნენ თავიანთ ნაკვეთებს და ამიტომ მიწის იჯარით გამცემ მეურნეობათა შორის დიდი ხვედრითი წონით იყვნენ წარმოდგენილნი. ამ მხრივ მეორე ადგილზე იდგნენ საშუალო გლეხური მეურნეობები, ხოლო მესამეზე — მდიდარი გლეხური მეურნეობები.

სასოფლო-სამეურნეო იჯარის ხასიათის გასარკვევად მივმართოთ სტატისტიკურ ცნობებს.

1927 წლის აღწერის ცნობებით საქართველოში სახნავს იჯარით იღებდა:

---

[16] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14. აღწ. 1, ს. 2653, ფურც. 37; ა. რ უ ხ ა ძ ე, კერძო კაპიტალი და სოციალური წინააღმდეგობანი საქართველოს სოფლებში, ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", № 9—10, 1928, გვ. 63.

ფულზე — 2614 მეურნეობა, საზიაროდ — 23677, შრომამოგებით — 627, შერეული წესით — 567 მეურნეობა[17].

ამრიგად, სახნავი მიწის იჯარით აღების ყველაზე გავრცელებული წესი ყოფილა საზიარო იჯარა, ხოლო ყველაზე ნაკლებად გავრცელებული — შერეული წესით აღება.

მოიჯარადრე იღებდა მოსავლის 0,5-მდე 0,5 და 0,5-ზე მეტ ნაწილს. სანახევრო იჯარა ყველაზე მეტად მეთამბაქოეობის რაიონში იყო გავრცელებული[18]. ძას ყველაზე მეტი გაქანება ჰქონდა წარმოების საშუალებებით ღარიბ ჯგუფებში. დანარჩენ რაიონებში უმთავრესად გავრცელებული იყო ისეთი სახის იჯარა, რომლის დროსაც მოიჯარადრე იღებდა მოსავლის ნახევარზე მეტს. შეიძლება ითქვას, რომ პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ღარიბ მეურნეობებთან, რომლებიც ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში იღებდნენ მიწას იჯარით, ხოლო მეორე შემთხვევაში — შეძლებულ მეურნეობებთან, რომლებიც უფრო ხელსაყრელ პირობებში ეწეოდნენ მოიჯარადრეობას.

როგორც სახნავის, ასევე ვენახის, ბაღისა და პლანტაციების იჯარით გაცემა ყველაზე ხშირად საზიარო წესით ხდებოდა, ხოლო სათიბისა — ფულზე[19]. ცხადია, სახნავის, ვენახის, ბაღისა და პლანტაციის საიჯარო ფასი სათიბის საიჯარო ფასთან შედარებით უფრო მაღალი იქნებოდა. ამიტომ მეურნეობები ერიდებოდნენ ზემოჩამოთვლილი დარგების იჯარით ფულზე აღებას, გარდა სათიბისა.

1926 წელს გამოკვლეულ იქნა ამიერკავკასიის სფსრ რამდენიმე ათეული სოფელი და რამდენიმე ათასი მეურნეობა. საქართველოში გამოიკვლიეს 16 სოფლის 5800 კომლი[20].

გამოკვლევის მასალებიდან ჩანს, რომ ბაღებს იჯარით იღებდა უმთავრესად ღარიბი გლეხობა, ხოლო გასცემდა შეძლებული გლეხობა და კულაკობა. ეს იმიტომ, რომ მდიდარი გლეხობა უზრუნველყოფილი იყო მუშა საქონლითა და ინვენტარით. მას ჰქონდა საკმარისი რაოდენობის სახნავი მიწა და ვენახი ან ბაღი, იგი ხშირად მიდიოდა ქირაზე სამუშაოდ მუშა საქონლითა და ინვენტარით ან დაკავებული იყო სხვა უფრო სასარგებლო საქმით. მას უმთავრესად სჭირდებოდა სამუშაო ძალა. დღიური მუშის დაქირავება ეკონომიურად არახელსაყრელი იყო, რადგან ჩვეულებრივად იჯარით სცემდნენ მცირეშემოსავლიან ბაღებს, რომლებიც მრავალ მუშა ხელს საჭიროებდა დასამუშავებლად. კულაკი გაურბოდა სამუშაო ძალის დაქირავებას იმიტომაც, რომ ხელისუფლებას არ ჩაეთვალა იგი ექსპლუატატორად და ამჯობინებდა ბაღების ან ვენახების იჯარით გაცემას. ამის მაგალითები მრავალი იყო.

თელავის მაზრის სოფელ აკურის მცხოვრებმა ღარიბმა გლეხმა ნ. ლამაზაშვილმა იჯარით აიღო 1 დეს. ვენახი სოფელ ყვარელში მცხოვრებ შეძლებულ გლეხ მამალაშვილისაგან. მოიჯარადრეს ჰქონდა ერთი მიწური და 1,5 დეს. სახნავი, რომელსაც არასოდეს არ ამუშავებდა, ალბათ, წარმოების საშუალებათა

---

[17] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ს. 3101, ფურც. 63; А. Рухадзе, Деревня Грузии, Тб., 1929, გვ. 8.

[18] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14. აღწ. 1, ს. 3411, ფურც. 194.

[19] პარტიული არქივი (თბილისი,) ფ. 14, ს. 2653, ფურც. 37, ჟურნ. „სახელმწიფო სტატისტიკის მოამბე", № 2—3, 1928, გვ. 19.

[20] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 13, აღწ. 1, ს. 1421, ფურც. 331.

უქონლობის გამო. იჯარით გამცემს კი ჰქონდა 7,5 დეს. ნათესი, 1,5 დეს. ვენახი და სრული გუთნეული (5 წყვილი ხარი და რკინის გუთანი), თვითონ კი ქირაზე დადიოდა მუშა საქონლითა და ინვენტარით. იჯარის პირობები ასეთი იყო: მოიჯარადრე ამუშავებდა ვენახს და პატრონს აძლევდა მოსავლის ნახევარს. ვენახის დასამუშავებელ მასალას (ქირი, გოგირდი და სხვ.) ყიდულობდა ან მოიჯარადრე, ან იჯარით გამცემი, ან ორივე ერთად.

რამდენი უჯდებოდა ლამაზაშვილს ამ ვენახის დამუშავება?

ლამაზაშვილი მუშაობდა თავისი ოჯახით დაახლოებით 120 კაცდღეს, ე. ი. საშუალოდ 3 თვეს. ამავე დროს მას დასჭირდა 3 ფ. შაბიამანი, 6 ფ. კირი და 3 ფ. გოგირდი. ლამაზაშვილის გადმოცემით მოსავალი შეადგენდა 180 ვედრო ღვინოს[21]. აქედან მას ხვდებოდა 90 ვედრო. გარდა იმისა, რომ მიწის პატრონი ექსპლუატაციას უწევდა მოიჯარადრეს და ღებულობდა მიწის რენტას, ღარიბი გლეხი სწყდებოდა თავის მეურნეობას 3—4 თვე, ზოგჯერ 6—7 თვე და ზოგჯერ მთელი წლის განმავლობაშიც კი, ასე რომ მისი მიწა ხშირად დაუმუშავებელი რჩებოდა, ხოლო კულაკის მეურნეობა კი ვითარდებოდა.

ზოგჯერ კულაკობა იჯარით სცემდა დაუმუშავებელ ბაღებს, რომლებიც ჯერ არ იძლეოდა ნაყოფს. გორის მაზრაში ღარიბი გლეხობა იჯარით იღებდა ასეთ ბაღებს — 4—5 წლით. ამ ხნის განმავლობაში მოიჯარადრე არაფერს არ იხდიდა, იგი მხოლოდ ამუშავებდა ბაღს და 6 წლის შემდეგ დამუშავებული და მსხმოიარე ბაღი გადადიოდა პატრონის ხელში. მოიჯარადრე მხოლოდ იმას იღებდა, რომ ხეებს შორის თესდა ლობიოს ან სიმინდს და ეს მოსავალი მთლიანად მას რჩებოდა[22].

ამრიგად, მიწის პატრონი სამუშაო ძალაში არაფერს არ იხდიდა.

კულაკობა ზოგჯერ სარგებლობდა იმითაც, რომ მოიჯარადრე იჯარით აღებული ნაკვეთიდან შორს ცხოვრობდა და მას დამატებით ექსპლუატაციას უწევდა. ასე მაგალითად, სოფ. ბუშეთში მცხოვრებმა ღარიბმა გლეხმა გეორგანაშვილმა იჯარით საზიაროდ აიღო სიმინდით დათესილი ნაკვეთი ყვარელში ადგილობრივი გლეხისაგან. სოფელ ბუშეთი ყვარლიდან დაახლოებით 20 კმ მანძილზეა. ამიტომ ბუშეთელ გლეხს, რომელიც ამუშავებდა ყვარელში იჯარით აღებულ ნათესს, არ შეეძლო საღამოს სახლში დაბრუნება, რის გამოც ღამით რჩებოდა ყვარელში. აქვე უნდა მიეღო მას სადილი და ვახშამი. მიწის პატრონი მას აძლევდა სადილსა და ვახშამს და ეუბნებოდა: ამისათვის შენ ფულს არ გადამიხდი. ყოველი 2 სადილისა და 2 ვახშმის საფასურად შენ მიშველი მე ჩემს მეურნეობაში 1 დღეს[23].

გეორგანაშვილმა იჯარით აღებული ნათესი პირველად გათოხნა 10 დღის განმავლობაში. ამ პერიოდში ის მიიღებდა პატრონისაგან 10 სადილსა და 10 ვახშამს. ამისათვის კი მას უნდა ემუშავა პატრონის მეურნეობაში 5 დღეს, ასე, რომ პირველ გათოხნას იგი მოუნდა 15 დღე. ასევე მოხდებოდა, ალბათ, მეორე გათოხნის დროსაც.

შემდეგ მას უნდა აეღო მოსავალი და მისი ნახევარი სახლში მიეტანა მიწის პატრონისათვის.

---

[21] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 13, აღწ. 1, ს. 1421, ფურც. 335.

[22] იქვე, ფურც. 337.

[23] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 13, აღწ. 1, ს. 1421, ფურც. 342.

გამოდის, რომ გეორგანაშვილი ხდებოდა დაქირავებული მუშა, იგი აშკარა ექსპლუატაციას განიცდიდა.

ღარიბი გლეხი, რომელსაც არ გააჩნდა მიწა ან ჰქონდა პატარა ნაკვეთი, ხშირად ამჯობინებდა მოიჯარადრეობას, ვიდრე ქირაზე წასვლას. ამ შემთხვევაშიც მას ჰქონდა მხოლოდ თავისი სამუშაო ძალა, ასე რომ, ფაქტიურად გამოდიოდა მისი გაყიდვა. ამ შემთხვევაში იგი უფრო მეტ ექსპლუატაციას განიცდიდა, ვიდრე სამუშაო ძალის უშუალო გაყიდვისას.

იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა გლეხი თავის პატარა ნაკვეთს იჯარით სცემდა, თვითონ კი ქირაზე მიდიოდა სამუშაოდ.

ზოგჯერ მოიჯარადრეს არ გააჩნდა საქონელი, ინვენტარი და სათესი მასალა, და მაშასადამე, არ შეეძლო მიწის დამუშავება. ამიტომ იგი იჯარით იღებდა უკვე მოხნულსა და დათესილ მიწას, და მას დარჩენოდა მხოლოდ ის, რომ გაეთოხნა, დაემუშავებინა, აეღო მოსავალი და პატრონისათვის გადაეხადა საიჯარო ფასი. ასეთ შემთხვევაში, მიწის პატრონი ღებულობდა არა მარტო მიწის რენტას, არამედ მიწაზე დაბანდებული კაპიტალის პროცენტებსა და ამორტიზაციის ხარჯებსაც.

მაგრამ მიწას იჯარით იღებდნენ როგორც მდიდარი, ისე ღარიბი გლეხები, გორის მაზრაში მოიჯარადრეებად გვევლინებოდნენ თითქმის ყოველთვის კულაკები, ხოლო თელავის მაზრაში — ღარიბი გლეხები. კომისიის ცნობით გორის მაზრაში იჯარით იყო გაცემული 300 დეს. და თითქმის ყველა ღარიბი გლეხის მიერ. ასე მაგალითად, სოფელ ტყვიავში მცხოვრებ გ. პავლიაშვილს, რომელსაც ჰყავდა 8 ხარი, 1 მოჯამაგირე, ჰქონდა რკინის გუთანი, 2 დესეტინა ბაღი, 5,5 დესეტინა ნათესი, ამასთან ერთად, წლის განმავლობაში ქირაობდა დღიურ მუშებს, დაახლოებით 180 კაცდღეს, ღარიბი გლეხისაგან იჯარით ჰქონდა აღებული 2 დეს. სახნავი მიწა. როცა კომისიამ ჰკითხა პავლიაშვილს, რატომ იღებდა იჯარით მიწას, მან უპასუხა, რომ მას არ ჰყოფნიდა მარცვლეული მთელი წლის განმავლობაში, რადგან თავისი მიწების ერთ მესამედს ასვენებდა. გარდა ამისა, ეს სასარგებლო იყო იჯარით გამცემისათვისაც, რადგან იგი (იჯარით გამცემი გლეხი) მაინც ვერ დაამუშავებდა თავის ნაკვეთს. ამიტომ, პავლიაშვილის აზრით, მან დიდი ჰუმანურობა გამოამჟღავნა[24]. რასაკვირველია, მას ამოქმედებდა არა იჯარით გამცემის ინტერესები, არამედ საკუთარი მიზნები.

მიწას იჯარით გასცემდნენ როგორც ღარიბი, ისე მდიდარი მეურნეობები. ორივე შემთხვევაში ღარიბი გლეხობა განიცდიდა ექსპლუატაციას. მდიდარი გლეხები, კულაკები ხშირად იჯარით გასცემდნენ ვენახს, ბაღს, თამბაქოს პლანტაციას და სხვა შრომატევად კულტურებს. ამ გზით ისინი ფაქტიურად ქირაობდნენ სამუშაო ძალას, რომელიც გარეგნულად თითქმის არ ჩანდა. სინამდვილეში კი მათ ეს დაქირავება უფრო იაფი უჯდებოდათ.

იმავე დროს, თვითონ კულაკები უფრო ხშირად იჯარით იღებდნენ სახნავს სიმინდის ან ხორბლის დასათესად. აქ საჭირო იყო უფრო მეტად დიდი რაოდენობის წარმოების საშუალებების გამოყენება, ვიდრე — სამუშაო ძალის. ასეთ შემთხვევაში, მოიჯარადრე მოსავლიდან გაცილებით უფრო მეტს მიიღებდა, ვიდრე მიწის პატრონი. მართლაც, თუ მოიჯარადრე თვითონ ხნავდა და თესავდა, მაშინ მას მიწის პატრონისათვის უნდა მიეცა სიმინდის მოსავალის

[24] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 13, აღწ. 1, ს. 1421, ფურც. 344.

ერთი მეოთხედი ან ხორბლის ერთი მესამედი[25]. ზოგჯერ მოიჯარადრე სეზონურ სამუშაო ძალასაც იყენებდა, ასე, რომ მას მხოლოდ საკუთარი წარმოების საშუალებების გამოყენებით და დაქირავებული სამუშაო ძალის ექსპლუატაციით შეეძლო იჯარით აღებული ნაკვეთიდან დიდი შემოსავლის მიღება.

გამოკვლევის მასალები გვიჩვენებს, რომ როცა ხდებოდა მიწის იჯარით გაცემა სიმინდის დასათესად, მაშინ მოიჯარადრე ეწეოდა მიწის პატრონის ექსპლუატაციას, მაგრამ როცა მოიჯარადრე სთესდა თამბაქოს, მაშინ ხდებოდა პირიქით. ამ შემთხვევაში მიწის პატრონი თვითონ ხნავდა მიწას, მოიჯარადრეს აძლევდა თამბაქოს ჩითილს და ფულსაც, და ყოველივე ამისათვის მოიჯარადრეს უნდა დაემუშავებინა 2 დესეტინა თამბაქო, უნდა დაერგა, დაეპარა, მოეტეხა, გაეშრო და შეეკრა. იგი მუშაობდა თითქმის მთელი წლის განმავლობაში. „მთელ ნახევარს, რომელსაც იგი მიიღებს თამბაქოს რეალიზაციის შემდეგ, — ნათქვამია კომისიის ერთ-ერთი წევრის მოხსენებაში, — იგი ანდომებს მის დამუშავებას. პატრონი იხდის ფულს სამუშაო ძალისათვის, ეს ფული თამბაქოს რეალიზაციის შემდეგ მენახევრემ უნდა დაუბრუნოს პლანტატორს, ასე, რომ ნახევარი, რომელსაც იღებს მოიჯარადრე, ეხარჯება მიწის დამუშავებაზე“[26].

ასეთ შემთხვევაში მიწის პატრონი ექსპლუატაციას უწევდა არა მარტო მოიჯარადრეს, არამედ მისი მეშვეობით დაქირავებულ მუშებსაც.

საიჯარო ურთიერთობასთან მჭიდროდ იყო გადახლართული სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის დაქირავება-გაქირავებაც. მოიჯარადრე მეურნეობები ქირაობდნენ და აქირავებდნენ წარმოების საშუალებებს. თუმცა წარმოების საშუალებათა გამქირავებელ და დამქირავებელ მეურნეობათა თანაფარდობა მოიჯარადრეთა მთელი მასის მიმართ ყველა საწარმოო რაიონში ერთნაირი არ ყოფილა[27]. მაგრამ შეიძლება საერთოდ ვივარაუდოთ, რომ ღარიბ მოიჯარადრეთა უმრავლესობა ქირაობდა წარმოების საშუალებებს, ხოლო მცირე ნაწილი აქირავებდა მათ. მეორე მხრივ, მდიდარ მოიჯარადრეთა უმეტესობა აქირავებდა წარმოების საშუალებებს, ხოლო მცირე ნაწილი კი ქირაობდა.

თავის მხრივ, მიწის იჯარით გამცემი მეურნეობებიც მიმართავდნენ წარმოების საშუალებათა როგორც გაქირავებას, ისე დაქირავებას.

ექსპლუატაციის ერთგვარ ფორმას წარმოადგენდა, აგრეთვე, „ალოს“ ყიდვა, ე. ი. ინვენტარისა და საქონლის ყიდვა, რაც გამოწვეული იყო მათი ნაკლებობით. კომისიის მიერ გამოკვლეული 5800 მეურნეობიდან 50 პროცენტს სრულიად არ ჰყავდა მუშა საქონელი, დაახლოებით 38 პროცენტს ყავდა 2—2 სული, 10 პროცენტს — 2—4 სული და მხოლოდ 2 პროცენტს ჰქონდა სრული გუთნეული (12—16 ხარი)[28].

„ალოს“ ყიდულობდნენ ფულით ან სამუშაო ძალით. იგი მდგომარეობდა გუთნეულის დაქირავებაში მთელი თავისი სამუშაო ძალით, რომლითაც დღის განმავლობაში მუშავდებოდა, დაახლოებით ნახევარი დესეტინა მიწა. იგი თელავის მაზრაში შედგებოდა 4—6 წყვილი ხარისაგან, 1 გუთნის, 3—4 ღამის მეხრისა და 1 გუთნის დედისაგან. გორის მაზრაში კი გუთნეული მოიცავდა

[25] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 13, აღწ. 1, ს. 1421, ფურც. 342.
[26] იქვე, ფურც. 436.
[27] იქვე, ფ. 14, აღწ. 1, ს. 3411, ფურც. 189; А. Рухадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.
[28] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 13, აღწ. 1, ს. 1421, ფურც. 345.

6—8 წყვილ ხარს, 1 გუთანსა და გუთნის დედას და 5—6 ღამის მეხრეს, ეს იმიტომ, რომ გორის მაზრაში ნიადაგი უფრო მკვრივი იყო და მისი დამუშავება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული.

ყოველივე ეს თელავის მაზრაში ღირდა 8—16 მანეთი ან 8—16 კაცდღე, გორის მაზრაში კი 10—20 მანეთი ან 10—20 კაცდღე[29].

მყიდველი ვალდებული იყო ემუშავა „ალოს" გამყიდველის მეურნეობაში, როცა ამ უკანასკნელს დასჭირდებოდა სამუშაო ძალა, ეს კი მას სჭირდებოდა სწორედ სეზონის პერიოდში. ამიტომ „ალოს" მყიდველი ვალდებული იყო მიეტოვებინა მუშაობა თავის მეურნეობაში და ემუშავა პატრონის მეურნეობაში.

„ალოს" ყიდვის ნაირსახეობას წარმოადგენდა „ნაცვალგარდად" მუშაობა. იგი ყველაზე მეტად აღმოსავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული, ვიდრე დასავლეთში. დასავლეთ საქართველოში თუ გლეხს ჰქონდა 1 კავი და ჰყავდა 1 წყვილი ხარი, ხვნის დროს თითქმის არ იყო დამოკიდებული სხვაზე. აღმოსავლეთ საქართველოში კი გლეხს რომ სხვის დაუხმარებლად მოეხნა, უნდა ჰყოლოდა 5—6 წყვილი ხარი, რაც იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა.

„ნაცვალგარდად" მუშაობას მიმართავდნენ გლეხთა თითქმის ყველა ფენები. ამ შემთხვევაში გუთნეულის ელემენტები ასე იყო შეფასებული; გუთნისდედა იღებდა 4 ალოს, ე. ი. 4 დღეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი მოხნავდა 2 დესეტინა მიწას. გუთანი ღირდა 4 დღე, ამდენსავეს იღებდა ღამის მეხრე (ორნი იყვნენ), რომელიც მუშაობდა დღისითაც და ღამითაც, დღის მეხრე (ორნი იყვნენ) იღებდა 2 ალოს, წყვილი ხარი ამდენივე ღირდა (ხარი იყო სულ ცოტა 4 წყვილი მაინც) ასე, რომ მთელი გუთნეული მუშაობდა 28 დღეს. მაგრამ მონაწილენი, როგორც ვხედავთ, სხვადასხვა რაოდენობის დღეებით სარგებლობენ გუთნეულის მომსახურებით. გუთნისდედა, რომელიც ყოველთვის გუთნისმფლობელი იყო, იღებდა 8 ალოს, ამავე დროს ღამის მეხრე, რომელიც დღედაღამ მუშაობდა, იღებდა 4 ალოს. დღის მეხრე კი — 2 ალოს, წყვილი ხარის პატრონიც — ამდენს. ამ შემთხვევაში საქონლისა და ინვენტარის მფლობელი ეწეოდა იმათ ექსპლუატაციას, ვისაც მხოლოდ სამუშაო ძალა გააჩნდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს პირობები სხვადასხვა სოფელში სხვადასხვანაირი იყო. ზოგჯერ გუთნეულის ელემენტები ისე დგებოდა, რომ ყველა მათგანი თანაბარი რაოდენობის ალოს იღებდა, ზოგჯერ კი გუთნეულს ადგენდნენ ერთი სოციალური ფენის წარმომადგენლები, ასე, რომ „ნაცვალგარდად" მუშაობა ყოველთვის როდი წარმოადგენდა ექსპლუატაციის საშუალებას.

აღნიშნული მოვლენები თავისთავად მეტყველებს სოფლად არსებულ წარმოებით ურთიერთობათა რთულ ხასიათზე.

აღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარეობს შემდეგი: 1. ამ პერიოდის საქართველოს სოფელში უმთავრესად გაბატონებული იყო საზიარო იჯარა; 2. საიჯარო ფასის გადახდა უფრო ხშირად ნატურით ხდებოდა; 3. მოიჯარადრეთა ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენდა საშუალო გლეხი; 4. მდიდარი გლეხები უფრო ხშირად იჯარით გასცემდნენ ბაღებს, ვენახებს, პლანტაციებსა და სხვ. შრომატევად ინტენსიურ კულტურებს, ხოლო იჯარით იღებდნენ სახნავს მარცვლეულის დასათესად, ღარიბი გლეხობა კი — პირიქით. ორივე შემთხვევაში ღარიბი გლეხობა განიცდიდა ექსპლუატაციას. 5. მდიდარ გლეხთა

[29] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 13, აღწ. 1, ს. 1421, ფურც. 346.

მიერ ღარიბ მეურნეობათა ექსპლუატაციის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა, აგრეთვე, ამ უკანასკნელთა სიშორე იჯარით აღებული ნაკვეთიდან; 6. მიწის რენტასთან ერთად მდიდარი გლეხობა იღებდა იჯარით გაცემულ ნაკვეთზე დაბანდებული კაპიტალის სარგებელს; 7. ღარიბი გლეხი, რომელიც კულაკისაგან იჯარით იღებდა ბაღს, ვენახს და სხვ. ფაქტიურად ხდებოდა დაქირავებული მუშა; 8. მდიდარი და შეძლებული მეურნეობები მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემასთან ერთად მიმართავდნენ წარმოების სხვა საშუალებათა გაქირავებასაც; 9. ღარიბი მოიჯარადრეები ზოგჯერ ქირაობდნენ წარმოების საშუალებებსაც; 10. „ნაცვალგარდად" მუშაობა ზოგჯერ შეიცავდა ექსპლუატაციის ელემენტებს; 11. საიჯარო ურთიერთობაში ჩაბმული იყო გლეხურ მეურნეობათა დაახლოებით ერთი მესამედი.

ნუგზარ ტერ-ოგანოვი

ირანის შეიარაღებული ძალები და ირან-საფრანგეთის სამხედრო თანამშრომლობა XIX საუკუნის დასაწყისში

XVIII საუკუნის მიწურულში ფეოდალური შინაომი ირანში ზენდების დინასტიის განადგურებით დასრულდა.

აღა-მაჰმად-ხან ყაჯარმა, ზენდების დაუძინებელმა მტერმა, უკანასკნელი ზენდი გამგებლის ლუტფ ალი-ხანის მოსპობის შემდეგ ირანის თითქმის ყველა პროვინცია და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მუსლიმანური სახანოები შეიერთა. მას ვერც აღმოსავლეთი საქართველო გადაურჩა. 1796 წლის მარტში აღა-მაჰმად-ხანი დიდი ზარ-ზეიმით ეცურთხა შაჰად ყაჯარების სატახტო ქალაქ თეირანში.

ამგვარად, მან საფუძველი ჩაუყარა ასთარაბადელი ყაჯარების[1], კერძოდ, მათი ერთ-ერთი შტოს — აშაყებაშების ბატონობას ირანში. ავიდა თუ არა ირანის სამეფო ტახტზე, აღა-მაჰმად-ხანმა დალაშქრა ხორასანი, სადაც მან ბოლო მოუღო ავშართა საგვარეულოს მმართველობას და ხელთ იგდო ნადირ-შაჰის მიერ ინდოეთიდან ჩამოტანილი სიმდიდრე. ხორასნის შეერთებით დამთავრდა საკუთრივ ირანის სახელმწიფოს გაერთიანება. აღა-მაჰმად-ხანმა მოაგვარა ირანის საშინაო საქმეები და ჯარით კვლავ მოადგა ამიერკავკასიას. მას სურდა საქართველოს დამორჩილება, მაგრამ განზრახვის სისრულეში მოყვანა არ დასცალდა, იგი შუშის ციხეში გამოასალმეს სიცოცხლეს. ქვეყანაში კვლავ დაისადგურა ანარქიამ, რაც ამჯერად ხანმოკლე აღმოჩნდა. ირანის ტახტზე ავიდა აღა-მაჰმად-ხანის ძმისშვილი ფათჰ ალი-ხანი (იგივე ბაბა-ხანი), რომელმაც დიდი ცდის შედეგად შეძლო გამდგარი ოლქების დამორჩილება.

ირანში ახალი დინასტიის მოსვლას რაიმე არსებითი გავლენა არ მოუხდენია ქვეყნის ეკონომიურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ადმინისტრაციულ და სამხედრო აპარატში მოხდა მხოლოდ ძალთა გადაჯგუფება[2], რაც ყოველთვის თან სდევდა დინასტიათა ცვლას ირანში.

ფეოდალური ხანის (XIX საუკუნის ჩათვლით) ირანი წარმოადგენდა მომთაბარე და ბინადარი მოსახლეობის თანაცხოვრების ერთ-ერთ კლასიკურ ქვეყანას. ყაჯართა ტომის შემდეგ სახელმწიფოში დიდი გავლენით სარგებლობდნენ ირანის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი მომთაბარე ტო-

---

[1] ასთარაბადელი ყაჯარები იყოფოდნენ აშაყებაშებად და იუხარიბაშებად (И. Ф. Бларамберг, Статистическое обозрение Персии, Записки составленное в 1811 г., РГО, кн. 7. СПб, 1853 г., გვ. 15). ყაჯართა ტომის შემადგენლობის შესახებ დაწვრილებით იხ. ზ. შარაშენიძე, ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1970, გვ. 7.

[2] XIX ს-ის დასაწყისისათვის დიდ სამხედრო თანამდებობებზე, როგორიც იყო, მაგალითად, ყულარაღასობა და ქეშიქჩიბაშობა, მხოლოდ ყაჯარები არიან. იხ. აბდ ალ-რეზა ყდუმბული, მაასერე სოლთანიე, თაერიზი, 1826, გვ. 24, 27, 33 და სხვა (შემდეგში: მაასერე სოლთანიე).

მები, რომელთაგან აღსანიშნავია ბახთიარები, ქურთები, ავშარები, ყარაგუზლუ, არაბები, ყაშყაელები, ბელუჯები, თურქმანები და სხვანი[3]. ყოველ მომთაბარე თუ ნახევრად მომთაბარე ტომს ჰყავდა თავისი ბელადი (ამირი, ილხანი, ილბეგი, შეიხი), რომელსაც ცენტრალური ხელისუფლება დიდ ანგარიშს უწევდა. შაჰი ხშირად ნიშნავდა ტომის ბელადს პროვინციის მმართველად ანუ სახელმწიფო მოხელედ[4].

ირანის ფეოდალურ საზოგადოებას ქვეყნის მწარმოებელი მოსახლეობის ძირითადი მასის დასამორჩილებლად, ქვეყნის შიგნით მეამბოხეთა დასათრგუნავად და დაპყრობითი ომების საწარმოებლად ჰყავდა შეიარაღებული სამხედრო ძალა.

საუკუნეთა მანძილზე სამხედრო სამსახურს ირანში მომთაბარე ტომები ეწეოდნენ[5].

ტომობრივ პრინციპზე აგებული ფეოდალური ლაშქარი, რომლის ბირთვს მომთაბარენი შეადგენდნენ[6] მხოლოდ საჭიროების ჟამს იკრიბებოდა და ლაშქრობის დამთავრებისთანავე ან ზამთრის მოახლოებისას, როგორც წესი, იშლებოდა.

ფეოდალური ლაშქრის მთავარ ძალას წარმოადგენდა ირეგულარული ცხენოსანი ჯარი. მის სათავეში, ჩვეულებრივ, მომთაბარე ტომის ბელადები იდგნენ. ომის საშიშროების შემთხვევაში თითოეული ტომის ბელადი ვალდებული იყო გამოეყვანა ცხენოსანთა განსაზღვრული კონტინგენტი. ცხენოსანი მოლაშქრეები იშვიათად იღებდნენ ტანსაცმელსა და ჯამაგირს[7]. მათი რჩენის მთავარ წყაროს წარმოადგენდა ადგილობრივი (ხშირად ირანელი) მოსახლეობის ძარცვით ნაშოვნი ნადავლი.

ირანის ცალკეულ, ერთმანეთისაგან დიდად დაშორებულ რაიონებს შორის მჭიდრო ეკონომიური და პოლიტიკური კავშირის უქონლობის პირობებში XVIII ს-ის დასასრულსა და XIX ს-ის დასაწყისში შეუძლებელი იყო ნომადების შეიარაღებული ძალის ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაქვემდებარება.

XIX და XX სს. მანძილზე ირანის რეაქციულ წრეებს არაერთხელ გამოუყენებიათ მომთაბარეთა ირეგულარული ცხენოსანი ჯარი ცენტრალურ ხელისუფლებასთან საბრძოლველად და სახალხო მოძრაობის ჩასახშობად.

ირანის ფეოდალური ლაშქრის დიდი ნაწილი, რომელსაც ჩვენ პირობითად ვუწოდებთ პროვინციულ ლაშქარს ანუ მილიციას, გათვალისწინებული იყო ადგილობრივი სამსახურისათვის. იგი შედგებოდა როგორც ცხენოსანი, ისე ქვეითი მეომრებისაგან[8]. მაგრამ ირანის ყველა პროვინციას როდი ჰყავდა ორივე სახის ჯარი, მაგალითად, გილანის პროვინციულ ლაშქარში მხოლოდ

---

[3] A. Lambton, Persian society under the Qajars, London, 1960, გვ.130.

[4] იქვე.

[5] მხოლოდ ნადირ-შაჰის დროს დაიწყო რაიათების გაწვევა სამხედრო სამსახურში (М. Р. Арунова и К. З. Ашрафян, Государство Надир-шаха Афшара, М., 1958, გვ. 130). XIX ს-ის დამდეგს ეხვდებით ქალაქის მოსახლეობის (თავრიზელების) სამხედრო სამსახურში ყერძოდ, თოფანგჩიებად, გაწვევის ფაქტსაც (მაასერე სოლთანიე, გვ. 312).

[6] ალი აქბარ ბინა, თარიხე სიასი ვა დიფლუმასიე ირან, ტ. I, აზ გოლნაბად თა, ბორქამანჩაი, თეირანი, 1333, გვ. 61.

[7] J. Kinneir, A geographical memoir of the persian empire, London, 1813, გვ. 32.

[8] ქვეით მეომარს ეწოდებოდა თოფანგჩი (تفنگچی), რაც ნიშნავს მეთოფეს.

მთიელი ქვეითი თოფანგჩიები ირიცხებოდნენ[9]. წინასწარ იყო განსაზღვრული, რომელ რაიონს რამდენი ქვეითი და ცხენოსანი მოლაშქრე უნდა გამოეყვანა. ჯ. მალკოლმის ცნობით ირანის მილიცია 150 ათას კაცს ითვლიდა[10]. ირანელ მოლაშქრეებს მშვიდობიანობის დროს დაკისრებული ჰქონდათ წესრიგის დაცვა პროვინციაში, ხანების თანხლება ნადირობისას, ქარავნებისა და მოგზაურების გაცილება იმ მხარეში, სადაც არსებობდა მძარცველთა თავდასხმის საფრთხე, რაც განსაკუთრებით შეიმჩნეოდა ირანის ჩრდილოეთ საზღვრისპირა რაიონებში, სახელდობრ გილანში, მაზანდარანსა და ასთარაბადში[11]. იმ შემთხვევაში, როდესაც საჭირო იყო მოლაშქრეების ჩაყენება შორეულ ციხესიმაგრეებში, ანდა მათი მონაწილეობა ლაშქრობაში, სამეფო კარი უხდიდა მათ სამსახურის სანაცვლოდ წელიწადში 5—7 თუმან[12] ჯამაგირს და 2—3 ტომარა მარცვლეულს[13].

პროვინციის შეიარაღებული ძალების სათავეში სარდალი იდგა. სარდლად შეიძლებოდა ყოფილიყო ბეგლარბეგი, ყულარაღასი, ნასაყჩიბაში და სამეფო კარის სხვა დიდი მოხელე[14]. სეფიანთა ბატონობის ხანაში პროვინციის გამგებელი — ბეგლარბეგი ყოველთვის იყო საერო და სამხედრო ძალაუფლების მატარებელი[15]. ბეგლარბეგს ემორჩილებოდა პროვინციის ლაშქარი. ასეთი მდგომარეობა იყო სეფიანი შაჰების დროს. ჩვენი აზრით, ყაჯარების მმართველობის დასაწყისში ბეგლარბეგი მხოლოდ ადმინისტრაციული მოხელეა. პროვინციის სამხედრო უწყება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სარდლის ხელთ იყო. მაგალითად, აბდ არ-რეზაყ დუმბული ერევნის მმართველ ჰოსეინ-ხანს ბეგლარბეგად და სარდლად იხსენიებს[16]. ბეგლარბეგობა რომ უწინდელი შინაარსის მქონე ყოფილიყო, მაშინ ისტორიკოსს, ვფიქრობთ, არ დასჭირდებოდა ცალცალკე აღენიშნა ჰოსეინ-ხანის ბეგლარბეგობა და სარდლობა. პროვინციის გამგებლის წმინდა საერო მოხელედ გადაქცევას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ ნადირ-შაჰის სახელმწიფოში. იყო ცალკეული შემთხვევები, როდესაც ნადირ-შაჰი მხოლოდ საერო ფუნქციებს უტოვებდა ოლქის გამგებელს, ხოლო იმ ოლქში პროვინციის ლაშქრის უფროსად მიავლენდა ხოლმე სარდალს[17].

ჯარის ზემოთ დასახელებულ სახეობათა გარდა ირანის შაჰის პირად განკარგულებაში იყო 2—4 ათასი ცხენოსნისაგან შემდგარი ღოლამთა კორპუსი, რომელიც ასრულებდა შაჰის ლეიბ-გვარდიის როლს.

---

[9] И. Ф. Бларамберг, დასახ. ნაშრომი, გვ. 141.

[10] J. Malcolm, The history of Persia from the most early period to the present time, vol. II, London. 1815, გვ. 498.

[11] И. Ф. Бларамберг, დასახ. ნაშრომი, გვ. 58—59; 141.

[12] თუმანი — ფულის ერთეული ირანში. XIX ს-ის დასაწყისის ირანში მიმოქცევადი ფულის შესახებ. იხ. J. Morier, A journey through Persia, Armenia and Asia Minor to Constantinople, in the years 1808 and 1809, London, 1812, გვ. 409.

[13] J. Malcolm, დასახ. ნაშრომი, გვ. 498.

[14] მაასერე სოლთანიე, გვ. 224, 269, 319.

[15] И. П. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX вв., Л., 1949, გვ. 118.

[16] مصطفی اقا قزاق را هم تعیین نمود که با حسین خان بیگلربیگی و سردار ایروان بنلی امر التیام گذارد (მაასერე სოლთანიე, გვ. 269)

[17] М. Р. Арунова и К. З. Ашрафян, დასახ. ნაშრომი, გვ. 127.

ღულამები XVIII—XIX სს. მიჯნაზე, ისევე როგორც შაჰ-აბასის და მისი მემკვიდრე სეფიანი შაჰების მმართველობის ხანაში, იყვნენ ამიერკავკასიიდან ირანში ტყვედწასხმული და იქ შემდგომში მაჰმადის რჯულზე მოქცეული ქრისტიანი ყმაწვილები. შაჰის ღულამების უფროსს — ყულარაღასის[18] (სეფიანთა ხანაში — წარმოშობით ქართველს) მუდამ დიდი გავლენა ჰქონდა სამეფო კარზე.

შაჰის ღულამები მათი იარაღისა და ბრძოლის წარმოების ხერხების მიხედვით იყოფოდნენ ორ ჯგუფად: პირველ, შედარებით მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნიდნენ ცხენოსანი ღულამები, რომლებიც ბრძოლის ველზე ხმარობდნენ მხოლოდ კარაბინს, დამბაჩას და ხმალს; მეორეს კი — ღულამ-თოფანგჩიები. ღულამ-თოფანგჩიები კავალერისტები იყვნენ, ოღონდ ევროპელი დრაგუნების მსგავსად ქვეითადაც იბრძოდნენ. მათთან მოკლე კარაბინის ნაცვლად ხმარებაში იყო გრძელი თოფები, რომლებსაც მოწინააღმდეგისათვის ცეცხლის დაშენისას უდგამდნენ სპეციალურ ორთითა საყრდენებს[19].

ღულამებს ირანელთა ჯარში ეკავათ ყველაზე პრივილეგიური მდგომარეობა, რაზედაც მათი ჯამაგირიც მეტყველებს: თუ ომის შემთხვევაში ცენტრალური ხელისუფლების მიერ გაწვეულ მოლაშქრეს ეძლეოდა წელიწადში 5—7 თუმანი ჯამაგირი და 2—3 ტომარა მარცვლეული, შაჰის ღულამი წელიწადში 12—20, ზოგჯერ კი 60 თუმანსაც იღებდა[20].

ღულამს საკუთრივ ჯამაგირის გარდა ჰქონდა შემოსავლის სხვა, დამატებითი წყაროებიც, რომელთა რიცხვში უნდა დავასახელოთ საჩუქრების მიტანა, გადასახადების აკრეფა და სხვა[21].

ამგვარად, ღულამს სამხედრო ფუნქციების შესრულებასთან ერთად სამოქალაქო უწყების სამსახურშიც უხდებოდა საქმიანობა. ღულამის სამოქალაქო უწყებაში გამოყენების ტენდენცია ჯერ კიდევ სეფიანთა ხანაში შეიმჩნევა[22]. XIX საუკუნეში, ფათჰ ალი-შაჰის სიკვდილის შემდეგ ირანში დასავლეთის სახელმწიფოთა გავლენით და პირადი მონობის მოსპობის შედეგად უფრო დაჩქარდა ზემოთ აღნიშნული პროცესი — ღულამის ცნებამ ისეთი ტრანსფორმირება განიცადა, რომ სიტყვა — ღულამი უკვე უცხოეთის დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობის სამსახურში მყოფ შიკრიკსაც აღნიშნავდა[23].

ღულამებთან ერთად შაჰის სიმშვიდეს იცავდა მაზანდარანელი თოფანგჩიების მცველი ჯარი, რომელიც, ევროპელი ავტორების ცნობით, 12—14 ათა-

---

[18] „თაზქირათ ალ-მულუქის" შემდგენელი ყულარაღასის სეფიანთა სახელმწიფოს შიდა თავკაცს შორის ასახელებს. იხ. თაზქირათ ალ-მულუქ, თეირანი, 1332, გვ. 5 (შემდეგში: თაზქირათ ალ-მულუქ).

[19] Гаспар Друвиль, Путешествие в Персию в 1812 и 1813 годах, часть II, М., 1826, გვ. 105—106.

ღულამ-თოფანგჩიების არსებობა დასტურდება „მაასერე სოლთანიეში" (მაასერე სოლთანიე, გვ. 209, 261), ასევე XIX საუკუნის მეორე მეოთხედის სპარსულ წყაროშიც. იხ. ჯაჰანგირმირზა, თარიხე ნოო, თეირანი, 1327, გვ. 19.

[20] R. Ker Porter, Travels in Georgia, Persia, Armenia, Ancient Babylonia during the years 1817, 1818, 1819 and 1820, vol. II, London, 1822, გვ. 585.

[21] იქვე.

[22] C. E. Bosworth, Gulam, The Encyclopaedia of Islam, vol. II, Leiden-London, 1965, გვ. 1083 (შემდეგში: ისლამის ენციკლოპედია, II).

[23] ისლამის ენციკლოპედია, II, გვ. 1083.

სი კაცისაგან შედგებოდა[24]. ჯ. მორიერი ამ ჯარის შესახებ წერს: — „ისინი სამათასიან რაზმებად იყოფიან და მორიგეობენ რიგრიგობით მეფის სასახლეში — არქში[25]. მათ უწოდებენ ქეშიქჩიებს ანუ გვარდიელებს[26]. თითოეულ ასეთ რაზმს სარქეშიქჩი — გვარდიის უფროსი ჰყავს“[27]. ქეშიქჩიები, რომელთა შესახებ ლაპარაკობს ჯ. მორიერი, არ წარმოადგენდნენ ახალ ელემენტს ირანელთა ჯარში, მათ ვხვდებით ნადირ-შაჰ ავშარის მუდმივ ლაშქარშიც, სადაც ისინი ასრულებდნენ მეფის გუშაგების როლს და ცნობილი იყვნენ ჰამაშა-ქეშიქჩის სახელით[28].

სპარსულ ისტორიულ წყაროებშიც გვხვდება საინტერესო ცნობები ქეშიქჩიების შესახებ. კერძოდ, რეზა ყული-ხან ჰედაიათის ცნობათა საფუძველზე შეიძლება დავადგინოთ, რომ შაჰის ქეშიქჩიების დიდი ნაწილი გამოსული იყო მაზანდარანიდან. ამას გარდა ირკვევა, რომ ისინი ბრძოლის დროს იცავდნენ შაჰის კარავს. მათი ძირითადი საბრძოლო იარაღი იყო პატრუქიანი თოფები[29]. შაჰის ქეშიქჩიები[30] მოვალენი იყვნენ დაეცვათ თავიანთი სუზერენი როგორც არქში, ისე ბრძოლის ველზე.

არტილერია წარმოადგენდა ირანის შეიარაღებული ძალების ყველაზე სუსტ რგოლს. იგი შედგებოდა სხვადასხვა ტიპისა და ყალიბის, მეტწილად მოძველებული და უვარგისი ზარბაზნებისაგან. ზარბაზნებს ასხამდნენ ისფაჰანში, შირაზში, თავრიზსა და მეშჰედში[31]. ზარბაზნების საწყობს ანუ არსენალს ეწოდებოდა თოფხანა[32]. თოფხანას ჰყავდა თავისი უფროსი — თოფჩიბა-

---

[24] მაზანდარანელ თოფანგჩიებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფს ყაჯარები ქმნიდნენ. ყაჯარებთან ერთად თოფანგჩიების გარკვეული რაოდენობა უნდა გამოეყვანათ მაზანდარანელ ავღანელებს, ბელუჯებს, აშრაფელ ქართველებსა და სხვებს. იხ. И. Ф. Бларамберг, დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

[25] ჯ. მორიერი ცდება, როდესაც მეფის სასახლედ მიიჩნევს არქს (ارک). არქი მეფის სასახლე კი არა, ციტადელია. იხ. მაგალითად, Harford Jones Brydges, An account the transactions of his majesty's mission to the court of Persia in the years 1807—1811; vol. I, London, 1834, გვ. 308, ასევე В. В. Бартольд, Персидское АРК, «крепость, цитадель» соч. т. VII, გვ. 413—415.

[26] ქეშიქჩი (کشیکچی) თურქული სიტყვაა და ნიშნავს გუშაგს, მცველს, მორიგეს.

[27] J. Morier, დასახ. ნაშრომი, გვ. 242.

[28] М. Р. Арунова и К. З. Ашрафян, დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

[29] «... الحامل چون عبد الله خان زند قریب بسرادق پادشاهانه شد بیکبار کشیکچیان خاص حضرت سلطانی که غالباً مازندرانی بودند فتیله های سوزنده بر مارهای فروزنده نهاده اراقم مهره فشان تگرگ‌آسا بریختن اوراق اشجار وجود اعدا پرداختند (რეზა ყული-ხან ჰედაიათ, თარიხე როუზათ ოს საფაიე ნასერი, ტ. IX. თეირანი 1339, გვ. 245. შემდეგში: როუზათ ოს-საფა).

[30] შაჰის ქეშიქჩიების (کشیکچیان خاص) გარდა ირანის ქალაქებში არსებობდა ე. წ. ქალაქელი ქეშიქჩიების შეიარაღებული ძალა, რომელიც იცავდა წესრიგს არქისგარეთა ქალაქის ნაწილში იხ. J. Morier, დასახ. ნაშრომი, გვ. 242.

[31] Mission du general Gardane en Perse sous le premier empire, Paris, 1865, გვ. 124 (შემდეგში: Mission...,).

[32] თანამედროვე სპარსულში توپخانه ნიშნავს არტილერიას. სიტყვა „თოფხანის“ არტილერიის მნიშვნელობით ხმარება, რაც ირანელ ისტორიკოსს ყაიემ მაყამ ჯაჰანგირს შეცდომად ეჩვენა, უკვე ყაჯართა გამგებლობის შუახანებიდან იწყება (ყაიემ-მაყამ ჯაჰანგირ, თარიხე თაჰაველათე სიასიე ნეზამე ირან, თეირანი, 1326, გვ. 11).

ში, რომელიც „თაზქირათ ალ-მულუქის“ ანონიმი ავტორის ცნობით, „თოფხანის ჯარჩიების, თოფჩიების (მეზარბაზნეები. — **ნ. ტ.-ო.**) მინბაშებისა და იუზბაშების რიშსეფიდი (უხუცესი. — **ნ. ტ.-ო.**) იყო“[33].

გენერალ გარდანის მონაცემებით, ირანის არტილერიაში 2500 კაცი ითვლებოდა[34]. არტილერიაში საკუთრივ ზარბაზნის (توپ) გარდა, ხმარებაში იყო მორტირა, ანუ ხომფარა (خمپره).

ირანის ჯარში ფართოდ იყო გავრცელებული აქლემებზე დამაგრებული მცირე ზომის ზარბაზანი — ფალკონეტი, რომელსაც უწოდებდნენ ზამბურაქს[35], ხოლო ამ ეგზოტიკური არტილერიის მეზარბაზნეს — ზამბურაქჩის. ზამბურაქები ინახებოდა ზამბურაქხანაში.

საარტილერიო საქმესთან იყო ასევე დაკავშირებული ყურხანა[36] — არსენალი. აქ მზადდებოდა არტილერიისათვის საჭირო ტყვია-წამალი, ჭურვები და მისთანანი. ჭურვებს რომ ნამდვილად ყურხანაში ამზადებდნენ, ამაზე შემდეგი ფაქტიც მეტყველებს: კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შეკრებილ სპარსულ ფირმანებში, სადაც კი არის ნახსენები სიტყვა ყურხანა, იგი რუსულ თარგმანში, თუმცა შეცდომით, მაგრამ ძირითადი არსის გადმოცემით, ჭურვად (снаряд) არის თარგმნილი[37].

XIX საუკუნის სპარსულ ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებში ხშირად გვხვდება ყურიასაულბაშის[38] წოდება, რომელსაც, უეჭველია, კავშირი უნდა ჰქონდეს ყურხანის უწყებასთან. სავსებით დასაშვებია, რომ ყურიასაულბაში ყურხანის უფროსი თუ არა, დიდი თანამდებობის პირი მაინც უნდა ყოფილიყო ამ უწყებაში. იმდროინდელ ირანში რომ იგი საკმაოდ გავლენიანი პიროვნება იყო, ამას „მაასერე სოლთანიეს“ ავტორიც ადასტურებს: „ნაიბ ოს-სალთანემ განაწესა ფათჰ ალი-ხან ნური ყურიასაულბაში, რომელიც იყო სამეფო კარის დიდებულთაგანი, წოდების მქონე და საქმის მცოდნე, ელჩების (გენერალ გარდანის სამხედრო მისიის წევრები. — **ნ. ტ.-ო.**) მეკმანდარად[39].

---

[33] თაზქირათ ალ-მულუქ, გვ. 13.

[34] Mission..., გვ. 121.

[35] სიტყვის სპარსული ძირი გვაფიქრებინებს, რომ ზამბურაქის სამშობლო ირანი ან ავღანეთი უნდა იყოს. ზამბურაქები მრავლად იყო ავღანელთა ფეოდალურ ლაშქარშიც (Дневник осады Испагани афганами веденный Петросом ди Саргис Гиланенц, в 1722 и 1723 годах, СПб, 1870, გვ. 5). დაწვრილებით საზამბურაქე არტილერიის შესახებ იხ. Гаспар Друвиль, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 10. 133, 134.

[36] قورخانه ისევე, როგორც თოფხანა და ზამბურაქხანა, შედგენილი სიტყვაა, რომლის პირველი კომპოზიტი قور არაბულად ნიშნავს ბირთვს, ჭურვს; ხოლო სპარსული — خانه სახლს, ე. ი. ყურხანის ქართული შესატყვისი იქნება ჭურვის სახლი. ი. ვულერსის სპარსულ-ლათინურ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ყურხანა სპარსულად შემდეგნაირადაა განმარტებული. — كارخانه مصالح توپخانه از سرب و باروت و غيره (Ioannis Augusti Vullers, Lexicon Persico-Latinum etimologicum, III, 1855, გვ. 748).

[37] Акты собранные кавказской археологической комиссией, т. II, Тифлис, 1868, გვ. 818, 819 (შემდეგში: АКАК, т. II).

[38] قوريساول باشي ანუ ყურხანის იასაულების უფროსი.

[39] მეკმანდარს (მესტუმრეს) ენდა უზრუნველყოფა ელჩობა ბინით, სურსათით და დროზე ჩაყენება იგი დანიშნულების ადგილზე. მეკმანდარის მოვალეობის შემსრულებლად, ჩვეულებრივ, დიდებულებს ნიშნავდნენ.

ირანის ცხენოსანი და ქვეითი ჯარისათვის აუცილებელ იარაღ-საჭურველს აწარმოებდნენ ჯაბახანაში[40]. გასპარ დრუვილის ცნობით ჯაბახანაში „მზადდებოდა ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო არარეგულარული ჯარისათვის"[41]. მოგვიანებით, XIX საუკუნის 40-იან წლებში, ჯაბახანა სამხედრო პროდუქციასთან: ხმლებთან, თოფებთან, ხიშტებთან, ბუკებთან, ფალასკებთან ერთად სამგზავრო ეტლებსაც უშვებდა[42].

ლაშქრობის დროს თოფხანა, ზამბურაქხანა, ყურხანა და ჯაბახანა ჯართან ერთად მოძრაობდა.

საუკუნეთა მანძილზე ირანში მომთაბარე ტომების ბატონობამ თავისი დაღი დაასვა სამხედრო საქმეს, კერძოდ კი ირანის ფეოდალური ლაშქრის ორგანიზაციულ სტრუქტურას. მომთაბარე ტომის წყობა ხელუხლებლად იქნა გადატანილი ირანის ფეოდალურ ლაშქარში. გენერალი ვარდანი მარტივად გვიხატავს ირანის ფეოდალური ლაშქრის ორგანიზაციას. იგი წერს: „ხანი სათავეში უდგას 8—10 ათას კაცს, სულთანი — ასეულს, ელიბაში — 50, ბაში კი 10 ჯარისკაცს"[43]. ინგლისელი მოგზაური რ. კერ პორტერი აღწერს ფეოდალური ლაშქრის თითქმის ანალოგიურ სურათს[44]. მხოლოდ სამეფო, ზოგ შემთხვევაში უფლისწულის (მაგ. აბას-მირზას) კარზე არსებობდა ყულარაღასის, ქეშიქჩიბაშის, თოფჩიბაშის, ნასაყჩიბაშის[45], ყურიასაულბაშის და სხვა მნიშვნელოვანი სამხედრო თანამდებობანი. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ოფიცრობა, ევროპული გაგებით, ირანის სინამდვილეში არ არსებობდა.

ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა ირანის ფეოდალური ლაშქარი, როდესაც დაიწყო ირან-რუსეთის პირველი ომი (1804—1813 წწ.). რუსეთი ამ ომში ცდილობდა ირანის ყმადნაფიცი მუსლიმანური სახანოების შეერთებას და საზღვრის დადებას მტკვარზე, არაქსსა და არფაჩაიზე[46].

რუსეთმა ირანთან ომის პირველსავე წლებში დიდ წარმატებას მიაღწია. 1804—1806 წლების საომარი მოქმედების შედეგად რუსეთის ხელთ იყო განჯის, ბაქოს, შექის, შირვანის, ყარაბაღის სახანოები, ანუ ამიერკავკასიის თითქმის ყველა მუსლიმანური სახანო[47]. რუსეთის არმია კვლავ განაგრძობდა შე-

---

[40] ჯაბახანა (جبه‌خانه ან جبیاخانه) ყურხანის მსგავსად წარმოადგენდა არსენალს. جبه თურქული სიტყვაა და ნიშნავს ჯავშანს, აჯარს ან სხვადასხვა ნაწილებისაგან შემდგარ რკინის ჩასაცმელ აღჭურვილობას. (Л. З. Будагов, Сравнительный словарь турецкс-татарских наречий, т. I, СПб, 1869, გვ. 432).

[41] Гаспар Друвиль, დასახ. ნაშრომი, გვ. 144.

[42] ეთემად ოს-სალთანე, მირათ ალ-ბულდანე ნასერი, ტ. II, თეირანი, 1294, გვ. 67, 105.

[43] Сборник географических, топографических и статистических материалов по Азии, Вып. XXIII, СПб, 1886, გვ. 80 (შემდეგში: СМА, вып. XXIII),

[44] რ. კერ პორტერთან ელიბაშის სინონიმია ფანჯაბაში, ბაშისა კი—დაჰბაში (R. Ker Porter, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 583, 584).

[45] ნასაყჩიბაში — نسقچی‌باشی. ვ. არუნოვას და კ. აშრაფიანის განმარტებით ნასაყჩიების მოვალეობა იყო დამნაშავეთა დასჯა, ბანაკში შეპარული ქურდების შეპყრობა, ერთი სიტყვით, წესრიგის დაცვა სამხედრო ბანაკში. ბრძოლის დროს ნასაყჩიები თვალყურს აღევნებდნენ მეომრებს და არ აძლევდნენ მათ გაქცევის ან უკანდახევის საშუალებას. ვინც გაქცევას დააპირებდა, ნასაყჩიები ხოცავდნენ მათ. ნადირ-შაჰის ჯარში 300 ნასაყჩი იყო (М. Р. Арунова и К. З. Ашрафян, დასახ. ნაშრომი, გვ. 132).

[46] საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო-საისტორიო არქივი (შემდეგში სცსსა), ფონდი 2, ან. 1, ს. 173. ფურც. 50.

[47] А. Р. Иоаннисян, Присоединение Закавказья к России и международные отношения в начале XIX столетия, Ереван, 1958, გვ. 176.

ტევას სამხრეთის მიმართულებით. ირანის ჯარი კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. აბას-მირზას მიერ აზერბაიჯანის ფეოდალური ლაშქრის ნაწილობრივი გადახალისების მიუხედავად (რეგულარული ქვეითი ჯარის შექმნის ცდა, არტილერიის ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნა — ცხენოსანი არტილერიის შემოღება[48] და სხვ.) ირანის ჯარი საგრძნობლად ჩამორჩებოდა რუსეთის არმიას.

ბაბა-ხანი[49] და აბას-მირზა ნათლად ხედავდნენ, რომ მარტო ირანს და მის შეიარაღებულ ძალებს გაუჭირდებოდათ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა.

ირანის სამეფო კარმა მიზანშეწონილად მიიჩნია დახმარება ეთხოვა ნაპოლეონ ბონაპარტისათვის, ვინაიდან, ჯერ ერთი, საფრანგეთი საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა რუსეთთან და ამდენად ირანის ბუნებრივი მოკავშირე გახდებოდა. მეორეც, საფრანგეთის მოწვევა უშუალო საფრთხეს ვერ შეუქმნიდა ირანის ტერიტორიულ მთლიანობას. დიდ ბრიტანეთს კი ოსტ-ინდოეთის კომპანიის საშუალებით ყოველთვის შეეძლო მუქარის ქვეშ ჰყოლოდა ირანი, კერძოდ კი ირანის სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი პროვინციები. ამას გარდა, შექმნილ სიტუაციაში ირანს მოკავშირედ არ გამოადგებოდა რუსეთთან დაახლოებული ინგლისი. შაჰის არჩევანი საფრანგეთის იმპერატორზე შეჩერდა. არა მარტო ირანი იყო დაინტერესებული საფრანგეთთან დაახლოებით, საფრანგეთიც ცდილობდა მჭიდრო ურთიერთობა დაემყარებინა ირანთან, რაც უცილობლად დაკავშირებული იყო ნაპოლეონის აღმოსავლურ პოლიტიკასთან, სადაც დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ინდოეთში ლაშქრობის გეგმას.

ნაპოლეონის დიდი ხნის ოცნება — ინდოეთში ლაშქრობა — შესაძლებელი იყო მხოლოდ ირანთან კავშირის შემთხვევაში. 1805 წლის დამლევიდანვე ირანი საფრანგეთის ყურადღების არეში აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც 1805 წლის იანვარში ნაპოლეონი გაეცნო ფათჰ ალი-შაჰის წერილს, რომელშიც იგი დაჟინებით ეძიებდა მასთან კავშირს და თხოულობდა მის მფარველობას, ნაპოლეონის მიერ შემუშავებულმა ინდოეთში სახმელეთო გზით ლაშქრობის გეგმამ უფრო მკაფიო კონტურები მიიღო. საფრანგეთის იმპერატორს ირანზე გავლით სურდა ინდოეთის დალაშქვრა და ვინაიდან ამ ქვეყნის შესახებ ბუნდოვანი ცნობები მოეპოვებოდა, ამიტომ ირანთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად გაგზავნა თავისი ემისრები ჟობერი და რომიეი. შემთხვევითობის თავიდან აცილების მიზნით ისინი შაჰის კარზე სხვადასხვა გზით უნდა ჩასულიყვნენ. რუსეთის ოფიციალურ წრეებს ყურადღების გარეშე არ დაუტოვებიათ ნაპოლეონის ინტერესის გაღვივება მათი სამხრეთელი მეზობლისადმი. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ინფორმირებული იყო ფრანგი ემისრების ყოველი ნაბიჯის შესახებ[50] და იქ უსა-

---

[48] იუზბაშ გაბრიელი 1805 წ. 27 იანვარს არქიეპ ფარსეგს წერდა: „თუ სპარსეთის ამბებს იკითხავთ, ამბობენ, რომ ოთხქილ სპარსელებმა 1000 ცალი ქვეშეხი გააწყვეს რუსულად — ცხენებზე. ისინი თავს ეყრიან ქვეით ხალხს, უნიშნავენ მათ ჯამაგირს“ (АКАК, т. II, стр. 822).

[49] აღსანიშნავია, რომ რუსეთის დიპლომატია უარს ამბობდა ეცნო ბაბა-ხანი შაჰად. იგი მხოლოდ რუსეთთან დაზავების შემთხვევაში ცნობდა მას სამეფო რეგალიების მქონედ (Сыкса, ф. 2, оп. 1, л. 173, фурц. 52)

[50] „აქ მოღწეული სანდო ცნობების თანახმად მაისის 9 რიცხვში კონსტანტინოპოლიდან ტრაპეზონში და იქიდან სპარსეთში, სახელდობრ თეირანში, უნდა გამგზავრებულიყო ფრანგი ემისარი ჟობერი, რომელიც აზიაში ჩასვლისთანავე სახელს შეიცვლის... ჟობერის კვალდაკვალ სპარსეთს გაეშურება მეორე ემისარი — რომიე, ცნობილი არაა რომელი გზით. ორივე ემისარი ბონაპარტთან მნიშვნელოვან პიროვნებად ითვლება, საქმეში იყენებენ და თავიანთ ხელობაში ვამოცდილი არი-

ფუძვლოდ არ ფიქრობდნენ, რომ მათ გეგმებში „სპარსეთის პოლიტიკური და სამხედრო განათლებაც“ უნდა შესულიყო[51]. ჟობერი კონსტანტინოპოლიდან ტრაპიზონზე და არზრუმზე გავლით, ხოლო რომიე ალეპოს გზით მშვიდობით ჩავიდნენ ირანში. ფრანგმა ემისრებმა წარმატებით შეასრულეს დავალება. ჟობერზე ადრე ჩასულმა რომიემ ირანის შაჰს გადასცა საფრანგეთის იმპერატორის წერილი, რომელშიც ბონაპარტე ფათჰ ალი-შაჰს სწერდა, რომ ფხიზლად ყოფილიყო რუსეთისა და ინგლისის მიმართ. ამავე წერილში ნაპოლეონი დახმარებას სთავაზობდა ირანს: „დღეს შესაძლოა, რომ 25 ათასმა უცხოელმა გაძარცვოს და შეიერთოს კიდევაც ირანი, მაგრამ როდესაც შენი ქვეშევრდომები ისწავლიან იარაღის კეთებას და შენი ჯარისკაცები აღიზრდებიან ისე, რომ ეცოდინებათ გაფანტული და შეერთებული წყობა, როდესაც ისწავლიან მოძრავი არტილერიის ცეცხლის გამოყენებას ომის დროს, როდესაც შენი საზღვრები მრავალრიცხოვანი ციხე-სიმაგრეებით დაიფარება და კასპიის ზღვა თავის ტალღებზე ნახავს ირანის ფლოტის დროშებს, მაშინ შენს ხელთ იქნება სახელმწიფო, რომელზე შეტევას ვერავინ გაბედავს; გეყოლება ქვეშევრდომები, რომლებსაც ვერავინ დაამარცხებს. მე მსურს შენთან ყოველთვის კეთილი ურთიერთობა მქონდეს“[52].

ფათერაკებით აღსავსე იყო ნაპოლეონის წარგზავნილთა ცხოვრება ირანში. ინგლისის აგენტურა გულხელდაკრეფილი არ უყურებდა მათს მოღვაწეობას ინდოეთის მოსაზღვრე ქვეყანაში. არსებობს მოსაზრება, რომ მათ მოწამლეს გენერალ-ადიუტანტი რომიე. ჟობერი უფრო იღბლიანი გამოდგა. იგი ხელიდან დაუძვრა ინგლისისა და რუსეთის აგენტებს და უვნებელი დაბრუნდა სამშობლოში.

საფრანგეთის იმპერატორი არ დაკმაყოფილდა მიღწეულით, მან ჟობერისა და რომიეს შემდეგ ირანში ზედიზედ მიავლინა ჟუანინი, ლამბლანში და საინ-ჟინრო ჯარების კაპიტანი ბონთემსი, რომელთა ამოცანა, როგორც მათი წინამორბედებისა, იყო „საფრანგეთის გავლენის აღდგენა აღმოსავლეთში და ირანის უკეთ გაცნობა“[53].

საფრანგეთისა და ირანის ხელისუფალთა შორის აქტიური მიმოწერის შედეგად 1807 წლის 4 მაისს დაბა ფინკენშტეინში დაიდო ირან-საფრანგეთის ხელშეკრულება[54]. ამ ხელშეკრულების მე-6 მუხლის თანახმად „ვინაიდან მისი უდიდებულესობა ირანის შაჰი მოსურნეა, რომ ევროპულ პრინციპებზე მოაწესრიგოს თავისი ქვეითი ჯარი, არტილერია და ციხე-სიმაგრენი, მისი უდიდებულესობა საფრანგეთის იმპერატორი და იტალიის მეფე ვალდებულებას კისრულობს, რომ იგი მოამარაგებს მის უდიდებულესობას — ირანის შაჰს საჭირო საველე ქვემეხებით, თოფებითა და ხიშტებით. ამ იარაღ-საჭურვლის ფასი ევროპაში მიღებული მათი ღირებულების თანაბარი იქნება“. მე-7 მუხლით კი „მისი უდიდებულესობა საფრანგეთის იმპერატორი და იტალიის მეფე ვალდებულებას კისრულობს, რომ თუ მის უდიდებულესობას ირანის შაჰს დასჭირდება ევრო-

---

ან“ (Отношение кн. Чарторийского к кн. Цицианову, от. 26-го июля 1805 года, АКАК, т. II, გვ. 841)

[51] იქვე, გვ. 896.

[52] მ ა ჰ მ უ დ მ ა ჰ მ უ დ ი, თარიხე რავაბეთე სიასიე ირან ვა ინგლის დარ ყარნე ნუზდაჰომე მილადი, ტ. I, თეერანი, 1336, გვ. 40—41 (შემდეგში: მ ა ჰ მ უ დ მ ა ჰ მ უ დ ი, ტ. 1).

[53] СМА, вып. XXIII, გვ. 62.

[54] მ ა ჰ მ უ დ მ ა ჰ მ უ დ ი, ტ. I, გვ. 45.

პული სამხედრო ხელოვნების პრინციპების მიხედვით ირანის ქვეითი ჯარისა და არტილერიის მოსაწესრიგებლად, ციხე-სიმაგრეების გასამაგრებლად ქვეითი ჯარის, საინჟინრო ჯარების ან არტილერიის ოფიცრები, იგი გადასცემს მათ მის განკარგულებაში"[55].

ნაპოლეონმა ირანთან უშუალო კონტაქტის დასამყარებლად ფინკენშტეინის ხელშეკრულების ხელმოწერიდან ერთი თვის შემდეგ 1807 წლის 8 ივნისს[56] ირანში მიავლინა გენერალ ალფრედ გარდანის სამხედრო მისია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მისიის მდივნები, თარჯიმნები, ჯარის სხვადასხვა სახეობის ოფიცრები და უნტერ-ოფიცრები, ექიმი, მისიასთან აკრედიტებული ატაშეები და მისიონერები[57]. სულ, მისიის შემადგენლობაში 24 კაცი იყო[58].

ნაპოლეონმა მისიის წევრებს დაავალა ირანის შესახებ სტრატეგიული, ტოპოგრაფიული, ეკონომიური თუ სხვა ხასიათის ცნობების შეგროვება. საფრანგეთის იმპერატორი გენერალ გარდანს ინსტრუქციაში მიუთითებდა იმ ორ ძირითად მიზანზე, რომლებიც მას ამოძრავებდა — „ჯერ ერთი, ირანი უფრო მრისხანედ წარსდგება რუსეთის წინაშე და მეორეც, გვეცოდინება ირანის კომუნიკაციები"[59].

გარდანის მისიის საფრანგეთიდან გამგზავრების შემდეგ თითქმის ერთი თვის თავზე 1807 წლის 7 ივლისს ტილზიტში დაიდო რუსეთ-საფრანგეთის ხელშეკრულება[60], რომელმაც ისინი მოკავშირეებად აქცია. ცხადი იყო, რომ ტილზიტის ხელშეკრულება, მიუხედავად იმისა, რომ არ აუქმებდა ფინკენშტეინის ირან-საფრანგეთის ხელშეკრულებას, ხელ-ფეხს მაინც უკრავდა საფრანგეთის სამხედრო მისიას, რომლის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას ირანის რუსეთისადმი დაპირისპირება წარმოადგენდა. 1807 წლის ნოემბრის დასაწყისში გენერალი გარდანი ირანში ჩავიდა. აღნიშნული ფაქტით რუსეთი სახტად დარჩა. გაოგნებული გრაფი გუდოვიჩი ატყობინებდა საგარეო საქმეთა მინისტრს გრაფ რუმიანცევს: „... თავს მოვალედ ვრაცხ, გამცნოთ ჩემი აზრი: ფრანგი გენერალი გარდანის ამალა უმეტესწილად საინჟინრო ოფიცრებისაგან შედგება. არ ვიცი, რას მივაწერო ეს, ვფიქრობ, რომ ახლანდელ ვითარებაში, როდესაც გამოქვეყნებულია უზენაესი დეკლარაცია[61] ინგლისთან ურთიერთობის გაწყვეტისა და მისი მიზეზების შესახებ, ფრანგებს არ შეუძლიათ ჩვენს წინააღმდეგ იმოქმედონ"[62].

---

[55] მაჰმუდ მაჰმუდი, ტ. I, გვ. 45—46.

[56] М. А. Игамбердыев, Иран в международных отношениях первой трети XIX века, Самарканд, 1961, გვ. 101.

[57] Journal d'un voyage dans la Turquie- D'Asie et la Perse, fait en 1807 et 1808, A Paris-Marseille, 1809, გვ. 1—2.

[58] იხ. Mission..., გვ. 103—105; მაასერე სოლთანიე, გვ. 196. რეზა ყულიხან ჰედაითი გარდანის მისიაში 70 კაცს ასახელებს (როუზათ ოს-საფა, ტ. IX, გვ. 425).

[59] მაჰმუდ მაჰმუდი, ტ. I, გვ. 50.

[60] ამ ხელშეკრულებამ, როგორც ვ. იგამბერდიევი აღნიშნავს, „ირან-საფრანგეთის კავშირი უსაგნოდ აქცია", ე. ი. ტილზიტის ხელშეკრულების დადების დღიდან შეუძლებელი გახდა ირან-საფრანგეთის აქტიური თანამშრომლობა სამხედრო სფეროში (М. А. Игамбердыев, დასახ. ნაშრომი, გვ. 103).

[61] მხედველობაშია 1807 წ. 26 ოქტომბერს გამოქვეყნებული დეკლარაცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ რუსეთი დიპლომატიურ ურთიერთობას წყვეტდა ინგლისთან. დეკლარაციის ტექსტის პირი ინახება საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო-საისტორიო არქივში (სცსსა, ფ. 2, ან. 1, ს. 173, გვ. 63—64).

[62] АКАК, т. III, 1269, გვ. 554.

ინგლისი, რომელიც 1807 წლის 26 ოქტომბრის დეკლარაციის გამოქვეყნების დღიდან პირისპირ დარჩა ნაპოლეონთან, (მან კი თავის მხრით ევროპაში ძოკავშირედ რუსეთის იმპერია შეიძინა) ირანიდან შეეცადა რუსეთისათვის საპასუხო დარტყმა მიეყენებინა. ამისათვის კი, როგორც წინაპირობა, საჭირო იყო ირანის შაჰის ინგლისელების მხარეზე გადაბირება. ამ ამოცანის განხორციელება დაეკალა ინგლისიდან ირანში მიმავალ დიდი ბრიტანეთის ელჩს ჰარფორდ ჯონსს. რუსეთის სამეფო კარი შიშობდა, რომ ბაბა-ხანთან წარმოებული მოლაპარაკება ზავის დადების შესახებ, ინგლისელი წარგზავნილის ჩასვლის შემდეგ უფრო მეტ წინააღმდეგობას წააწყდებოდა. სავსებით შესაძლებელი იყო, რომ შაჰს ინგლისელი ელჩის წაქეზებით წამოეწყო საომარი მოქმედება საქართველოს წინააღმდეგ. სწორედ ასეთ ვითარებაში რუსეთი ხელსაყრელად თვლიდა გენერალი გარდანის ირანში ყოფნას, რომლის მეოხებითაც რუსეთს შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა ბაბა-ხანზე და ამასთანავე დაპირისპირებოდა შაჰის კარზე მყოფ ანგლოფილებს[63].

1807 წ. ნოემბრის დასაწყისში, როგორც აღვნიშნეთ, გენერალი გარდანი ჩავიდა ირანში, სადაც მან აბას-მირზას ბანაკში რამდენიმე ოფიცერი დასტოვა. მისიის დანარჩენი წევრებით კი იგი 1807 წ. დეკემბერში თეირანს ეწვია და კარგად იქნა მიღებული შაჰისა და ქვეყნის თავკაცების მიერ. შაჰმა გენერალ გარდანს ხანის ტიტული უწყალობა[64]. გარდანის თეირანში ჩასვლისთანავე მოხდა ფინკენშტეინის ხელშეკრულების რატიფიცირება, ხოლო მოგვიანებით 1808 წ. 21 იანვარს დაიდო ირან-საფრანგეთის ახალი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ირანს საფრანგეთისაგან 20 ათასი ცალი თოფის ყიდვა შეეძლო. 1808 წ. 26 იანვარს გარდანის ინიციატივით დაიდო ირან-საფრანგეთის სავაჭრო ხელშეკრულებაც, რომელშიც განსაზღვრული იყო ფრანგი ვაჭრების ეკონომიური, სავაჭრო, რელიგიური და სხვა ხასიათის უფლებები ირანში[65].

1807 წლის მიწურულში ირანში ჩასულმა საფრანგეთის სამხედრო მისიამ დაიწყო ჯარის რეორგანიზაცია. აბას-მირზამ, რომელიც ჯერ კიდევ ფრანგების მოსვლამდე შეუდგა სამხედრო რეფორმების (ნეზამე ჯადიდ) გატარებას, სთხოვა გენერალი გარდანის ამალში მყოფ ორ ფრანგ ოფიცერს ქვეითი ჯარის კაპიტან ვერდიეს და საინჟინრო ჯარების კაპიტან ლამის მის კარზე დარჩენა. ტახტის მემკვიდრემ საწვრთნელად გადასცა კაპიტან ვერდიეს რეგულარული ქვეითი ჯარისკაცების ერთი ნაწილი. ფრანგმა ოფიცერმა რეგულარულ ჯარში ირანელი ჯარისკაცისათვის უჩვეულო წესრიგი დაამყარა[66]. სულ მოკლე ხანში კაპიტან ვერდიეს უკვე 4 ათასი ეკიპირებული და გაწვრთნილი სარბაზი ჰყავდა[67], ხოლო კაპიტანი ლამი აცნობდა მათემატიკას და სამხედრო ხელოვნებას ირანელ უფლისწულს[68]. ამასთან ერთად იგი ასწავლიდა სამხედრო ხელოვნებას აბას-მირზას მიერ შერჩეულ ოფიცრებს[69].

ფრანგმა ოფიცრებმა ირანის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დააკომპლექტეს თავრიზის, ხოის, ურმიის, მარაღის, ნახჭევნის, მარანდის, ერევნის, ახარი-

---

[63] სკასა, ფ. 2, ან. 1, ს. 173, გვ. 61—62.

[64] მაასერე სულთანიე, გვ. 197: როუზათ ეს-საფა, IX, გვ. 435.

[65] М. А. Игамбердыев, დასახ. ნაშრომი, გვ. 101—102.

[66] მაასერე სულთანიე, გვ. 218.

[67] Mission..., გვ. 43.

[68] Гаспар Друвиль, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 5.

[69] იქვე; მაასერე სულთანიე, გვ. 218.

სა და არდებილის რეგულარული ქვეითი პოლკები[70]. სარბაზებს წელიწადში 10 თუმნის ოდენობის ჯამაგირი დაენიშნათ, ხოლო მათ ოფიცრებს 40-დან 500 თუმნამდე. სარბაზების ჯამაგირი სხვა მეომრების ჯამაგირზე ნაკლები იყო. ამიტომაც, როგორც ჯ. მალკოლმი აღნიშნავს, რეგულარულ ჯარში მოხალისეების მისაზიდად აბას-მირზამ დაიწყო სარბაზებისათვის სახელმწიფო მიწების დარიგება უფრო შეღავათიანი პირობით, ვიდრე სხვებს ეძლეოდათ[71].

რუსეთის ქვეითი ჯარის მიბაძვით, რომლის ჯარისკაცები ბრწყინვალედ იყენებდნენ ხიშტებს ხელჩართულ ბრძოლაში, აბას-მირზამ მოისურვა ხიშტის დამკვიდრება ირანის ქვეით ჯარში. მისი მითითებით დაიწყო ხიშტების წარმოება ერევანსა და თეირანში[72].

არტილერიის ორი ოფიცერი — ფავიე და რებული — ისფაჰანში ქვემეხების ჩამომსხმელი ქარხნის გასაფართოებლად მიავლინეს[73]. აღსანიშნავია, რომ ფრანგები ძირითადად აზერბაიჯანსა და ქერმანშაჰში ხელმძღვანელობდნენ ჯარების რეორგანიზაციის საქმეს[74]. გარდანის სამხედრო მისიის ზრუნვის საგანს ქვეითი ჯარი და არტილერია შეადგენდა[75], თუმცა ფრანგ ოფიცრებს არც ცხენოსანი ჯარი დაუტოვებიათ უყურადღებოდ. კერძოდ, მისიის ერთ-ერთმა წევრმა — კაპიტანმა პეპენმა საგანგებოდ გაწვრთნა რამდენიმე ესკადრონი[76]. პეპენის შექმნილი რეგულარული კავალერია ფრანგული კავალერიის ზუსტი ანალოგია იყო. აღმოსავლური უზანგი ე. წ. ჰუსარული უზანგით შეიცვალა, სავალდებულო გახდა დეზების ტარება, რაც მანამდე უცნობი იყო ირანელი მხედრებისათვის. კავალერია ევროპული ტიპის შუბით, დამბაჩითა და ხმლით აღიჭურვა[77]. ცხენოსანთა უზარმაზარი არმია კვლავ გაუწვრთნელი და ირეგულარული რჩებოდა. მომთაბარე ტომების ბელადები ეწინააღმდეგებოდნენ რეგულარული ცხენოსანი ჯარის შექმნის ცდებს. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ მთელი XIX ს-ის მანძილზე ირანს არ ჰყოლია რეგულარული ცხენოსანი ჯარი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე ათასი ღოლამისაგან შედგენილ ლეიბ-გვარდიას, ან 1879 წელს რუსი ოფიცრის პოლკოვნიკ დომანტოვიჩის მიერ შექმნილ რეგულარულ ე. წ. კაზაკთა პოლკს. ფრანგი ინჟინერ-ოფიცრების ხელმძღვანელობით მოხდა ძველი ციხე-სიმაგრეების რეკონსტრუქცია.

საფრანგეთის სამხედრო მისიის ოფიცრებთან ერთად აქტიურად მუშაობდა თვითონ გენერალი გარდანიც. მან ხელი მოჰკიდა სამხედრო სამინისტროს ორგანიზაციის საქმეს, მაგრამ თავი ვერ გაართვა დასახულ ამოცანას. ჯამილ ყუზანლუს სიტყვით, „გენერალ გარდანს არმიისა და ერის ურთიერთშერწყმა და სამხედრო ბეგარის შემოღება სურდა“[78]. როგორც მოსალოდნელი იყო, გენერალ გარდანის გადაწყვეტილებამ, შემოეღო საყოველთაო სამხედრო ბე-

---

70 Гаспар Друвиль, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 121.
71 J. Malcolm, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 500.
72 АКАК, т. III, გვ. 557.
73 ჯამილ ყუზანლუ, თარიხე ხეზამიე ირან, ტ. 2, თეირანი, 1315, გვ. 686.
74 G. Curzon, Persia and the persian question, vol. I, London, 1892, გვ 577.
75 М. С. Иванов, Очерки истории Ирана, М., 1952, გვ. 132.
76 АКАК, т. III, გვ. 494.
77 Гаспар Друвиль, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 123.
78 ჯამილ ყუზანლუ, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 687.

გარა აღშფოთება გამოიწვია. ირანის არმიის დაკომპლექტების საკითხი დადებითად ვერ გადაიჭრა. წინანდებურად სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებული აღმოჩნდა ირანის მრავალრიცხოვანი სასულიერო წოდება, ვაჭრები, ფეოდალები, ხელოსნები და დეკლასირებული ელემენტები.

გენერალ გარდანის სამხედრო მისიის მოღვაწეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ირანი, რომელიც საფრანგეთის იმპერატორისაგან ქმედით დახმარებას მოითხოვდა, არ კმაყოფილდებოდა გარდანის რუსეთის წინააღმდეგ მიმართული დიპლომატიური დემარშებით, როდესაც იგი ტილზიტის ხელშეკრულების შემდეგ მისთვის მიცემული ინსტრუქციის მიხედვით ცდილობდა ირანსა და რუსეთის შორის ზავის ჩამოგდებას, მოითხოვა რა ამ უკანასკნელისაგან თანხმობა მის მიერ წაყენებულ დაზავების პირობებზე (რუსეთის უარი საზღვრის დადების შესახებ მტკვარზე, არაქსსა და არფაჩაიზე)[79]. რუსეთის „მეგობრის" —-საფრანგეთის სამხედრო მისიის ასეთი ორჭოფული პოლიტიკა კი რუსეთის ხელისუფალთა გულისწყრომას იწვევდა[80]. რასაკვირველია, ამ პერიოდში საფრანგეთი არ გაამწვავებდა რუსეთთან ურთიერთობას, ვინაიდან, საფრანგეთის ბედი ევროპის კონტინენტზე წყდებოდა. ნაპოლეონს კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ რუსეთთან მოკავშირეობის შემთხვევაში იყო შესაძლებელი „ზღვების მეუფის" — ინგლისის დამარცხება.

ინგლისი, რომელიც ფრანგი სამხედრო ინსტრუქტორების მოღვაწეობის პერიოდში მხედველობიდან არ უშვებდა ირანს, ხელსაყრელ მომენტს ეძებდა ამ ქვეყნიდან ფრანგების განსადევნად და იქ თავისი პოზიციების აღსადგენად. ასეთი დროც დადგა. ინდოეთის კომპანიის წარგზავნილის მალკოლმის უშედეგო მეორე ვიზიტის შემდეგ ირანში, ამჯერად უკვე დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ უშუალოდ ირანის სამეფო კარზე მივლინებულ იქნა ჰარფორდ ჯონსი, რომელმაც შეძლო შაჰის ინგლისის მხარეზე გადაბირება. ინგლისელი სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩის ჩასვლა თეირანში გენერალი გარდანის სამხედრო მისიის წასვლის ერთ-ერთი საბაბი გახდა. ასე დამთავრდა ფრანგების პირველი სამხედრო მისიის ხანმოკლე მოღვაწეობა, რასაც ბოლო მოუღო 1809 წ. 12 მარტს ხელმოწერილმა ირან-ინგლისის წინასწარმა ხელშეკრულებამ.

---

[79] სკსსა, ფ. 2, ან. 1, ს. 217, ფ. 12.

[80] იქვე, გვ. 15.

თამილა ცაგარეიშვილი

მესაქონლეობის ძირითადი ფორმები ქვემო ქართლში

(ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით)

ისტორიულ-არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით დადგენილია, რომ მესაქონლეობა ქართველ ტომებში უძველესი დროიდან უნდა ყოფილიყო განვითარებული.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საუკუნეთა მანძილზე მეურნეობის ამ სფეროში ჩამოყალიბდა მრავალი მნიშვნელოვანი ფორმა, რომელიც შეფარდებული იყო გარემოს სამეურნეო გეოგრაფიულ პირობებსა და კულტურულ-ისტორიულ ვითარებასთან.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით და ისტორიული მონაცემების გათვალისწინებით საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კუთხის, ქვემო ქართლის მესაქონლეობის თავისებურებების შესწავლას XIX ს-ის დასასრულს და XX ს-ის დასაწყისისათვის.

როგორც ცნობილია, ქვემო ქართლი აერთიანებს თეთრიწყაროს, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის და წალკის რაიონებს. წალკა ძველთავან იყო ცნობილი ინტენსიური მესაქონლეობის კუთხედ, ძველი ბორჩალოს მაზრა კი მესაქონლეობის განვითარებითა და განსაკუთრებით რძის მეურნეობის წარმოებით.

მესაქონლეობის განვითარებას ქვემო ქართლში ხელს უწყობდა როგორც ადგილობრივი გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატური პირობების მრავალფეროვნება და საკვები ბაზის სიუხვე, ისე ეკონომიურ ცენტრებთან ტერიტორიული სიახლოვეც. ძირითადად, ქვემო ქართლი ამარაგებდა თბილისს მესაქონლეობის პროდუქტებით: რძით, ყველით, ხორცით. თანამედროვე პირობებშიც, მიუხედავად იმისა, რომ ქვემო ქართლის მეურნეობა მრავალდარგოვანია, ამავე მიზეზით მაინც წამყვანი როლი მესაქონლეობას ენიჭება.

ქვემო ქართლის ისტორიული წარსულიდან[1] ცნობილია, რომ ამ კუთხეს, როგორც საქართველოს „მეწინავე სადროშოს“, რომელიც მდებარეობდა სამხრეთიდან მტრის შემოსასვლელ მთავარ მაგისტრალზე, მეტად რთული და სისხლიანი ისტორიული ცხოვრების გადატანა მოუხდა, რასაც შედეგად მოჰყვა ადგილობრივი, აბორიგენი მოსახლეობის მასიური ამოწყვეტა, ნაწილობრივ კი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გახიზვნა. ამ ისტორიულ პროცესს მუდმივ თან სდევდა ახალ-ახალი სხვადასხვა ეროვნული ფენის დამკვიდრება, რომელთაც თან მოჰყვა თავის ეროვნულ სპეციფიკასთან დაკავშირებული კულტურულ-სამეურნეო ტრადიციები და თავისებურებანი. ამან გამოიწვია მესაქონლეობის ნაირსახეობის წარმოქმნა ქვემო ქართლის ტერიტორიაზე.

---

[1] გ. ჩიტაია. ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულაღის რაიონში. საქ. მეგ. მოამბე, IV, თბ., 1928, გვ. 207; ბ. გულისაშვილი, გარდაბნისა და გაჩიანის საერისთაოანი და მათი ნაშთნი, თბ., 1900, გვ. 154; ვ. გონგაძე, თეთრი წყარო, მისი ახლო წარსული და მომავალი, თბ., 1939; ეგ. ვაიდენბაუმ, ხიზნები საქართველოში, თბ., 1913; ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, ტ. I—II, თბ., 1935 და სხვ.

ჩვენ მიერ ქვემო ქართლის მრავალეროვან მოსახლეობაში დადგენილია სამი ძირითადი ფორმა:

1. ბარული მესაქონლეობა — ქართველ-სომეხ და რუს მოსახლეობაში.

2. ალპური მესაქონლეობა — ქვემო ქართლის მთიანეთის მთიელ-გუდამაყრელ მოსახლეობაში.

3. ნახევრად მომთაბარული მესაქონლეობა — „ელის" მოსახლეობაში.

თუ ზოგადად განვიხილავთ საქართველოში არსებულ მესაქონლეობის ფორმებს, დავინახავთ, რომ ამიერკავკასიის ცხოვრების სინამდვილისათვის ტიპიურად ითვლება საქონლის ბაგური შენახვა ზამთრის პერიოდში და საზაფხულო საძოვარზე გადევნა ზაფხულის პერიოდში.

აქედან გამომდინარე მესაქონლეობის მკვლევარი ა. თამამშევი[2] ამიერკავკასიის მესაქონლეობის განვითარებაში გამოჰყოფს ორ ფორმას:

1. ბინადარი მესაქონლეობა — როცა საქონელი მთელი წლის განმავლობაში არის სოფლად: ზამთარში ბაგურ კვებაზე, ზაფხულში სოფლის ახლოს გასადევარზე. 2. სამომთაბარო მესაქონლეობა — როცა საქონელი იდევნება საზაფხულო ან საზამთრო საძოვრებზე.

უკანასკნელ წლებში მესაქონლეობასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ლიტერატურის მიხედვით დგინდება, რომ საქართველოს სინამდვილისათვის ტიპიური ყოფილა ალპური მესაქონლეობის ფორმა[3], რომელიც, ძირითადად მაღალმთიან ქვეყნებში განვითარდა და მტკიცედ დაუკავშირდა ბინადრულ ცხოვრებასა და სამიწათმოქმედო მეურნეობას.

ალპური მეურნეობის მთავარ დამახასიათებელ ნიშნებად მიიჩნევა გარკვეულ სიმაღლეზე მდებარე, ალპური მცენარეულობით მდიდარი საზაფხულო საძოვრებისა და საზამთრო საკვები ბაზის სამეურნეო-გეოგრაფიული ერთიანობა, საქონლისა და მისი მომვლელი პერსონალის პერიოდული მოძრაობა ბარიდან მთისკენ და პირიქით. ალპური მესაქონლეობის სეზონურობა და მისი დამოკიდებული ხასიათი ძირითად სამეურნეო ბაზაზე[4].

ძირითადში ალპური მესაქონლეობა გულისხმობს მესაქონლეობა-მიწათმოქმედების შერწყმულ ხასიათს ვერტიკალურ-ზონალურ ჭრილში. იგი გავრცელებული ჩანს საქართველოს მთიანეთის მთელ რიგ კუთხეებში — აჭარაში, ხევსურეთში, სვანეთში, რაჭაში და კავკასიის სხვა მხარეებშიც, კერძოდ, ინგუშეთში, ჩაჩნეთში და სხვ.

საქართველოს სინამდვილეში გავრცელებული ჩანს, აგრეთვე, მესაქონლეობის ერთ-ერთი განსხვავებული ტიპი ე. წ. Transhymance, როცა საქონელი მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა საძოვარზეა გარეკილი. მაგრამ მომთა-

---

[2] А. Тамамшев, Крупный рогатый скот Армении в прошлом и настоящем, Ереван, 1947, გვ. 5.

[3] აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და კავკასიის მთიელთა ეთნოგრაფიულ ყოფაში საზაფხულო საძოვრები და ალპური მეურნეობა ქართული ტერმინით მთით არის წარმოდგენილი. მაგ.; აჭარაში თა//მთა, მთიულეთში მთობა (ასევე ჩვენი საკვლევი რ-ნის მთიელ-გუდამაყრელ მოსახლეობაში) სვანეთში მიელხვარ, იმერეთში მთა//მთა, გურიაში ტიტველ-მთა, თუშეთში, ფშავში — მენთიური, ინგუშეთში — ლომ//ლო

, და სხვ. აქედან გამომდინარე, საჭიროდ მესაქონლეობის ნაკეცად ქართველ-კავკასიური სინამდვილისათვის მესაქონლეობის ამ ფორმის აღსანიშნავად შემოთავაზებულია ადგილობრივი ტერმინი მთური მესაქონლეობა (იხ. ვ. შამილაძე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, 19 გვ. 12, 16; მისივე, მთური მესაქონლეობის საკითხისათვის საქართველოში, მაცნე, 1968, გვ. 3).

[4] ვ. შამილაძე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, გვ. 18.

ბარეობისაგან განსხვავდება იმით, რომ საქონელს დაჰყვება არა მთელი მესაკუთრე ტომი, არამედ გარკვეული მომვლელი პერსონალი, რომელიც სეზონურ ნაგებობებში ცხოვრობს საძოვრებზე, ხოლო მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სამიწათმოქმედო მეურნეობას ეწევა ბარად[5].

მესაქონლეობის ეს ტიპი გავრცელებული ჩანს აჭარაში, კახაბრის დაბლობის მეჯოგე-მეკარვეთა შორის. აგრეთვე, დასავლეთ საქართველოში გურია-იმერეთ-სამეგრელოს ზონაში დგინდება მესაქონლეობის ვერტიკალურ-ზონალური ჭრილი ბარის, ზეგანის და მთის საფეხურების გამოყენებით. რაც გულისხმობს საქონლის ყოფნას გაზაფხულზე მთის ძირში, ზაფხულში მთაზე, შემოდგომაზე ისევ მთის ძირში, ხოლო ზამთარში მდინარის ხეობებსა და ტყეში[6].

მესაქონლეობის ამ ფორმისაგან განსხვავებით ქვემო ქართლში ჩვენ ვხვდებით მომთაბარულ მეურნეობაზე დამყარებულ მეურნეობის ფორმას, რომელიც გავრცელებული იყო არაქართული წარმოშობის „ელის“ მოსახლეობაში, რომელიც წელიწადში რამდენიმე თვე მთელ ოჯახთან ერთად იმყოფებოდა საზაფხულო საძოვრებზე მთაში.

აქ ზოგადად შევეხებით „ელის“ ტომის დასახლების ისტორიას საქართველოში.

el („ელი“) თურქული სიტყვაა და აღნიშნავს ტომს, ხალხს, ქვეყანას, მხარეს, თურქთა მომთაბარე ტომებს. დაახლოებით ასეთივე მნიშვნელობით იხმარება ეს სიტყვა აზერბაიჯანულშიც[7] („ელ“ მომთაბარე — მეჯოგე ტომს ნიშნავს).

„ელის“ დასახლების შესახებ საქართველოში არსებობს ვახუშტის ორი ცნობა: პირველი — „ოდეს მიუხვნა შაჰაბაზ მეფე გიორგის, მოიყვანა ელნი ბორჩალუ, დასხნა აქ და ამით ეწოდა ბორჩალუ“[8].

მეორე — „ნახიდურს ქვევით ქციის ამიერ-იმიერ კიდეს სახლობენ ელნი შამადნი, მოხარკენი და მოლაშქრენი მეფისანი, არამედ ბაირდის სულტანი, რომელი დასხნა შაი სეფიმ ალავარს. ქვევით ნაჯაბადინამდე და ეკლესია ნაზარამდე“[9].

ამაზე ადრეული ცნობა „ელის“ არსებობის შესახებ საქართველოში არ მოიპოვება. შემდეგდროინდელი ცნობები მოცემულია XVIII ს-ის პირველი მეოთხედის წყაროებში — „დასტურლამალში“ და „ვახუშტის გეოგრაფიაში“. ცხადია ეს „ელი“ უნდა იყოს შაჰ-აბასისა და შაი სეიფის მიერ დასაწლეგბული „ელის“ შთამომავლობა.

„დასტურლამალის“ ცნობით „ელი“ მოსახლეობდა 76 თაბუნში. იასე ლორთქიფანიძე[10], ამ თაბუნიდან აღადგენს მხოლოდ 28 თაბუნის მდებარეო-

---

[5] ვ. შამალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

[6] იხ. გ. ჩიტაია, ეთნოკრაფიული ექსპედიცია იმერეთში, ენიმკის მოამბე, წ. II, 1937, გვ. 339; ნ. თოფურია, საქონლის საზამთრო და საზაფხულო სადგომები დასავლეთ საქართველოში, მას. საქ. ეთნ., XIV, 1970, გვ. 30.

[7] И. Т. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—нач. XIX вв., 1949, გვ. 24[9].

[8] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 33.

[9] იქვე.

[10] ი. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 248.

ბას: ალგეთში, ქციის ხეობაში, მტკვრის გაღმა მხარეს, სომხითში, დბანისის ხეობაში[11].

მაშასადამე, დასახლებიდან XVII ს-ის პირველი მეოთხედიდან XVIII ს-ის დასაწყისამდე „ელი" მისთვის მიჩენილი პირველი ადგილსამყოფელიდან გადასულა სხვა ადგილებში[12].

არსებობს კიდევ ერთი სიგელი, სადაც „ელის" სახლობის ტერიტორიაა მინიშნებული. სიგელი დათარიღებული 1792 წ., განეკუთვნება გიორგი ერეკლეს ძეს: „წყალობითა ღვთისათა ჩვენ მემკვიდრემან გიორგომ გიბოძეთ ჩვენს რძალს წერეთლის ასულს ქეთევანს ელი ყაიყოლჯული ბორჩალოში თვის ყიშლაღთა ახლა რომ ლანბა ქეშელნი დგანან ის ადგილი და ლორეს ციხეს გადაღმა ყაიაყალჯალი რომ სდგას ის ადგილი, შენთვის პირის სანახავად მოგვირთმევია"[13].

ცნობილია, რომ თურქული ტომები არა ერთხელ შემოჭრილან საქართველოში აქ დამკვიდრების მიზნით: თურქ-სელჩუკები XI—XII ს-ში; მოხეოლ-თურქები XIII—XIV ს-ში; თურქმანები XIV—XV ს-ში; ოსმალები, ყიზილბაშები XVI ს-ში; XVII საუკუნეში კი შაჰ-აბასმა დიდი რაოდენობით ჩამოასახლა მომთაბარე ტომები ცენტრალური და სამხრეთი ირანიდან. ეს საქმიანობა შაჰ-აბასის მომდევნო შაჰებსაც გაუგრძელებიათ.

დროთა განმავლობაში ეს სხვადასხვა პერიოდში შემოჭრილი თურქთა მასები ერთი თურქული ელემენტის „თარაქამას" სახელით გაერთიანდნენ[14] (ენა აქვთ დამახინჯებული აზერბაიჯანული).

მომთაბარე ტომების ჩამოსახლება საქართველოში წარმოებდა უპირველეს ყოვლისა ქართველი ხალხის ეროვნული ერთიანობის დარღვევისა და მეორეც, ინტენსიური სამეურნეო ცხოვრების ჩაშლის მიზნით.

მომთაბარეობა ზიანს აყენებდა არა მარტო ადგილობრივ მეურნეობას, არამედ ეპიდემიის ბუდედაც იყო ქცეული. „Кочевание — это страшное зло, в нем причина, что Закавказье, несмотря на все меры, принимаемые в течение 12 лет, не может освободиться от чумы",—აღშფოთებით წერდა გაზეთი „Закавказский ветеринарный вестник"[15].

ქართულ-კავკასიური სინამდვილისათვის მომთაბარული ხასიათის ცხოვრება „ცოლ-შვილით საქონლის ფეხის აყოლა" სრულიად უცხო მოვლენა იყო. „აუარება საქონელი თავის პატრონებით, ურმებზე დაბარგებული ბარგი-ბარხანით, ცოლ-შვილით და ფრინველით მიემგზავრება საითკენღაც. პირველ ნახევარზედ უეჭველად ასე იფიქრებთ: ეს ხალხი ვიღაცას აუყრია, გამოუდევნია და ეხლა მიდის სადღაც ახალ სამშობლოს საძებნელად. საქართველოს მიდამოებში ასეთი ადგილი ბევრი არ მოიპოვება, ქართველი ერის ცხოვრებაში ხომ სულ არაა ამისთანა მოვლენა"[16].

---

[11] ელი დაყოფილი იყო თაბუნებად, თაბუნი ემორჩილებოდა მეფის მოხელეს ან ტომის მეთაურს (იხ. ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVIII სს., 1968, გვ. 310. 311).

[12] ი. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 249.

[13] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd. 14759.

[14] А. Д. Ерицов, Экономический быт государственных крестьян Казахского уезда Елизаветпольской губернии, МИЭБГКЗК, т. II, 1886, გვ. 43.

[15] А. Прокопенко, Чумная эпоизоотия в Тифлисской губернии, в 1911 — 1912 гг., ЗВВ, 6, 1912;

[16] შ. დადაბრიშვილი, შინაური საქონლის მოვლა-მოშენება, გაზ. „მოსალალი", № 15, 1909.

როგორც ცნობილია, ტერმინი „მომთაბარე“ ქართულ ლიტერატურაში იხმარება ქართულ-კავკასიური მესაქონლური მეურნეობისათვის სრულიად უცხო მესაქონლეობის ფორმის აღსანიშნავად. სპეციალურ ლიტერატურაში მომთაბარეობა განმარტებულია შემდეგნაირად: „Кочевать — вести со своим семейством и хозяйством своим жизнь бродячую, неоседлую, переходить со стадами сместа на место, ради подножного корма, перенося с собой и разборное жилье свое, юмомную кибитку, кожаный чум или устраивая себе жилье из жердей коры“[17].

„Кочевать — переезжать, переходить с места на месго со своими жильем и имуществом, вести такой образ жизни“[18].

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ტერმინი მომთაბარე[19] განმარტებულია როგორც ხალხი, რომელიც ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის საცხოვრებლად, მოხეტიალე, არამკვიდრი მცხოვრები. ქართულ-რუსული ლექსიკონის აკადემიურ სამ ტომიან გამოცემაში განმარტებულია როგორც მომთაბარე — მესხემი.

საბასთან[20] მესხემი არს, რომელი უმკვიდროთა და სხვათა ადგილთა გამოიზრდებოდეს და ადრე წარმავალ იყოს.

ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით, მესხემი უბინაო კაცია, მწირი და ადრე წარმავალი[21].

თუ ამ განმარტებების მიხედვით მივუდგებით ქვემო ქართლის ტერიტორიაზე მცხოვრებ მესაქონლე მუსულმან მოსახლეობას მათი მეურნეობის ტიპის დადგენის დროს, დავინახავთ რომ იგი განსხვავდება ნამდვილი მომთაბარული მეურნეობის ტიპისაგან, რაც გამოწვეული უნდა იყოს ადგილობრივი გეოგრაფიული პირობებითა და უპირველეს ყოვლისა სამეურნეო ეკონომიური მდგომარეობით.

საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებული მომთაბარე ტომები იძულებული იყვნენ შეგუებოდნენ ადგილობრივ გარემო პირობებს და მიწათმოქმედების წარმოებისათვის მოეკიდნათ ხელი. ვახუშტის ცნობაც ამაზე მიგვითითებს: „სახლობენ ელნი ქციამდე ველსა ზედა და სთესენ ყოველსა მარცვალსა და თესლთა ზეითაღწერილთა და მტილოვანთა, სავსენი პირუტყვითა...“[22]. გარდა ამისა როგორც ჩანს, ამას ადგილობრივი ზემდგომი ორგანოებიც ავალდებულებდნენ, რადგან „ელის“ დებულებაში დაწესებული ჩანს მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული გადასახადებიც[23].

ყოველივე ეს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საქართველოში მცხოვრები მუსულმანი მესაქონლეების მეურნეობის ტიპის დადგენის დროს.

---

[17] В. Даль, Толковый словарь живого, велико-русского языка, С.-Петербург—Москва, 1905, გვ. 180.

[18] А. И. Ушаков, Толковый словарь русского языка, т. I, М., 1935, გვ. 1491.

[19] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, თბ., 1958, გვ. 792.

[20] ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 228.

[21] ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 300.

[22] ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

[23] დასტურლამალი, გვ. 10.

თუ ვისარგებლბთ ლიტერატურული მონაცემებით[24], ადგილობრივი ეთნოგრაფიული მასალითა და გავითვალისწინებთ ზემოთ აღნიშნულს, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მცხოვრები მუსულმანური მოსახლეობა ნახევრად მომთაბარული მეურნეობის ტიპს განეკუთვნება.

აქ მოკლედ განვიხილავთ ჩვენს საკვლევ რაიონში წარმოდგენილ მესაქონლეობის ფორმებს.

* * *

ბარული მესაქონლეობის ფორმა გავრცელებული იყო ქვემო ქართლის, კერძოდ, თეთრიწყაროს, მარნეულის, ბოლნისის და დმანისის ბარის რაიონებში. აქ მცხოვრები ქართველი, სომეხი და რუსი მოსახლეობა ჩამოსახლებულნი ჩანან XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისისათვის ქართველები რაჭიდან, მესხეთ-ჯავახეთიდან, ქართლიდან.

აკად. გ. ჩიტაიას მიერ დადგენილია აბორიგენი მაცხოვრებლებიც. კერძოდ, თეთრიწყაროს რაიონის ს. ჩხიკვთაში რამაზაშვილის გვარი (დღესაც გვხვდება), რომელიც ვახუშტის აღწერით ბეჟან ფარემუზაშვილის ყმადაა მოხსენიებული. მაღალი წოდებიდან გვხვდება საგინაშვილის გვარი სოფ. მაწევანში. რაც შეეხება სომხებს, ერთი ნაწილი აქ მცხოვრებლების ძველ ფენას განეკუთვნება (მაგ., ს. სამშვილდე), მეორე კი ჩამოსახლებულია გასულ საუკუნეში. რუსები დასახლებულნი ჩანან საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. აქ მათ შეჰქმნეს ახალი სოფლები: „ივანოვკა“, „ვორონცოვკა“ და სხვ.

ბარული მესაქონლეობის განვითარებისათვის ამ რაიონებში ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდა ქვემო ქართლის ბარის თბილი კლიმატი, სათიბ-საძოვრების სიუხვე. გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში საქონელი იმყოფებოდა სოფლის ახლოს საძოვრებზე, სადაც მეთვალყურეობდა სოფლის მიერ სპეციალურად დაქირავებული პირი „მენახირე“. სოფელი „მენახირეს“ ქირაობდა 6 თვით (გაზაფხულიდან — შემოდგომამდე) ან ერთი წლით. მის მოვალეობას შეადგენდა საქონლის მოვლა-პატრონობა მთელი წლის განმავლობაში: კვება, საძოვარზე მეთვალყურეობა, ჯანმრთელობის დაცვა. სოფელს ევალებოდა მენახირისათვის მიეცა ტანსაცმელი („ქალამანდი“) საზღაური კი მორიგებაზე იყო — ფულით მიეცათ თუ ნატურით.

ზამთრის თვეებში საქონელი შეჰყავდათ საზამთრო სადგომში — გომში. ძველ სახლებში გომი მიდგმული იყო საცხოვრებელ სახლზე. ახალ სახლებში იგი მოთავსებულია საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე ან განცალკევებით დგას ეზოში. ქვემო ქართლში ფიქსირებული თანამედროვე გომის საშენ მასალად გამოყენებულია ქვა და ხე. იგი წარმოდგენილია შედარებით უფრო პატარა მასშტაბში ვიდრე ძველი ტიპის გომები.

გომის შიგნითა ნაწილი წარმოდგენილია უცვლელად: ბაგა, ქვის იატაკი — „ზღვავი“, „წუნწუხის“ გასასვლელი — „სანერწყალი“, სინათლისათვის პატარა სარკმელი — „შუკუმი“. გომი დაყოფილია რამდენიმე ნაწილად: „საძრო-

[24] მესაქონლეობის მკვლევარი ი. ანდრონიკოვი საქართველოში მცხოვრებ თარაქამანელებს ნახევრადმომთაბარე მესაქონლეობის ტიპს განაკუთვნებს. იხ. მ ი ს ი ე ვ, Скотоводство в Закавказском крае, СМИЭБГКЗК. т. V, 1888, გვ. 18.

[25] გ. ჩ ი ტ ა ი ა, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულაღის რაიონში, საქ. მუზ. მოამბე, ტ. IV, თბ., 1928, გვ. 207.

ხე, სახბორე, საცხვრე. საქონლისა და გომის მოვლა-პატრონობა ოჯახში ქალის მოვალეობას შეადგენდა.

საქონლის ბაგური მოვლა-პატრონობის ციკლში ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა საქონლის საკვები მარაგით უზრუნველყოფა, რათა პირუტყვს თუნდაც გახანგრძლივებული ზამთრის პერიოდში საშუალება ჰქონოდა შეენარჩუნებინა წველადობა, ხორცი და სამუშაო ძალა.

საქონლის ყველაზე უუათიან საკვებს წარმოადგენდა თივა, ამიტომ ქართველი გლეხის უპირველეს საზრუნავს წარმოადგენდა კარგი ხარისხის თივის შენარჩუნება. ამასთან დაკავშირებით თიბვასთან წარმოდგენილი მთელი რიგი პროცესები: ჭელის გაშრომა, აყენება, დაბულულება, დაძირვა ტრადიციულად შემოწმებული და გამოცდილი წესების მიხედვით სრულდებოდა.

ასევე მასიურად იმარაგებდა მოსახლეობა ბზეს. დამატებით საკვებად გამოიყენებოდა სიმინდის ფუჩეჩი, ქერი, უგრეხელი, საკვების უკმარისობის შემთხვევაში საქონელი ტყეში გაჰყავდათ ნეკერზე.

ქვემო ქართლში საქონლის ბაგური მოვლა-პატრონობა დიდ სიძნელეებთან არ იყო დაკავშირებული, რადგან ზამთარში აქ ხშირად თბილი ამინდები ჭარბობდა, რაც საქონლის მოვლას რამდენადმე აადვილებდა. მთხრობელთა გადმოცემით: „თუ კარგი ზამთარი დგას, საქონელი სულ ტყეშია, თვითონ შოულობს საჭმელს და თავისით ირჩენს თავს“-ო.

* * *

ალპური მესაქონლეობის ფორმა გავრცელებული იყო ქვემო ქართლის მთიანეთის, კერძოდ, თეთრიწყაროს რაიონის ზედა ზონის მოსახლეობაში.

თანამედროვე პირობებში თეთრიწყაროს რაიონის მეურნეობა ორ ნაწილად იყოფა — ქვედა ზონისა და ზედა ზონის მეურნეობად. ქვედა ზონაში გაერთიანებულია ბარის სოფლები: კოდა, ბორბალო, ერტისი, ვაშლოვანი, მარაბდა, მუხათი და სხვ.

ზედა ზონის მოსახლეობაში კი გაერთიანებულია მთიანეთის სოფლები: ქსოვრეთი, ხოპისი, გუდარეხი და სხვა.

ჩვენ მიერ დადასტურებული ალპური მესაქონლეობის ფორმა გავრცელებული იყო სწორედ ზედა ზონის მთიელ მოსახლეობაში.

აღსანიშნავია რომ წინ აღწერილი ბაგური მესაქონლეობა წარმოდგენილი ქვემო ქართლის ბარში, ძირითადად სოფლის ახლო მდებარე საძოვრებს იყენებს. მესაქონლეობის ეს მეორე ტიპი — ალპური, გავრცელებულია მთიულეთ-გუდამაყრიდან გადმოსულ მოსახლეობაში[26], რომელიც მთის ზოლში ცხოვრობს და შედარებით უკეთ იყენებს საზაფხულო საძოვრებად მაღალ მთა — ბედენს.

რაიონის უმაღლესი მთის წვერი წედენი (ვახუშტის მიხედვით ბენდერი)[27] მდებარეობს ზღვის დონიდან 1875 მ. ბედენი ხრამ-ალგეთის წყალგამყოფზე ზეგანია თეთრი წყაროს რაიონში. მისი კალთები ხშირტყიანია, თხემი კი წაგ-

[26] ქართველი მთიულების სადაურობის შესახებ გაკვრითი ცნობა მოგვცემია პუბლიკაციაში. იხ. მ ი ს ი, **О географии и статистике картвельских (южнокавказских) языков. СМОМПК. вып. XXXVI, отд. I.** გვ. 114.

[27] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

რძელებული დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და დაფარულია სუბალპური ბალახეულობით[28].

ქვემო ქართლის მთიელი მოსახლეობა ზაფხულობით მაისის შუა რიცხვებიდან აგვისტოს ბოლომდე გადიოდნენ საზაფხულო საძოვრებზე „ბედემზე“.

საზაფხულო საძოვრებზე მიმავალ საქონელს თან მიჰყვებოდა წველა-დღვებისათვის საჭირო პერსონალი (ქალები, ბავშვები და საქონლის მომვლელად დაქირავებული მწყემსები) მამაკაცები რჩებოდნენ სოფლად მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ საქმიანობის საწარმოებლად (მკა, ლეწვა, ფარცხვა და სხვ.).

ბედენზე გასვლის წინ კაცები „ადრეულად“ წავიდოდნენ და ააგებდნენ „უბირ“ (უბრალო) ქოხებს. მასალას იქვე ბედნის ტყეში დასჭრიდნენ, დამორავდნენ და გადმოიტანდნენ ადგილზე. ყველა სოფელს თავისი ადგილი ჰქონდა გამოყოფილი და ერთ რიგზე ჩადგამდნენ ქოხებს. ქოხს ყველა თავისთვის აგებდა, იშვიათად შევიდოდა ერთი გვარის ორი ოჯახი ერთ ქოხში.

ბედენზე ქალებს თან მიჰქონდათ სურსათი, ტანსაცმელი, ლოგინი და ყველა აუცილებელი ნივთი თუ ჭურჭელი, რომელიც წველა-დღვებასთან იყო დაკავშირებული: სადღვებელი ხის (ვარია) ან თიხის, ხის საყველე კოდი, ტუნკიაი (ტილოსაგან შეკერილი პარკი ხაჭოს გასაკეთებლად), ხონაი (ხისგან გამოთლილი თეფში, რაზედაც ყველს აკეთებენ), სანაღბე, საკარაქე კოდი, ქაფქირი, ქიტა (ნაღების ამოსაღები ჩამჩასნაირია), ბაკანი, ტაგანი, ნაღების სარეველი და სხვ.

ქალები ბედემზე რჩებოდნენ 3 თვე და ამ ხნის განმავლობაში აწარმოებდნენ წველა-დღვების საქმეს. ბავშვები საქონელს მწყემსავდნენ. ხვნის დამთავრების შემდეგ მუშა-საქონელს, ხარ-კამეჩს ამოიყვანდნენ „მთაში“ გასასუქებლად, „სამკალი“ როცა დაიწყებოდა ისევ ჩამორეკავდნენ სოფელში.

აგვისტოს ბოლო რიცხვებიდან იწყებოდა ბედენიდან ჩამოსვლა. ყველა სოფელი ჩამოდიოდა ცალ-ცალკე. მთიდან დაბრუნებულ საქონელს ბოსელში არ შეიყვანდნენ, სახლების წინ ბაკები ჰქონდათ გაკეთებული იქ დააყენებდნენ ან პირდაპირ ეზოებში. საძოვრად უკვე სათიბებში გაუშვებდნენ, ხოლო „როდესაც რთვილს გაუშვებდა ჰაერი“ (აცივდებოდა) საქონელს ბოსელში გადაიყვანდნენ.

* * *

ნახევრადმომთაბარული მესაქონლეობის ფორმა გავრცელებული იყო მარნეულის რაიონის „ელის“ მოსახლეობაში.

საზაფხულო საძოვრებზე გასვლა დიდი დღესასწაული იყო მუსულმან მესაქონლის ოჯახში; ჯერ კიდევ აპრილის დასაწყისიდან უკვე შეიმჩნეოდა გამოცოცხლება, ერთმანეთში სტუმრიანობის გაძლიერება. ურთიერთკეთილი სურვილებით გამსჭვალული ოჯახები ერთმანეთს უთანხმდებოდნენ საძოვარი ადგილების, გზის მარშრუტის შერჩევაში და სხვ. ახალგაზრდობისათვის მომთაბარეობა იყო დროის გატარების სიმბოლო, ავადმყოფებისათვის — გაჯანსაღების, ღარიბებისათვის — გამდიდრების წყარო.

თათარ მესაქონლის მიზნები და ოცნებები, რომელიც მას ესახება საზაფხულო საძოვარზე გამგზავრებით, კარგად არის ასახული თათრულ ლექსში

[28] გ. გობეჯიშვილი, ბედენის აკლდამა, „ძეგლის მეგობარი“, 12, თბ., 1967.

„საძოვრისა და დაბლობის გაბაასება“[29], სადაც საძოვარი ნიშნს უგებს დაბლობს, რომ ხალხი უფრო მისკენ მიისწრაფვის, იქ ეძებს თავის ბედნიერების, სიმდიდრისა და ჯანმრთელობის წყაროს.

საძოვარზე გასასვლელად ირჩევდნენ მაისის შუა რიცხვებს, რადგან ამ დროისათვის თოვლი მთებზე უკვე გამდნარია და ბალახიც ამოსულია. მაგრამ იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ზამთრის შიმშილობისაგან საქონელი დავარდნამდე იყო მისული და პატრონი იძულებული ხდებოდა აპრილის შუა რიცხვებიდანვე გასულიყო სოფლიდან. მხოლოდ ამ შემთხვევაში იგი წასასვლელად ირჩევდა ყველაზე შორს მდებარე საძოვარს, რომ მოგვიანებით ჩასულიყო ადგილზე. მთელ გზაზე გაჭიმული საქონელი და თათრის „ობა“[30] მიდიოდნენ ნელა, სვენებ-სვენებით, აჩანაგებდნენ ახლო მდებარე სოფლებს. საზაფხულო საძოვრებზე პირველი მიემგზავრებოდნენ უფრო შეძლებული მესაქონლეები, შემდეგ სოფელი მიჰყვებოდა. წინდაწინ იგზავნებოდა ცხვარი, რომელსაც „ჩობნებს“ (მწყემსებს) გააყოლებდნენ, შემდეგ საქონელი და ხალხი. იყო ისეთი შემთხვევებიც როცა 1. ცხვარს და საქონელს ერთად გაუშვებდნენ, ხალხს ცალკე. 2. ცხვარს ცალკე, საქონელს ცალკე, ხალხს ცალკე. 3. ცხვარი, საქონელი, ხალხი ერთად.

მთელი სოფლის ცხვარი გაიგზავნებოდა ერთად ან ყველა ოჯახი სხვადასხვა დროს უშვებდა ცალ-ცალკე. თუ სოფელში ცხვარი მცირერიცხოვანი იყო, მაშინ ერთ ფარად გაუშვებდნენ. ცხვარს მწყემსებთან ერთად მიჰყვებოდა ოჯახის უფროსიც, რომელიც საძოვარზე ასვლის შემდეგ, როცა ცხვარს დააბინავებდა, მწყემსების მეთვალყურეობის ქვეშ დასტოვებდა და ბრუნდებოდა უკან სოფელში, საქონლისა და ოჯახის გამგზავრების ორგანიზაციის მოსაწყობად. იმ შემთხვევაში, თუ სხვადასხვა მიზეზების გამო ცხვრის გამგზავრება დაგვიანდებოდა, მაშინ ცხვარს და საქონელს ერთად გაუშვებდნენ.

საქონლის გარეკვა 10 მაისიდან თვის ბოლომდის გრძელდებოდა, საქონელი მიდიოდა არა ერთად და ერთ დროს, არამედ ნაწილ-ნაწილ „მაჰლა-მაჰლა“.

„მაჰლა“ ერქვა რამდენიმე ოჯახის მიერ გაერთიანებულ საქონელს. სოფელში იქმნებოდა რამდენიმე „მაჰლა“. „მაჰლაში“ აუცილებლად ერთიანდებოდა 8—10 ოჯახი. საძოვარზე ასვლის შემდეგ ერთ უბნად ცხოვრობდნენ, საერთო საძოვრები ჰქონდათ და სხვ. მაგალითად, თუ „მაჰლა“ შედგებოდა 7 ოჯახისაგან, მაშინ მათ ეცავათ 7 „ჰარავა“ (ურემი), ჰყავდათ 300 სულამდე ცხვარი, 100 სულამდე მსხვილფეხა, 30 სული აქლემი, 6 ცხენი, 15 სახედარი, საძოვარზე ასვლის შემდეგ იშენებდნენ 2 ალაჩიხს და 5 დაგას[31].

„მაჰლაში“ შემავალი ოჯახები შეძლების მიხედვით იყო ღარიბი და შეძლებული. შეძლებულ „მაჰლას“ უფრო მეტი საქონელიც ჰყავდა და უკეთესს საძოვრებს იკავებდა.

---

[29] **М. Кулиев**, Спор Еилага с низменностью, СМОМПК, вып. XII, 1892.

[30] „ობას“ ადგილობრივ უწოდებენ თავშეყრას, ჯგუფს; ლიტერატურული მონაცემებით „ობა“ თურქული ტერმინია და ნიშნავს ქეჩისაგან გაკეთებულ კარავს, რომელშიც მომთაბარე ცხოვრობს თავისი ოჯახით (იხ. **Будагов**, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, 1869, т. I, გვ. 211; **Д. Магазаник**, Турецко-русский словарь, 1945, გვ. 315); ვ. გაბაშვილთან „ობა“ — მომთაბარეთა ჩვეულებრივი დაყოფა: „ოიმახი“ და „ობად“ (იხ. **Мисо**, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები, 1969, გვ. 21) საბასთან „ობა“— ულუსთ სადგომი (იხ. **Мисо**, სიტყვის კონა, გვ. 263) დ. ჩუბინაშვილთან — თურქ-ულუსის სადგომი ბანაკი (იხ. **Мисо**, ქართული ლექსიკონი, გვ. 460).

[31] **П. Вазианов**, Данные по скотоводству в Борчалинском уезде, КСХ, გვ. 29.

საძოვარზე გამგზავრების წინ სოფელში ეწყობოდა კენჭისყრა, ვისაც შეხვდებოდა, ის დარჩებოდა სოფლის ქონების მეთვალყურედ. მას „კაროლ“ (დარაჯი) ერქვა. ზოგი სოფელი მთელ თავის ავლადიდებას 2—3 სახლში მოათავსებდა და იქ დააყენებდა დარაჯებსაც. „მაისის შემდეგ ყარაიაზში სრულებით მიტოვებული ბინებიღა“[32] რჩებოდა.

საძოვარზე ასვლას უნდებოდნენ 15—20 დღე.

ბავშვები და ქალები ურმებზე თავსდებოდნენ, რომელსაც „ჰარავას“ უწოდებდნენ. „ჰარავაში“ თათრებს ეწყოთ ყოველნაირი „ხაბა-ხუბა“ (სხვადასხვა ბარგი) წველა-დღვებისათვის აუცილებელი ჭურჭელი (ყველა სპილენძის): ს ა რ ნ ი შ ი — ჭურჭელი, რაშიც წველიდნენ; კ ა ვ ა ნ — რძის დასაყენებელი ჭურჭელი როცა ყველის გაკეთება სურდათ; თ ე შ თ — რაზეც აყენებდნენ რძეს ნაღების მოსახდელად; ქ ი უ ფ ე — ქოთანი ერბოს შესანახად; ნ ე ჰ რ ე — ხის სადღვებელი: ტ ა ხ ტ ა-გ ა შ ი რ — ხის კოვზი და სხვ.

საზაფხულო საძოვრებზე ჩასვლისას ყველა „მაჰლა“ იკავებდა საძოვრებს და აგებდნენ საცხოვრებელ ქოხებს, ალაჩიხი ან დაია (დაგე) რომლის მასალა თან მიჰქონდათ სოფლიდან.

იალაღებზე, რძის მეურნეობასთან დაკავშირებული მთელი საქმიანობა ქალის კისერზე იყო. ბავშვები მწყემსავდნენ საქონელს, მამაკაცები უვლიდნენ ცხვარს, რძის პროდუქტებს ყიდდნენ ან ჩამოჰქონდათ ბარში და ცვლიდნენ მათთვის საჭირო სურსათზე. მამაკაცები ზაფხულის პერიოდში 2—3-ჯერ მაინც ჩამოდიოდნენ ბარში და მთელი საოჯახო საქმიანობა რჩებოდა ქალის კისერზე. წყლის მოტანა, საჭმლის გაკეთება, სათბობის მომარაგება, ძროხის მოვლა, ყველ-კარაქის გაკეთება, მატყლის დართვა და მოქსოვა.

აგვისტოს ბოლოს თათარი მესაქონლეები უკან იწყებდნენ დაბრუნებას. ბარში მათ ელოდათ შიმშილი, სიცივე, საქონლის დავარდნა.

ცხვარს „იაღლუჯაზე“ გაუშვებდნენ, მსხვილფეხა საქონელს ბარად დასტოვებდნენ, მაგრამ ზამთრის პერიოდში ძალიან უჭირდათ მათი გამოკვება საქონლის საკვების უკმარისობის გამო. მთელი ზაფხულის პერიოდში ველად გასული ნახევრად მომთაბარე მესაქონლის ოჯახი ვეღარ ახერხებდა მიწათმოქმედების რიგიანად წარმოებას და მის ძირითად საარსებო საშუალებად მხოლოდ მესაქონლეობის პროდუქტების გაცვლა-გაყიდვა რჩებოდა, რაც მათ უზარმაზარ ჯალაბობას ერთ თვესაც ძლივს ჰყოფნიდა. ამიტომ იგი იძულებული ხდებოდა მევახშისაგან (მარნეული, თბილისი) აეღო ვალად ფულადი თანხა ოჯახის გამოსაკვებად ზამთრის პერიოდში, რის დროულად გადახდას ვეღარ ახერხებდა, მევახშეს კი სარგებელში მიჰყავდა ცოცხალი საქონელი ან მომავალი ზაფხულის მთელ ნაწველში წილს იდებდა, ასე წლითიწლობით გადადიოდა მათი ვალი და მევახშის ხელში ჩავარდნილები ვეღარც იხსნიდნენ თავს.

როგორც ლიტერატურული წყაროებიდან ჩანს მუსულმან მესაქონლის ეს საშინელი გაჭირვებული მდგომარეობა საყოველთაო მსჯელობის საგნად ქცეულა მესაქონლეობის მკვლევრებს შორის, კერძოდ, ხატისოვს[33] პრესაში წამო-

[32] შ. დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი.

[33] **А. Хатисов, По поводу вопроса о кочевках, газ. „Кавказ“, № 5, 1870.**

უყენებია საკითხი მომთაბარეობის ფორმის შეცვლის შესახებ, რამაც შემდგომ წლებშიც ჰპოვა საყოველთაო გამოხმაურება[34].

საერთო უკმაყოფილებას იწვევდა მუსულმანი მესაქონლეების სიზარმაცე სოფლის მეურნეობის წარმოების საქმეშიც, რაც ქალაქსაც დიდ ზიანს აყენებდა, განსაკუთრებით, მოუსავლიანობის წლებში.

როგორც ლიტერატურული ისე ეთნოგრაფიული მონაცემებიდან ჩანს, რომ გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ უკვე შეიმჩნევა დარღვევები მომთაბარეობის მამაპაპურ წესებში რისი გამომწვევი მიზეზიც ადგილობრივ ბუნებრივ-სამეურნეო და ეკონომიური ცხოვრების გავლენაში უნდა ვეძიოთ.

მუსულმანი მესაქონლეც დროთა განმავლობაში დარწმუნდა, რომ საჭირო იყო ცვლილებების შეტანა თავის სამეურნეო ცხოვრებაში პირადული ცხოვრების უკეთ მოწყობის მიზნით.

როგორც ლიტერატურული წყაროებიდან ირკვევა ეს ცვლილებები გამოიხატა შემდეგნაირად: თუ ადრე სამომთაბაროდ წასული ოჯახის უფროსი კაცები მოსავლის აღების პერიოდში ჩამოირბენდნენ ბარში დროებით და შემდეგ ისევ უკან ბრუნდებოდნენ, აღებულ მოსავალს კი ბედის ანაბარა სტოვებდნენ სოფელში, შემდგომ როცა ამ ნაბიჯით გამოწვეული გაჭირვება იგემეს ზამთარში მოსავლის ასაღებად ჩამოსული უკან აღარ ბრუნდება მთაში და ოჯახის უფროსი თვითონ რჩება სოფელში საზამთრო სარჩოს მოსავლელად. ხდებოდა ისეც, რომ მეზობელს გაატანდნენ თავის საქონელს სამომთაბაროდ, თვითონ კი სოფელში რჩებოდნენ მოსავლის ასაღებად, ან მხოლოდ ქალებსა და მწყემსებს გაუშვებდნენ საქონელთან ერთად და სხვ. შემდგომში ეს მოვლენები განმტკიცდა, ჩვეულებად იქცა და არსებითად შეცვალა მომთაბარეთა ყოფაც.

სადღეისოდ მუსულმანი მესაქონლეების შთამომავლობა გულმოდგინედ მისდევს მიწათმოქმედების, მევენახეობის, მებაღეობის წარმოებას და დიდ წარმატებებსაც აღწევს ამ საქმეში.

---

[34] Д. И. Руднев, О кочевом движении в Тифлисской губернии, Тф., 1909, გვ. 31—41; მისივე, Меры к улучшению местного скота в Закавказье, КХ, № 5, 1910.

ანზორ ქალდანი

მშენებლობის ხალხური წესები სვანეთში

(ხაშენი მასალის მოპოვება-დამზადება)

მრავალსართულიანი საცხოვრებელი და თავდაცვითი ძველი სვანური ნაგებობანი, რომელთა საგრძნობმა ნაწილმა ჩვენამდეც მოაღწია, მიუთითებენ მათი მშენებელი ხალხის დიდ ტრადიციებზე როგორც საშენი მასალის მოპოვება-დამზადების, ისე ამ მასალის გამოყენების საქმეში. ამ ტრადიციების გამოვლენისა და გულდასმით შესწავლის გარეშე არ შეიძლება სვანური ხალხური ხუროთმოძღვრების სრულფასოვანი ანალიზი. სამშენებლო მასალის მოპოვება-დამზადების ხალხური წესების შესწავლა, ჩვენი აზრით, ერთგვარი მოსამზადებელი საფეხური და აუცილებელი წანამძღვარია მატერიალური კულტურის ძეგლთა შემდგომი შესწავლისათვის. ამიტომაც ამ წესების გულდასმით აღნუსხვა და გამოვლენა მეტად საშურ საქმეს წარმოადგენს.

წინამდებარე ნაშრომს საფუძვლად დაედო ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის მიერ 1968—1970 წწ. სვანეთში მოწყობილ ექსპედიციებში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა მშენებლობის ხალხური წესების შესახებ[1]. მასალის შეკრება წარმოებდა საბჭოთა კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიული ატლასისათვის შედგენილი კითხვარის მიხედვით[2].

ნაშრომში გამოვიყენეთ სები გულედანის (1945—1948 წწ.), არ. ონიანის (1940 წ.), ალ. დავითიანის (1945 წ.) და მ. ქალდანის (1945—1970 წწ.) მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული ხასიათის მასალა (ინახება ენათმეცნიერების ინსტიტუტში). ნაშრომში გამოყენებულია, აგრეთვე, სვანურ პოეზიასა[3] და სვანურ პროზაულ ტექსტებში[4] შეტანილი გადმოცემები.

---

[1] ეთნოგრაფიული მასალის მომწოდებელი ინფორმატორები არიან: სოფ. უშგულში მცხოვრები 83 წლის ნიკოლოზ სიმონის ძე დავითულიანი, სოფ. უშგულში მცხოვრები 68 წლის ბიქტორ ბექაის ძე ჩარქსელიანი, სოფ. მულახში მცხოვრები 88 წლის გაბრიელ გიოს ძე კახიანი, სოფ. მესტიაში მცხოვრები 76 წლის ნიკო გუას ძე ნაკანი, სოფ. ლატალში მცხოვრები 95 წლის გელა ანთუყის ძე ფარჯიანი, სოფ. ლატალში მცხოვრები 78 წლის სარდიონ აბის ძე ფარჯიანი, სოფ. ბეჩოში მცხოვრები 75 წლის ბეკი ალექსის ძე ქალდანი, სოფ. ბეჩოში მცხოვრები 64 წლის ელიზბარ ნიკოლოზის ძე გაბულდანი, სოფ. ბეჩოში მცხოვრები 96 წლის ათმგრზა აზარეთის ძე კვიციანი, სოფ. ეცერში მცხოვრები 56 წლის სოფრომ მგზას ძე გუჯეჯიანი, სოფ. ნაკში მცხოვრები 87 წლის მერაბ მურზას ძე ქალდანი.

[2] **В. П. Кобычев, А. И. Робакидзе. Основные типологии и картографирования жилища народов Кавказа. Советская Этнография. М., 1967, გვ. 41—44.**

[3] **სვანური პოეზია, I, თბ., 1939.**

[4] **სვანური პროზაული ტექსტები, I, თბ., 1939; სვანური პროზაული ტექსტები, II, თბ., 1957; სვანური პროზაული ტექსტები, III, თბ., .1967.**

ა. კირის მოპოვება და დამზადება

კირის სვანური სახელწოდებაა კირ. აქედანაა ნაწარმოები ლაკირ, ლაკირ-საკირე, მგლკირი-კირის გამომწველი, ლელკირ-კირის გამოწვისათვის საჭირო მასალა. ის გარემოება, რომ კირის სახელი სვანური და ქართული ენებისათვის საერთოა, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ქვით მშენებლობისათვის აუცილებელი ეს ძირითადი კომპონენტი ქართველი ხალხისათვის ცნობილი ყოფილა ჯერ კიდევ იმ დრომდე, ვიდრე სვანური ენა გამოეყოფოდა საერთო ფუძე-ენას. ქვების ერთმანეთთან დამაკავშირებელ მასალად კირის ხსნარია გამოყენებული როგორც დღემდე მოღწეულ ძველ ნაგებობებში, ისე არქეოლოგების მიერ გათხრილი უძველესი ნაგებობების ნაშთებში. ამასთან სვანური ხალხური ხუროთმოძღვრების შესწავლა გვიჩვენებს, რომ კირის დამზადება-დამუშავებამ გაიარა განვითარების ხანგრძლივი საფეხური, ვიდრე მტკიცე შემკრავ მასალად ჩამოყალიბდებოდა.

სვანეთში კირქვების მრავალი ნაირსახეობა მოიპოვება დაწყებული რბილი სპონდიოს ქვიდან (სბენდიკ), დამთავრებული მკვრივი კირქვებით[5]. რბილი კირქვების მოპოვება და გამოწვა შედარებით იოლია. მიუხედავად ამისა, სვანები უპირატესობას ანიჭებდნენ უფრო მკვრივ, მაგარი კირქვისაგან გამომწვარ კირს, თუმცა ამ უკანასკნელის მოპოვებასა და გამოწვას მეტი დრო სჭირდება. გადმოცემების მიხედვით, სვანები კირქვას იმისდამიხედვით არჩევდნენ, თუ რა მიზნისათვის ესაჭიროებოდათ ის. რბილი კირქვისაგან გამომწვარ კირს კედლების შესალესად ამჯობინებდნენ, ხოლო მკვრივი კირქვისაგან გამომწვარს — კედლის წყობის ამოსაყვანად.

გადმოცემების თანახმად, კირის თვისებებზე დიდ გავლენას ახდენს კირქვებში არსებული სხვადასხვა მინარევი, განსაკუთრებით კი თიხა. სვან მშენებლებს შეუმჩნევიათ, რომ სუფთა კირქვისაგან გამომწვარი კირი სწრაფად იშლება და სითბოს დიდი რაოდენობისაგან თავისუფლდება, ამასთან, კირის ხსნარის პლასტიკურობა განსაკუთრებით მაღალია. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მშენებლობისას (განსაკუთრებით კი კოშკების მშენებლობისას) სვანები ამჯობინებდნენ მინარევებისაგან თავისუფალი კირქვების შორიდან მოტანას, ახლომდებარე დაბალი ხარისხის (მინარევებიანი) კირქვების გამოყენების ნაცვლად.

ძველად სვანეთში კირის დამზადების ტექნოლოგიური პროცესი შედგებოდა შემდეგი ოპერაციებისაგან: კარიერებში კირის მოპოვება, მისი ტრანსპორტირება სამშენებლო მოედნამდე; მისი მომზადება (დამტვრევა და დახარისხება), გამოწვა და გამომწვარი კირის დაბინავება.

კირქვის მოპოვებისას იყენებდნენ სხვადასხვა სახის სამუშაო იარაღს. იქ, სადაც კირქვის ნამტვრევები ბევრს ჩამოჰქონდა, მას ხელით აგროვებდნენ და ერთ ადგილას აწყობდნენ. თუ კირქვა კლდის მასივის სახით იყო წარმოდგენილი, გამოიყენებოდა ხის სოლი (მეგმემ თალ), რკინის სოლი (ბერეგმ თალ), ხის კეტი (მეგმეგ ტყენ), ლომი (ლვემ || ბერეგ ტყენ), ხის ურო (წიროლ), რკინის ურო (ურ || წირ), წერაქვი (წაკაპ) და საკვეთი (ასლად). ხის სოლი და კეტი მუხის ხისაგან კეთდებოდა. მეტი სიმაგრისათვის მათ სამუშაო პირს გამოუწვავდნენ ხოლმე. კირქვის ფენებში

[5] ა. ჩარკვიანი, სვანეთი, თბ., 1967, გვ. 156.

დარჩენილ ნაპრალებში ჩაარჭობდნენ სოლებს და უროს საშუალებით მოტეხ-დნენ კირქვის საკმაოდ დიდი ზომის ლოდს. ლოდების გადასაბრუნებლად და გადასაადგილებლად გამოიყენებოდა ხის ბერკეტი (ს ა კ ცუ ა რ), რომელსაც მუხის ან ნეკერჩხლის ახალგაზრდა ხის ტანისაგან ამზადებდნენ. ძირს ჩამო-ცვენილი დიდი ზომის ლოდებს ურიების საშუალებით უფრო მცირე ზომის ნამტვრევებად აქცევდნენ.

თუ კირქვის კლდის მასივი მკვრივი ქანით იყო წარმოდგენილი და მისი ჩამონგრევა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა, იყენებდნენ ასაფეთქებელ ნივ-თიერებას (ლ ა ღ უ მ). ეს უკანასკნელი სვანეთში მზადდებოდა[6].

იქ, სადაც კირქვა მიწის ფენით იყო დაფარული, მის მოსაპოვებლად გა-მოიყენებოდა ხის ბარი (ლ ა ვ ხ ი), რკინის ბარი (ბ ა ნ რ), თოხი (ბ ე რ გ), ლომი და წერაქვი (წ ა კ ა ტ). ხის ბარი მუხისაგან კეთდებოდა და სიმაგრის მისაცემად მის სამუშაო პირსაც გამოსწვავდნენ.

სვანეთში თითქმის ყველა სოფელს ან სოფელთა გარკვეულ ჯგუფს გა-აჩნდა კირის საკუთარი კარიერი. ასე მაგალითად, თავრალს, ლაშხრაშსა და ცალეოში კირქვა მდინარე ნაკრის ხეობაში განლაგებული კარიერიდან აჰქონ-დათ. გზა შორი და ძნელი იყო. ეს შვიდკილომეტრიანი გზა ჰადის უღელტე-ხილზე გადიოდა. კირქვის მოპოვება აქ დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, რადგან იგი სამარხილე გზის თავზე მდებარეობდა.

ლატალში, ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, საკირე მასალა ტებდიაშის მხრიდან მოჰქონდათ. კარიერი აქაც დიდი მანძილით იყო დაცი-ლებული სოფლებს და კირქვა საკმაოდ ძნელი მოსაპოვებელი იყო. ჯერ უნდა ამოეთხარათ მიწა გარკვეულ სიღრმემდე, სადაც კირქვა ფენებად იყო და-ლექილი. ამის შემდეგ კირქვას გამოამტვრევდნენ და სამარხილე გზასთან აწ-ყობდნენ.

ბეჩოს სოფლების: ჰებუთის, ჭკიდიანარის, ქართვანისა და დოლის მცხოვ-რებნი საკირე მასალას ლეჩყანის კირის კარიერზე (ლ ე ჩ ყ ა ნ ი შ კ ი რ ი შ ლ ა კ ვ შ ა) მოიპოვებდნენ. აქაც მიწა უნდა ამოეთხარათ 2 მ. სიღრმემდე, რა-თა კირქვის ფენამდე დასულიყვნენ. თუ ერთგან არ შეხვდებოდათ კირქვა, სხვაგან უნდა დაეწყოთ თხრა.

უშგულის სოფლებში კირქვა შხარის მხარიდან მოჰქონდათ. კირქვის ნამტვრევები აქ შვავს ჩამოჰქონდა და მას სამარხილე გზასთან აგროვებდნენ.

თუ რომელიმე სოფელს კირის კარიერი არ გააჩნდა, მაშინ ამ სოფლის მცხოვრებნი სხვა სოფლის კარიერით სარგებლობდნენ. ზოგი მოსახლე საკი-რე მასალას თანასოფლელისაგან ან სხვა სოფლელისაგან ყიდულობდა. ორი საკირის სამყოფი გამომტვრეული კირქვა ერთი ძროხის საფასური ღირდა.

დამზადებულ კირქვას კარიერთან გამოწვავდნენ ან სამოსახლო ადგი-ლამდე (ა გ ი) შემოზიდავდნენ და იქ წვავდნენ. კირქვის ტრანსპორტირება ზამთარში ხდებოდა, რადგანაც გაკვალულ თოვლზე ხარები სამ-ოთხჯერ მეტს ეზიდებოდნენ, ვიდრე მშრალ მიწაზე. უშგულში ზამთრობით შვავების ეში-ნოდათ და კირქვის ტრანსპორტირებას გვიან შემოდგომაზე ამჯობინებდნენ. კირქვას მარხილით (ს ა ვ) ეზიდებოდნენ. მარხილზე თხილის ტოტებით მოწ-ნული დაბალნაპირებიანი ძარა (ჩ ა ვ) იდო, რომელსაც კირქვის ნამტვრევებით

[6] მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, ახალი ტიპის საცხოვრებელი ნაგებობანი, სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1970, გვ. 64.

ავსებდნენ. მეტწილად კირქვის ,ქარიერები ძალზე იყო დაცილებული სოფლებს. გზები ცუდი იყო. დაღმართში მარხილი რომ არ დაცურებულიყო და ხარები არ დაეზიანებინა, გზაზე ნაძვის ხის ტოტებს (ხ უ რ დ ა ნ) ყრიდნენ, ან მარხილს ხის ღვლეჭის მუხრუჭებს უკეთებდნენ.

სვანეთში, ისევე როგორც საქართველოს დანარჩენ კუთხეებში, ფართოდ ყოფილა გავრცელებული ურთიერთდახმარებისა და კოლექტიური შრომის ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმები[7]. კირქვის შემოზიდვის დროს მშენებელ ოჯახს მუშახელისა და გამწევი ძალის დიდი რაოდენობა სჭირდებოდა. ოჯახი ატყობინებდა თანასოფლელებს და ეს უკანასკნელები მას ეხმარებოდნენ თავიანთი ხარებით. ზოგჯერ რამდენიმე სოფელი გაერთიანდებოდა ურთიერთდახმარების გასაწევად. მაგალითად, თავრალის, ცალერისა და კიჩხულდაშის მცხოვრებნი ერთმანეთს ეხმარებოდნენ საკირე მასალისა და ქვიშის ნაკრის ხეობიდან ამოტანისას. გადმოცემებით ურთიერთდახმარების დროს ხალხი ნაკრიდან ცალერამდე ყოფილა განლაგებული და კირქვებს ხელით გადასცემდნენ ერთმანეთს. ერთ-ერთი კერძო შემთხვევისას მშენებელმა ოჯახმა ორჯერ შესძლო სვიმრის გამასპინძლება, მესამედ კი ვეღარ მოუხერხებია. სვიმრის წევრებს დაუწყეველიათ ეს ოჯახი „შთამომავლობა არ ეღირსოს ამ ოჯახსო“ და ამის მერე მას სვიმრის მიერ დაწყეველილი (ს ვ ი მ რ ა შ ი ა ჭ ა თ ვ) დარქმევია. ზემომოყვანილ სვიმრობაში ეცერის მცხოვრებთაც კი მიუღიათ მონაწილეობა.

ზოგჯერ თანასოფლელებს ან სხვადასხვა სოფლის მცხოვრებლებს წინასწარ ფიცი ჰქონდათ დადებული, რომ მშენებლობის დროს ერთმანეთს შუდამ დახმარებოდნენ.

კირქვის შემოზიდვის დროს კოლექტიური დახმარების ფორმას უშგულში მ ე ლ კ ი რ ი ნ ა დ ეწოდებოდა. იმავე პროცესს ბალს ზემოთ მ ე ლ კ ი რ ი გ ა ლ დ ა მ-ს უწოდებენ, ხოლო ბალს ქვემოთ — მ ე ლ კ ი რ ი ს ვ ი მ რ ა-ს.

თუ მშენებელ ოჯახს საკუთარი მუშახელი არ ყოფნიდა, ის ატყობინებდა მეზობლებს და ნათესავებს. ეს უკანასკნელნი ეხმარებოდნენ მას. მშენებელი ოჯახი მოვალე იყო, სამაგიერო გადაეხადა დახმარებისათვის მშენებლობაში ან რაიმე სამეურნეო საქმიანობაში.

მოგვიანებით გაბატონებულმა გვარებმა ნადის, გალდამისა და სვიმრას სახით არსებული ურთიერთდახმარების კოლექტიური ფორმები თავიანთი ინტერესებისათვის გამოიყენეს და თანასოფლელთა მიმართ სავალდებულოდ აქციეს ისე, რომ ეს უკანასკნელნი ვალდებული იყვნენ უსათუოდ დახმარებოდნენ მათ, წინააღმდეგ შემთხვევაში სასჯელის სხვადასხვა ზომის გატარებაც კი დაკანონდა[8].

საკირე მასალის შემოზიდვის შემდეგ ოჯახი კირის გამოსაწვავად სამყოფ შეშას იმარაგებდა.

კირის გამოწვას ამჯობინებდნენ გაზაფხულზე, მაისის ბოლო რიცხვებში. განსაკუთრებით სასურველად მიაჩნდათ საკირეში ცეცხლის ანთება ამაღლების (ა ნ ღ ლ ა ბ) დღეს.

[7] ბ. ნ ი ჟ ა რ ა ძ ე, ჩვეულებრივი მართლიერება სვანეთში, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, 116; ა. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი, სვანეთი, გვ. 69; მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, ახალი ტიპის საცხოვრებელი ნაგებობანი სვანეთში, გვ. 65.

[8] რ. ხ ა რ ა ძ ე, ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ , 1964, გვ. 109.

ის ოჯახი, რომელმაც კირი უნდა გამოწვას (მ ე ლ კ ი რ ა ̄ ლ მ ე ზ გ ე), საკირის აგებისას მშენებელ ოსტატებს (ქ ე ლ ვ ა ნ ̄ ა რ) და მეზობლებს იწვევს დამხმარეებად. საკირეს აგებდნენ დაქანებულ ან სწორ ადგილზე. ჯერ თხრიდნენ საკირე ორმოს (ფ ა თ ქ). ორმოს ზომებს იმისდამიხედვით არჩევდნენ, თუ რა რაოდენობის კირქვა ჰქონდათ გამოსაწვავი. ორმოს ფსკერს მოასწორებდნენ და ზედ ცეცხლგამძლე ქვებს აწყობდნენ. ამის შემდეგ ორმოს კიდეებთან ირგვლივ ცეცხლგამძლე ქვების მშრალი წყობით წრიული ფორმის კედელი ამოჰყავდათ ერთი არშინის (ა ლ ̄ ბ) სიმაღლემდე. ამის შემდეგ წყობა კირქვით ამოჰყავდათ კონცენტრიული წრეების ფორმით. კედელში კარს (ყ ო რ) ტოვებდნენ საცეცხლე საკანში (გ ვ ე მ) შეშის შესაკეთებლად. მოპირდაპირე მხარეს კარზე ოდნავ მაღლა კედელში ჰაერის სადინარ ხვრელს (ს ვ ა დ) აკეთებდნენ, რათა ჰაერის ნაკადს ცეცხლი უფრო გაეღვივებინა.

საკირის ამოყვანისას ორი მშენებელი შიგნიდან მუშაობდა, ორი კი — გარედან. სხვები კირქვებს აწვდიდნენ მათ. საკირის კედლის ის ნაწილი, რომელიც ცეცხლთან უფრო ახლოს იყო, დიდი ზომის კირქვებით ამოჰყავდათ, რათა ისინი უფრო კარგად გამომწვარიყვნენ. პატარა ზომის ნამტვრევების გამოწვას, სვანი მშენებლების აზრით, ნაკლები ცეცხლი სჭირდებოდა და მათ საკირის გარე ნაპირებთან აწყობდნენ.

მშენებლები საცეცხლე საკანს გუმბათის ფორმას აძლევდნენ. კარკვეული დროის შემდეგ შიგნით მუშაობის გაგრძელება მხოლოდ ერთ ადამიანს შეეძლო. ამ დროს ირგვლივ ყველა ჩუმად მუშაობდა; ხმის ამოღებისა ეშინოდათ: „გუმბათი არ ჩამოიქცეს და მშენებლები არ დაგვიმარცხოსო“. საბოლოოდ გუმბათის თავზე გარედან ჩამკეტ ქვას (ც უ ყ ვ ბ ა) ჩასვამდნენ და ზემოდან კირქვის ნამტვრევებს დააყრიდნენ. გუმბათს ბალსზემოურში გ უ მ ბ ა თ ეწოდება, ხოლო ბალსქვემოურში კი — დ ე ც (ცა). საკირის აგების დასრულების შემდეგ საკირის თავზე (ც უ ნ ჭ უ ლ ე ̄ ნ) ხის ჯვარს (ზ ე ქ ი ჯ ვ ̄ ა რ) დაასობდნენ და საკირე გამოსაწვაკად მზად იყო.

ზოგჯერ საკირის ამოყვანისას ვაკე ადგილზე ორმოს არ თხრიდნენ. ამ შემთხვევაში ღობის წნულს (ნ ა შ ხ ა ტ ვ) აკეთებდნენ წრიულად და საკირე ისე ამოჰყავდათ, რომ ღობის წნულსა და კირქვის კედელს შორის დარჩენილიყო გარკვეული სივრცე, რომელსაც შემდეგ ცეცხლგამძლე ქვითა და მიწით ავსებდნენ, რათა სითბოს დიდი რაოდენობა ტყუილუბრალოდ არ დაკარგულიყო (იხ. სურ. 1).

ამის შემდეგ ოჯახის უფროსი დაკლავდა ვერძს და შემწვარ ღვიძლს შესაწირავად შეიტანდა საკირეში. გარდა ღვიძლისა, მას საკირეში ერთი დოქი ზედაშე და სპეციალურად ამ დღისათვის გამომცხვარი სეფისკვერები შეჰქონდა. დაილოცებოდა, წმ. გიორგის შემწეობას შესთხოვდა, სოლამს ძალღონის მიცემას ემუდარებოდა, მშენებლობის კეთილად დაგვირგვინებას ეაჯებოდა, ქათმის კვერცხს შეაგდებდა შიგნით და იტყოდა: „ასე გამოიწვიო (ა მ შ ა ლ ე ს ე რ უ ა ლ შ ი ხ ე ლ ი)“. ამის შემდეგ შეშას შეუკეთებდა და ცეცხლს მოუკიდებდა. ცეცხლის გაღვივების შემდეგ მშენებლები ხელ-პირს დაიბანდნენ და საჭმელად სხდებოდნენ.

ძველი სვანის რწმენით, თუ საკირეში ვინმე ქვას ჩააგდებდა, კირი ცუდი ხარისხისა გამოვიდოდა და ამიტომ ოჯახის წევრები საკირესთან უცხოებს არ უშვებდნენ.

კირის გამოსაწვავი ცეცხლის ძალას ადგენდნენ კირქვის სიმკვრივის მიხედვით, კირქვაში არსებული მინარევების რაოდენობის მიხედვით და სხვა ფაქტორებით. სვანი მშენებლები იმასაც ითვალისწინებდნენ, რომ მეტი საწეავი კირს ძალას უკარგავდა, ნაკლები კი ვერ გამოსწვავდა მას.



სურ. 1

კირის გამოწვას გარკვეული დრო სჭირდებოდა. მკვრივი ჯიშის კირქვის გამოსაწვავად 4-5 დღე-ღამე იყო საჭირო, რბილი კირქვის გამოწვისათვის კი — 2 დღე-ღამე. არ. ონიანის მასალის მიხედვით, ძალზე მკვრივი კირქვის გამოწვას 9 დღე-ღამესაც კი ანდომებდნენ.

კირის გამოსაწვავ შეშად ნაძვს, ფიჭვსა და სოჭს ხმარობდნენ. უფრო კი ნაძვს არჩევდნენ. მაგარი ჯიშის ხეს საკირე შეშად არ იყენებდნენ, რადგანაც ეს უკანასკნელი ნახშირის (შ ი ხ) დიდ რაოდენობას ტოვებს. ნახშირის

მოსასპობად ნედლფოთლოვანი ტოტების კონას შეყრიდნენ საკირეში და ის ნახშირს ნაცრად (ტ Გ ტ) აქცევდა.

საკირეში ცეცხლის დანთების შემდეგ, საღამოს ოჯახში დამხმარეებს გარდა სტუმრებიც მოდიოდნენ. ამ ღამეს სახლში დიდი ლხინი იმართებოდა. საკირესთან ახალგაზრდები რჩებოდნენ. ისინი შეშას აპობდნენ და საკირეში უკეთებდნენ. ოჯახის უფროსს მათთანაც გამოჰქონდა არაყი და საჭმელ-სასმელი. მოსაღამოვების შემდეგ ახალგაზრდები ახლადგამოხდილ ყავარს იღებდნენ და მასზე ნახშირით ნიშანს აკეთებდნენ. მას ამაგრებდნენ რომელიმე ადგილას და გვერდით ანთებულ კვარს უმაგრებდნენ, რომ შავი ნიშანი კარგად გამოჩენილიყო შორიდან. ამის შემდეგ ახალგაზრდობა გარკვეული მანძილიდან შვილდისარს ესროდა მას და კარგ ვაჟკაცად ითვლებოდა ის, ვინც ნიშანს ცენტრში მოახვედრებდა. თოფის ხმარებაში შემოსვლის შემდეგ ნიშანს თოფსაც ესროდნენ ხოლმე. ამის შემდეგ გამოსაცდელად საკირის კარის ზღურბლზე ვერცხლის ფულს დებდნენ და ვინც მას პირით (ᲥᲐᲤᲨᲘ) აიღებდა, ეს ფულიც იმისი იყო.

მეორე დღისათვის სოფლელები დაიშლებოდნენ და საკირის ვამოწვა უკვე მშენებლების (ᲥᲔᲚᲕᲐᲜᲐᲠ) და მშენებელი ოჯახის წევრების საქმე იყო. უმეტეს შემთხვევაში დამხმარეები კვლავ ბრუნდებოდნენ და შველოდნენ საკირის გამოწვაში.

უშგულში ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, ცეცხლის შენთების მეორე დღეს საკირის გუმბათზე ალი გამოჩნდებოდა. ორი დღის შემდეგ იღებდნენ ნიმუშს და წყალში ჩააგდებდნენ. თუ დაიშლებოდა, კირი გამომწვარი იყო და ცეცხლს აქრობდნენ. მესტიელთა გადმოცემით, როდესაც საკირის თავზე დასობილი ჯვარი დაიწვებოდა, კირი უკვე გამომწვარი იყო. ამის შემდეგ, საკირის ორივე ხვრელს ფიქალის ქვით ხურავდნენ, რომ ჰაერს აღარ ემოძრავა. ასევე გადახურავდნენ გუმბათსაც და კირი ბუნებრივად, ნელ-ნელა ცივდებოდა, რასაც 4-5 დღე სჭირდებოდა. კირი კარგად გამომწვარად მიაჩნდათ, თუ საკირის გუმბათი თავისით ჩამოწვებოდა.

კირის გაცივების შემდეგ საკირის თავზე ხის ფარდულს (ᲪᲐᲚᲛᲐᲒ) აგებდნენ, რომელსაც ყავრით ხურავდნენ და კირი მოხმარებამდე გამოწვის ადგილას ინახებოდა. სხვა შემთხვევაში მას მშრალ, გადახურულ, ქარისაგან დაცულ ადგილას ინახავდნენ.

კირის გაცივების შემდეგ რჩება კირქვის ფორებიანი კოშტები, რომელსაც მოცილებული აქვს მინარევების გარკვეული ოდენობა. კირის მისაღებად საჭიროა ამ კოშტების დაშლა. სვანი მშენებლები ამ პროცედურას ორი ხერხით აწარმოებდნენ: ან ფშვნიდნენ მას, ან მასზე წყლის გარკვეულ ოდენობას ასხამდნენ. ეს უკანასკნელი კი შლიდა კოშტებს. კირის წყლით დაშლისას სითბოს დიდი რაოდენობა იკარგება უცბად, რაც უარყოფითად მოქმედებს კირის შემკრავ თვისებებზე და ამიტომაც სვანები კირის დაშლის პირველ ხერხს ამჯობინებდნენ. მათი აზრით, დაფშვნილი კირი ჯობია, რადგანაც ამით აშენებული კედელი დიდ სიმკვრივეს, გამძლეობას და წყალმედეგობის უნარს იძენს.

კირის გამოწვის წინ სახლის საძირკველი უკვე გათხრილი უნდა ყოფილიყო, რადგან, რაც უფრო მეტ ხანს ინახებოდა იგი, მით უფრო კარგავდა შემკრავ თვისებებს.

კირის დაშლის შემდეგ ცდიდნენ კირის ხსნარის შემკრავუნარიანობას. ამ პროცესს კირის გამოცდა (კ ი რ ი ლ ი კ ჰ უ რ ე) ეწოდებოდა. კირის ერთ მოცულობას ურევდნენ ქვიშის სამ მოცულობას და აკეთებდნენ ხსნარს. იღებდნენ ფიქალის ქვას, დაასხამდნენ მასზე კირის ხსნარს და ზემოდან მეორე ქვას ადებდნენ. ამგვარად აწყობდნენ ერთმანეთზე ოთხ-ხუთ ქვას. ზედა ქვას ხელის ჩასაჭიდს უკეთებდნენ. მას შემდეგ, რაც კირის ხსნარი გაშრებოდა, ზედა ქვაზე გაკეთებული სახელურით ასწევდნენ ზევით ქვის წყობას და თუ ქვები არ დაიშლებოდა, ხსნარი ნორმალურად მიაჩნდათ. თუ ქვების წყობა დაიშლებოდა, მაშინ ხსნარს უმატებდნენ კირს, ან ქვიშას იღებდნენ ნაკლები რაოდენობით.

კირსა და ქვიშას სპეციალურ გობში (ლ ა თ ქ ა ̈ რ ღ ვ ე ბ) ურევდნენ ერთმანეთში თოხისა და ნიჩბის საშუალებით. ქვიშისა და კირის ნარევი კედლების გარე და შიგა წყობის ამოსაყვანად სქელი უნდა ყოფილიყო და მას (თ Გ ქ) ეწოდებოდა.

ორ წყობას შორის დარჩენილი სივრცე ივსებოდა ხრეშით, რომელსაც კირისა და სილის თხელ ხსნარს (გ ი რ წ ყ ა ̈ ლ — ბ.ქ. || კ ი რ წ ყ ა ̈ ლ — ბ.ზ.) ასხამდნენ. კირწყალში კირისა და წყლის რაოდენობა სჭარბობდა დანარჩენ შემადგენელ კომპონენტებს.

კირისა და ქვიშის შეზავებისას ანგარიშს უწევდნენ სილის სახეობას, თუ სილა ნათხარი (მთისა) იყო, მაშინ ერთ მოცულობა კირზე სამ მოცულობა ქვიშას იღებდნენ, ხოლო თუ სილა მდინარისა იყო, ერთ ზომა კირს ორ ზომა ქვიშას ურევდნენ.

გადმოცემების მიხედვით, კირში სილასთან ერთად ჭვავის (მ ა ნ ა ̈ შ) ფქვილსაც ურევდნენ. ს. მაკალათიას აღნიშნული აქვს, რომ კირს „ქუბის“ ფქვილს ურევდნენ, რაც მას მეტ წყალმედეგობას აძლევდა[9]. გადმოცემებით, ამ ნარევს ხმარობდნენ როგორც კედლის წყობის ამოსაყვანად, ისე კედლების შესალესადაც. ლატალში ჩაწერილი მასალის მიხედვით, კოშკების ფასადებს, რომლებიც შელესილია კირისა და ჭვავის ფქვილის ნარევი ხსნარით, ეტანებიან ფრინველები და კენკავენო. ამ მოვლენის მოწმენი ჩვენც გავხდით ჩარკვიანეობისა და ქალდანების უძველესი ნასახლარების აღწერისას ლატალში. ჩანს ჭვავის ფქვილს მართლაც იმისათვის ხმარობდნენ, რომ კირის ხსნარის წყალმედეგობის უნარი გაეზარდათ.

ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობის შესახებ არსებული გადმოცემები მოგვითხრობენ, რომ კედლის წყობის შემკვრელ ხსნარს ბრინჯის ნახარშს უმატებდნენ. სპეციალისტებს მიაჩნდათ, რომ ის ხსნარს დიდ პლასტიკურობას ანიჭებდა[10]. დასაშვებია ვარაუდი, რომ კირის ხსნარში ჭვავის ფქვილის გამოყენება წყალმედეგობის უნარის გაზრდასთან ერთად ხსნარის პლასტიკურობასაც ზრდიდა.

ბ. ქ ვ ი შ ი ს მ ო პ ო ვ ე ბ ა დ ა დ ა მ ზ ა დ ე ბ ა

ქვიშის სვანური სახელწოდება (ქ ვ ი შ ე) ქართულ ქვიშას უკავშირდება. სვანურში არსებული განსხვავება ფონეტიკური ხასიათისაა (ქ ვ ი შ ა-ი → ქ ვ ი შ ე).

[9] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში, თბ., 1945, გვ. 21.

[10] История строительной техники, Л.—М., 1962, გვ. 42.

სვანეთის ტერიტორიაზე ქვიშის ორი სახე მოიპოვება: მდინარისა და ნათხარი, ან, როგორც მას სპეციალურ ლიტერატურაში უწოდებენ, მთისა. მდინარის ქვიშა ან მუქი ფერისაა, ან გამჭვირვალე თეთრი. მისი შეფერილობა დამოკიდებულია იმაზე, თუ კლდის რომელ ქანს არღვევს ესა თუ ის მდინარე თავის გზაზე. ასე მაგალითად, უშგულში მდინარე ქვიშორი თავის გზაზე შავი ფიქალის კლდეებს ანგრევს და შლის, შესაბამისად ქვიშაც შავი ფერისა ჩამოაქვს. შხარიდან მომდინარე ენგურში კი შედარებით ღია ფერის გამჭვირვალე ქვიშა მოიპოვება. ამის მიზეზი ისაა, რომ ამ მდინარეს შხარის მკვრივი ღია ფერის ქანები ხვდება წინ.

ასევე სხვადასხვა შეფერილობისაა ნათხარი ქვიშაც; იგი ან რუხია, ან მოშავო, ან მოთეთრო.

ქვიშას 2-3 წლის განმავლობაში ამზადებდნენ. ქვიშის მოგროვებას იწყებდნენ შემოდგომაზე, როდესაც მდინარეები დაკლებულია და ქვიშა რიყეზეა (რ ი ყ) დარჩენილი. რიყეზე ქვიშა შრება. ხალხი აგროვებს მას და სამარხილე ეზამდე გადააქვს. იმ შემთხვევაში, თუ მდინარე რიყეზე ქვიშას ნაკლებად ტოვებს, შეარჩევენ მარჯვე ადგილს, მოღობავენ (ჩ უ ა ჰ ლ ა ბ გ ი ხ), გადმოაგდებენ წყლის ტოტს და ატბორებენ მას. დატბორებულ ადგილას წყალი ქვიშას დალექავს. ტოტს კვლავ მდინარისაკენ მიუშვებენ. ქვიშას ნაპირზე ამოყრიან და ამის შემდეგ წყალს კვლავ ატბორებენ. ასე გრძელდება ვიდრე ქვიშის საკმაო რაოდენობა არ მოგროვდება. ნაპირზე ამოყრილი ქვიშა შრება და თავის დროზე საჭიროების ადგილზე მიაქვთ.

სვანი მშენებლები არჩევდნენ წვრილმარცვლიან, მოთეთრო, გამჭვირვალე ქვიშას. უშგულში ფასის მთიდან მომავალ მდინარე ქვიშორის შავი შეფერილობის მომსხომარცვლოვან ქვიშას მშენებლობისათვის იშვიათად თუ ვინმე გამოიყენებდა. აქ არჩევდნენ მდინარე ენგურის ქვიშას.

მესტიაში ქვიშას მდინარე მესტიაჭალის სანაპიროებზე აგროვებდნენ. ქვიშა აქ ღია ფერისაა, წვრილმარცვლოვანი. მდინარე მულხურის ქვიშას მესტიაში არავინ არ იყენებდა მშენებლობისას, ვინაიდან ქვიშა აქ მსხვილმარცვლოვანია, მოშავო შეფერილობის.

ლატალის მცხოვრებნი სამშენებლო ქვიშას მდინარე მესტია ჭალის ნაპირზე აგროვებდნენ. ენგურის ქვიშას აქ არ ხმარობდნენ.

სვანი მშენებლები უმჯობესად თვლიდნენ ქვიშა შორიდან მოეტანათ და კარგი ხარისხისა ყოფილიყო, ვიდრე დაბალი ხარისხის ახლოს მოპოვებული ქვიშა ეხმარათ, რადგანაც იცოდნენ, რომ ქვიშაზე ბევრად იყო დამოკიდებული ქვების ერთმანეთთან დამაკავშირებელი ხსნარის შემკვრელუნარიანობა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მდინარის ქვიშის გარდა, იხმარებოდა ნათხარი ქვიშაც. ხვნისას ან მიწის თხრის დროს შემთხვევით წააწყდებოდნენ ქვიშის მარაგს და მას კარიერებად აქცევდნენ. ხშირად ზვავისაგან ჩამოწოლილი მთის ფერდობზეც პოულობდნენ ხოლმე ქვიშას.

სვან მშენებლებს მიაჩნდათ, რომ ნათხარი ქვიშა უკეთესი ხარისხისა იყო. ამას ისინი ხსნიდნენ ამ უკანასკნელის ასაკით.

ქვიშის შემოზიდვა სამშენებლო მოედანზე ჩვეულებრივ ზამთრობით ხდებოდა. მარხილზე თხილის წნელებით მოწნულ ძარას დებდნენ, მას ზემოდან აფარებდნენ ტომარას (ძ ა ძ რ ა), ან ტყავებს (ტ უ ფ), რათა ქვიშა ტრანსპორტირების დროს არ ღაბნეულიყო. ქვიშის შემოზიდვისას ისევე, როგორც კირქვის შემოზიდვის დროს, გამოიყენებოდა შრომის კოლექტიური ფორმები.

ნათხარ ქვიშას გამოყენების წინ ცრიდნენ თხილის წნელებისაგან მოწნული ჩელტის (ჩ ე ლ ტ) საშუალებით. ცდილობდნენ, რომ ქვიშა სუფთა ყოფილიყო და მიწის მინარევები ნაკლები ჰქონოდა, რადგანაც ეს უკანასკნელი უარყოფითად მოქმედებდა ხსნარის ხარისხზე.

მშენებლობის ხანგრძლივმა პრაქტიკამ სვანები დაარწმუნა, რომ კედლის წყობის შესაკრავი ხსნარისათვის უკეთესი იყო მთის ქვიშა, ხოლო შესალესად (ლ ა ც ვ მ ი დ) კი მდინარისა ჯობდა. ეს იმიტომ, რომ კედლის წყობაში ნათხარი ქვიშა სწრაფად შრებოდა, ხოლო მდინარის ქვიშის გაშრობას შედარებით დიდი დრო სჭირდებოდა. ამის გამო კედლის უცაბედი დატვირთვა მდინარის ქვიშის გამოყენებისას არ შეიძლებოდა და საჭირო იყო კედლის დიდი ხნით შესვენება, ე. ი. მშენებლობის დროდადრო შეწყვეტა.

გ. ქ ვ ი ს მ ა ს ა ლ ი ს მ ო პ ო ვ ე ბ ა დ ა დ ა მ ზ ა დ ე ბ ა

საშენი მასალებიდან უპირველეს ყოვლისა ქვას ამზადებდნენ. სვანეთის ტერიტორიაზე ქვის უამრავი ჯიში მოიპოვება. ამა თუ იმ ნაგებობის სიმტკიცე და გამძლეობა ბევრად იყო დამოკიდებული ამა თუ იმ ჯიშის ქვაზე და ამიტომ ქვის ჯიშის შერჩევას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

სვანეთში მოიპოვება ქვის მაგმატიური ჯიშები: გრანიტი, დიორიტი, გაბრო, ბაზალტი, ანდეზიტი და სხვ., დანალექი ჯიშები: მაგნეზიტი, კირქვები, დოლომიტი, თიხა, ქვიშა, დიატომიტი და სხვ.; სახეშეცვლილი ჯიშები: გნეისები, კვარციტი, მარმარილო. ქვის ეს ჯიშები სხვადასხვა სახით გვხვდება. ისინი ზოგან კლდოვანი მასივების სახითაა წარმოდგენილი, ზოგან მდინარის მიერ ჩამოტანილი კლდის ნამტვრევებისა, რიყის ქვისა, ნიაღვრების მიერ ჩამონგრეული და ჩამოტანილი ქვისა და შრეებად განლაგებული ფიქალის ქვის მასივების სახით.

სვანურ ნაგებობათა ანალიზი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ უძველესი ნაგებობების მშენებლობისას მეტწილად ფიქალის ქვას (კ ა) იყენებდნენ. კ ა იხმარებოდა როგორც კედლის წყობის ასაყვანად, ისე გადახურვისათვისაც. ფიქალის ქვა ფართოდაა გამოყენებული ზღუდეების კედლების გადასახურავად, სახლის იატაკის ფენილის მოსაწყობად, სახლის ინტერიერში კედლების მოსაპირკეთებლად, კოშკებში სართულშუა გადახურვებში დატოვებული საძრომების ჩასაკეტად, კოშკის ამბრაზურების ღიობების დასახურავად, სარკმლების დასახურავად, კერიაზე დასაგებად, ღობის წყობისათვის და ა. შ. როგორც ვხედავთ, ფიქალის ქვა ფართოდაა გამოყენებული სვანურ მშენებლობაში და ეს იმით უნდა ავხსნათ, რომ ის შედარებით იოლი დასამუშავებელი იყო. მისი მოპოვება-დამუშავებისათვის განსაკუთრებული ქვის საკოდი იარაღი არ იყო საჭირო და ამასთან მისი საბადოებიც უამრავია სვანეთში.

სვანი მშენებლები ხანგრძლივმა გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ ფიქალის ქვა მყიფეა, აღვილად მტვრევადი; ხარისხით ჩამოუვარდება გრანიტის ან ბაზალტის ჯიშის ქვას (მ ე კ უ ხ ბ ა ჩ — **ბ.ქ.**, მ უ ქ უ ხ ბ ა ჩ — **ბ.ზ.** — სიპი ქვა) და ამიტომ კოშკების და სახლების კედლების წყობისათვის ძირითადად ამ ჯიშის ქვებს იყენებდნენ.

ქვის მოპოვებისას იგივე სამუშაო იარაღი იხმარებოდა, რაც კირქვის მოპოვებისას. თუ ქვის კარიერი კლდის მასივის სახით იყო წარმოდგენილი, მას ლაღუმით აფეთქებდნენ, შედარებით დიდ ნამტვრევებს ურითი გამო-

ამტვრევდნენ, სამარხილე გზამდე ჩამოყრიდნენ და იქ მოხერხებულ ადგილას საჟენებად (ჯოჯ) აწყობდნენ. ქვის საჟენი ადამიანის სიმაღლისა უნდა ყოფილიყო და სვანური სახლის ასაგებად 120 ჯოჯ უნდა მოეგროვებინათ. ერთი ჯოჯ-ის წასაღებად 12 მარხილი იყო საჭირო.

ფიქალის ქვის დამზადებას ლიკარე ეწოდებოდა. ფიქალის ქვის დამზადების პროცესი კარგად აქვს აღწერილი მ. ჩართოლანს[11].

კედლის წყობაში გამოიყენებოდა დიდი ზომის მომრგვალებული ფორმებიანი ქვებიც (გურნა). ისინი მოიპოვებოდა ფერდობებზე, რიყეში, სახნავ და სათიბ ადგილებში; მათ მიწაშიც პოულობდნენ ხოლმე თხრისას. შედარებით მცირე ზომის გურნა დაუმტვრევლად გამოიყენებოდა. დიდი ზომებისას კი ამტვრევდნენ ურიოებით. ზოგ შემთხვევაში ასეთი ქვის მაქსიმალური ზომები 1,5—2,0×0,50—1,20×0,80—1,00 მმ. შეადგენდნენ.

კედლის წიბოები განსაკუთრებულად დამუშავებული სწორი ქვებით ამოჰყავდათ. ზოგჯერ წიბოების ამოსაყვანად კარგად გამოთლილ სპონდიოს ბლოკებს ხმარობდნენ.

კედლის გარე და შიგა გარსის შესავსებად მცირე ზომის ხურდა ქვას (ხალიკ) იყენებდნენ.

სვანი ოსტატები კედლის წყობაში ნატეხ ქვას ხმარობდნენ, ამასთან ქვის ჯიში მკვრივი უნდა ყოფილიყო. ქვის ლოდებს რაც შეიძლება ნაკლები ფორები უნდა ჰქონოდა; ეს იმიტომ, რომ თოვლის დნობისას ფორებში წყალი შედიოდა, ღამე იყინებოდა და ქვას შლიდა. ქვას ტემპერატურის მკვეთრი ცვლილებებისათვის უნდა გაეძლო. კარისა და სარკმლის ღიობების ზედა შემკრავი ბლოკი მაგარი ჯიშისა უნდა ყოფილიყო, რათა დეფორმაცია არ განეცადა კედლის დატვირთვისაგან. ქვის ჯიშის შერჩევისას ცდილობდნენ, რომ მას რაც შეიძლება ნაკლები ფორები ჰქონოდა, რადგანაც იცოდნენ, რომ უფორებო ქვა სითბოს ნაკლებად ატარებდა. სვანი მშენებლების წარმოდგენით, მკვრივი ქვა ფორებიან ქვას იმითაც სჯობდა, რომ ის უფრო მეტად ეწინააღმდეგებოდა დატვირთვით გამოწვეულ ძაბვებს და ძნელად თუ ირღვეოდა.

სვანი ოსტატები ნატეხ ქვას იმიტომაც ამჯობინებდნენ ფიქალის ქვას, რომ კირისა და ქვიშის ხსნარს ნატეხი ქვა უფრო უკეთ ითვისებდა, კარგად იდუღაბებდა, რადგანაც უფრო ხორკლიანია (ფაცილი) ხელის შეხებისასო.

საშენ ქვას ჩვეულებრივ ზაფხულზე აგროვებდნენ[12] და ერთ ადგილას აწყობდნენ. ქვის მასალის საჭირო რაოდენობა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა ზომისა და მოცულობის სახლი ან კოშკი შენდებოდა, როგორი იყო მათი კედლების სისქე, სართულშუა გადახურვა, სახურავი და სხვა.

ქვის შემოზიდვას ზამთრობით ქრისტეს უქმეებისას (ქრისდეში უქმისა) აწარმოებდნენ[13]. ქვის საზიდად მარხილს იყენებდნენ. ქვის ზიდვისას მშენებელი ოჯახი დამხმარეებს (მგბჩინად) მოიწვევდნენ. ეს უკანასკნელნი თავიანთი ხარებითა და მარხილებით მოდიოდნენ. ოჯახს წესით ყვე-

[11] მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961, გვ. 75—78.

[12] მ. ჩართოლანი, ახალი ტიპის საცხოვრებელი ნაგებობანი სვანეთში, გვ. 64.

[13] იქვე, გვ. 64.

ლა თანასოფლელი უნდა მოხმარებოდა. ოჯახი ვალდებული იყო დამხმარეებს კარგად გამასპინძლებოდა, თუმცა ამ დახმარების დროს საკლავი არ იკვლებოდა.

ქვის მოგროვებისას ცდილობდნენ, რომ კვარცის ჯიშის ქვა (ჭ ყ ე რ უ) არ გაერიათ ქვის მასალაში. სვანების ცრუ რწმენით, თუ ის კედლის წყობაში მოხვდებოდა, იმ ოჯახში ვაჟი არ დაიბადებოდა.

შემოზიდული ქვა სამშენებლო მოედანზე ეწყობოდა და რამდენიმე ხანს ბუნებრივი ფაქტორების გავლენას განიცდიდა. მშენებლობის დაწყების შემდეგ იმ ქვებს, რომელთაც კარგად გაუძლეს დროით გამოცდას, კედლის გარე და შიგა გარსის ამოსაყვანად ხმარობდნენ, ხოლო დამტვრეულებს კი — ხურდა ქვის მაგივრად.

დ. ს ა შ ე ნ ი ხ ე-ტ ყ ი ს მ ა ს ა ლ ი ს მ ო პ ო ვ ე ბ ა და დ ა მ ზ ა დ ე ბ ა

მშენებლობისას საჭირო იყო ხე-ტყის მასალა. უნდა მოემარაგებინათ საჭირო რაოდენობის დირეები (დ Გ რ — ბ.ჭ., დ Ი̄ რ — ბ.ზ.), ნივნივები (ც ხ ვ ი ტ — ბ.ჭ., ი რ ი კ — ბ.ზ.), ლარტყები (ა ღ), ყავარი (ყ ᲐᲐ რ) და სხვ.

ხე-ტყის საშენი მასალა სვანეთში ყველაზე ბოლოს მზადდებოდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ხე დიდხანს ვერ უძლებდა კლიმატური პირობების მავნე გავლენას.

როგორც ქვემო, ისე ზემო სვანეთის სოფლები უშგულის გამოკლებით ხე-ტყის მასივებით მდიდარია. ამდენად ხის მასალის მოპოვება აქ შედარებით იოლი საქმე იყო.

უშგული ალპურ ზონაში მდებარეობს და ხე-ტყის საშენ მასალას მოკლებულია[14]. უშგულელებს ხის მასალის შემოტანა 20 კმ. მანძილით დაშორებულ ცანის ხეობიდან უხდებოდათ. თუ გავითვალისწინებთ მანძილს, უგზოობას, დიდ აღმართებს და ტრანსპორტირების აოასრულყოფილ საშუალებებს, ნათელი იქნება თუ რა ძნელი და შრომატევადი სამუშაო უნდა ყოფილიყო უშგულელებისათვის ხის მასალის მოპოვება. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ადრეულ ნაგებობებში ხის მასალის ეკონომიისათვის სართულშუა გადახურვა ქვის მასალით კეთდებოდა ხის გამოუყენებლად. ხის მასალის ეკონომიას უნდა მივაწეროთ, აგრეთვე, უშგულში ნაგებობათა ფიქალის ქვით გადახურვის გამოყენება დღემდე.

ხის მასალის მოჭრა სვანეთში ძირითადად გვიან შემოდგომით ან ზამთარში ხდებოდა, რადგანაც ამ დროს ხეს ნაკლები წვენი (ზ ᲒᲘ ნ ე) აქვს. სვანების აზრით, როდესაც ხეს წვენი შეაშრება, მაშინ უფრო მაგარია (ხ ო ნ გ ვ ჭ ა ლ ი). ამ დროს ხის ძარღვებში წყალი ნაკლებია.

ხის მოჭრისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მთვარის ფაზას. ყველაზე საუკეთესო დროდ მიაჩნდათ მზარდი მთვარე[15].

---

[14] ბ. ნ ი ჟ ა რ ა ძ ე, უშგულის აღწერა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, II, თბ., 1964, გვ. 66.

[15] შრომით საქმიანობაზე მთვარის ფაზის გავლენის მხედველობაში მიღების შესახებ დაწერილებით იხ. აღ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მეფუტკრეობა სვანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბ., 1955, VII.

მშენებელი ოჯახი წინასწარ შეარჩევდა ხის მასალას ტყეში და მას ნიშანს უკეთებდა, საიდანაც წვენი გამოედინებოდა. ამის მერე ხეებს ჭრიდნენ. მაშენებელ ოჯახს თუ ეჩქარებოდა, მოჭრისთანავე შემოზიდავდა მასალას, თუ არა და ადგილზე გაქერქავდნენ (ქ ა ც ი რ ა ხ), ტოტებს შემოჭრიდნენ (ა შ ხ ა ლ ს ქ ა ხ ა ტ ა ბ ა ხ) და წვეროს წააჭრიდნენ (ც ა ც ხ ხ ე ნ ქ ა ა კ ვ დ უ რ ი ხ). ამის შემდეგ მორებს გრილ ადგილას ახმობდნენ, რათა ბზარები არ გაჩენოდა; მერე საჭირო ზომაზე ჭრიდნენ. ხარებისათვის ადვილი გადასატანი რომ ყოფილიყო, მორის ერთ ბოლოს მოამრგვალებდნენ და იქვე უკეთებდნენ ნაჯახით ხვრელს (თ ხ ე პ, ლ ე ბ თ ხ პ ი ლ) (სურ. 2). მასში ღვლეჭს (წ ი რ ხ) გაუყრიდნენ და ასე ამაგრებდნენ ღვლეჭს კავის (კ ა ვ) საშუალებით უღელზე (უ ღ ვ ა) ჭაპანით (წ ე მ ა შ). ჭაპანი ხარის ტყავისაგან მზადდებოდა.



სურ. 2

სვანი ოსტატები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იმას, თუ რომელ მხარეს — ჩრდილოეთით თუ სამხრეთით იყო მოქცეული ტყის მასივები. ჩრდილოვანი მხარის ხეები ნესტითაა გაჟღენთილი და ძარღვებიც დიდი აქვთ. მოჭრისა და გაშრობის შემდეგ მათი ძარღვები ცარიელდება და დიდი ფორები რჩება; სინესტის გავლენით ხე მალე ზიანდება და გამოდის მწყობრიდან. მზიანი მხარის ხეს ნაკლები სინესტე გააჩნია და უფრო მკვრივია.

მჭიდავი კონსტრუქციებისათვის სვანი ოსტატები ხის ტოტებს არასოდეს არ იყენებდნენ, რადგანაც მათ ხის ტანთან შედარებით დაბალი ხარისხის მასალად თვლიდნენ. ამას იმით ხსნიდნენ, რომ ხის ტანი უფრო დამჯდარია და მეტი ხნისაა ვიდრე ტოტი, რომელიც უფრო რბილია (ბ ე ნ შ გ ვ ე ლ ი). ამასთან, სიმძიმის ძალის გავლენით ტოტის ძარღვები სულ სხვანაირადაა განლაგებული.

ხის მასალის მოპოვების შემდეგ საჭირო იყო მისი შემოზიდვა. დირეების შემოზიდვას კვლავ ნადი აწარმოებდა. ზოგჯერ ხის მასალა სოფელთან ახლოს მთის ფერდობზე მოიპოვებოდა და მას პირდაპირ სამშენებლო მოედამდე ჩამოყრიდნენ ხოლმე. სხვა შემთხვევაში დირეებს ხარებით ეზიდებოდნენ. დიდი ზომის დირეს ორ-სამ უღელ ხარს უბამდნენ. ორი უღელი ხარი წინიდან იყო შებმული, მესამე კი — უკანიდან. ჩვეულებრივ ნამიანზე ხის ზიდვას ერიდებოდნენ — ხე ფუჭდებაო.

დირეებს ნადი შემოზიდავდა სამშენებლო მოედანზე. ნივნივები, ლარტყები და სხვა მასალა თვითონ ოჯახს მოჰქონდა.

საყავრე მასალად გამოიყენებოდა ნაძვი (ღ უ მ ი რ) და სოჭი (ნ ე ნ ზ). ნაძვი შედარებით ძნელი საპოვნია და ამიტომაც ძირითადად სოჭისაგან ხდიდნენ ყავარს; ამასთან მორი, რაც უფრო თეთრი იყო, მით უკეთესად მიაჩნდათ.

ჯერ ირჩევდნენ საყავრე ხეს. ამისათვის მოუჭრელ ხეს ჩამოათლიდნენ ძირთან გრძელ, დიდი ზომის ნაფოტს და მისგან ხდიდნენ პატარა ზომის

ყავარს. ამ პროცესს ბალს ქვემოთ ნაფოტის აღება (ნ ა თ ი შ ლ ი კ ე დ) ერქვა, ხოლო ბალს ზემოთ კი სინჯის აღება (ს ა ს ი ნ ჯ ი ლ ი კ ე დ). თუ ნაფოტი სწორად იპობოდა და არ იღრიცებოდა, ამასთან სუფთა (ჭ ე ქ რ ი) იყო, მაშინ ხე ყავრისათვის გამოსადეგად ითვლებოდა. მასალის შესარჩევად გამოცდილი პირი მიდიოდა და მას უნდა აეღო ნიმუში. სანიმუშე ნაფოტს ბალს ზემოთ (ნ ა ჯ ე ფ) ეწოდებოდა, ხოლო ბალს ქვემოთ — (ნ ა თ). ნასინჯ ხეებს (ნ ა კ მ ა რ) ეწოდებოდათ. ზოგი ხე ორჯერაც კია ნასინჯი.

ერთი სვანური სახლის სახურავისათვის საკმარისი იყო ორი-სამი მორისაგან გამოხდილი ყავარი. ამორჩეულ მორს მოჭრიდნენ, კანს გააცლიდნენ და ყავრის სიგრძის ზომაზე დაჭრიდნენ (ლ ი კ ვ დ უ რ ი). ამის შემდეგ მას ან სოფელში ჩაიტანდნენ, ან ადგილზე ხდიდნენ ყავრად. ყავრის გამოხდას გაზაფხულზე ამჯობინებდნენ, რადგან მიაჩნდათ რომ ამ დროს უფრო ადვილად იპობოდა ხე.

ყავრის გამოხდის პროცესს ლ ი ყ ა რ ე ეწოდება. ყავრის გამოხდას ამჯობინებდნენ მანამ, ვიდრე ხეს სინედლე ჰქონდა შერჩენილი. ძველად ყავრის გამოსახდელად ნაჯახსა და ხის ურიოს (წ ი რ ო ლ) ხმარობდნენ. მოგვიანებით ყავრის გამოხდა სპეციალური დანის (ლ ა ყ ა რ ა გ ა ჩ) საშუალებით დაიწყეს. წიროლისათვის მაგარი ჯიშის ხის კორძიან კუნძს არჩევდნენ. საყავრე მორის დასაპობად ხის ან რკინის სოლებსაც იყენებდნენ.

გამოხდილ ყავარს ერთიმეორეზე აწყობდნენ გარდიგარდმო. ამ პროცესს ლიკოე ეწოდებოდა, ხოლო თვით წყობას კი — კ ო ჟ.

ყავარს გრძელს ამჯობინებდნენ. სვანური ყავარი (ლ უ შ ნ უ ყ ა რ) სქელი იყო. მისი სიგრძე ხუთ მტკაველს უდრიდა, ხოლო სიგანე მტკაველზე ნეტი იყო.

მკაცრი კლიმატური პირობების გამო სვანეთში თხელი ყავარი არ ვარგოდა. აქ ხანგრძლივი და უხვთოვლიანი ზამთარი იცის. სახურავებს ხშირად სჭირდება გადათოვლა და ყავარმა უნდა გაუძლოს როგორც თოვლის დაწოლას, ისე გადმომთოვლი ადამიანების წონას. ესაა იმის მიზეზი, რომ სვანები სქელ ყავარს ამჯობინებდნენ.

სვანეთში არსებული საშენი მასალის უამრავი მოქმედი თუ მიტოვებული კარიერი და საბადო, მისი მოპოვებისათვის საჭირო საკმაოდ განვითარებული იარაღი, მასალის მიღებისა და გამოყენების გონებამახვილური წესები მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომ საშენებლო საქმე სვანეთში ძველთაგანვე მაღალ დონეზე მდგარა.

ცნობები და შენიშვნები

რუსუდან რცხილაძე

ტერმინ „βάρβαρος“-ის მნიშვნელობისათვის ჰეროდოტეს „ისტორიაში“

ტერმინ „βάρβαρος“-ს თავისი განვითარების ისტორია აქვს. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია მოსაზრება, რომ იგი თავდაპირველად არ ატარებდა არავითარ ოდიოზურ ნიშანს და უბრალოდ ელინებში იხმარებოდა როგორც ყველა უცხოელის აღმნიშვნელი სიტყვა. გამოთქმულია, აგრეთვე, აზრი, რომ ჰეროდოტეს „ისტორიაში“ უკვე ვხედებით მისი პირველადი და მეორადი მნიშვნელობის პარალელური ხმარების მაგალითებს[1]. ამასთან დაკავშირებით საინტერესო გახდა გამოგვეკვლია ტერმინის რომელ მნიშვნელობას და რა წილით აძლევს უპირატესობას ჰეროდოტე თავის ნაშრომში. ამ საკითხით დაინტერესება მით უფრო კანონზომიერი შეიქნა, რომ ჰეროდოტეს, როგორც ადრეანტიკური ეპოქის მოწინავე საზოგადოების წარმომადგენელს, არ ახასიათებდა ელინური უპირატესობის კომპლექსი სხვა ხალხების წინაშე, რაც მან დაამტკიცა იმ სათუთი ყურადღებით, ხალასი ცნობისმოყვარეობითა და პატივისცემით, რომლითაც იგი აღწერდა და გადმოგვცემდა იმდროინდელი სამყაროს თითქმის ყველა ხალხების ჩვეულებებს, კანონებსა და ზნეობას.

„ისტორიაში“ ტერმინი βάρβαρος (და ამ ძირიდან ნაწარმოები სხვა სიტყვები) ძალიან ხშირად გვხვდება. მათი საერთო რაოდენობა 190-მდეა. ამ ძირის შემცველი სიტყვა βαρβαρόφωνος კი გვხვდება ორჯერ, იგივე ძირიდან ნაწარმოები ზმნა βαρβαρίζω — ერთხელ. ჩვენ შევეცადეთ ტერმინის ხმარების ყოველი შემთხვევა ცალკე გამოგვეყო და შეგვესწავლა. გამოირკვა, რომ ორი შემთხვევის გარდა არსად არა აქვს ადგილი ტერმინ „βάρβαρος“-ის ხმარებას რაიმე დამამცირებელი მნიშვნელობით არაელინი ხალხისადმი. ყველა დანარჩენ შემთხვევაში იგი ნიშნავს არაელინს, უცხოს. ვიდრე უფრო დაწვრილებით განვიხილავდეთ ამ ტერმინის გამონაკლისი მნიშვნელობით ხმარების მაგალითებს, აღვნიშნავთ მისი განმარტების რამდენიმე ცდას თვით ჰეროდოტეს მიერ.

---

[1] С. Я. Лурье, Геродот, М.-Л., 1947, გვ. 47; როგორც ს. ლურიე აღნიშნავს, მონობის გასამართლებლად რაღაც მეცნიერების მსგავსი თეორიის შესაქმნელად გახდა საჭირო, რომ ბარბაროსები მდაბალ არსებად გამოეცხადებინათ (მონათა უმრავლესობა უცხოელები იყვნენ). ეს იყო, მისი აზრით, ბარბაროსებისადმი აგდებული დამოკიდებულების მთავარი, სუფთა ეკონომიური ფესვები. იხ. აგრეთვე: გვ. 47, სქოლიო 1; გვ. 48, სქოლიო 1.

როგორც თუკიდიდე აღნიშნავს ჰომეროსის ეპოქაში ჯერ არ იხმარებოდა ტერმინი βαρβαρος, რადგან ელინთა ერთ ეთნიკურ ერთეულად ჩამოყალიბება უფრო გვიან მოხდა, ხოლო სახელწოდება ბარბაროსის საწინააღმდეგო სახელი—ელინი—მათ იმ დროს ერთიანად არ ჰქონიათ მიჩნეული. იხ. Thuc. I, 3, 2—4. შდრ. Strabo., XIV, II, 28.

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ გარდა ზემოთ დასახელებული მნიშვნელობისა, βάρβαρος-ში ზოგჯერ იგულისხმება პერსონალურად სპარსეთის მეფეც. ჰეროდოტეს „ისტორიაში“ გათვალისწინებული ქვემორე მაგალითი თვით ელინების მიმართ βάρβαρος-ის ეგვიპტური ექვივალენტის ხმარებაზე მიუთითებენ. სავსებით ცხადი რომ გახდეს ტერმინის მნიშვნელობა და, აგრეთვე, ისიც, რომ რაკი ბერძნებსაც მისი მსგავსი სიტყვით მოიხსენიებდნენ, ზედმეტია ლაპარაკი ტერმინის რაიმე აბუჩად აგდების აზრით ხმარებაზე, მოვიტანოთ ერთი მაგალითი „ისტორიის“ ეგვიპტური ლოგოსიდან. ცნობა ეხება ფარაონ ნეხოს მიერ მისნობის შედეგად მიღებული დასკვნის განმარტებას თვით ჰეროდოტეს მიერ, რათა მკითხველისათვის გარკვეული გახდეს, ვინ იგულისხმება აქ ნახმარ „βάρβαροι“-ში: „βαρβάρους δὲ πάντας οἱ Αἰγύπτιοι καλέουσι τοὺς μὴ σφίσι ὁμογλώσσους“ (II, 158); რაც ნიშნავს: „ბარბაროსებს უწოდებენ ეგვიპტელები ყველას, ვინც ერთი ენით არ ლაპარაკობს მათთან (ვისთანაც საერთო ენა არა აქვთ)“. როგორც ჩანს, ეგვიპტელებს ჰქონდათ ბერძნული βάρβαρος-ის შესატყვისი ტერმინი, რომელიც ჰეროდოტემ ან ვერ გაიგო ,ან არ ჩათვალა საჭიროდ ეცნობებინა. ყოველ შემთხვევაში, აქედან აშკარა ხდება, რომ ეგვიპტელებისათვის ელინებიც, აგრეთვე, βάρβαροι იყვნენ.

როგორც ბერძენ-სპარსელთა ომის ერთ-ერთი ეპიზოდიდან ვიგებთ, ჰეროდოტე სპარტელი ეფორების სიტყვაში ნახსენებ ξείνος — „უცხოელს“ მკითხველთათვის განმარტავს როგორც βάρβαρος-ს, რომელთაც ამ შემთხვევაში მტრები, სპარსელები წარმოადგენენ. იგი წერს: „ξείνους γὰρ ἐκάλεον τοὺς βαρβάρους“ (IX, 11), რაც ნიშნავს: „უცხოელებს უწოდებენ ბარბაროსებს (სპარტელები. — **რ. რ.**)“. βάρβαρος რომ უცხოელის — ξείνος პარალელურად იხმარებოდა ჰეროდოტეს დროს, კიდევ ერთი მაგალითით შეიძლება ნათელვყოთ. ამომფარეტოსი არ დაემორჩილა პავსანიესს და პლატეის ბრძოლის წინ უკანდახევაზე უარი განაცხადა. სპარსელები მის სიტყვაში მოიხსენიებიან ξείνοι-დ, რომელსაც ჰეროდოტე იქვე განმარტავს: „λέγων τοὺς βαρβάρους“ (IX, 55), ამგვარად, ელინი ξείνοι-ს უწოდებდა βάρβαροι-ს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფსამეტიქოსის დროს სამხედრო სამსახურის საფასურად ეგვიპტეში დასახლებული იონიელებისა და კარიელების უცხოენოვნობის გამოსახატავად ეგვიპტელთა მიმართ ჰეროდოტე ხმარობს სიტყვა ἀλλόγλωσσοι-ს: „πρώτοι γὰρ οὗτοι ἐν Αἰγύπτῳ ἀλλόγλωσσοι κατοικίσθησαν“ — (ელინები. — **რ. რ.**) პირველნი იყვნენ ეგვიპტეში დასახლებულ უცხოენოვანთაგან“ (II, 154). სხვა ადგილას ტექსტში ნახმარია βαρβαρόφωνος (VIII, 20), რაც, აგრეთვე, უცხოენოვანს, უცხოდმოუბარს გამოხატავს, რაკი თვით ავტორის განმარტებითვე βάρβαρος და ξείνος — „უცხოელის“ იდენტურობა თვალნათლივ ჩანს, ხოლო φωνή რომ ენას (ბგერას) ნიშნავს, ამაში ეჭვი არავის შეეპარება. მოტანილი ადგილი შეეხება ბაკისის წინასწარმეტყველებას ევბეელების მიმართ და უცხოენოვან ხალხში სპარსელები იგულისხმებიან. ამგვარად, ირკვევა, რომ βαρβαρόφωνος და ἀλόγλωσσος სინონიმებია ჰეროდოტესათვის. გამოთქმა უცხოდმოუბარი (უცხოდმოენე) ტექსტში კიდევ ერთხელ გვხვდება, კერძოდ, პლატეის ბრძოლის ეპიზოდში ჩართულ წინასწარმეტყველებაში. აქედან ირკვევა, რომ სპარსელები მდინარე თერმოდონტთან და ასოპოსთან (პლატეის მახლობლად) უნდა დამარცხებულიყვნენ. წინასწარ-

მეტყველებაში ვკითხულობთ: „Ἑλλήνων σύνοδον καὶ βαρβαρόφωνον ἰυγήν“ (IX, 43), რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: „ელინთა ბრძოლა და უცხოდმოენეთა ყვირილი“.

ჩვენთვის საინტერესო ტერმინის განმარტებისათვის კიდევ ერთი ადგილია საყურადღებო „ისტორიიდან“. დოდონელი ქურუმი ქალები ბერძნებისათვის ეგვიპტური წარმოშობის ბარბაროსები იყვნენ, უცხოდ, ფრინველთა მსგავსი ენით მოუბარნი, ამიტომ ისინი მტრედებად წარმოიდგინეს, ხოლო როცა მათ ელინური ისწავლეს, ფრინველთა ენიდან გადავიდნენ გასაგები, ადამიანური ენით საუბარზე. „ἕως δὲ ἐβαρβάριζε, ὄρνιθος τρόπον ἐδόκεέ σφι φθέγγεσθαι“ (II, 57): „სანამ იგი (ქურუმი. — რ. რ.) თავის უცხო ენაზე ლაპარაკობდა, მათ (დოდონელებს. — რ. რ.) მისი ხმა ფრინველის მსგავსად მიიღეს“. როგორც ჩანს, აქაც თვით ავტორი უცხო ენაზე ლაპარაკს განმარტავს სიტყვით βαρβαρίζω. ამგვარად, თუ βαρβαρόφωνος (ἀλλόγλωσσος) ელინისათვის უცხო ენაზე მოუბარ ადამიანს ნიშნავდა, βαρβαρίζω ამ უცხო ადამიანის მეტყველების გამომხატავი ზმნა უნდა ყოფილიყო.

ჰეროდოტე βάρβαροι -დ მოიხსენიებს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მოსახლე პელასგებს და რამდენიმე სხვა ტომს, რომლებთან შეერთების შედეგად ელინები დროთა განმავლობაში გამრავლდნენ, განვითარდნენ და გაძლიერდნენ (I, 56, 57); იონიელები ადრე ბარბაროსები, პელასგები იყვნენ. პელასგები, როგორც ჰეროდოტე გადმოგვცემს, ითვისებენ ეგვიპტურ ღვთაებრივ პანთეონს და ასეთი გზით ელინებს მემკვიდრეობით გადასცემენ მის პატივისცემას (II, 52, 171; VII, 94; VIII, 44). ჰეროდოტე დაბეჯითებით ირწმუნება, რომ თითქმის ყველა ღვთაებათა სახელი ელინებმა ბარბაროსებისაგან შეითვისეს (II, 50). ტერმინ „βάρβαροι“-თ აღნიშნული ხალხები და მათი რწმენანი ჰეროდოტეს პატივისცემით სარგებლობდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი რელიგიური გრძნობით საკმაოდ განმსჭვალული პიროვნება ასეთ სესხებას ვერ შეურიგდებოდა.

ტერმინ βάρβαροι-თ ჰეროდოტე აღნიშნავს როგორც აღმოსავლეთის მაღალგანვითარებულ უძველესი კულტურის ქვეყნების ხალხებს, ისევე მეჯოგე, მომთაბარე, მცირედგანვითარებულ ტომებსაც (II, 167; IV, 167; III, 115; V, 22), რომელთა შორის კაციჭამიებიც ეგულება (IV, 106).

ამგვარად, როგორც დავინახეთ, ჰეროდოტეს βάρβαροι-თ აღნიშნული ხალხებისადმი დამოკიდებულებაში არ ახასიათებს არავითარი უგულებელყოფა, აბუჩად აგდება, ამპარტავნობა. მის მიერ რამდენჯერმე მოშველიებული განმარტება, რომ βάρβαρος არის ξείνος უცხოელი, სავსებით სანდო და კანონზომიერია.

ახლა განვიხილოთ ის გამონაკლისი შემთხვევები „ისტორიიდან“, სადაც ჩვენთვის საინტერესო ტერმინით აღნიშნული ხალხი ელინებთანაა დაპირისპირებული და დახასიათებულია ელინისათვის მიუღებელი, საძრახისი, თვისებებით. ერთ შემთხვევაში საქმე ეხება სპარტელი ელჩების რჩევას ათენელთა საკრებულოში: არ დაუკავშირდნენ სპარსელებს, რომელთაც მაკედონიის მეფე ალექსანდრე გაგზავნეს საგანგებოდ ათენში, რათა დაეყოლიებინათ ათენელები სპარსელებთან კავშირზე. სპარტელები ცდილობდნენ, როგორმე დაერღვიათ ასეთი კავშირის შესაძლებლობა და ყოველნაირად აძაგებდნენ სპარ-

სელებს, მაკედონელებს, ბარბაროსებს: მაკედონელების მეფე სპარსელთა მომხრეა და ათენელებს არ არგებთ მათთან კავშირი, რადგან „ἐπισταμένοισι ὡς βαρβάροισι ἐστὶ οὔτε πιστὸν οὔτε ἀληθὲς οὐδέν“: „იცით, რომ ბარბაროსებს არა აქვთ არც სამართალი, არც გულწრფელობა“ (VIII, 142). მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს ისევ ბერძენ-სპარსელთა ომის დროს ერთ-ერთი საომარი შეტაკების შედეგად მოკლული სპარსელთა მთავარსარდლის მარდონიოსის გვამზე შურისგებასთან. ვინმე ლამპონმა ეგინელების სახელით პავსანიესს ურჩია ლეონიდეს გვამზე ანგარიშსწორების საპასუხოდ მარდონიოსისათვისაც თავი მოეჭრათ. მაშინ პავსანიესი პასუხობს ლამპონს: „τά πρέπει μᾶλλον βαρβάροισι ποιέειν ἤ περ Ἕλλησι“ (IX, 79): „ასეთი მოქმედება უფრო შეეფერებათ ბარბაროსებს, ვიდრე ელინებს“. როგორც ცნობილია, ამ ორივე შემთხვევაში ტექსტში თვით ავტორისეულ სიტყვასთან არა გვაქვს საქმე, არამედ სხვათა სიტყვის გადმოცემასთან. პირველ შემთხვევაში დიპლომატიური მიზნებისათვის, ომის მოსალოდნელი საფრთხის წინაშე მოწინააღმდეგის ძალთა გათიშვისთვის, სპარტელები განზრახ აძაგებენ ათენელებთან სპარსელებს; მეორე შემთხვევაში, აგრეთვე, ომიანობის დროს მტრის არასახარბიელო დახასიათებისას, თუ გავითვალისწინებთ ფსიქოლოგიურ მომენტსაც, ფერთა უხეში გამუქება არ არის გამორიცხული. თვით პავსანიესის სიტყვიდან ჩანს, რომ მხოლოდ თვით იგი მისი წრე უნდა ყოფილიყო მარდონიოსის გვამზე შურისძიების წინააღმდეგი, ეგინელების სურვილი კი, ლამპონის პირით გამოთქმული, შურისგებას მოითხოვდა (IX, 78, 79). ამ ორი მაგალითიდან ჩანს, რომ ბარბაროსებისა და ელინების დაპირისპირება მორალური კატეგორიების საკითხში ცალკეულ პირთა მიერ გარკვეული კონიუნქტურის გავლენით შექმნილ ნააზრევად გამოიყურება. ამ უკანასკნელთა მიერ ბარბაროსთა უსამართლოდ, სასტიკად, შურისმაძიებლად, ბოროტად გამოსახვა ჰეროდოტეს ვერავითარ შემთხვევაში ვერ დააბრალებს უარყოფით დამოკიდებულებას ბარბაროსების მიმართ. ზევით ჩამოთვლილი იგივე უარყოფითი თვისებები ჰეროდოტეს ბერძნების მიმართაც შეიძლება ეხმარა, თუ გავითვალისწინებთ უამრავ მაგალითს იმავე „ისტორიიდან“. გავიხსენოთ დიპლომატური და ეთიკური საკაცობრიო ნორმების დარღვევის, უსაგნო ბოროტების, სისხლისმსმელობისა და სიცრუის (არაგულწრფელობის) არაერთი მაგალითი ბერძნების მხრივ. განა ნაკლები ცრუ, არაგულწრფელი და გაიძვერა იყო თემისტოკლე თავის თანამემამულე ათენელებისადმი, როცა ურჩევდა დაუყოვნებლივ არ გამოდეცნებოდნენ მტერს, ქსერქსეს კი კაცი გაუგზავნა უჩუმრად: ელინები მე შევაჩერე, შეგიძლია წყნარად გაბრუნდე შინისაკენო, რათა სპარსეთის მეფის ნდობა დაემსახურებინა (VIII, 109, 110). უსაგნო ბოროტება და უსაზღვრო შურისგების მაგალითი არ იყო უდანაშაულო ბავშვების დახოცვა და მათი სისხლის შესმა იონიელების მიერ ეგვიპტეში (III,4)? ან ლიკიდესის ცოლშვილის ქვებით ამოქოლვა ათენელების მიერ (IX, 5)? იგივე ათენელებმა ბრძოლაში ბედად გადარჩენილი საკუთარი მეომარი არ დაჩხვლიტეს სასიკვდილოდ? (V, 87) ჰეროდოტე სპარსელებს კეთილშობილად და შურისგების მდაბალ გრძნობებს მოკლებულად გვიხასიათებს. ათენელებმა და სპარტელებმა დარიოსისეული ელჩები ხაროსა და ჭაში ჩაყარეს და ამოხოცეს. როცა სპარტელები ეახლნენ სპარსეთის მეფეს ჩადენილი დანაშაულის გამოსასყიდად, მეფემ ბრძანა, რომ ეს ხალ-

ხი გაეთავისუფლებინათ, რადგან არ შეიძლებოდა მიებაძათ ათენელებისა და სპარტელებისათვის ყველა ხალხისთვის წმინდა ჩვეულების ნორმების ამ სამარცხვინო დარღვევაში, რაც ელჩების მოკვლაში გამჟღავნდა (VII, 133).

გვაქვს კიდევ ერთი შემთხვევა, სადაც ჰეროდოტე βάρβαροι-ს გამოჰყოფს ელინებისაგან; ელინები მისი აზრით βάρβαροι-დან დიდი ხანია განცალკევდნენ, მათი წინაპრები იყვნენ პელასგები და სხვა ბარბაროსული ტომები, მაგრამ შემდგომ ელინები განვითარდნენ, მოსაზრებულნი გახდნენ თავის წინაპრებზე და არ ახასიათებდათ მათსავით მიამიტი გულუბრყვილობა (თუმცა ამან ხელი არ შეუშალა პისისტრატეს მომხრეებს მოეტყუებინათ და საკმაოდ მარტივადაც ათენელები). აი, სიტყვა-სიტყვით ეს ადგილი (1,60): „მე მიმაჩნია, რომ უკვე ძველადვე ელინები ბარბაროსი ტომებისაგან განსხვავდებოდნენ როგორც მეტი მოსაზრებულობით, ისე უფრო სრული თავისუფლებით სულელური მიამიტობისაგან“[2]. შესაძლებელია, რომ ამ შემთხვევაში ტერმინი ნახმარია ერთგვარი განსხვავებული ფსიქიკური წყობის მქონე ხალხის აღსანიშნავად, რომელიც ელინების წინაპარი ყოფილა. ჩვენთვის ცხადია, რომ ტერმინი არც ამ შემთხვევაში ატარებს ჰეროდოტეს თვალში რაიმე ოდიოზურ ელფერს. იგი უნდა გულისხმობდეს ელინების მიერ ადრეულ ეპოქაში გამოვლილ განვითარების გარკვეულ სტადიას და ამიტომ ტერმინი ამ ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება აღნიშნავდეს იმ დროის ელინების მიერ უკვე განვლილ და ბუნებრივია, უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხის (ამ შემთხვევაში ბალკანეთის ნახევარკუნძულის ბარბაროსული ტომების) კატეგორიას.

აქვე გვინდა ორიოდე სიტყვით შევეხოთ ჩვენთვის საინტერესო ტერმინის თარგმნის საკითხს. 1885 წელს გამოცემულ „ისტორიის“ რუსულ თარგმანში, რომელიც თ. მიშჩენკოს მიერ არის შესრულებული, ტერმინი დატოვებულია უცვლელად და ყველგან იკითხება варвар; შესაბამისად βαρβαρόφωνος „говорящий на варварском языке“ (VIII, 20). ასევეა უახლეს რუსულ გ. ა. სტრატანოვსკის მიერ შესრულებულ გამოცემაშიც (1972 წ.). ჩვენ ვთვლით, რომ უკეთესი იქნებოდა, ყველა იმ შემთხვევაში. სადაც βάρβαρος მხოლოდ ეროვნული განსხვავების ნიშანს ატარებს და ასეთია იგი თითქმის მუდამ, რუსულად თარგმნილიყო როგორც чужеземец. მხოლოდ ორ შემთხვევაში, სადაც ადგილი აქვს ავტორის მიერვე ტერმინის განმარტებას (II, 158; IX, 11; IX, 55), მიზანშეწონილი იქნებოდა დაგვეტოვებინა βάρβαρος варвар. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა გვაქვს ახალ ინგლისურ თარგმანში[3], სადაც ტერმინი

[2] „ὡς ἐγὼ εὑρίσκω, μακρῷ, ἐπεί γε ἀπεκρίθη ἐκ παλαιτέρου τοῦ βαρβάρου ἔθνεος τὸ Ἑλληνικὸν ἐὸν καὶ δεξιώτερον καὶ εὐηθείης ἠλιθίου ἀπηλλαγμένον μᾶλλον“. ელინთა ეთნიკური კონსოლიდაციის ეპოქაში პელასგების ტომი გაცილებით მაღალი კულტურის მქონე იყო. შემდგომ ელინები, ბუნებრივია განვითარდნენ, მაგრამ პისისტრატეს დროსაც კი რელიგიისა და ზოგ სხვა საკითხშიც მიამიტობას იჩენდნენ.

[3] Herodotus, with an english translation by A. D. Codley, Cambbridge-London, 1946, 1947.

ამ შემთხვევაში კარგი იქნებოდა ისტორიის“ IX, 11-ში და IX, 55-ში βάρβαρος-ის თარგმნისათვის ნახმარი foreigner და ξείνος-თვის ნახმარი stranger, რაც ერთი ტერმინის მეორეთი ახსნის აუცილებლობით იყო გამოწვეული, ა. ღ. გოდლის მთელი ნაშრომის მანძილზე ზუსტად დაეცვა. იხ. A. D. Godley, Herodotus, v. IV, London, 1946, გვ. 171, 227. ფრანგულ თარგმანში βάρβαρος ყველგან დატოვებულია უცვლელად le Barbare ხოლო ტერმინის ავტორისეული განმარტება — ξείνος გადმოცემულია სიტყვით étranger რაც, აგრეთვე, უცხოელს ნიშნავს. იხ. Ph.—E. Legrand, Hérodote, Histoire, I. I-IX, Paris, 1932—1954; I, IX, 11, 55, გვ. 16, 49.

თარგმნილია ინგლისურად ძირითადად როგორც foreigner, იშვიათად — stranger, ხანდახან იგი გადმოცემულია უბრალოდ როგორც არაბერძენი non-Greek ზოგჯერ, როცა βάρβαροι სპარსელებზეა ნათქვამი, ვკითხულობთ Persians. ორიოდეჯერ ტერმინი საერთოდ შეცვლილია ნაცვალსახელით. ერთი უხერხულობა იქმნება ასეთი თარგმანის შემთხვევაში; ჰეროდოტესთან უცხოელის აღსანიშნავად ვხვდებით, აგრეთვე, ტერმინს ξείνος. ინგლისურ თარგმანში უმრავლეს შემთხვევაში ეს ტერმინიც foreigner-ით და stranger-ით ითარგმნება. ამგვარად გამოდის, რომ βάρβαρος და ξείνος ერთი და იმავე სიტყვით ითარგმნება. თუმცა შინაარსობრივად აქ დარღვევა არ არის დაშვებული, მაინც სასურველი იქნებოდა თავიდან აგვეცილებინა ასეთი დამთხვევა და βάρβαρος-ის თარგმნისათვის ნახმარი სიტყვა ξείνος -თვის აღარ გვეხმარა. სავსებით სწორად იქცევა ა. დ. გოდლი, როცა მხოლოდ II, 158-ში სტოვებს სიტყვას βάρβαροι (Barbarians) უცვლელად, რადგან აქ თვით ჰეროდოტე მას განმარტავს, როგორც არაერთენოვან ხალხს იმათთვის, ვინც ამ ტერმინს ხმარობს.

მალხაზ აბდუშელიშვილი

დიღმის სამაროვანზე მოპოვებული პალეოანთროპოლოგიური მასალების შესახებ

(1971—1972 წწ. ექსპედიციები)

საქართველოს თანამედროვე მოსახლეობა, როგორც სომატომეტრული, ისე გენეტიკური პროგრამების მიხედვით, ამჟამად საკმაოდ დეტალურად არის შესწავლილი. ამ მხრივ, საქართველოს რუკა, თითქმის, მთლიანად არის დაფარული გამოკვლევებით. სამწუხაროდ, იგივე არ ითქმის საქართველოს ძველი მოსახლეობის პალეოანთროპოლოგიური რუკის შესახებ. აქ თეთრი ლაქები, ჯერჯერობით, ბრავალგზის სჭარბობენ გამოკვლეულ პერიოდებსა და ტერიტორიებს. ძველი და თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიური შესწავლის დაპირისპირებისას იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული პალეოანთროპოლოგიური მასალების ძიებაში ხელმოცარულმა, ქართველმა ანთროპოლოგებმა თანამედროვე მოსახლეობის შესწავლით სცადეს ძველი მოსახლეობის შესწავლაში არსებული ხარვეზის ამოვსება; სამწუხაროდ, რაც არ უნდა სრულყოფილი იყოს თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიური შესწავლა, მას მაინც არ შეუძლია ძველი მოსახლეობის უშუალო შესწავლის სრული კომპენსაცია. ამიტომ გასაგებია ის მზადყოფნა, რომლითაც შეეგება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ანთროპოლოგიის განყოფილების კოლექტივი, ამავე ინსტიტუტის დიღმის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის ისტ. მეცნ. კანდიდატის რ. აბრამიშვილის წინადადებას, დიღმის ველზე არსებული სამაროვანების გათხრაში მონაწილეობის მიღების შესახებ. დიღმის 1972 წლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელშიც ანთროპოლოგიური ჯგუფიც იღებდა მონაწილეობას[1] ნოემბრის მიწურულში დაასრულა მუშაობა. გათხრების შედეგად ანთროპოლოგების განკარგულებაში აღმოჩნდა ძალზე მცირერიცხოვანი და ფრაგმენტული მასალა, რომელიც არ იძლევა საშუალებას სტატისტიკურად შეფასდეს ამა თუ იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი ანთროპომეტრული პარამეტრები. მაგრამ, რადგანაც დიღომში არქეოლოგიური გათხრები კიდევ გრძელდება, ჩვენ მაინც საჭიროდ მივიჩნიეთ წარმოგვედგინა დღემდე მოპოვებული მასალების თუნდაც წინასწარული მიმოხილვა, რომელიც, ცხადია, ვერ გადასწყვეტს, მაგრამ, ყო-

[1] ანთროპოლოგიურ ჯგუფში შედიოდნენ: მ. გ. აბდუშელიშვილი, ე. ნ. ჯავახიშვილი, ნ. ი. ციუმა და მ. ი. მაჯაგალაძე.

ველ შემთხვევაში, დააყენებს იმ საკითხებს, რომლებზედაც ყურადღება უნდა გამახვილდეს მომავალში.

ჩვენს განკარგულებაში არსებული პალეოანთროპოლოგიური მასალა მოიცავს დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთს: გვიანი ბრინჯაოდან, ადრეფეოდალურ ხანამდე. ცალკეული პერიოდების მიხედვით მასალა არათანაბრად არის განაწილებული, ზოგი პერიოდი მასალაში სრულებით არ არის წარმოდგენილი, ზოგი კი ცალკეულ ეგზემპლარებს ითვლის. საერთოდ მასალა უკიდურესად მცირე და სავსებით არასაკმარისია რაიმე სერიოზული განზოგადებისათვის, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

მოპოვებული ოსტეოლოგიური მასალების ლაბორატორიული რეკონსტრუქციისა, კრანიომეტრული შესწავლისა, სტატისტიკური დამუშავებისა და ანთროპოლოგიური ანალიზის შედეგად, შესაძლებელი გახდა ცალკეული ქრონოლოგიური „სერიის“ მეტ-ნაკლებად სრული ანთროპოლოგიური დახასიათება. ქვემოთ მოგვყავს ამ შედარებით ანთროპოლოგიური დაპირისპირების შედეგად წამოჭრილი ზოგიერთი მოსაზრება; ისინი ცხადია, ვერც ერთ შემთხვევაში ვერ განაცხადებენ დადასტურებული დებულების პრეტენზიას, თუმცა ასეთი რამ არც შეადგენს ჩვენს ამოცანას ამჟამად.

დიღმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებულ კრანიოლოგიურ მასალებში გვიანი ბრინჯაოს ხანის პირველი ეტაპი წარმოდგენილია ერთი ინდივიდუმის თავის ქალას არასრული და ძალზე დაზიანებული ნაშთებით, რომლებიც მოპოვებულ იქნა თრელის უბანზე 1971 წლის 2 ივლისს (სამარხი № 32). ნაშთების შესაძლო რესტავრაციის შემდეგ გამოირკვა, რომ თავის ქალა ეკუთვნოდა 40—50 წლის მამაკაცს. ის ორიოდე ნიშანი, რომელთა გაზომვაც მეტ-ნაკლები სიზუსტით მოხერხდა, საშუალებას იძლევა თავის ქალას ფრაგმენტს მივცეთ შემდეგი დახასიათება (იხ. ცხრილი 1): შუბლის ძვალი საშუალო[2] სიგრძისა და ზომიერად დაბალი, სახის შუა სიგანე მცირე, ალვეოლური რკალი საშუალო სიგრძისა და მცირე სიგანის, სასა საშუალო სიგანისა და საშუალოზე მოკლე, ცხვირი ვიწრო, სახის როგორც ზემო, ისე შუა კუთხე, ძალზე მცირე, ეშვის ფოსო ძალზე ღრმა, წარბზედა არე საშუალოზე მეტად, ხოლო წარბზედა რკალები საშუალოდ გამოხატული, დვრილისებრი მორჩი მკვეთრად განვითარებული, ხოლო ცხვირის წინა წვეტი საშუალოდ გამოხატული.

საქართველოს ტერიტორიიდან ამ პერიოდისათვის თავის ქალები სამთავროს სამაროვანზეა მოპოვებული[3]. ჩვენთვის საინტერესო ნიშნების მიხედვით სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული თავის ქალები ხასიათდებიან: შუბლის საშუალოზე მეტი სიგრძით, სახის მცირე სიგანით, ალვეოლური რკალის მცირე სიგრძითა და სიგანით, სასის საშუალოზე მეტი სიგრძით და საშუალოზე მცირე სიგანით; ცხვირის სიგანე, ისევე როგორც სახის ჰორიზონტალური კუთხე, სამთავროს სერიაშიც მცირეა. როგორც ამ შედარებითი დახასიათებიდან ჩანს, დიღომში მოპოვებული ბრინჯაოს ხანის პირველი ეტაპის მამაკაცის თავის ქალა, რასზე წარმოდგენილ არც ერთ ნიშანში, არ ამჟღავნებს საგრძნობ განსხვავებას სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული მისი თანადროული თავის ქალებისაგან. შეიძლება ეს ზედმეტიც იყოს, მაგრამ მე მაინც მინდა ხაზი გაუსვა იმ გარემოე-

[2] В. П. Алексеев, Г. Ф. Дебец, Краниометрия, Методика антропометрических исследований, М., 1964.

[3] М. Г. Абдушелишвили, К палеоантропологии Самтаврского могильника, Тбилиси, 1954.

ცხრილი 1

გეიანი ბრინჯაოს ხანის 1 ეტაპის (XIV ს. ძვ. წ.) მამაკაცის თაეის ქალას ზომები
დიღმის სამაროეანიდან

ტვინის ქალა

ნიშნები	პარამეტრები	
1	გრძივი დიამეტრი	—
8	განივი დიამეტრი	—
8 : 1	ქალას მაჩვენებელი	—
17	ქალას სიმაღლე ბაზიონ-ბრეგმა	—
$17:\frac{1+8}{2}$	სიმაღლის მაჩვენებელი	—
17:1	სიმაღლე-გრძივი მაჩვენებელი	—
17 : 8	სიმაღლე-განივი მაჩვენებელი	—
20	ქალას სიმაღლე პორიონ-ბრეგმა	—
5	ქალას ფუძის სიგრძე	—
23	ჰორიზონტ. გარშემოწ. გლაბ.	—
24	განივი რკალი პორ.-ბრეგ.-პორ.	—
25	საგიტალური რკალი	—
9	შუბლის უმცირესი სიგანე	—
10	შუბლის უდიდესი სიგანე	—
—	შუბლის ნადრეკის სიმაღლე	—22
26	საგიტ. რკალის შუბლის ნაწ.	127
29	შუბლის ქორდა	111
29 : 26	შუბლის მაჩვენებელი	87.40
32	შუბლის კუთხე ნაზიონ-მეტოპ.	—
—	შუბლის კუთხე გლაბელა-მეტოპ.	—
—	წარბზედა რკალი	4
27	საგიტალ რკალის თხემის ნაწ.	—
30	თხემის ქორდა	—
30 : 27	თხემის მაჩვენებელი	—
12	კეფის სიგანე	—
33(1)	კეფის ზედა ნაწილის კუთხე	—
33(2)	კეფის ქვედა ნაწილის კუთხე	—
33(4)	კეფის ნადრეკის კუთხე	—
34	კეფის ხვრელის კუთხე	—
9 : 8	შუბლ-განივი მაჩვენებელი	—
11	ყურთაშუა სიგანე	—
28	საგიტ. რკალის კეფის ნაწილი	—
31	კეფის ქორდა	—
31 : 28	კეფის მაჩვენებელი	—

სახის ქალა

47	სახის სრული სიმაღლე	—
48	სახის ზედა სიმაღლე	—
48 : 17	ვერტ. კრანიო-ფაციალ. მაჩვ.	—
45	ყვრიმალთაშუა დიამეტრი	—
48 : 45	სახის მაჩვენებელი	—
43	სახის ზედა სიგანე	—
46	სახის შუა სიგანე	89
66	ბიოგონიონური სიგანე	—
—	ბიმალარული ქორდა	103
—	სახის ზედა ჰორიზონტ. კუთხე	135.38
—	ზიგომაქსილური ქორდა	88
—	სახის შუა ჰორიზონტ. კუთხე	110.56
—	ეშვის ფოსოს სიღრმე	1.3
72	სახის საერთო კუთხე	—
73	სახის შუა ნაწილის კუთხე	—
74	სახის ალვეოლ. ნაწ. კუთხე	—
40 : 5	სახის დახრილობის მაჩვენებ.	—

ცხრილი 1 (გაგრძელება.)

40	სახის ფუძის სიგრძე	—
55	ცხვირის სიმაღლე	22
54	ცხვირის სიგანე	—
54 : 55	ცხვირის მაჩვენებელი	—
75	ცხვ. ძვლ. კუთხე ჰორიზონტ.	—
75(.)	ცხვ. ძვლ. კუთხე პროფ. ხაზთან	—
Dc(49a)	დაკრიონული ქორდა	—
Ds	დაკრიონული სიმაღლე	—
Ds:DC	დაკრიონული მაჩვენებელი	—
SC(57)	სიმოტური ქორდა	—
ss	სიმოტური სიმაღლე	—
ss:sc	სიმოტური მაჩვენებელი	—
51	თვალბუდის სიგანე mf-დან	—
51a	თვალბუდის სიგანე d-დან	—
52	თვალბუდის სიმაღლე	—
52:51	თვალბუდის მაჩვენებ. mf-დან	—
52:51 a	თვალბუდის მაჩვენებ. d-დან	—
50	თვალბუდეთაშუა სიგანე	—
60	კბილბუდის რკალის სიგრძე	54
61	კბილბუდის რკალის სიგანე	57
61 : 60	კბილბუდის რკალის მაჩვენებ.	105.55
62	სასის სიგრძე	45
63	სასის სიგანე	37
63 : 62	სასის მაჩვენებელი	82.22
—	ცხვირის წინა წვეტი	3

ბას, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა საერთოდ დიღმისა და სამთავროს აღნიშნული პერიოდის მოსახლეობის იდენტურობაზე, ან თუნდაც მსგავსებაზე, არამედ მხოლოდ შესწავლილ ნიშნებში განსხვავებათა არარსებობაზე. ჩვენ არ ვიცით, როგორ გადაწყდებოდა მსგავსება-განსხვავების საკითხი თრელში მოპოვებულ თაკის ქალაზე სხვა უფრო მაღალი ტაქსონომიური ღირებულების ნიშნებიც რომ ყოფილიყო წარმოდგენილი, ან საერთოდ შეიძლებოდა კი დაგვეყენებინა ეს საკითხი ერთი თავის ქალას შესწავლის საფუძველზე? მიუხედავათ ამისა, ის მცირეოდენი ინფორმაცია, რომელიც მოგვაწოდა ახლად შესწავლილმა მასალამ, საფუძველს გვაძლევს ასე დავაყენოთ საკითხი: ბრინჯაოს ხანის პირველი ეტაპის მცხეთისა და დიღმის მოსახლეობის შორის განსხვავების კონსტატაციისათვის ჩვენ დღესდღეობით არავითარი მონაცემი არ გაგვაჩნია, საწინააღმდეგო დებულების მტკიცებისათვის კი გვაქვს, თუმც არამტკიცე და აბსოლუტურად არასაკმარისი, მაგრამ მაინც გარკვეული საფუძველი.

აქვე მინდა დავძინო, რომ დიღმის ველზე მოპოვებული პალეოანთროპოლოგიური მასალა ყველა პერიოდში ძალზე რიცხვმცირე და ფრაგმენტირებულია და ყველა ცალკეულ შემთხვევაში იმსახურებს ჩვენ მიერ ბრინჯაოს ხანის პირველი ეტაპისათვის თქმულ დამატებით შენიშვნას, მაგრამ ტავტოლოგიის თავიდან აცილების მიზნით ჩვენ ქვემოთ აღარ გავიმეორებ მას, მხოლოდ მკითხველს ვთხოვთ, ყველგან იგულისხმოს ის და ნურსად განაზოგადებს იმას, რაც საკუთრივ ახლად მოპოვებულ მასალას შეეხება ჯერჯერობით.

ზემოთქმულის შემდეგ დროული იქნებოდა კავკასიის დანარჩენი ტერიტორიის სინქრონული მასალისთვისაც გადაგვევლო თვალი, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული, კავკასიური მასალები უმეტესად საერთოდ ბრინჯაოს ხანით არიან დათარიღებულნი, ამიტომ ჩვენ მათ ქვემოთ შევეხებით, როდესაც მიმოვიხილავთ დიღომში მოპოვებულ მომდევნო ხანის მასალას, რომელიც დათარიღებულია: ბრინჯაოს ხანის მეორე ეტაპით, კერძოდ, ძვ. წ. XIII—XII საუკუნეებით და ბრინჯაოდან რკინის წარმოების ფართო ათვისების ხანაზე გარდა-

მავალი პერიოდით, საკუთრივ ძვ. წ. X საუკუნით ე. ი. როდესაც წარმოდგენა შეგვექმნება დიღომში მოპოვებულ პალეოანთროპოლოგიურ მასალაზე ბრინჯაოს ხანაში საერთოდ.

გვიანი ბრინჯაოს მეორე ეტაპი დიღმის მასალებში წარმოდგენილია ოთხი ძალზე ფრაგმენტული და მეტ-ნაკლებად რესტავრირებული თავის ქალით (სამარხები: №№ 34, 41, 31, 7) ისინი ხასიათდებიან (იხ. ცხრილი 2): გრძელი და საშუალო სიგანის თავით, თავის ქალას მაჩვენებელი საშუალოზე დაბალია, ქალას გარშემოწერილობა საშუალოზე მეტი, საგიტალური რკალის სიგრძე საშუალო, შუბლი განიერი, შუბლის ძვლის სიგრძე საშუალოზე მეტი, წარბზედა რკალები მცირედ გამოხატული, თხემის ძვლის სიგრძე დიდი, კეფის ძვლის სიგანე საშუალოზე მეტი. თვით თხემის ძვალი საშუალო სიგრძის, სახის ზედა სიგანე საშუალო, სახის ზემო ჰორიზონტალური კუთხე საშუალო, ეშვის ფოსო ღრმა, ცხვირი საშუალოზე ვიწრო, ხოლო ცხვირის წინა წვეტი საშუალო ზომის.

სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული სინქრონული სერია ჩვენთვის საინტერესო ნიშნების მიხედვით ხასიათდება: თავის დიდი სიგრძით და საშუალოზე

ცხრილი 2

გვიანი ბრინჯაოს ხანის 11 ეტაპის (XIII—XII სს ძვ. წ.) მამაკაცების თავის ქალების საშუალო ზომები დიღმის სამაროვანიდან

ტვინის ქალა

ნიშნები	პარამეტრები	N	M	±m(M)	± σ
1	გრძივი დიამეტრი	3	185.33	1.43	2.48
2	განივი დიამეტრი	3	141.67	0.98	1.70
8 : 1	ქალას მაჩვენებელი	3	76.43	0.35	0.60
17	ქალას სიმაღლე ბაზიონ-ბრეგმა	—	—	—	—
$17:\frac{1+8}{2}$	სიმაღლის მაჩვენებელი	—	—	—	—
17:1	სიმაღლე-გრძივი მაჩვენებელი	—	—	—	—
17:8	სიმაღლე-განივი მაჩვენებელი	—	—	—	—
20	ქალას სიმაღლე პორიონ-ბრეგმა	1	128	—	—
5	ქალას ფუძის სიგრძე	—	—	—	—
23	ჰორიზონტ. გარშემოწ. გლაბელ.	2	532.50	4.50	6.34
24	გახიეი რკალი პორ-ბრეგ-პორ.	1	3-7	—	—
25	საგიტალური რკალი	1	370	—	—
9	შუბლის უმცირესი სიგანე	4	102.50	3.29	6.58
10	შუბლის უდიდესი სიგანე	3	117.00	5.84	10.11
—	შუბლის ნადრეკის სიმაღლე	4	28.00	0.81	1.62
26	საგიტ. რკალის შუბლის ნაწ.	4	129.50	1.55	3.10
29	შუბლის ქორდა	4	110.75	1.43	2.86
29:26	შუბლის მაჩვენებელი	4	85.51	0.34	0.68
32	შუბლის კუთხე ნაზიონ-მეტოპ.	—	—	—	—
—	ძუბლის კუთხე გლაბელა-მეტოპ.	—	—	—	—
—	წარბზედა რკალი	4	2.00		
27	საგიტალ. რკალის თხემის ნაწილი	3	134.67	2.57	4.44
30	თხემის ქორდა	3	119.00	1.53	2.64
30:27	თხემის მაჩვენებელი	3	88.39	0.66	1.14
12	კეფის სიგანე	3	108.67	5.16	8.92
33(1)	კეფის ზედა ნაწილის კუთხე	—	—	—	—
33(2)	კეფის ქვედა ნაწილის კუთხე	—	—	—	—
33(4)	კეფის ნადრეკის კუთხე	—	—	—	—
34	კეფის ხვრელის კუთხე	—	—	—	—
9:8	შუბლ-განივი მაჩვენებელი	4	72.83	2.44	4.87
11	ყურთაშუა სიგანე	1	116	—	—
28	საგიტ. რკალის კეფის ნაწილი	1	115	—	—
31	კეფის ქორდა	1	97	—	—
31:28	კეფის მაჩვენებელი	1	84.34	—	—

ცხრილი 2 (გაგრძელება)

სახის ქალა

ნიშნები	პარამეტრები	N	M	± m(M)	± σ
47	სახის სრული სიმაღლე	—	—	—	—
48	სახის ზედა სიმაღლე	—	—	—	—
48:17	ვერტ. კრანიო-ფაციალ. მაჩვ.	—	—	—	—
45	ყვრიმალთაშუა დიამეტრი	—	—	—	—
48:45	სახის მაჩვენებელი	—	—	—	—
43	სახის ზედა სიგანე	3	104.67	3.47	6.00
46	სახის შუა სიგანე	—	—	—	—
66	ბიგონიონური სიგანე	—	—	—	—
—	ბიმალარული ქორდა	4	101.25	3.05	6.10
—	სახის ზედა ჰორიზ. კუთხე	4	141.54	3.38	6.76
—	ზიგომაქსილური ქორდა	—	—	—	—
—	სახისშუა ჰორიზ. კუთ.	—	—	—	—
—	ეშვის ფოსოს სიღრმე	2	6.15	2.85	4.02
72	სახის საერთო კუთხე	—	—	—	—
73	სახის შუა ნაწ. კუთხე	—	—	—	—
74	სახის ალვეოლ. ნაწ. კუთ.	—	—	—	—
40:5	სახის დახ. ილობის მაჩვენებ.	—	—	—	—
40	სახის ფუძის სიგრძე	—	—	—	—
55	ცხვირის სიმაღლე	—	—	—	—
54	ცხვირის სიგანე	2	24.00	—	—
54:55	ცხვირის მაჩვენებელი	—	—	—	—
75	ცხვ. ძვლ. კუთხე ჰორიზონტ.	—	—	—	—
75(1)	ცხვ. ძვლ. კუთხე პროფ. ხაზთან	—	—	—	—
DC(49ა)	დაკრიონული ქორდა	—	—	—	—
DS	დაკრიონული სიმაღლე	—	—	—	—
DS:DC	დაკრიონული მაჩვენებელი	—	—	—	—
SC(57)	სიმოტური ქორდა	—	—	—	—
SS	სიმოტური სიმაღლე	—	—	—	—
SS:SC	სიმოტური მაჩვენებელი	—	—	—	—
51	თვალბუდის სიგანე mf-დან	—	—	—	—
51ა	თვალბუდის სიგანე d-დან	—	—	—	—
52	თვალბუდის სიმაღლე	—	—	—	—
52:51	თვალბუდის მაჩვ. mf-დან	—	—	—	—
52:51 ა	თვალბუდის მაჩვ. d-დან	—	—	—	—
50	თვალბუდეთაშუა სიგანე	—	—	—	—
60	კბილბუდის რკალის სიგრძე	—	—	—	—
61	კბილბუდის რკალის სიგანე	—	—	—	—
61:60	კბილბუდის რკალის მაჩვ.	—	—	—	—
62	სასის სიგრძე	1	50	—	—
63	სასის სიგანე	—	—	—	—
63:62	სასის მაჩვენებელი	—	—	—	—
—	ცხვირის წინა წვეტი	2	3.00	—	—

მცირე სიგანით, თავის ქალას დაბალი მაჩვენებლით, ქალას საშუალოზე მეტი გარშემოწერილობით, დიდი საგიტალური რკალით, საშუალო სიგანის შუბლით, შუბლის ძვლის საშუალოზე მეტი სიგრძით, თხემის ძვლის დიდი სიგრძით, კეფის ძვლის საშუალო სიგანით, კეფის ძვლის საშუალოზე მეტი სიგრძით, სახის ზემო სიგანის საშუალო სიდიდით, სახის ზემო კუთხის საშუალო სიდიდით და საშუალო სიგანის ცხვირით. როგორც, ვხედავთ, არც ამ შემთხვევაში იპყრობს ყურადღებას განსხვავება რომელიმე ნიშანში; პირიქით, როგორც წინა პერიოდში, აქაც მეტი გვაქვს საფუძველი ვიმსჯელოთ მსგავსებაზე, ვინაიდან ცალკეულ ნიშნებში დადასტურებული განსხვავებანი არსად არ გადიან ნიშნის ნორმალური, ინდივიდუალური ვარიაციების ფარგლებს გარეთ.

ბრინჯაოს ხანის უკანასკნელი პერიოდი, სახელდობრ ბრინჯაოდან რკინის წარმოების ფართო ათვისების ხანაზე გარდამავალი პერიოდი, დიღმის მასალებში წარმოდგენილია ერთი, სხვაზე მეტად ფრაგმენტირებული თავის ქალით [სამარხი № 26 d (45)]. ისიც თრელის მიკრო უბანში იქნა მოპოვებული 1972 წ. მაისში. ნაშთები, როგორც ჩანს, ეკუთვნოდა 30—40 წლის მამაკაცს. ნიშნები რომელთა შესწავლა მოხერხდა ამ თავის ქალაზე, საშუალებას იძლევიან შემდეგი დახასიათება მივცეთ მათ (იხ. ცხრილი 3): ქალას სარქველი გრძელი, შუბლი საშუალოზე ვიწრო, შუბლის ძვალი საშუალო ან საშუალოზე მეტი სიგრძის, თხემის ძვალი გრძელი, ხოლო კეფის ძვალი საშუალოზე მეტი სიგრძის. სამწუხაროდ, სახის ქალაზე ვერ მოხერხდა ვერც ერთი ნიშნის აღება.

ამავე პერიოდის სამთავროს კრანიოლოგიური სერია ხასიათდება, ასევე დიდი გრძივი დიამეტრით, საგიტალური რკალის დიდი ზომით, საშუალოზე ფართო შუბლით, საშუალოზე გრძელი შუბლის ძვლით, გრძელი თხემის ძვლით, საშუალოზე გრძელი კეფის ძვლით. ამ ზოგადი დახასიათებიდანაც ჩანს, რომ სამთავროსა და დიღმის მასალებში შენიშნული განსხვავებანი, თუ კი ასეთები

ცხრილი 3

ბრინჯაოდან რკინის წარმოების ფართო ათვისების ხანაზე გარდამავალი პერიოდის (X ს. ძვ. წ.) მამაკაცის თავის ქალას ზომები დიღმის სამაროვანიდან

ტვინის ქალა

ნიშნები	პარამეტრები	
1	გრძივი დიამეტრი	197
8	განივი დიამეტრი	—
8:1	ქალას მაჩვენებელი	—
17	ქალას სიმაღლე ბაზიონ-ბრეგმა	—
$17\frac{1+8}{2}$	სიმაღლის მაჩვენებელი	—
17:1	სიმაღლე-გრძივი მაჩვენებელი	—
17:8	სიმაღლე-განივი მაჩვენებელი	—
20	ქალას სიმაღლე პორიონ-ბრეგმა	—
5	ქალას ფუძის სიგრძე	—
23	ჰორიზონტ. გარშემოწ. გლაბელ.	—
24	განივი რკალი ჰორ.-ბრეგ.-ჰორ.	—
25	საგიტალური რკალი	407
9	შუბლის უმცირესი სიგანე	—
10	შუბლის უდიდესი სიგანე	115
—	შუბლის ნადრეკის სიმაღლე	27
26	საგიტ. რკალის შუბლის ნაწ.	131
29	შუბლის ქორდა	118
29:26	შუბლის მაჩვენებელი	86.76
32	შუბლის კუთხე ნაზიონ-მეტოპ.	—
—	შუბლის კუთხე გლაბელა-მეტოპ.	—
—	წარბზედა რკალი	4
27	საგიტ. რკალის თხემის ნაწილი	145
30	თხემის ქორდა	127
30:27	თხემის მაჩვენებელი	87.58
12	კეფის სიგანე	—
33(1)	კეფის ზედა ნაწილის კუთხე	—
33(2)	კეფის ქვედა ნაწილის კუთხე	—
33(4)	კეფის ნადრეკის კუთხე	—
34	კეფის ხვრელის კუთხე	—
9:8	შუბლ-განივი მაჩვენებელი	—
11	ყურთაშუა სიგანე	—
28	საგიტ. რკალის კეფის ნაწ.	121
31	კეფის ქორდა	104
31:28	კეფის მაჩვენებელი	85.95

არსებობენ, ატარებენ ინდივიდუალური ვარიაციების და არა ტიპოლოგიური განსხვავების ხასიათს.

კავკასიის გვიანი ბრინჯაოს ხანის მასალებთან, ჩვენ მიერ დიღომში მოპოვებული მონაცემების დაპირისპირებისათვის ზედმეტი არ იქნება თვალი გადავავლოთ, ერთობლივ გვიანი ბრინჯაოს ხანის პირველი და მეორე ეტაპებისა და რკინის წარმოებაზე გარდამავალი ხანის მასალებს, ვინაიდან კავკასიის მონაცემები, როგორც ვთქვით, ძირითადად ასევე ერთობლივ გვიანი ბრინჯაოს ხანით არიან დათარიღებულნი. დიღომში მოპოვებული გვიანი ბრინჯაოს ხანის თავის ქალები საერთოდ, როგორც ჩანს, ხასიათდებიან: თავის დიდი, ან საშუალოზე მეტი გრძივი და საშუალო სიგანის დიამეტრებით, თავის საშუალოზე დაბალი მაჩვენებლით, თავის საშუალოზე მეტი გარშემოწერილობით, საშუალოზე მეტი საგიტალური რკალით, საშუალო, ან საშუალოზე ფართო, შუბლით, საშუალო, ან საშუალოზე გრძელი, შუბლის ძვლით, გრძელი თხემის ძვლით, საშუალო, ან საშუალოზე გრძელი კეფის ძვლით, სახის საშუალო ზემო სიგანით და მცირე შუა სიგანით, სახის მცირე, ან საშუალო, ზემო კუთხით, ვიწრო, ან საშუალოზე ვიწრო, ცხვირით, საშუალო სიგრძისა და ვიწრო ალვეოლარული რკალით, საშუალო სიგრძისა და საშუალოზე ვიწრო სასით. როგორც გვიანი ბრინჯაოს ხანის ცალკეული პერიოდების პალეოანთროპოლოგიური მასალების დახასიათებიდან ჩანდა, ისე საერთო დახასიათებიდანაც ჩანს, რომ ჩვენს განკარგულებაში ამჟამად არ არის, თუნდაც მეორეხარისხოვანი ტაქსონომიური ღირებულების მქონე არცერთი ნიშანი, რომელშიაც თავს იჩენდეს საგრძნობი განსხვავება დიღმისა და სამთავროს სამაროვანზე მოპოვებულ თავის ქალებს შორის. ეს ფაქტი, რომლის უფრო ღრმა გენეტიკური ანალიზისა და განზოგადების უფლებას არ გვაძლევს დღესდღეობით ჩვენს განკარგულებაში არსებული მცირერიცხოვანი მასალა, გვაიძულებს გავიმეოროთ ყოველივე ის, რაც ადრე გვითქვამს სამთავროს პალეოანთროპოლოგიური მასალების შესახებ[4], მაგრამ ცხადია, ამჟამად ოდნავ უფრო მეტი დამაჯერებლობით.

უპირველეს ყოვლისა, ორიოდე სიტყვა კავკასიის რამოდენიმე ახალი სერიის შესახებ, რომლებიც თავის დროზე არ მოხვდნენ ჩვენი ყურადღების ცენტრში: მზედველობაში გვაქვს სომხეთის ტერიტორიაზე მოპოვებული ორი სერია ლჭაშენიდან და არტიკიდან (არტიკი IV)[5] და ერთი სერია მაღალმთიანი დაღესტნის სოფ. გინჩიდან[6]. ჩვენი მასალის სიმცირის გამო, სრულიად შეგნებულად თავს ვიკავებთ სკრუპულოზური ანალიზისაგან და აღვნიშნავთ მხოლოდ პირველადსა და ძირითად მოვლენას: საერთო მსგავსებას ყველა ამ სერიებს შორის. არადამაჯერებელია, მაგრამ მაინც, თავს იჩენენ განსხვავებანი შემდეგ ნიშნებში: არტიკშიაც და ლჭაშენშიაც შეინიშნება თხემის ძვლის სიგრძის საშუალო ზომები, ხოლო სერიაში გინჩიდან კეფის ძვლის მცირე სიგანე, სომხეთის სერიებში ცხვირი საშუალო სიგანისა არის, სასა გრძელი და საშუალო სიგანის. ეს არის ის მცირეოდენი განსხვავებები, რომლებიც შეიძლება შეინიშნოს ჩვენ მიერ შესწავლილ და შესადარებლად აღებულ სერიებს შორის, მაგრამ ამ შემ-

---

[4] М. Г. Абдушелишвили, К краниологии древнего и современного населения Кавказа, Тбилиси, 1966.

[5] Р. А. Бубушян, Антропологические материалы из раскопок археологических памятников советской Армении, Ереванский университет, 12, Ереван, 1972.

[6] А. Г. Гаджиев, Этническая антропология Дагестана, М., 1963.

თხვევაშიაც შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ ეს განსხვავებები აბსოლუტურად მცირე და ტაქსონომიურად დაბალი ღირებულების მქონენი არიან.

ამრიგად, საქართველოს ტერიტორიაზე, დღემდე შესწავლილი გვიანი ბრინჯაოს ხანის პალეოანთროპოლოგიური მასალები საფუძველს გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ ქრონოლოგიურად ერთმანეთისაგან დაშორებული გვიანი ბრინჯაოს ხანის პირველი და მეორე ეტაპებისა და ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი ხანის კრანიოლოგიური სერიები ტიპოლოგიურად, თითქმის, არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ცალკეულ ნიშნებში დადასტურებული სხვაობები სრულიად კანონზომიერად თავსდებიან ნიშნების ბუნებრივი ვარიაციების ფარგლებში და ამიტომ არ ეწინააღმდეგებიან შენიშნული მსგავსების ფაქტს. ბრინჯაოს ხანის სხვა კავკასიურ სერიებთან საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული კრანიოლოგიური მასალების მსგავსება კავკასიის ამ პერიოდის მოსახლეობის შედარებითი ერთგვაროვნების მაჩვენებელი უნდა იყოს. რაც შეეხება კავკასიის, წინა აზიის, ხმელთაშუაზღვისპირეთისა და რიგი დასავლეთ ევროპული სინქრონული კრანიოლოგიური სერიების მსგავსებას, ეს, ჩვენი აზრით, ევროპეოიდული რასის ან, უფრო სწორედ, ევროპეოიდული რასის ინდო-ხმელთაშუაზღვისპირული შტოს ადრეული ფორმების ნაკლები დიფერენცირებულობის მაჩვენებელია, რაზედაც ჩვენ არაერთხელ შეგვიჩერებია ყურადღება[7].

რკინის წარმოების ფართო ათვისების ხანა დიღმის მასალებში წარმოდგენილია ორი, ძალზე დაზიანებული, თავის ქალით. ერთი მათგანი მოპოვებულია დიღმის სამაროვანის IV სექტორში, 1971 წლის 27 ივნისს (სამარხი № 24). იგი, როგორც ჩანს, ეკუთვნოდა 25—35 წლის მამაკაცს. ანაზომების მიხედვით ეს თავის ქალა ხასიათდება (იხ. ცხრილი 4): შუბლის საშუალოზე მეტი სიგანით, საშუალო სიგრძის შუბლის ძვლით, საშუალოზე მეტი სახის ზემო სიგანით, ღრმა ეშვის ფოსოთი და ძალზე მცირე სახის ზემო ჰორიზონტალური კუთხით. მეორე თავის ქალა მოპოვებულია თრელში 1972 წლის 8 მაისს (სამარხი დასაკრძალი დარბაზით). ის, როგორც ჩანს, ეკუთვნოდა საკმაოდ ხანში შესულ მამაკაცს. შესწავლილი ნიშნების მიხედვით თავის ქალა ხასიათდება (იხ. ცხრილი 4): თავის საშუალოზე მცირე სიგანით, ფართო შუბლით, საშუალო სიგრძის კეფის ძვლით, გრძელი თხემის ძვლით, საშუალოზე მეტი სახის ზემო სიგანით და ძალზე მცირე სახის ზემო ჰორიზონტალური კუთხით.

საქართველოს დანარჩენი ტერიტორიიდან რკინის წარმოების ფართო ათვისების ხანა ჯერჯერობით მხოლოდ იმავე სამთავროს სამაროვანიდან არის წარმოდგენილი. ზემოხსენებული ნიშნების მიხედვით სამთავროს ეს სერია ხასიათდება: თავის მცირე განივი დიამეტრით, საშუალოზე ფართო შუბლით, საშუალოზე გრძელი კეფის ძვლით, გრძელი თხემის ძვლით, სახის საშუალო ზემო სიგანით და ძალზე მცირე სახის ზემო ჰორიზონტალური კუთხით. როგორც ჩანს, არც ამ შემთხვევაში გვაქვს ისეთი ნიშანი, რომელიც საფუძველს იძლეოდეს ვიმსჯელოთ სამთავროსა და დიღმის მასალებს შორის არსებულ განსხვავებაზე. პირიქით, აქაც მსგავსება უფრო იქცევს ყურადღებას. ეს მსგავსება ხაზგასასმელია, ვინაიდან მასალების ინდივიდუალური შეფასებისას, ცალკეულ

---

[7] М. Г. Абдушелишвили, О совместных советско-индийских антропологических исследованиях в 1971 году—«Советская этнография», 4. М., 1972; M. G. Abdushelishvili, Anthropological composition of the Peoples of the Caucasus, Journal of the Indian Anthropological society, vol 2, № 2, Calcutta, 1967.

ცხრილი 4

რკინის წარმოების ფართო ათვისების (IX—VII სს ძვ. წ.) ხანის მამაკაცის თავის ქალას ზომები დიღმის სამაროვანიდან

ტვინის ქალა

ნიშნები	პარამეტრები		
1	გრძივი დიამეტრი	—	—
8	განივი დიამეტრი	—	137
8:1	ქალას მაჩვენებელი	—	—
17	ქალას სიმაღლე ბაზიონ-ბრეგმა	—	—
$17:\frac{1+8}{2}$	სიმაღლის მაჩვენებელი	—	—
17:1	სიმაღლე-გრძივი მაჩვენებელი	—	—
17:8	სიმაღლე-განივი მაჩვენებელი	—	—
20	ქალას სიმაღლე პორიონ-ბრეგმა	—	—
5	ქალას ფუძის სიგრძე	—	—
23	ჰორიზონტ. გარშემოწ. გლაბ.	—	—
24	განივი რკალი პორ.-ბრეგ.-პორ.	—	—
25	საგიტალური რკალი	—	—
9	შუბლის უმცირესი სიგანე	101	104
10	შუბლის უდიდესი სიგანე	—	115
—	შუბლის ნადრეკის სიმაღლე	26.50	27
26	საგიტ. რკალის შუბლის ნაწ.	131	130
29	შუბლის ქორდა	117	114
29:26	შუბლის მაჩვენებელი	89.31	87.69
32	შუბლის კუთხე ნაზიონ-მეტოპ.	—	—
—	შუბლის კუთხე გლაბელა-მეტოპ.	—	—
—	წარბზედა რკალი	3	3
27	საგიტალ. რკალის თხემის ნაწ.	—	142
30	თხემის ქორდა	—	126
30:27	თხემის მაჩვენებელი	—	88.73
12	კეფის სიგანე	—	—
33(1)	კეფის ზედა ნაწილის კუთხე	—	—
33 (2)	კეფის ქვედა ნაწილის კუთხე	—	—
33(4)	კეფის ნადრეკის კუთხე	—	—
34	კეფის ხვრელის კუთხე	—	—
9:8	შუბლ-განივი მაჩვენებელი	—	—
11	ყურთაშუა სიგანე	—	—
28	საგიტ. რკალის კეფის ნაწ.	—	—
31	კეფის ქორდა	—	—
31:28	კეფის მაჩვენებელი	—	—

სახის ქალა

47	სახის სრული სიმაღლე	—	—
48	სახის ზედა სიმაღლე	—	—
48:17	ვერტ. კრანიო-ფაციალ. მაჩვენებ.	—	—
45	ყვრიმალთაშუა დიამეტრი	—	—
48:45	სახის მაჩვენებელი	—	—
43	სახის ზედა სიგანე	109	110
46	სახის შუა სიგანე	—	—
66	ბიგონიონური სიგანე	—	—
—	ბიმალარული ქორდა	105	105
—	სახის ზედა ჰორიზონტ. კუთხე	135.26	134.24
—	ზიგომაქსილური ქორდა	—	—
—	სახის შუა ჰორიზონტ. კუთხე	—	—
—	ეშვის ფოსოს სიღრმე	11	—
72	სახის საერთო კუთხე	—	—
73	სახის შუა ნაწილის კუთხე	—	—
74	სახის ალვეოლ. ნაწ. კუთხე	—	—
40:5	სახის დახრილობის მაჩვენებელი	—	—

ცხრილი 4 (გაგრძელება)

40	სახის ფუძის სიგრძე	—	—
55	ცხვირის სიმაღლე	—	—
54	ცხვირის სიგანე	—	—
54:55	ცხვირის მაჩვენებელი	—	—
75	ცხვ. ძვლ. კუთხე ჰორიზონტ.	—	—
75 (1)	ცხვ. ძვლ. კუთხე პროფილ. ხაზთან	—	—
DC(49ა)	დაკრიონული ქორდა	—	—
Ds	დაკრიონული სიმაღლე	—	—
Ds:DC	დაკრიონული მაჩვენებელი	—	—
sc (57)	სიმოტური ქორდა	—	—
ss	სიმოტური სიმაღლე	—	—
ss:sc	სიმოტური მაჩვენებელი	—	—
51	თვალბუდის სიგანე mf-დან	—	—
51ა	თვალბუდის სიგანე d-დან	—	—
52	თვალბუდის სიმაღლე	—	—
52:51	თვალბუდის მაჩვენებელი mf-დან	—	—
52:51 ა	თვალბუდის მაჩვენებელი d-დან	—	—
50	თვალბუდეთაშუა სიგანე	—	—
60	კბილბუდის რკალის სიგრძე	—	—
61	კბილბუდის რკალის სიგანე	—	—
61:60	კბილბუდის რკალის მაჩვენებელი	—	—
62	სასის სიგრძე	—	—
63	სასის სიგანე	—	—
63:62	სასის მაჩვენებელი	—	—
—	ცხვირის წინა წვეტი	—	—

ნიშნებში განსხვავებები საკმაოდ კანონზომიერად იჩენენ ხოლმე თავს. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება უამრავი მაგალითის მოტანა. დავკმაყოფილდეთ ერთით: ქართველების სხეულის სიგრძე საშუალოდ 167 სმ-ია[8], მაღალტანიანი ესტონელებისა — 172 სმ-ი[9], მაგრამ ქართველებში 172 სმ. და მეტიც სხეულის სიგრძე მოსახლეობის $^1/_5$ მეტს აქვს; ვფიქრობთ, ეს მაგალითიც კმარა იმის ნათელსაყოფად, რომ იქ სადაც საშუალო სიდიდეებს შორის განსხვავება 5 სმ-ს არ აღემატება, თვით შესადარებელ ჯგუფს შიგნით ცალკეულ ერთეულებს შორის არსებული ინდივიდუალური განსხვავებები შეიძლება სამ ან ოთხ ათეულ სმ-საც აღემატებოდნენ. ჩვენი მსჯელობა დიღმის კრანიოლოგიურ მასალებზე ყველგან ინდივიდუალურ მონაცემებს ეყრდნობა, სწორედ ამიტომ ჩვენ ყველგან ინდივიდუალური ვარიაციებით პირობადებულ განსხვავებებს ველით, მაგრამ როდესაც მოსალოდნელის ნაცვლად მონაცემების, თითქმის, კანონზომიერ სიახლოვეს ვხედავთ, ეს ერთგვარად ადუნებს მასალის სიმცირით გამოწვეულ საფუძვლიან სიფრთხილეს და ხშირად მსგავსების კონსტატაციას ვახდენთ იქ, სადაც სხვა დროს ასეთი განზოგადებისაგან, უსათუოდ, შევიკავებდით თავს. ასეა თუ ისე, დასკვნა აქაც ისეთივე შეიძლება გაკეთდეს, როგორც გვიანი ბრინჯაოს ხანის მასალების მიმოხილვისას: საქართველოს ტერიტორიაზე, სამთავროსა და დიღმის სამაროვანებზე მოპოვებული პალეოანთროპოლოგიური მასალები, რომლებიც რკინის წარმოების ფართო ათვისების ხანას ეკუთვნიან არ იძლევიან მოსახლეობის ტიპოლოგიურ დიფერენციაციაზე მსჯელობის საფუძველს, ხოლო ანთროპოლოგიური ტიპის ერთიანობაზე, ან ყოველ შემთხვევაში, მსგავსებაზე მსჯელობისათვის, გვაქვს თუმც არასაკმარისი, მაგრამ მაინც გარკვეული საფუძველი. და კიდევ ერთი ასევე ჰიპოთეზური დასკვ-

[8] **М. Г. Абдушелишвили, Антропология древнего и современного населения Кавказа, Тбилиси, 1964.**

[9] **Ю. Аулъ, Антропология эстонцев, Тарту, 1964.**

ნის გამოტანა შეიძლება აქვე: როგორც სამთავროს სერიის, ისე დიღმის მასალების შესწავლა ჯერჯერობით არ გვაძლევს საფუძველს შევნიშნოთ რაიმე ახალი, ძირითადი მასისაგან განსხვავებული, ელემენტის გამოჩენა გვიანი ბრინჯაოსა და რკინის წარმოების ფართო ათვისების საკმაოდ დიდ მონაკვეთში. მთელი ამ ხნის განმავლობაში ძირითადად, ერთ დოლიქოკრანულ, ლეპტოპროზოპულ, ლეპტორინულ და საკმაოდ გრაცილურ კრანიოლოგიურ ტიპთანა გვაქვს საქმე, რომლის ქრონოლოგიურად უკიდურესად დაშორებულ ელემენტებს შორის განსხვავება სავსებით თავსდება საბჭოთა ევროპეოიდული რასის, ჩვენ მიერ ადრე აღნიშნული, ანთროპოლოგიური ნიშნების შინაგანი, ეპოქალური ტრანსფორმაციის ფარგლებში[10].

დანარჩენი კავკასიური სერიებიდან ჩვენს მასალებთან დასაპირისპირებლად გამოსადეგი სერიებიდან შერჩეულია: ორი სერია სომხეთიდან — ბაიაზეთისა[11] და სევანის[12] მიდამოებიდან, ერთი სერია მინგეჩაურიდან[13] და ერთი სერია ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიიდან (ზემო რუთხა)[14]. ჩვენ მხოლოდ განმასხვავებელ ნიშნებზე შევაჩერებთ ყურადღებას: ჩრდილოეთ ოსეთის სერიასა და ბაიაზეთის სერიაში შუბლი საშუალო სიგანისა არის, თხემის ძვალი სომხეთის სერიებში შედარებით მოკლეა, ხოლო სახის ზემო კუთხე მინგეჩაურის სერიაში საშუალოზე მცირეა, მაშინ როდესაც კავკასიის დანარჩენ სერიებში ძალიან მცირეა. ამჟამად ძნელია იმის მტკიცება, რომ ზემოხსენებულ ნიშნებში უკვე თავს იჩენს კავკასიის თანამედროვე ანთროპოლოგიურ ტიპებს შორის დღეს არსებული დიფერენციაცია, მაგრამ მაინც ძნელია თავი შევიკავოთ და არ შევნიშნოთ, რომ სომხეთის თანამედროვე მოსახლეობა საქართველოს თანამედროვე მოსახლეობისაგან თავის გრძივი დიამეტრის მცირე ზომებით განსხვავდება[15], ხოლო როგორც ცნობილია, თხემის ძვლის სიგრძე თავის გრძივ დიამეტრთან უდავო კორელაციაში იმყოფება. მეორე მხრივ, აზერბაიჯანის თანამედროვე მოსახლეობაში წარმოდგენილი კასპიური ტიპი საქართველოს თანამედროვე მოსახლეობის ძირითადი ანთროპოლოგიური ტიპისაგან, სახის ნაკლები პროფილირებით განსხვავდება[16]. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება თითქოს რკინის წარმოების ფართო ათვისების ხანაში შენიშნული განსხვავებანი ამ დიფერენციაციის დასაწყისია, მაგრამ ეს ჯერჯერობით მხოლოდ ჰიპოთეზური მოსაზრებაა, რომლის დასაბუთებულ დებულებად ჩამოყალიბებას შეუდარებლად მეტი მასალა სჭირდება, ვიდრე ის, რაც ჩვენ სადღეისოდ გაგვაჩნია. ყოველ შემთხვევაში, ახალ პალეოანთროპოლოგიურ მასალებზე, სომ-

---

[10] М. Г. Абдушелишвили, Об эпохальной изменчивости антропологических признаков, «Институт этнографии», краткие сообщения, XXXIII, М., 1960.

[11] Р. Г. Бубушян, დასახ. ნაშრომი.

[12] В. В. Бунак, Черепа железного века из Севанского р-на Армении, РАЖ, т. 17, вып. 34, 1929.

[13] Р. М. Касимова, Антропологическое исследование черепов из Мингечаура Баку, 1960.

[14] Г. Ф. Дебец, Палеоантропология СССР, М., 1948.

[15] М. Г. Абдушелишвили, Об антропологическом составе современного населения Армении, Труды ИЭМ, т. XI, Тб., 1963.

[16] М. Г. Абдушелишвили, Антропология древнего и современного населения Грузии, Тбилиси, 1964.

ხეთისა, აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიებიდან, ყურადღება უნდა მიექცეს ამ მოვლენას და თუ ის დადასტურდა, ჩვენს განკარგულებაში აღმოჩნდება წინააზიური და ინდო-პამირული რასების დიფერენციაციის მეტად მნიშვნელოვანი თარიღი.

უფრო შორეული პარალელების ძიებისაგან, ჩვენ ამჟამად, თავს ვიკავებთ, ვინაიდან, როგორც უკვე იყო აღნიშნული ძველი (მხედველობაში გვაქვს სამთავროს) და ახალი (დიღმის) მასალები, არც აღნიშნულ პერიოდში იძლევიან დიფერენციაციის სურათს, ამიტომ ყოველივე, ის რაც ჩვენ მიერ ადრე თქმულა საქართველოს რკინის წარმოების ფართო ათვისების ხანის მოსახლეობის ადგილის შესახებ თანადროული ანთროპოლოგიური ტიპების სისტემატიკაში, შეეხება ჩვენ მიერ ახლად მოპოვებულ მონაცემებსაც.

დაბოლოს დიღმის სამაროვანზე მოპოვებული ყველაზე უფრო გვიანი პერიოდის ადრეფეოდალური ხანის (IV—VI სს. ჩვ. წ.) პალეოანთროპოლოგიური მასალების შესახებ. ამ პერიოდისათვის ჩვენს განკარგულებაში აღმოჩნდა ოთხი მამაკაცისა (სამარხი № 3, 6, 1) და სამი დედაკაცის [სამარხი № 3, 6 (1)] თავის ქალა. მასალები ძირითადად დიღმის ველის მიკროუბან თელოვანიდან არიან წარმოდგენილი. მამაკაცების თავის ქალებისათვის, განსაკუთრებით, დამახასიათებელია (იხ. ცხრილი 5): თავის საშუალოზე მეტი გრძივი და ძალზე მცირე განივი დიამეტრები, რის გამოც თავის მაჩვენებელი ძალზე დაბალია, ქალასარქველი ძალზე მაღალია, საშუალოზე გრძელია შუბლის ქორდა, თვით შუბლი დაქანებული, თხემის ძვალი საშუალოზე გრძელი, კეფის ძვალი საშუალოზე განიერი, ყვრიმალთაშუა დიამეტრი საშუალოზე მცირე, სახის ზემო ჰორიზონტალური კუთხე საშუალოზე მცირე, ქვემო ჰორიზონტალური კუთხე ძალზე მცირე, სახე ვერტიკალური, ცხვირი საშუალო სიმაღლისა და სიგანის და სხვ. ამავე პერიოდის დედაკაცების სერია ხასიათდება (იხ. ცხრილი 5): საშუალოზე დაბალი თავის მაჩვენებლით, მაღალი ქალასარქველით, საშუალოზე ფართო, ოდნავ დაქანებული შუბლით, საშუალოზე გრძელი თხემის ძვლით, სახის საშუალოზე მცირე სიგანით, სახის საშუალო ზემო და ძალზე მცირე ქვემო კუთხით, ვერტიკალური სახით, საშუალოზე დაბალი და საშუალოზე ვიწრო ცხვირითა და სხვ.

იმდენად, რამდენადაც დიღმის ადრეფეოდალური ხანის თავის ქალები, მართალია, ძალზე მცირერიცხოვან, მაგრამ მაინც მამაკაცებისა და დედაკაცების „სერიებს“ ქმნიან, მათ შეიძლება უფრო სერიოზული მოთხოვნები წაუყენოს მკვლევარმა, ვიდრე დიღმის ველზე მოპოვებულ დანარჩენ მასალებს. უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს როგორია დიღმის სამაროვანზე მოპოვებულ წინამორბედ სერიებსა და ადრეფეოდალური ხანის სერიებს შორის ანთროპოლოგიური ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. განსხვავება თავის ქალების ამ ორ ჯგუფს შორის ძალზე მცირეა, მაგრამ განსხვავება ზოგიერთ ნიშანში მაინც იმსახურებს აღნიშვნას, მაგალითად: ქრონოლოგიურად გვიანი პერიოდის თავის ქალები ადრეულისაგან უფრო მოკლე გრძივი და უფრო ვიწრო განივი დიამეტრებით განირჩევიან. ქალას მცირე სიგანე, ადრეფეოდალური ხანის თავის ქალებისათვის, ინდივიდუალური გადახრის მაჩვენებელი უნდა იყოს, ვინაიდან ეს ნიშანი აღნიშნულ თავის ქალებს ასხვავებს არა მარტო წინამორბედი თავის ქალებისაგან, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე მოპოვებული ყველა წინამორბედი და მომდევნო სერიებისგანაც. რაც შეეხება გრძივი დიამეტრის

ცხრილი 5.

ადრე ფეოდალური ხანის (IV—VI სს ჩვ. წ.) თაეის ქალების საშუალო ზომები დიმის სამაროვანიდან

ტეინის ქალა

ნიშნები	პარამეტრები	მამაკაცების N	M	±m(M)	±σ	დედაკაცების N	M	∓m(M)	∓σ
1	გრძივი დიამეტრი	3	186.00	6.06	10.49	3	182.67	2.54	4.40
8	ვანივი დიამეტრი	3	132.00	5.56	9.61	3	139,33	2.09	3.62
8:1	ქალას მაჩვენებელი	3	70.94	1.38	2.39	3	76.40	1.51	2.62
17	ქალას სიმაღლე ბაზიონ-ბრეკმა	3	134.67	2.39	4.14	2	130.00	2.00	2.82
$17\frac{1+8}{2}$	სიმაღლის მაჩვენებელი	2	88.85	4.74	6.69	2	80.87	0.39	0.55
17 : 1	სიმაღლე-გრძივი მაჩვენებელი	2	75.97	3.00	4.23	2	70.66	0.45	0.63
17 : 8	სიმაღლე-განივი მაჩვენებელი	2	107.06	7.81	10.01	2	94.55	0.26	0.37
20	ქალას სიმაღლე პორიონ-ბრეკმა	3	127.67	1.44	2.50	3	124.00	2.65	4.56
5	ქალას ფუძის სიგრძე	3	101.67	0.66	1.14	2	100.50	—	—
23	ჰორიზონტ. გარშემოწ. გლაბელაზე	2	514.00	9.00	12.69	3	523,33	5.35	10.98
24	განივი რკალი პორ.—ბრეგ.-პორ.	2	297.50	1.50	3.17	3	306.00	5.64	11.49
25	საგიტალური რკალი	2	374.00	4.00	5.64	2	373.00	17.00	23.97
9	შუბლის უმცირესი სიგანე	3	98.00	0.58	1.00	3	95.33	1.75	3.03
10	შუბლის უდიდესი სიგანე	2	111.00	—	—	3	116.00	2.88	4.98
—	შუბლის ნადრეკის სიმაღლე	4	22.10	1.60	3.20				
26	საგიტ. რკალის შუბლის ნაწ.	4	125.25	3.08	6.16	3	124.33	4·73	8.19
29	შუბლის ქორდა	4	113.25	2.49	24.98	3	107.33	3.57	6.17
29:26	შუბლის მაჩვენებელი	4	90.42	0.46	0.91	3	86.43	2.43	4.21
32	შუბლის კუთხე ნაზიონ-მეტოპ.	2	70.50	0.50	0.70	2	82.50	3.50	4.94
—	შუბლის კუთხე გლაბელა-მეტოპ.	2	63.50	1.50	2.12	2	76.50	5.50	7.76
—	წარბზედა რკალი	3	3.25	—	—	2	2.33	—	—
27	საგიტალური რკალის თხემის ნაწ.	3	132.00	3.50	6.06	3	132.67	3·23	22.89
30	თხემის ქორდა	3	115.33	1.35	2.33	3	114.00	9.82	16.99
30:27	თხემის მაჩვენებელი	3	88.55	2.16	3.73	3	85.04	2.93	5.07
12	კეფის სიგანე	2	111.00	—	—	3	110.67	4.61	7.98
33 (1)	კეფის ზედა ნაწილის კუთხე	1	94	—	—	2	104.50	13.50	19.04
33 (2)	კეფის ქვედა ნაწილის კუთხე	1	29	—	—	2	20.00	12.00	16.92
33 (4)	კეფის ნადრეკის კუთხე	1	123	—	—	2	124.50	1.50	2.12
34	კეფის ხერელის კუთხე	1	5	—	—	2	-12.50	0.50	0.70
9:8	შუბლ-განივი მაჩვენებელი	2	76.57	5.25	7.40	3	68.41	1.22	2.11
11	ყურთაშუა სიგანე	2	123.00	1.00	1.41	3	123.33	1.46	2.07
28	საგიტ. რკალის კეფის ნაწილი	2	124.00	6.00	8.46	2	117.50	2.50	3.52
31	კეფის ქორდა	2	101.50	0.50	0.70	2	95.50	2.50	3.52
31:28	კეფის მაჩვენებელი	2	82.02	3.57	5.04	2	81·26	0.40	0.56

სახის ქალა

ნიშნები	პარამეტრები	მამაკაცების N	M	±m(M)	±σ	დედაკაცების N	M	±m(M)	±σ
47	სახის სრული სიმაღლე	2	118.00	2.00	2.82	—	—	—	—
48	სახის ზედა სიმაღლე	2	71.50	2.50	3.52	2	69.00	4.00	5.64
48:17	ვერტ. კრანიო-ფაციალ. მაჩვენ.	2	53.28	3.64	5.13	2	54.28	1.02	1.44
45	ყვრიმალთაშუა დიამეტრი	2	127.50	2.50	3.52	—	—	—	—
48:45	სახის მაჩვენებელი	2	56.06	0.87	1.22	—	—	—	—
43	სახის ზედა სიგანე	3	105.67	1.20	2.07	2	100.00	3.00	4.23
46	სახის შუა სიგანე	2	92.50	3.50	4.94	—	—	—	—
66	ბიგონიონური სიგანე	2	95.00	1.46	2.06	—	—	—	—

ცხრილი 5 (დაგრძელება)

—	ბიმალალური ქორდა	3	98.67	0.64	1.10	3	94.83	1.10	1.91
—	სახის ზედა ჰორიზონტ. კუთხე	3	138.18	1.54	2.66	3	142.12	1.50	1.99
—	ზიგომაქსილური ქორდა	2	93.00	3.00	4.23	1	90	—	—
—	სახის შუა ჰორიზონტალური კუთხე	2	119.46	15.75	22.20	1	122.52	—	—
—	ეშვის ფოსოს სიღრმე	2	3.80	0.50	0.70	2	4.60	2.60	3.67
72	სახის საერთო კუთხე	2	87.00	3.00	4.23	2	88.00	—	—
73	სახის შუა ნაწილის კუთხე	2	87.50	3.50	4.94	2	89.00	1.00	1.41
74	სახის ალვეოლური ნაწ. კუთ.	2	89.00	5.00	7.05	2	87.50	0.50	0.70
40:5	სახის დარილობის მაჩვენებელი	2	92.58	2.48	3.49	2	92.53	0.54	0.76
40	სახის ფუძის სიგრძე	2	93.50	2.50	3.52	2	93.00	1.00	1.41
55	ცხვირის სიმაღლე	2	52.00	—	—	2	49.00	1.00	1.41
54	ცხვირის სიგანე	2	24.50	0.50	0.70	2	23.50	3.50	4.94
54:55	ცხვირის მაჩვენებელი	2	47.11	0.96	1.36	2	47.82	6.20	8.74
75	ცხვ. ძვლ. კუთხე ჰორიზონტალთან	1	53	—	—	2	60.50	3.50	4.94
75 (1)	ცხვ. ძვლ. კუთხე პროფ. ხაზთან	1	31	—	—	2	27.00	3.00	4.23
DC(49a)	დაკრიონული ქორდა	1	21	—	—	2	18.00	1.00	1.41
DS	დაკრიონული სიმაღლე	1	12	—	—	2	10.40	0.60	0.85
DS.DC	დაკრიონული მაჩვენებელი	1	57.14	—	—	2	57.76	0.10	0.14
sc(57)	სიმოტური ქორდა	1	8	—	—	2	10.65	1.85	2.61
ss	სიმოტური სიმაღლე	1	4	—	—	2	6.30	0.30	0.42
ss:sc	სიმოტური მაჩვენებელი	1	50.00	—	—	2	61.50	13.50	19.03
51	თვალბუდის სიგანე mf-დან	2	41.00	—	—	2	41.50	0.50	0.70
51a	თვალბუდის სიგანე d-დან	2	38.50	0.50	0.70	2	39.00	—	—
52	თვალბუდის სიმაღლე	2	34.00	1.00	1.41	2	33.51	1.50	2.12
52:51	თვალბუდის მაჩვენებ. mf-დან	2	82.92	2.44	3.44	2	80.77	4.59	6.47
52:51a	თვალბუდის მაჩვენებ. d-დან	2	88.35	3.75	5.29	2	85.39	4.35	6.13
50	თვალბუდეთაშუა სიგანე	2	19.00	2.00	2.82	1	18	—	—
60	კბილბუდის რკალის სიგრძე	3	53.00	1.27	2.20	2	51.00	—	—
61	კბილბუდის რკალის სიგანე	3	61.33	0.80	1.39	2	58.00	3.00	4.23
61:60	კბილბუდის რკალის მაჩვენებ.	3	115.98	4.34	7.50	2	113.72	5.89	8.30
62	სასის სიგრძე	3	42,67	2.14	3.71	2	42.50	0.50	0.70
63	სასის სიგანე	3	40.67	0.55	0.96	2	38.00	—	—
63:62	სასის მაჩვენებელი	3	95.84	5.39	9.32	2	89.42	1.05	1.48
—	ცხვირის წინა წვეტი	2	3.50	—	—	1	3	—	—

შედარებით მცირე ზომას, აქ თავს უნდა იჩენდეს საქართველოს მოსახლეობისათვის დამახასიათებელი ეპოქალური ბრაქიკეფალიზაციის ცნობილი პროცესი[17]. ამავე ტრანსფორმაციის მაჩვენებელი უნდა იყოს თხემის ძვლის — შედარებით მცირე სიგრძე. მცირეოდენი განსხვავება ეშვის ფოსოს სიღრმესა და ცხვირის სიგანეს შორის, აგრეთვე, ბუნებრივად ექცევა საქართველოს პალეოანთროპოლოგიური ტიპების ეპოქალური ტრანსფორმაციის კალაპოტში. ამრიგად, ახლად მოპოვებული მასალები სრულიად კანონზომიერად თავსდებიან საქართველოს კრანიოლოგიური ტიპების სისტემატიკაში[18], რაც თავის მხრივ გამორიცხავს რაიმე ახალი ელემენტების გამოჩენას საკვლევ პერიოდში;

საკვლევი არეალის გაფართოების მიზნით ჩვენ დღეს უკვე საშუალება გვაქვს ერთმანეთს დაუპირისპიროთ ადრეფეოდალური ხანის დიღმისა და სამთავროს პალეოანთროპოლოგიური მასალები. მსგავსება სრულიად თვალსაჩინოა, ამიტომ მე მხოლოდ იმ ნიშნებს მივაქცევ ყურადღებას, რომლებშიაც, თუმც უმნიშვნელო, მაგრამ მაინც შეინიშნება გარკვეული განსხვავებანი: დიღმის სერიაში ქალას განივი დიამეტრი უფრო მცირეა, რის გამო მაჩვენებელი უფრო

[17] М. Г. Абдушелишвили, Об эпохальной изменчивости антропологических признаков.

[18] M. G. Abdoushelishvili, Craniology of the Caucasus, PMP, Russian Translation Series, Vol. I, no 2, Cambridge, 1960.

დაბალია, საგიტალური რკალი უფრო მოკლე, სახის შუა სიგანე უფრო ვიწრო, ხოლო სახა უფრო მოკლე. ქალას სიგანისა და თავის მაჩვენებლის მცირე სიდიდეების შესახებ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ისინი ამ სერიისათვის ინდივიდუალური გადახრის შთაბეჭდილებას ახდენენ, რაც შეეხება განსხვავებებს სხვა ნიშნებში, ისინი შეიძლება ლოკალური ნაირსახეობის მაჩვენებლებიც იყვნენ, მაგრამ უფრო სარწმუნოა ვიფიქროთ, რომ ეს განსხვავებები ერთი პოპულაციის ნებისმიერად შერჩეული ინდივიდუმების საშუალო განსხვავებებია და სხვა არაფერი. ამ შემთხვევაშიც მსგავსება გაცილებით უფრო დამაჯერებელია ვიდრე განსხვავება. ამრიგად, ახალი მასალების შესწავლამ გაზარდა მსგავსი ანთროპოლოგიური ტიპების არეალი, არა მარტო დროში, არამედ სივრცეშიც; ეს უკვე გარკვეულ საფუძველს გვიქმნის დავუშვათ მცხეთისა და დიღმის ველის უძველესი მოსახლეობის უშუალო გენეტიკური ურთიერთდამოკიდებულება გვიანი ბრინჯაოდან ადრეფეოდალურ ხანამდე.

საქართველოს დანარჩენი, და მით უმეტეს კავკასიის, ტერიტორიიდან ჩვენი წ. ა. 1 ათასწლეულით დათარიღებული მასალების მიმოხილვას დიღმის ველზე მოპოვებულ ადრეფეოდალური ხანის სერიასთან მათი დაპირისპირების მიზნით, ამჟამად, ალბათ, დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან, როგორც ვნახეთ, დიღმისა და სამთავროს სინქრონულ სერიებს შორის განსხვავება ძალზე უმნიშვნელოა, ამიტომ ასეთი მიმოხილვა მასალების შემდგომი დაგროვების მერე უფრო მიზანშეწონილი იქნება. ამჟამად კი, უმჯობესია ყოველივე ზემოთქმულს თავი მოუყაროთ რეზიუმეს სახით. დიღმის სამაროვანზე ბრინჯაოს ხანის I ეტაპის პალეოანთროპოლოგიური მასალა არ ამჟღავნებს განსხვავებას სამთავროს სამაროვანზე მოპოვებულ პალეოანთროპოლოგიურ მასალებთან; არ არსებობს საფუძველი განსხვავებაზე მსჯელობისათვის არც მომდევნო ბრინჯაოს ხანის II ეტაპისა და ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი პერიოდისათვის. საერთოდ მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში, როგორც სამთავროს, ისე დიღმის ტერიტორიაზე ჯერჯერობით არსად იჩენს თავს ძირითადისაგან განსხვავებული რაიმე ახალი ელემენტი. ანალოგიური სურათია ბრინჯაოდან რკინის წარმოების ფართო ათვისების ხანაზე გარდამავალ და თვით რკინის ფართო ათვისების ხანაშიც. ადრეფეოდალური ხანის პალეოანთროპოლოგიური მასალები უკვე სრულიად გარკვევით ამჟღავნებენ მსგავსებას, როგორც დიღმის ადრეულ სერიებთან, ისე სამთავროს სინქრონულ სერიებთან, რაც აღნიშნულ ტერიტორიაზე მოსახლეობის უწყვეტი თანამიმდევდევრობის მაჩვენებელი უნდა იყოს.

ასეთია დიღმის ველზე მოპოვებული ფრაგმენტული და მცირერიცხოვანი მასალის შედეგად მიღებული ზოგადი მოსაზრებები. მართალია, ამ შესწავლამ ზოგიერთ კითხვას გასცა ზოგადი პასუხი, მაგრამ თავისმხრივ ანთროპოლოგების წინაშე დააყენა მთელი რიგი კონკრეტული საკითხების: დამოწმებული ანთროპოლოგიური ტიპების გენეტიკური კავშირების ურთულესი მექანიზმების შესახებ სივრცესა და დროში. ამ საკითხების სერიოზული კვლევისათვის კი აუცილებელ პირობას ისევ და ისევ ახალი პალეოანთროპოლოგიური მასალები წარმოადგენენ წინამორბედი, თუ მომდევნო ხანის, ახლობელი თუ შორეული მეზობლების პალეოანთროპოლოგიური, თუ კრანიოლოგიური ტიპების შესახებ; ამიტომ, ამჟამად, არ შეიძლება კიდევ ერთხელ სინანულით არ აღინიშნოს, რომ ახალი ანთროპოლოგიური საკითხებისა და პრობ-

ლემების წამოჭრა შეუდარებლად აღემატებიან და უსწრებენ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული და შესწავლილი პალეოანთროპოლოგიური მასალების რიცხვს. მხოლოდ ეს არის იმის მიზეზი, რომ დღესდღეობით პალეოანთროპოლოგების მსჯელობა ხშირად ზოგადი, სქემატური და ფრაგმენტული ხასიათისაა, რაც მომიჯნავე დარგის მკვლევართა, პირველ რიგში არქეოლოგების, სამართლიან დაუკმაყოფილებლობას იმსახურებს; მაგრამ მომავლისათვის განზრახული არქეოლოგებისა და ანთროპოლოგების საველე-საექსპედიციო კვლევა-ძიების ერთობლივი თანამშრომლობა, ამ დასანანი ხარვეზის ამოვსების საიმედო წანამძღვარს ქმნის და საფუძველს იძლევა იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალში საგრძნობლად გაიზრდება, როგორც პალეოანთროპოლოგიური მასალების, ისე პასუხგაცემული კითხვების საერთო რიცხვი.

ამირან კახიძე

ფიჭვნარის სამაროვანზე 1967—68 წლებში აღმოჩენილი უცხოური მონეტები

ფიჭვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარზე ბოლო წლებში განხორციელებულ საველე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებათა შედეგად დაგროვდა მეტად საინტერესო ნუმიზმატიკური მასალა, რომელიც ფიჭვნარისავე სხვა მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ნივთიერი კულტურის ძეგლებთან ერთად ძვირფას ისტორიულ წყაროს წარმოადგენს ძველი კოლხეთის საქალაქო ცხოვრებისა და ანტიკური სამყაროს ადრე დაწინაურებულ ცენტრებთან სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობათა შესწავლისათვის. წარმოდგენილი ნაშრომი შეეხება ფიჭვნარის სამაროვანზე 1967—68 წლებში აღმოჩენილ უცხოურ მონეტებს; ამავე სამაროვნის ადგილობრივი მონეტები, ე. წ. კოლხური თეთრი ცალკე განხილვის საგანი იქნება[1].

რაც შეეხება ფიჭვნართან დაკავშირებულ ადგილობრივი თუ უცხოური მონეტების (კოლხური თეთრი, ქიზიკის მონეტა, სინოპური დრაქმები, ქ. ამისოს მონეტა და ალექსანდრე მაკედონელის სტატერი) აღმოჩენის ადრინდელ (1941—1965 წწ.) შემთხვევებს, მათ მეტ-ნაკლებად უკვე პოვეს სათანადო ასახვა სამეცნიერო ლიტერატურაში[2].

ფიჭვნარის სამაროვანზე 1967—68 წლებში რამდენიმე (სულ 5) უცხოური მონეტა აღმოჩნდა, მაგრამ მათი მეცნიერული ღირებულება მეტად დიდია. შევჩერდებით თითოეულ მათგანზე ცალ-ცალკე.

1. ქ. ქიზიკის ელექტრუმის მონეტა (სიმოკლისთვის ქვემოთ — „ქიზიკური“)

---

[1] 1966—67 წლებში კოლხური თეთრი აღმოჩენილია ადგილობრივი მოსახლეობის ადრეანტიკური ხანის სამარხეულ კომპლექსებში, რაც ზოგიერთი ვარიანტის ახლებური დათარიღების შესაძლებლობას იძლევა; მაგალითად, ადრე წერტილოვანი რკალით შემკული მონეტების მოჭრის დროს ნუმიზმატიკოსები ძვ. წ. IV ს. მიიჩნევდნენ (იხ. К. В. Голенко, Д. Г. Капанадзе, Четыре клада колхидок, НЭ, VI, 1966). ფიჭვნარის გათხრებმა დაადასტურა, რომ ეს მონეტები უფრო ადრე — ძვ. წ. V საუკუნეებშიც ყოფილან მიმოქცევაში. გარდა ამისა, აქვე გვხვდება იშვიათი ნიმუშებიც, მაგალითად, ლომის თავის გამოსახულებიანი კოლხური თეთრი და ა. შ.

[2] გ. დუნდუა, საქართველოში აღმოჩენილი სინოპური მონეტები, „მაცნე“, 1, 1971, ა. კახიძე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბ., 1971; К. В. Голенко, Кобулетский клад серебрянных монет середины IV в. до н. э. СА, XXVII, 1957; მისივე, Клад синопских и колхидских монет из Кобулети (1948), ВДИ, I, 1961; К. В. Голенко, Д. Г. Капанадзе, დასახ. ნაშრომი; К. В. Голенко, Важнейшие послевоенные находки античных монет, «Советский коллекционер», 1968, № 6; И. Б. Брашинский, К истории экономических связей Восточного Причерноморья в античную эпоху (по нумизматическим материалам), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1967, № 3.

Av — თევზის კუდიანი წვეროსანი მამაკაცის ფიგურა (ტრიტონი) — მარცხნივ; მარჯვენა წინ გაწვდილ ხელში უკავია კუდით დაკიდებული თევზი (თინუსი), ხოლო მარცხენა ხელი კი წინა აქვს გაშვერილი. ქვევით გამოსახულია თინუსი მარცხნივ.

Rv — ჩაჭდეული კვადრატი.

სტატერის წონა — 16 გრ.; ზომები — 2×1,8 სმ. აღმოჩნდა ფიჭვნარის ბერძენ მოახალშენეთა ძვ. წ. V ს. სამაროვანზე 1968 წელს (მე-15 სამარხი).

ფიჭვნარის ამ ქიზიკურ მონეტას ჯერჯერობით ერთადერთი უახლოესი ანალოგი მოეპოვება. ესაა 1905 წელს ქ. ყივკოვოში (ბულგარეთი) აღმოჩენილი ქიზიკის მონეტების განძის ერთ-ერთი მონეტა[3], რომელსაც განძის გამომქვეყნებელი ტ. გერასიმოვი ჰ. ფრიტცესეული კლასიფიკაციის III ჯგუფს აკუთვნებს და ზოგადად ძვ. წ. 480—410 წლებით ათარიღებს[4]. ს. ბულატოვიჩი, რომელიც საგანგებოდ სწავლობს ქიზიკის მონეტებს, ფიჭვნარის ამ მონეტას ძვ. წ. V ს. I ნახევარში მოჭრილად მიიჩნევს[5]. ჩვენი დაკვირვებითაც, ფიჭვნარის ბერძენ მოახალშენეთა სამაროვნის მე-15 სამარხის მრავალრიცხოვანი ინვენტარი, რომელშიაც ეს მონეტაც შედიოდა, ძვ. წ. V ს. მე-2 მეოთხედის ბოლო ხანებს მიეკუთვნება.

სიუჟეტის მიხედვით ფიჭვნარის ქიზიკურს უახლოვდება ჰ. ფრიტცეს მიერ გამოქვეყნებული ერთ-ერთი მონეტა, ოღონდაც აქ უკანასკნელზე მამაკაცის ნაცვლად გამოსახული ჩანს ქალი (სკილა)[6]. ფიჭვნარის მონეტასთან სიუჟეტურად კიდევ უფრო ახლო დგას საკმაოდ ადრეული (ძვ. წ. 510 წ.) ქიზიკური, რომელზედაც გამოსახულია თევზის კუდიანი წვეროსანი მამაკაცი (ტრიტონი), ოღონდ დამჯდარი და მას ხელში თევზი არ უკავია; თინუსი ნაჩვენებია ამ გამოსახულების ქვემოთ[7].

შესაძლოა ფიჭვნარის ქიზიკური ამ ადრეული მონეტის სიუჟეტური განვითარებას წარმოადგენდეს.

2. ელექტრუმის ქიზიკური

Av — ნიმფა კლიტე, — ქ. ქიზიკის გმირის ეპონიმის მეუღლე. ნიმფას ყელს ქვემოთ მოცემულია თინუსი — ქ. ქიზიკის ემბლემა[8].

Rv — ჩვეულებრივ ჩაჭდეული კვადრატი.

აღმოჩნდა 1967 წელს ბერძენ მოახალშენეთა სამაროვანზე (მე-6 სამარხი).

სტატერის წონა — 16,05 გრ; ზომები — 2,15×1,80 სმ.

მსგავსი ქიზიკურები არაერთგზისაა გამოქვეყნებული[9]. როგორც პროფ.

---

[3] ამ მონეტის არსებობის შესახებ ცნობა მოგვაწოდა ოდესელმა ნუმიზმატმა ს. ბულატოვიჩმა რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

[4] Т. Герасимов, Находки от электронови монеты на гр. Кизик от Българ ия, «Годишник на народния музей», VII, 1943, София, გვ. 81, № 30., ტაბ. II, 21.

[5] С. А. Булатович, Электровые монеты Кизика и их роль в денежном обращении Северного Причерноморья (VI—IV вв до н. э.) Автореферат, Одесса, 1971, გვ. 15.

[6] H. V. Fritze, Die Elektronprägung von Kyzikos, «Nomisma», VII, 1912, ტაბ. V, 23.

[7] იხ. Kunstwerke der Antike, 1963, F_5; იქვეა სათანადო ლიტერატურა.

[8] ნიმფას განსაზღვრა ეკუთვნის ოდესელ ნუმიზმატს პროფ. ბ. კარიშკოვსკის. მანვე მოგვაწოდა ლიტერატურა ამ მონეტის შესახებ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

[9] W. Greenwell, The Electrum Coinage of Cyzicus, N. C, 1887, № 84, IV, 6; E. Babelon, Traite des monnates grecques et romaines, t-II, col 1399/1408, № 2593; H. V. Fritze, დასახ. ნაშრომი, II N137, ტაბ. IV, 23; Catalogue Naville et C°, Geneva, №IV, 1922, №717.



პ. კარიშკოვსკი მიუთითებს, ქალის თავის განსაზღვრა ფრიტცესთან არ გვხვდება. ნიმფას განსაზღვრავენ გრინველი და ბაბელონი. ფიქვნარის მონეტა ექცევა ქიზიკურების ფრიტცესეული კლასიფიკაციის III ჯგუფის a ქვეჯგუფში, ე. ი. ის ადრეულია. პროფ. პ. კარიშკოვსკი ამ მონეტის მოჭრის საორიენტაციო თარიღად ძვ. წ. V ს. შუა წლებს მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ისინი მოჭრილი უნდა იყოს ძვ. წ. 460 წლის შემდეგ, მაგრამ ძვ. წ. 440—430 წლებზე უფრო გვიან არა.

მილეტის კოლონიის ქ. ქიზიკის სტატერების აღმოჩენა ფიქვნარში[10] მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია. როგორც ცნობილია, ანტიკური სამყაროს მთელ რიგ რაიონებში (შავიზღვისპირეთი, მარმარილოსა და ეგეოსის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი) დიდი ხნის განმავლობაში (ძვ. წ. VI—IV სს.) ელექტრუმის ქიზიკურები ასრულებდნენ საერთაშორისო, ინტერლოკალური მონეტების ფუნქციას და მსხვილი სავაჭრო ოპერაციები მხოლოდ და მხოლოდ ამათი საშუალებით ხორციელდებოდა[11]. სპეციალურ ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა სფეროში ასეთმა რეპუტაციამ განაპირობა ქ. ქიზიკის ელექტრუმის მონეტების დამახასიათებელი თავისებურებანი: გარეგნული ფორმის კონსერვატიზმი და მოჭრის პრიმიტიული ტექნიკა. ქიზიკურები ერთ გამოსახულებიანი არიან მთელი თავისი ხანგრძლივი მიმოქცევის მანძილზე — ყველა ქიზიკურის ზურგზე მოცემულია ჩვეულებრივი ჩაჭდეული კვადრატი; სამაგიეროდ ქიზიკურების შუბლზე გამოსახულებანი (ცხოველები, მითოლოგიური სიუჟეტები თუ უსულო საგნები) სიუჟეტურად მეტად მრავალნაირია (დღეისათვის ცნობილია ქიზიკურების 250-დე ტიპი). არქაიზმი შეინიშნება ლითონის შერჩევაშიც — იყენებენ ელექტრუმს. ქიზიკურები ანეპიგრაფიკულნი არიან — ლეგენდის მოვალეობას ასრულებს ქალაქის ემბლემის — თინუსის გამოსახულება. მიუხედავად იმისა, რომ ქიზიკურები არაა მოჭრილი მაღალი ოსტატობით, მათზე მოცემულ გამოსახულებებს ანტიკური ხელოვნების ნიმუშებად მიიჩნევენ. ყველა ეს თავისებურება ვრცელდება ფიქვნარში აღმოჩენილ ქიზიკურებზეც. ჩვენი მონაპოვარი ყურადღებას იქცევს იმით, რომ ისინი ქიზიკის სამონეტო სისტემაში წარმოადგენენ შედარებით იშვიათ ნიმუშებს — მათში ოქროს სინჯი საკმაოდ მაღა-

[10] ჩვენში ცნობილი სამივე ქიზიკური ფიქვნარშია აღმოჩენილი, როგორც უკვე ვნახეთ, 2 — ბერძენ მოახალშენეთა სამაროვანზე 1967—68 წწ., ერთი ეგზემპლარი კი შედიოდა ფიქვნარში 1952 წ. შემთხვევით აღმოჩენილ განძში, სადაც წარმოდგენილი იყო ასევე 291 კოლხური თეთრი და 3 მკრთალი ოქროსგან დამზადებული სხივანა საყურე. ეს განძი სხვა მასალებთან ერთად ფიქვნარიდან ჩამოიტანა პროფ. ა. აფაქიძემ და აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებას ჩააბარა (იხ. №№ 8709—9000).

[11] ქიზიკურების გავრცელების შესახებ იხ.: А. Н. Зограф. Кизикины коллекции С. Г. Строганова, Сборник Г Э, III, 1926; Д. Б. Шелов, Кизикские статеры на Боспоре, ВДИ, 2, 1949; П. О. Каршиковский, Об обращении кизикинов в Ольвии, НЭ, 1961; II. С. А. Булатович, Кизикины, найденные в Орловке, «Советский коллекционер», 1968, № 6; მისივე, Клад кизикинов из Ольвии, СА, 2, 1970; მისივე, Клад кизикинов из Орловки, ВДИ, 2, 1970; მისივე, Монетные находки на о Левке, Материалы по археологии Северного Причерноморья, VII, 1971; მისივე, Электровые монеты Кизика. ..., დასახ. ავტორეფერატი, А. А. Кравченко, Клад Кизикских статеров из Одесской области, СА, I, 1969, W. Creenwell, დასახ. ნაშრ., E. Babelon დასახ. ნაშრ., H. V Fritze, დასახ. ნაშრ., K. Regling, Der griechische Goldschatz von Prinkipo, ZfN, XLI, 1931; Т. Герасимов, დასახ. ნაშრ; A. Brett. Museum of fine Arts Boston, Catalogue of Greek Coins, Boston, 1955 და სხვ.

ლია — 65—70% მაინც. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ასე ადრეულ მონეტებში ხელოვნურად უნდა იყოს შერეული ოქრო, რაც უფრო გვიანდელი პერიოდისათვის არის ცნობილი.

3. სინოპური მონეტა

Av — დელფინის თავი — მარცხნივ;

Rv — ჩაჭდეული კვადრატი.

აღმოჩნდა ფიჭვნარის ადგილობრივი მოსახლეობის ადრეანტიკური ხანის სამაროვანზე („ნაპურვალა", II თხრილი). ფიჭვნარში აღმოჩენილის ანალოგიურ მონეტას ს. გროსი ძვ. წ. 500—443 წლებით ათარიღებს[12]. როგორც ზემოთაც მივუთითებდით, ფიჭვნარში 1948 წ. კოლხურ თეთრთან ერთად აღმოჩნდა ძვ. წ. IV ს. შუა წლების სინოპური მონეტების მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი განძი[13]. სინოპის ძვ. წ. IV ს. თუ უფრო გვიანდელი მონეტების აღმოჩენის ერთეული შემთხვევები საქართველოს სხვა რაიონებიდანაცაა ცნობილი[14], მაგრამ ფიჭვნარის სამაროვნის გათხრების დაწყებამდე ქ. სინოპეს ასე ადრეული მონეტა ჩვენში არ იყო ცნობილი. მისი აღმოჩენა ფიჭვნარის ადგილობრივი მოსახლეობის სამაროვანზე გვაფიქრებინებს, რომ ქ. სინოპეს — შავიზღვისპირეთის ამ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-სახელოსნო და სატრანზიტო ცენტრსა და ძველ კოლხეთს შორის ურთიერთობას საფუძველი საკმაოდ ადრე ეყრება, რაც კიდევ უფრო ინტენსიურ ხასიათს ძვ. წ. IV ს. შუა წლებიდან იღებს.

4. პანტიკაპეონის ვერცხლის მონეტა

Av — ლომის თავი (ანფასში)

Rv — ჩაჭდეული კვადრატი. აქვე იყო დაცული პანტიკაპეონის სახელწოდების აღმნიშვნელი პირველი ორი საწყისი ასო — ΓΑ. აღმოჩნდა ძვ. წ. V ს. ბერძენ მოახალშენეთა სამაროვანზე 1967 წელს (მე-5 სამარხი); სამარხში მონეტის გამოჩენისთანავე აშკარა გახდა, რომ ის დაშლილი იყო და ამიტომ ამოღებამდე აღვწერეთ დაწვრილებით. ამ აღწერილობის მიხედვით მოხერხდა მისი განსაზღვრაც. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მრავლად აღმოჩენილ მსგავს მონეტებს ა. ზოგრაფი d ჯგუფში აერთიანებს და ძვ. წ. V ს. II მეოთხედით (ძვ. წ. 475—450 წწ.) ათარიღებს[15]. ამ თარიღს იზიარებს დ. შელოვიც[16]. პანტიკაპეონის ძვ. წ. IV ს. თუ მოგვიანო პერიოდის ოქროსა და სპილენძის ფულები სვანეთიდან და ციხისძირიდან ადრეც იყო ცნობილი[17], მაგრამ ბოსფორის სამეფოს დედაქალაქის ასე ადრეული მონეტა, ისიც სამარხეულ კომპლექსში, პირველად აღმოჩნდა საქართველოში. ფიჭვნარის მე-5 სამარხი, რომელშიც პანტიკაპეონის მონეტა ურევია, თარიღდება ძვ. წ. V ს. 30—20-იანი წლებით; მონეტაზე დაცული ნახვრეტი გვიჩვენებს, რომ ის საკიდადაც ყოფილა გამოყენებული.

---

[12] S. W. Grose, Catalogue of the Mc Clean Collection of Greek Coins, III, Cambr., 1929. გვ. 17; ტაბ. 252, 18.

[13] К. В. Голенко, დასახ. ნაშრომები.

[14] ნ. ციღურაძე, მონეტები ფიჭვნარის სამაროვნიდან. „ძეგლის მეგობარი", 23, 1970; გ. დუნდუა, დასახ. ნაშრომი.

[15] А. Н. Зограф. Античные монеты. МИА, 16, 1951, გვ. 167, ტაბ. XXXIX, 19.

[16] Д. Б. Шелов. Монетное дело Боспора VI—II ввдо н. э., 1956, გვ. 21., ტაბ. 1; 7.

[17] Д. Г. Капанадзе, К вопросу об экономических связях Северного и Восточного Причерноморья в античную эпоху по нумизматическим данным. Проблемы истории Северного Причерноморья в античную эпоху, 1959, გვ. 143.

5. ნიმფეის მონეტა

Av — ქალის თავი (ნიმფა) მარცხნივ, თმები დაჭერილი აქვს თავზე წასაკრავი ბადითა თუ ლენტით.

Rv — ჩაჭდეული კვადრატი, რომლის შიგნითაც გამოსახულია ვაზი ყურძნის მტევნებითა და ფოთლებით. ვაზზე გაკეთებულია წარწერა ΝΓΝ. აღმოჩნდა ფიქვნარის ძვ. წ. V ს. ბერძენ-მოახალშენეთა სამაროვანზე 1968 წელს (ᲛᲔ-9 სამარხი).

ბოსფორის სამეფოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქის ნიმფეის მონეტები საერთოდ ჯერჯერობით ძალიან ცოტა რაოდენობითაა ცნობილი[18].

ამის მიზეზად აღიარებულია ის გარემოება, რომ ნიმფეა თავის მონეტებს ჭრიდა ძალიან მოკლე დროის განმავლობაში: ა. ზოგრაფის აზრით — ძვ. წ. V ს. II ნახევარში (450—400 წლები)[19], ხოლო დ. შელოვის მიხედვით კი — ძვ. წ. V ს. ბოლო მეოთხედში[20]. ნიმფეის ყველა მონეტა ერთი ტიპისაა — მსგავსი ზემოთ უკვე აღწერილ ფიქვნარში აღმოჩენილი ნიმფეის ფულისა.

ფიქვნარის მონაპოვრის მნიშვნელობა მეტად დიდია. ის რაოდენობრივადაც ზრდის ნიმფეის საქალაქო მონეტების რიცხვს. ფიქვნარის მონეტა აღმოჩენილია ძვ. წ. V ს. ბოლო მეოთხედის სამარხეულ კომპლექსში, რაც კიდევ უფრო ამტკიცებს ამ ცენტრის მონეტების მოჭრისა და მიმოქცევისათვის მიღებულ თარიღს. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან ცნობილი არც თუ ისე მრავალრიცხოვანი ნიმფეის ფულები შემთხვევით მონაპოვარია. როგორც ცნობილია, კოლხური კერამიკული ნაწარმი და მონეტები აღმოჩნდა ნიმფეის ნაქალაქარის გათხრებისას[21] — თითქოსდა საპასუხოდ, ნიმფეის მონეტის გამოჩენას ჩვენში, რაც ასევე პირველი შემთხვევაა, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ფიქვნარის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალისა და სხვა არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით დასტურდება, რომ კლასიკურ ხანაში ძველ კოლხეთსა და ანტიკურ სამყაროს შორის სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობათა სფეროში მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არსებული ბერძნული სამოსახლოები. ბოლო წლებში განხორციელებულ საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების მიხედვით ჩანს, რომ ძვ. წ. V ს. II მეოთხედიდან ასეთი ბერძნული სამოსახლო-ატიკური პოლისური ტიპის დასახლება, გაჩენილა ფიქვნარის მიდამოებშიაც, რომელსაც, განსხვავებით ადრინდელი ძალადობაზე დამყარებულ და შესაბამისად წარუმატებელ იონური კოლონიზაციისაგან, მშვიდობიანი ურთიერთობა დაუმყარებია ადგილობრივ ბოსპორელებთან. როგორც ჩანს, ათენი კოლხეთთან ურთიერთობაში საკუთარ მონეტებთან ერთად (ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ცნობა ციხისძირში ძველი სტილის ათენური ტეტრადრაქმის აღმოჩენის შესახებ) მიმოქცევაში ტოვებს ჭიზიკურებს, რომელთაც ადრევე მოიპოვეს აღიარება საერთაშორისო ბაზარზე. სპეციალისტები მიუთითებენ, რომ ათენმა ქიზიკი თავისი ზარაფხანის ფილიალად აქცია.

---

[18] А. Н. Зограф, დასახ. ნაშრ. გვ. 163—164, ტაბ. XXXIX 6—8; Д. Б. Шелов, დასახ. ნაშრ., გვ. 30 და შემდგ. ტაბ. 11, 20.

[19] А. Н. Зограф, დასახ. ნაშრ., გვ. 164.

[20] Д. Б. Шелов, დასახ. ნაშრ., გვ. 33, 34 და 35.

[21] В. М. Скуднова. Находки колхидских монет и пифософ в Нимфее, ВДИ, 2, 1952.

ასევე მეტად საყურადღებო მონაპოვართა რიცხვს მიეკუთვნება ფიჭვნარის ძვ. წ. V ს. I ნახევრის სინოპური მონეტა. თუ ადრე სამხრეთ შავიზღვისპირეთის ამ მნიშვნელოვან სავაჭრო-სატრანზიტო ცენტრს — სინოპესა და კოლხეთს შორის ურთიერთობათა შესწავლისათვის ჩვენ ხელთ გვქონდა მხოლოდ და მხოლოდ ძვ. წ. IV ს. შუა წლების ნივთიერი მასალები, — ახლა ფიჭვნარის მონაპოვრით ეს ქრონოლოგიური ჩარჩო საკმაოდ გაფართოვდა და ძვ. წ. V ს. I ნახევრისაკენ გადაიწია. არაა გამორიცხული, რომ ათენსა და კოლხეთს შორის ადრეანტიკურ ხანაში არსებულ მსგავს ინტენსიურ ურთიერთობაში (ეს შესანიშნავად ჩანს ფიჭვნარის არქეოლოგიური მასალების მიხედვით) შუამავლის როლში სინოპელებიც გამოდიოდნენ.

ასევე საინტერესო სურათის აღდგენის შესაძლებლობებს უნდა იძლეოდეს ფიჭვნარში ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის — პანტიკაპეონისა და ნიმფეის მონეტების აღმოჩენის ფაქტიც. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ფიჭვნარში მჯდომი ბერძენი მოახალშენები არეგულირებენ ურთიერთობას არა მარტო ატიკასთან, არამედ ისინი გამოდიოდნენ ასევე შუამავლის როლში კოლხეთსა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ბერძნულ პოლისებს შორის არსებულ ურთიერთობათა სფეროშიაც. სხვანაირად ფიჭვნარის ბერძნულ სამარხებში ამ ფულების გამოჩენა გაუგებარი იქნებოდა. ვითარება გარკვეულად იცვლება ძვ. წ. IV საუკუნიდან.

А. Ю. КАХИДЗЕ

ИНОЗЕМНЫЕ МОНЕТЫ МОГИЛЬНИКА ПИЧВНАРИ

Резюме

В 1967 и 1968 годах при раскопках могильника Пичвнари был найден ряд иноземных монет:

1. Электровый кизикин: Av— Тритон, Rv — вдавленный квадрат.

Вес монеты 16 гр., размеры 2×1,8 см, монета (статер) относится к 1 половине V в. до н. э.

2. Электровый кизикин: Av — Нимфа Клита, Rv — вдавленный квадрат.

Вес статера 16,05 гр., размеры 2,15×1,8 см; монета датируется серединой V в. до н. э.

3. Синопская серебряная драхма. Av — голова дельфина, Rv — вдавленный квадрат. По аналогиям монета датируется 500—443 гг. до н. э. В Пичвнари, как известно, в 1948 году был найден большой клад колхидских и синопских монет середины IV в. до н. э. Публикуемая монета является наиболее ранней из синопских монет, найденных на территории Восточного Причерноморья.

4. Пантикапейская серебряная монета: Av — голова льва впрямь. Rv — вдавленный квадрат и первые буквы названия города — ГА. Пантикапейские монеты этого типа датируются 475—450 гг. до н. э.

5. Нимфейская серебряная монета: Av — женская голова (Нимфа) влево; волосы подхвачены повязкой. Rv — вдавленный квадрат, внутри которого помещено изображение виноградной лозы с гроздью винограда и листьями. Над лозой помещается легенда NYN. Монета относится к последней четверти V в. до н. э.

Число иноземных монет из могильника Пичвнари не так велико, но эти находки вместе с другими археологическими материалами имеют большое значение для изучения торгово-экономических связей древней Колхиды с античным миром.

Как известно, кизикины были интерлокальной монетой — средством международного денежного обращения. Ими пользовались в международной торговле и афиняне.

Скорее всего и в Пичвнари эти монеты проникли через посредство афинской торговли. В других пунктах Грузии до сих пор такие монеты не обнаружены.

Раскопки городища Пичвнари дают богатейший нумизматический материал для выяснения взаимоотношений Колхиды с одним из важнейших торгово-транзитных центров Малой Азии — Синопы, а также с городами Северного Причерноморья, особенно Боспорским царством. Пичвнарские находки представляют наиболее ранние синопские, пантикапейские и нимфейские монеты, встреченные до сих пор на территории Грузии. Нимфейская же монета является вообще уникальной находкой для всего античного Причерноморья.

Таким образом, пичвнарские находки показывают, что в классическую эпоху Пичвнари был важнейшим торгово-экономическим центром Восточного Причерноморья, где велась оживленная внешняя торговля со странами античного мира.

თეიმურაზ პარნაველი

ფიგურული ნიშნები განვითარებული შუასაუკუნეების ქართულ მონეტებზე*

ქართულ ნუმიზმატიკაში არის რიგი საკითხები, რომლებიც წამოყენებული იყო გასული საუკუნის შუა წლებში ქართული მონეტების პირველ მკვლევართა მიერ. ამ საკითხთაგან ბევრი დღესაც გადასაწყვეტია, თუმცა მათი გადაჭრა მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიისათვის, კერძოდ, თვით სამონეტო საქმის განვითარების ისტორიისათვის საქართველოში.

უპირველეს ყოვლისა გვინდა შევაჩეროთ ყურადღება ერთ საკითხზე, რომლის შესახებ აზრი აქვს გამოთქმული ქართული მონეტების თითქმის ყველა მკვლევარს, მაგრამ იგი დღემდე მაინც არ იყო გადაწყვეტილი. საკითხი ეხება ერთ „საიდუმლო“ ნიშანს, რომელიც მცირე ვარიაციული განსხვავებით გვხვდება საქართველოს მხოლოდ ოთხი მეფის, სახელდობრ თამარის, რუსუდანის, დემეტრე II და დავით VIII მონეტებზე. (იხ. მონეტების ნიმუშების ცხრილა).

არსებულ პუბლიკაციებში მკვლევარნი ეხებიან უმთავრესად თამარ მეფის მონეტაზე აღბეჭდილ ნიშანს. წინამდებარე წერილიც მისი გარჩევით იწყება, რამდენადაც მისი ამოხსნა გადაწყვეტს ჩვენ მიერ ზემოთაღნიშნული სხვა მსგავსი ნიშნების საკითხსაც.

თამარ მეფის 1200 წლის თარიღიან, წესიერად მოჭრილ და, ამავე ტიპის უთარიღო მონეტების შუბლზე, ცენტრში მოთავსებულია რთული ფიგურული ნიშანი აგებული მცირე შუბისპირისებრი ალმის მსგავსად (სურ. 1).

სურ. 1

ნიშანი შედგება ორი გეზი, ჯვარედინად ურთიერთგადამკვეთი ხაზიდან, რომელთა ქვემო ბოლოები ეყრდნობა მოკლე, ბუნისებრ მორჩზე მოთავსებულ თარაზულ ხაზს. ჯვარედინ ხაზებს, განშტოების ზემო მხრიდან ფარგლავს წრეხაზის მშვილდისებრი მონაკვეთი, რომელზედაც აღმართულია მცირე სამკუთხედი; სამკუთხედის ბოლოები ემთხვევა ჯვარედინი ხაზების განშტოების ზემო წერტილებს.

თამარ მეფის აღნიშნული მოხეტების გარდა, ამ ხიშანს ვხვდებით კიდევ თამარის მეფობის დროის ოთხ სამიჯნე ქვაზე, რომელთაგან ერთი ნაპოვნია გუნია-კალაში (წალკის რ-ნი), მეორე ჩხიკვთაში (თეთრიწყაროს რ-ნი), მესამე

---

* წინამდებარე წერილი წარმოადგენს ჩვენი გამოკვლევის ერთ თავს. მთლიანად გამოკვლევა ეხება ქართულ ეპიგრაფიკაში ლიგატურებ-სა და მონოგრამების ხმარების საკითხს, დაწყებული ადრინდელი ძეგლებიდან; ჩვენ მიერ მომზადებულია დასაბეჭდად ამ დიდი თემის კიდევ რამდენიმე ნაკვეთი.

და მეოთხე ხაჩქოიში (წალკის რ-ნი). ამჟამად სამიჯნე ქვები გუნია-კალიდან და ჩხიკვთიდან დაცულია საქ. სახ. მუზეუმში.

მოგვყავს დასახელებულ სამიჯნე ქვებზე ასახული ნიშნების მონახაზები: გუნია-კალის ქვაზე, სურ. 2; ჩხიკვთის ქვაზე, სურ. 3; ხაჩქოის ქვებზე, სურ. 4 და 5.



სურ. 2, 3, 4, 5

ქართული მონეტების მკვლევარნი თამარ მეფის მონეტაზე გამოსახულ ნიშანს სხვადასხვაგვარად განმარტავენ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ გვაძლევს საბოლოო დასკვნას მისი შინაარსის შესახებ.

მ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ფიქრობდა, რომ ამ ნიშანში წარმოდგენილი იყო შერწყმული ბერძნული ასოები Θ და Δ — თამარ მეფისა და მისი მეუღლის დავით სოსლანის ინიციალები. ნიშნის ქვემო მორჩს იგი განიხილავდა როგორც ტარს, რომლითაც ეს ვენზელი მაგრდებოდა დროშის ბუნზე[1].

მ. ბ რ ო ს ე საყურადღებოდ სთვლის მ. ბარათაშვილის აზრს, თითქოს ამ ნიშანში შეიძლება მოცემული იყოს თამარისა და დავითის ინიციალების შერწყმა, მაგრამ გაუგებრად მიაჩნია ის გარემოება, რომ ეგევე ნიშანი მცირე ცვლილებებით მეორდება სხვა მეფეთა მონეტებზედაც. მისი აზრით, ეს ნიშანი წარმოადგენს გურზის მსგავს საბრძოლო იარაღის უხეშ გამოსახულებას[2].

ე. ა. პ ა ხ ო მ ო ვ ი არ ეთანხმება მ. ბროსეს აზრს, თითქოს მონეტაზე გამოსახული იყოს რაღაც საბრძოლო იარაღი, რადგან მ. ბროსეს მიერ დასახელებულ იარაღსა და მონეტაზე არსებულ გამოსახულებას შორის არ არის არავითარი მსგავსება. ე. ი. პახომოვი არ ეთანხმება, აგრეთვე, მ. ბარათაშვილის აზრს ამ ნიშანში თამარისა და დავით სოსლანის ბერძნული ინიციალების შერწყმის შესახებ, რადგან ეს ნიშანი მეორდება სხვა მეფეთა მონეტებზედაც. ავტორი ეთანხმება მ. ბარათაშვილს მხოლოდ იმაში, რომ აღებული ნიშნის ქვემოთ დართული მორჩი უნდა წარმოადგენდეს ტარს ამ ვენზელის დასამაგრებლად დროშის ბუნზე. თვითონ ე. ა. პახომოვი მონეტაზე გამოსახულ ფიგურას განიხილავს, როგორც რაიმე ნიშანს, რომელიც დროშის როლს ასრულებდა რომაული სამხედრო ნიშნების მსგავსად, მაგრამ უარს ამბობს ამ ნიშნის არსის ახსნაზე[3].

---

[1] М. П. Б а р а т а е в, Нумизматические факты Грузинского царства, СПб., 1844, განაკვ. III, გვ. 37—41.

[2] M B r o s s e t, Rapports sur l' ouvragl intitulé Нумизматические факты грузинского царства et revue de numismatique géorgienne, SPb, 1847, გვ. 66—67, 83—84.

[3] Е. А. П а х о м о в, Монеты Грузии, СПб., 1910, გვ. 104.

ა. ბიკოვი არჩევს სპეციალურ ლიტერატურაში გამოქვეყნებულ აზრებს ამ საკითხის ირგვლივ და ასკვნის, რომ ჯერჯერობით საკვლევი ნიშნის არსი ამოუხსნელი რჩება[4].

ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკის“ 1974 წლის № 1-ში, დაბეჭდილია გ. გიორგობიანის წერილი „უძველესი კუთხსაზომი ხელსაწყოები“, რომელშიც ავტორი ეხება თამარის 1200 წლის მონეტაზე მოთავსებულ ნიშანს; ავტორის ვარაუდით აღნიშნული ნიშანი წარმოადგენს კუთხსაზომის კვადრანტის გამოსახულებას[5].

დ. კაპანაძე ეხება რა თამარის მონეტებზე არსებულ ნიშანს, წერს, რომ მისი „მნიშვნელობა სავსებით ნათელი არ არის“ და, შემდეგ ამ ნიშნის არსის გარკვევის ცდის დროს დაასკვნის: „აღსანიშნავია აგრეთვე, რომ კიევის სამთავროს ვერცხლის პირველ მონეტებზე გამოსახული ანალოგიური ნიშანი მიჩნეულია მთავართა საგვარეულო ნიშნად, რაც იმის საბუთს იძლევა, რომ ჩვენს მონეტაზე (ე. ი. თამარ მეფის მონეტაზე. — **თ. ბ.**) აღბეჭდილი ეს ნიშანიც ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშანს დაუახლოოთ“[6].

თავისი წიგნის რუსულ გამოცემაში დ. კაპანაძე ამავე აზრს ატარებს უკვე მეტი კატეგორიულობით; იგი წერს: „ძლიერ საინტერესო იქნებოდა გამორკვეულიყო მნიშვნელობა ამ მონეტის შუბლზე მოთავსებული ნიშნისა, რომელსაც ქართული მონეტების მკვლევარნი სხვადასხვაგვარად ხსნიდნენ. მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ყველაზე მეტად უნდა შეეფერებოდეს სიმართლეს ე. ა. პახომოვის აზრი, რომელიც ამ ნიშანს უახლოებს კიევის სამთავროს პირველ ვერცხლის მონეტებზე აღბეჭდილ ანალოგიურ ნიშანს. როგორც ცნობილია, უძველეს რუსულ მონეტებზე არსებული მსგავსი ნიშანი მიჩნეულია კიევის მთავართა საგვარეულო ნიშნად. კიევის ნაჭედის ანალოგიით „საიდუმლო“ ნიშანი ქართულ მონეტებზე შეიძლება მიჩნეულ იქნეს ბაგრატიონთა სამეფო გვარის საგვარეულო ნიშნად“[7] (თარგმანი ჩვენია, **თ. ბ.**).

დ. კაპანაძემ ამ საკითხს სპეციალური წერილიც უძღვნა, რომელშიც უკვე სავსებით კატეგორიულად მიიჩნევს თამარ მეფის მონეტაზე აღბეჭდილ „საიდუმლო“ ნიშანს ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნად[8].

რამდენადაც ზემოთ ლაპარაკი იყო თამარის მონეტებზე არსებული ნიშნის თითქოს ანალოგიაზე კიევის მთავართა X და XI სს. მონეტებზე აღბეჭდილ ნიშანთან, საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ ე. ა. პახომოვი კიევის სამთავროს მონეტების ნიშანს იხსენიებს და, ისიც დიდი სიფრთხილით, მხოლოდ რუსუდანის მონეტებზე მოყვანილ ნიშანთან დაკავშირებით[9] (იხ. ქვემოთ).

---

[4] **А. Быков, Грузинские монеты XII—XIII вв., в сб.: «Памятники эпохи Руставели, Л., 1938, გვ. 84.**

[5] გ. გიორგობიანი, უძველესი კუთხსაზომი ხელსაწყოები, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1974, №1, თბილისი, გვ. 17—19.

[6] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1950, გვ. 49, 50.

[7] **Д. Г. Капанадзе, Грузинская нумизматика, М., 1955, გვ. 66; აგრეთვე, შენიშვნა 93.**

[8] **Д. Г. Капанадзе, Родовой знак Багратионов на грузинских средневековых монетах, Труды Гос. исторического музея, вып. XXVI, Нумизматический сборник. ч. II, посвященный 100-летию со дня рождения А. В. Орешникова, М., 1957, გვ. 77—81;** იხ. მისივე, ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1969, გვ. 75—77 (ქართულ ენაზე).

[9] **Е. А. Пахомов, Монеты Грузии, СПб, 1910, გვ. 121.**

კიევის სამთავროს X და XI სს. ვერცხლის მონეტების ნიშნების დაპირისპირება თამარის, რუსუდანის, დემეტრე II და დავით VIII მონეტებზე აღბეჭდილ ნიშნებთან ცხადყოფს, რომ მათ შორის არ არსებობს არავითარი შორეული ანალოგიაც კი. საილუსტრაციოდ მოგვყავს რუსეთის უძველეს მონეტებზე და მათს თანამედროვე მატერიალურ ძეგლებზე არსებული საგვარეულო ნიშნების მონახაზები ა. ვ. ორეშნიკოვის მიხედვით (სურ. 6) და მისი განმარტებებით[10].

სურ. 6

[10] А. В. Орешников, Денежные знаки домонгольской Руси, М., 1936, გვ. 91 და ტაბ. 1.

Изображение родовых знаков князей Рюриковичей

1957 წელს ნ. კონსტანტინოვმა გამოაქვეყნა წერილი რუსული დამწერლობის საწყისების შესახებ. ავტორის მიერ შემუშავებულ ცხრილში მოყვანილია შავიზღვისპირეთში გავრცელებული ნიშნები და ნიშნები ადრინდელ რუსულ ბლომბებზე, საბეჭდავებზე, მონეტებზე, კვირისტავებზე და სხვა ნაკეთობებზე, მათი დაპირისპირებით გლაგოლიცის ასოებთან და კვიპროსის მარცელოვან ნიშნებთან[11].

ძლიერ საყურადღებოა, აგრეთვე, ნ. ვ. ენგოვატოვის ნაშრომი უძველესი რუსული ანბანის შესახებ[12], რომელმაც დიდი გამოძახილი ჰპოვა სამეცნიერო წრეებში[13].

ემბლემური სახის „საიდუმლო“ ნიშნები ცნობილია უძველესი დროიდან. ვ. ფ. გაიდუკევიჩის გამოკვლევით, მათ ხმარებას თვალი მიედევნება ბოსფორში ახ. წ. I საუკუნიდან — IV საუკუნის დამდეგამდე სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საგნებზე, ახ. წ. II საუკუნიდან კი მათ ვხვდებით ქვის ფილებზე ოფიციალური წარწერებით. საილუსტრაციოდ ავტორი აღნიშნავს, რომ ტამანის წარწერიან ფილაზე... ამოკვეთილია ნიშანი, რომელიც სიმბოლურად წარმოგვიდგენს ბოსფორის მეფეს საურომატ II[14] (სურათი 7).

საყურადღებოა ის, რომ ვ. ფ. გაიდუკევიჩს შესაძლოდ მიაჩნია აღნიშნული დამღისებრი ნიშნების წარმოშობა ალან-სარმატული მოსახლეობისაგან, რადგან ისინი დიდად არიან გავრცელებული ბოსფორის გასარმატებულ ქალაქებში. ბოსფორის დამღისებრი ნიშნების შესწავლის შედეგად ვ. ფ. გაიდუკევიჩი აღნიშნავს, რომ ბოსფორის სხვადასხვა მეფეების ნიშნები

на древнейших русских монетах и современных им вещественных памятниках

Рис. I. Знак на привесной печати, возможно принадлежавший в. кн. Киевскому Владимиру Св. (980—1015); Рис. 2—4. Знак на сребрениках в. кн. Ярослава-Георгия Владимировича Мудрого (987—1019); Рис. 5—13. Знаки на сребрениках в. кн. Владимира-Василия Всеволодовича Мономаха (1078—1125); Рис. 14. Знак на двуименном сребренике в. кн. Киевского Изяслава-Дмитрия Ярославовича и его сына Ярополка-Петра Изяславовича (1054—1077); Рис. 15. Знак на сребренике кн. Вышгородского Ярополка-Петра Изяславовича (1077—1078); Рис 16. Знаки на сребренике в. кн. Киевского Святополка — Михаила Изяславовича (1093—1112); Рис 17. Знак на серебряном брактеате, возможно принадлежащий кн. Тмутороканскому Олегу-Михаилу Святославовичу (1083—1094).

(რიურიკოვიჩების საგვარეულო ნიშნების კლასიფიკაციისა და მონეტების გამოშვების ქრონოლოგიის შესახებ იხ. ა. ვ. ორეშნიკოვის დასახ. ნაშრომი, გვ. 35,36, 42—76, 80, 85 და სხვ.)

[11] В. А. Константинов, О начале русской письменности, ჟურნ. «Нева», 1957, № 7, М.—Л., გვ. 178—182, ტაბ. გვ. 181.

[12] Н. Энговатов, Древнейшая русская азбука, ჟურნ. «Знание-сила», 1960, № 11, М., გვ. 5—7 (მოკლე გადმოცემა).

[13] Русское письмо, «Литературная газета», 1960, 28—აპრილი, ინფორმაცია-რეცენზია ისტ. მეცნ. კანდ. ნ. დ. მეცის მიხედვით; А. Бакинский, Открытие молодого ученого, «Неделя», 1960 № 9, М., О. Чиликина, Утерянная азбука, жур. «Огонек», 1960, № 19, М., ამ საკითხებზე დაწვრილებით იხ. В. А. Истрин, Развитие письма, М., 1961, გვ. 295—297; მისივე, Возникновение и развитие письма, М., 1965, გვ. 457—466.

[14] В. Ф. Гайдукевич, Боспорское царство, М. - Л., 1949, გვ. 427—428.



სურ. 7

ერთმანეთისგან განსხვავდება და დასაშვებად მიაჩნია, რომ აქ შეიძლება გვქონდეს სარმატული დამწერლობის ჩანასახი[15].

ჩვენთვის საინტერესო ქართულ მონეტებზე აღბეჭდილ „საიდუმლო" ნიშნების რაობის გარკვევასთან დაკავშირებით საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ უძველესი დროიდანაა ცნობილი სხვადასხვა ფიგურული მონოგრამები, როგორც საერთოდ, ისე მონეტებზე. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ კვიპროსის მონეტა, რომლის წინაპირზე, პორტრეტული გამოსახულების მარჯვნივ მოთავსებულია შუბისა თუ ღუზის სახედ თხზული

[15] **В. Ф. Гайдукевич**, იქვე, გვ. 430: „Тамгообразные знаки у боспорских царей были неодинаковы: каждый из царей имел свой индивидуальный знак. Нельзя считать исключенным, что тамгообразные знаки являлись одновременно и зачатками сарматской письменности".

მონოგრამა „თომა“ (სურ. 8)[16]. მონეტის ზურგზე კი იგივე სახელი მოცემულია გახსნით.

საქართველოს ნუმიზმატიკური ფაქტები მოწმობენ, რომ ჩვენი ქვეყნის როგორც ადრინდელ მონეტებზე, ისე განვითარებულ შუასაუკუნეებში და შემდეგშიც, ხშირად მონეტის მომჭრელის სახელი გამოიხატება ასოთა მონოგრამული შერწყმით, რასაც ვხედავთ უკვე ე. წ. ქართულ-სასანურ მონეტებზე. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია მ. ბარათაშვილმა[17].

სურ. 8

ფიგურული მონოგრამების მაგალითები ადრეულ ქართულ მონეტებზე ჯერჯერობით არაა ცნობილი. მაგრამ, ფიგურული მონოგრამა წარმოდგენილია შიომღვიმის მონასტრის სამ კრამიტზე, მათგან, ერთი დაცულია ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში.

მონოგრამა შედგენილია მხედრული ასოებით და შემდეგი სახე აქვს (სურ. 9).

სურ. 9.

პრინციპი შიომღვიმის მონასტრის კრამიტზე მოყვანილი ნიშნის აგებისა და მისი სქემა იგივეა, რაც ზემოთდასახელებული ქართული მონეტებისა, და, მასთან მას აქვს ისეთივე მცირე ტარი, როგორც დასახელებულ ქართველ მეფეთა მონეტებზე გამოსახულ ფიგურულ ნიშნებს.

შიომღვიმის მონოგრამა შემდეგი სახით ნაწევრდება ასოებად[18] (სურ. 10).



სურ. 10

ამრიგად, აქ ვილებთ შემადგენელ ასოებს ბ, გ, ტ და ნ, რომელთაგან ბ, გ, ტ შეადგენენ სახელს „ბაგრატ“ მისი ჩვეულებრივი დაქარაგმებით, ასო „ნ“ კი შეიძლება აღნიშნავდეს ტიტულს, ან წოდებას.

ნიშნის შემადგენელი ასოების დაწერილობა და ამავე მონასტრის ანალოგიური ტიპის ზოგ კრამიტებზე შენახული მთავრული ასოების ხასიათი ევიდასტურებს, რომ კრამიტის ნიშანი-მონოგრამა შეიძლება მიეკუთვნოს XI საუკუნეს.

[16] ილუსტრაცია ამოღებულია წიგნიდან: Sigillographie de l'empire Byzantin par Gustave Schlumberger, Paris, 1884, გვ. 727.

[17] М. Баратаев, Нумизматические факты Грузинского царства, СПб, 1844, разряд I, зз. 50.

[18] აქ და შემდეგ, მონოგრამის დანაწევრებისას, მისი შემადგენელი ასოები გამოიყოფა მონოგრამის მთლიანი მონახაზიდან შავი შტრიხით.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, თამარ მეფის მონეტებზე და მისი მეფობის ხანის ოთხ, დღემდე შერჩენილ სამიჯნე ქვაზე წარმოდგენილი ნიშნის გრაფიკული სახე შემდეგ გვხვდება რუსუდანის, დემეტრე II და დავით VIII მონეტებზე. ყველა აღნიშნულ შემთხვევებში ნიშნის აგების პრინციპი, მისი ძირითადი სქემა ერთი და იგივე რჩება, მას მხოლოდ ემატება ესა თუ ის დეტალები შიგნით ან გარეთ, რაც მას ახალ შინაარსს აძლევს.

ფიგურული ნიშანი თამარ მეფის მონეტებზე

თამარის მონეტებზე წარმოდგენილი ფიგურული ნიშნის ანალიზმა, მისმა დანაწევრებამ შემადგენელ ნაწილებად დაგვანახვა, რომ მასში მოცემულია გარკვეული სისტემით, მონოგრამულად შერწყმული ასოები, მაგრამ არა ბერძნული, როგორც ამას ფიქრობდა მ. ბარათაშვილი[19], არამედ ქართული ასომთავრული.

ნიშანი შემდეგი სახით იყოფა შემადგენელ ნაწილებად (სურ. 11 და 12). (მონოგრამის შემადგენელი ასოები გამოყოფილია შავი შტრიხით).

სურ. 11

ᲗᲐᲛᲐᲠ ე. ი. „თამარ“



სურ 12

ᲓᲐ ე. ი. „დავით“

უნდა აღინიშნოს, რომ შუბისპირის ფორმის დროშები თუ დროშის თავები კარგადაა ცნობილი და ძლიერ გავრცელებული ყოფილა შუასაუკუნეების საქართველოში. როგორც შემონახული ძეგლები მოწმობენ, ამკვარ დროშებს და დროშის თავებს ხშირად ამკობდნენ მხატვრული რელიეფური ქანდაკებებითა და წარწერებით. ამ სახის ძეგლების მაგალითებს წარმოადგენენ: სვანეთის დროშის „ლომის“ თავი, სამეფო დროშის თავი (ახალციხის მუზეუმში), ამილახვრიანთ საომარი დროშის თავი, მეფის მცველთა დროშის თავები. როგორც გამოკვლეულია, „შუბის პირის ფორმა დროშის თავისთვის უნდა უძველესი დროიდან მომდინარეობდეს“[20] (სურ. 13).

ამიტომ, სავსებით გასაგებია, რომ ზემოთ გარჩეული და ქვემოთ მოყვანილი მონოგრამები თხზულია სწორედ ალმის ამ ტრადიციული ფიგურის მსგავს ან ანალოგიურ ფიგურის არეზე.

---

[19] М. Баратаев, Нумизматические факты Грузинского царства, СПб., 1844, განაკვ. III, გვ. 37—41.

[20] იხ. ს. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, ქართული დროშები, თბ., 1953, გვ. 13, 14, 20—31, 73—74, ტაბულები IV, VIII, IX.

სურ. 13

ფიგურული ნიშნები რუსუდან მეფის მონეტებზე

რუსუდან მეფის 1227 წლის თარიღიან სპილენძის მონეტებზე არ არის აღბეჭდილი თამარის მონეტის ფიგურული მონოგრამის მსგავსი ნიშანი. მონეტის შუბლზე ცენტრში მოთავსებულია რუსუდანის სახელი ასომთავრული დამწერლობით, დაქარაგმებით ᲠᲣᲡᲘ ე. ი. „რუსუდან“. მის გარშემო განლაგებულია ორნამენტული სახის წნული, რომლის ზემო ნაწილში, როგორც მოჩარჩოების შიგნით, ისე გარედან ნახაზი არ იმეორებს ორნამენტის ქვემო და გვერდითი ნაწილების სქემას, არამედ ჰქმნის ხვეულთა სრულიად სხვა სახეებს. რუსუდანის ამ მონეტებს, როგორც ჩანს, სხვადასხვა სიქით ჰედავდნენ: ზოგი სიქა უხეშადაა დამზადებული, ზოგი კი შესრულებულია დახელოვნებული ხელით, ხაზულების ფაქიზი მიმდინარეობით. დახელოვნებით შესრულებული სიქაც იძლევა მცირე ვარიაციებს, მაგრამ მათზე ორნამენტული სახე არსად არაა დარღვეული. ორნამენტულ ხვეულებზე დაკვირვებამ და ხვეულების დანაწევრებამ დაგვანახა, რომ მათში, ე. ი. მოჩარჩოების როგორც გარეგან, ისე შინაგან ხვეულებში, მოცემულია გარკვეული სისტემით მონოგრამულად შერწყმული ასოები, რომელნიც შეადგენენ რუსუდანის სახელს და, ამასთან, გარეგან ხვეულებში სახელი დაწერილია მხედრული

ასოებით (სურ. 14), ხვეულების შინაგან ყულფში კი მონოგრამა თხზულია მთავრული ასოებით (სურ. 15).

მოგვყავს მონოგრამათა გახსნა.

ორნამენტული მოჩარჩოებით შექმნილი მონოგრამა:



სურ. 14

როგორც ვხედავთ ორნამენტული მოჩარჩოების გარე ხვეულების გახსნა გვაძლევს შემდეგ ასოებს: რ ო ს ნ ე. ი. „რუსუდან“.

ორნამენტული მოჩარჩოებით შექმნილი ეს მონოგრამა თავისი სისტემით იშვიათ მოვლენას წარმოადგენს და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს ხერხი ქართველ ოსტატებს შემდეგშიც გამოუყენებიათ.

ბ. ორნამენტული მოჩარჩოების შიგნით მოთავსებული მონოგრამა

არანაკლები ოსტატობით და სიფაქიზით არის შედგენილი მონოგრამა ორნამენტული ჩარჩოს შინაგანი ხვეულის სახით:



სურ. 15

მონოგრამის დანაწევრებით შემადგენელ ელემენტებად ვიღებთ მთავრული დამწერლობის ასოების შემდეგ ჯგუფს: ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ე. ი. „რუსუდან“[21] ამგვარად, სახელი აქ მოცემულია სრული დაწერილობით.

[21] ამ „ბ“ მონოგრამის შესახებ იხილეთ: დ. კაპანაძე, „მ. ბარათაევისა და ვ. ლანგლუას ზოგიერთი განსაზღვრის შესახებ“, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XVIII, № 4, თბილისი, 1957, გვ. 493—494; მ ი ს ი ვ ე, ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1969, გვ. 82—83; თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, საქ. მუზეუმის ქართულ და ბიზანტიურ მონეტებზე მოთავსებული დამღები, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXII—B, თბილისი, 1961, გვ. 109.

უნდა აღინიშნოს, რომ განხილული ორნამენტული შემკულობის რაობის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული იყო სხვადასხვა მოსაზრებები. საქართველოს მონეტების სახელოვანმა მკვლევარმა მ. ბარათაშვილმა შესაძლოდ დაინახა მიეღო მონეტის ორნამენტული მოჩარჩოება რუსუდანის სახელის დაწერილობის ნაწილად; მონეტის აღწერილობაში იგი წერს: „პირველი გვერდია (ე. ი. მონეტის შუბლი. — **თ. ბ.**) ხუცური ასონი: **ᲠᲣ, Ს, Დ**, ჰზიან ნაკუთში, რომელიც ერთის კალმის მოსმით არის გამოყვანილი. ნაკუთი ესე, როგორც ვჰგონებ შემდგარია სამთა ხელ-ჩართულთა მხედრულთა ასოთაგან, და იპყრობს თჳს შორის შემდგომთა დანაშთენთა ასოთა სახელისაგან რუსუდანისა უ, დ, ა“[22].

ე. ა. პახომოვის აზრით, მ. ბარათაშვილის მოცემული „განმარტება უდაოდ უმართებულოა: უპირველეს ყოვლისა, მონასმის ხვეულებში ამ ასოებიდან გაჭირვებით შეიძლება მოვნახოთ ერთი უ და ა, და მეორეც — იგივე ორნამენტი გვხვდება დამოუკიდებელი დამღის სახით, რაც მოსალოდნელი არ იქნებოდა, თუ იგი წარმოადგენდეს მხოლოდ ცენტრალური ლეგენდის დანამატს“[23]. ე. ი. პახომოვი ფიქრობს, რომ ამ ორნამენტის ხვეულებში შეიძლება წარმოდგენილი იყოს რაიმე მაჰმადიანური ფორმულა[24].

ჩვენ არ შევჩერდებით მ. ბარათაშვილისა და ე. ა. პახომოვის აზრთა მართებულობისა თუ უმართებულობის გარჩევაზე, რადგან ეს იქნებოდა ზემოთ მოყვანილ ჩვენ მოსაზრებათა და მონოგრამათა ამოხსნის განმეორება. რაც შეეხება რუსუდანის დამღებს, ისინი იმეორებენ რუსუდანის მონეტებზე აღბეჭდილ მონოგრამებს (იხ. ქვემოთ სურ. 18, 19, 20).



სურ. 16

რუსუდან მეფის 1230 წლის თარიღიან ვერცხლის მონეტების შუბლზე გამოსახულია იესო ქრისტე, ზურგის მხარეზე კი მოთავსებულია თამარის მონეტებზე არსებული მონოგრამის შუბისპირის მსგავსი კონტური, რომლის შუაგულში ჩაწერილია ასომთავრულით **ᲠᲣᲡᲓ** ე. ი. „რუსუდან“. შუბისპირული ფიგურის კონტური ამ ტიპის ზოგიერთ მონეტებზე მოთავსებულია რუსუდანის სახელის დანაწერის შებრუნებით, ე. ი. მწვერვალით ქვემოთ და ამასთან შეცვლილია თვით ფიგურის ნაწილების შეფარდებაც, სახელდობრ ძალზე გაზრდილია მისი ზემო ნაწილი, ქვემო კი ძლიერ შემცირებულია (სურ. 16). ამ მოვლენას აღნიშნავს ე. ა.

[22] М. Баратаев, Нумизматические факты Грузинского царства, СПб, 1844, განაკვ. 111, გვ. 128; (რუსული ტექსტი, გვ. 125).

[23] Е. А. Пахомов, Монеты Грузии, ч. I, СПб, 1910. გვ. 117. «В орнаменте лицевой стороны Баратаев видел буквы, недостающие в центральном сокращении имени Русудани, но писанные алфавитом мхедрули — უუდა (აქ ე. ა. პახომოვი გულისხმობს მ. ბარათაშვილის მიერ 127-ე გვერდზ, აღდგენილ რუსუდანის სახელის სრულ დაწერილობას **ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ** —РуСудаН მონეტის შუბლზე) «объяснение, безусловно, неверное: во-первых, в завитках рисунка, из этих букв, с натяжкой можно найти одно у и а, а во-вторых, тот же самый орнамент появляется в виде самостоятельной надчеканки, чего, конечно, нельзя было ожидать, если бы он представлял только дополнение центральной легенды....»

[24] იქვე, გვ. 117, 128.



1-2 თამარ მეფის მონეტები 1184-1213; 3-7 რუსუდან მეფის მონეტები 1222-1245; 8-10 მეფე დემეტრე II მონეტები 1271-1289; II მეფე დავით VIII მონეტა 1293-1311.

პახომოვი[25]. სწორედ რუსუდანის მონეტის ამ ფიგურის შესახებ წერს ე. ა. პახომოვი: „სხვათა შორის არის რაღაც გაურკვეველი მსგავსება ამ ნიშნისა ანანაკლებ საიდუმლო ფიგურასთან, რომელიც დასმულია კიევის სამთავროს პირველ ვერცხლის მონეტებზე, მაგრამ ეს შეიძლება უბრალო შემთხვევითობა იყოს"[26]. როგორც ზემოთმოყვანილმა ტაბულამ დაგვანახა, მოხსენიებულ ნიშნებს შორის არავითარი მსგავსება არ არსებობს.

სულ სხვა სურათს წარმოგვიდგენს რუსუდანის უნიკალური მონეტა — დრამა. ეს მონეტა შემოსულია საქ. სახ. მუზეუმში 1952 წელს (საინვ. № 7804 — გ), გამოქვეყნებულია 1957 წელს[27]. ამ მონეტის ზურგზეც, ცენტრში, წერტილოვან რკალურ მოჩარჩოებაში ჩასმულია რუსუდანის 1230 წლის მონეტებზე მოყვანილი შუბისპირული ფიგურის მონახაზი, მაგრამ აქ უკვე სწორედ, ე. ი. მწვერვალით ზემოთკენ. შუბისპირული ფიგურის კონტურის არეზე წარმოდგენილია მონოგრამა, რომელშიც რუსუდანის სახელი სრული დაწერილობითაა მოცემული (სურ. 17).



სურ. 17

ᲤᲥᲜᲥᲗᲩᲰ ე. ი. „რუსუდან".

ამ მონოგრამის ამოხსნა ეკუთვნის დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე ს[28] (ჩვენ მიერ მოყვანილი მონახაზი გრაფიკულად ოდნავ განსხვავდება დ. კაპანაძის მონახაზისაგან).

ამ შემთხვევაში გვაქვს მონოგრამის შექმნის პირველი სახესხვაობა, რომელშიც მონეტის ნიშნიდან მოშორებულია ის ხაზები, რომლებიც ჰქმნიდნენ ოამარისა და დავითის ინიციალებს.

---

[25] Е. А. П а х о м о в, Монеты Грузии, ч. I, СПб, 1910, გვ. 120—121.

[26] იქვე, გვ. 121: „Между прочим, имеется какое-то неопределенное сходство этого знака с не менее загадочной фигурой, стоящей на первых серебряных монетах Киевского княжества, но это может быть простою случайностью.»

[27] Д. Г. К а п а н а д з е, Родовой знак Багратионов на грузинских средневековых монетах, Труды Гос. ист. музея,.. М., 1957, გვ. 80;

[28] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, მ. ბარათაეევისა და ვ. ლანგლუას ზოგიერთი განსაზღვრის შესახებ, საქ. სსრ მეც. აკად. მოამბე, ტ. XVIII, № 4, თბ., 1957, გვ. 493; დ. კაპანაძე ამ მონეტას იხსენიებს თავის წიგნში: „Грузинская нумизматика" (М., 1955, გვ. 70); დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 82.

რუსუდანის 1227 წლის მონეტის ორნამენტულ შემკულობაში ჩვენ მიერ განხილული მისი სახელის მხედრული და ასომთავრული დამწერლობით შესრულებული მონოგრამები (იხ. ზემოთ სურ. 14 და 15) უკვე სავსებით ნათელს ხდიან შინაარსს იმ დამღებისას, რომლებითაც მის დროსაა დადამღული მონეტები[29]

ა. დამღა 

ბ. დამღა

სურ. 18 სურ. 19

ა. წარმოადგენს რუსუდანის 1227 წლის მონეტის შუბლის ორნამენტულ შემკულობაში გამოყვანილ ორი მონოგრამის განმეორებას სრული სახით.

ბ. წარმოადგენს რუსუდანის 1227 წლის მონეტის შუბლის ორნამენტული შემკულობის შიგნით მოთავსებულ ასომთავრულ მონოგრამას ოდნავი გამარტივებით.

გ. **დამღა**

სურ. 20

გ. წარმოადგენს რუსუდანის № 7804—გ მონეტის ზურგის მხარის მონოგრამის ძლიერ გამარტივებულ სახეობას (იხ. სურ. № 17).

ფიგურული ნიშნები მეფე დემეტრე II მონეტებზე

ჩვენთვის საყურადღებო შემდეგ მაგალითს წარმოადგენს დემეტრე II სპილენძის მონეტა.

მონეტის შუბლზე ორმაგი ორნამენტული მოჩარჩოების ცენტრში მოთავსებულია ასომთავრული Თ (დ), რომელშიც ჩაწერილია ასო Ე (ე), ე. ი. აქ მოცემულია დაქარაგმებით დემეტრეს სახელი ᲗᲔ — დემეტრე (სურ. 21):

---

[29] ქართული სამონეტო დამღების შესახებ იხ.: М. П. Баратаев, Нумизматические факты Грузинского царства, СПб, 1844, განაკვეთი 111, გვ. 104; Langlois V, Essai de classification des suites monétaires de la Géorgie, Paris, 1860, გვ. 64, 66; Е. А. Пахомов, Монеты Грузии, СПб, 1910, გვ. 127—128 (დამღების ნახაზი, გვ. 124); თ. ლომოური, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, „შოთა რუსთველის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 1938, გვ. 306; დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950, გვ. 54—55; Д. Г. Капанадзе, Грузинская нумизматика, Москва, 1955, გვ. 71—73; დ. კაპანაძე, მ. ბარათაევისა და ვ. ლანგლუას ზოგიერთი განსაზღვრის შესახებ, საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XVIII, № 4, თბ., 1957, გვ. 491—494; თ. აბრამიშვილი, საქ. მუზეუმის ქართულ და ბიზანტიურ მონეტებზე მოთავსებული დამღები, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXII—B, თბ., 1961, გვ. 109; დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 83—84.

მონეტის ზურგზე მოცემულია ერთიანი მონასმით შესრულებული მორკალება, რომლის მარცხენა კიდე ზემო მხარეს არ ერთვის რკალის მეორე კიდეს, არამედ მცირე კავის სახით ჩაბრუნებულია მორკალების შიგნით; რკალის მარჯვენა კიდე და მცირე ყულფის შეკვრით ასევე ჩაბრუნებულია მორკალების შიგნით და გადადის სხვადასხვა განშტოებებით გართულებულ შუბისპირის მსგავს ფიგურაში.

სურ. 21

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ამ შემთხვევაში თამარის მონეტის ნიშნის სქემა თითქმის უცვლელი რჩება, მხოლოდ მისი ზედა სექციის დამაგვირგვინებელი უღელი ადგილს იცვლის, იგი დაწეულია ამავე სექციის ქვემო სამკუთხედის დონეზე და მის მარტივ ხაზს ემატება მცირე დასწკრივი შვერილები ქვემოთ. ეს შვერილები ხან უფრო მოზრდილია, ხან უფრო მცირე, მაგრამ ყველა შემთხვევაში მიმართულია კავის მსგავსად ცენტრისკენ. მათი საშუალებით იქმნება მონოგრამის ასოთა თავზაზები.

დემეტრე II მონეტებზე კიდევ ერთი განმასხვავებელი დეტალია, რომელიც არა აქვს არც თამარის და არც რუსუდანის მონეტებს, სახელდობრ ის, რომ შუბისპირული მონახაზი თავის ზემო ნაწილში უკავშირდება მორკალურ მოჩარჩოებას, რომელიც მცირე კავებით იკვრება შუბისპირული ფიგურის მწვერვალთან.

ამ გართულებული შუბისპირული ფიგურის და მისი მოჩარჩოების დაყოფით შემადგენელ ელემენტებად ვიღებთ დემეტრეს სახელის ორგვარ მონოგრამულ დაწერილობას:

ა. გარეგანი რკალისებრი მოჩარჩოება, შუბისპირული ფიგურის დამაგვირგვინებელ ყულფთან ერთად ქმნიან დემეტრეს სახელის მონოგრამას მხედრული დაწერილობით (სურ. 22).



სურ. 22

ამგვარად ვიღებთ ასოებს დ ტ ე, რაც წარმოადგენს დაქარაგმებულ დაწერილობას სახელისა „დემეტრე“.

ბ. შუბისპირული ფიგურის დანაწევრება შემადგენელ ელემენტებად გვაძლევს დემეტრეს სახელის მონოგრამულ დაწერილობას მთავრული ასოებით (სურ. 23).

აქაც ვიღებთ ასოებს ᲗᲔᲢ (დტე), რაც იხსნება როგორც სახელი „დეზეტრე“.

აქ გვაქვს მონოგრამების შექმნის მეორე სახესხვაობა, რომელიც პრინციპით — მხედრული მონოგრამის შექმნა მოჩარჩოებით, ასომთავრულისა კი

ბოჩარჩოების შიგნით — უახლოვდება რუსუდანის მონეტაზე მოცემულ მონოგრამებს; დემეტრეს მონეტებზე ასომთავრული მონოგრამის გრაფიკულ ფუძედ კვლავ გამოყენებულია შუბისპირული ფიგურა და, რაც მთავარია,



სურ. 23

ამ ფიგურისადმი სხვადასხვა დეტალების დამატებით და ზოგი დეტალების გადანაცვლებით, მას სრულიად ახალი შინაარსი ეძლევა.

ფიგურული ნიშნები მეფე დავით VIII მონეტებზე

შუბისპირული ფიგურა გვხვდება კიდევ ერთი მეფის, სახელდობრ დავით VIII მონეტებზე.

ამ მონეტების შუბლი თითქმის არაფრით განსხვავდება დემეტრე II მონეტებისგან. მხოლოდ ორმაგი ორნამენტული მოჩარჩოების ცენტრში მოთავსებულია ასომთავრული ⵔ (დ) და მასში ჩაწერილია ასო Ⴓ (თ), მაგრამ არ სრულად (სურ. 24) ან ისე, რომ Ⴓ ასოს მუცლის მორკალების მარცხენა კიდე ამავე დროს შეადგენს ⵔ ასოს ნახევარრკალს (სურ. 25).

სურ. 24 სურ. 25

მონეტის ზურგი ერთი შეხედვით მოგვაგონებს დემეტრე II მონეტებს, მაგრამ მათ შორის მეტად არსებითი განსხვავებაა. მართალია, ცენტრში მოთავსებულია შუბისპირული ფიგურა, მაგრამ მის გარშემო აღარ არის რკალისებრი მოჩარჩოება, შეცვლილია ფიგურის ნაწილების შეფარდებაც, ხშირად იცვლის მდგომარეობას შვილდური მორკალებაც, იგი ხან ჰკვეთს ჯვარედინად განლაგებული ხაზების მწვერვალებს და ზემო სამკუთხედის ფუძედ იქცევა, როგორც თამარის მონეტებზე გამოსახულ ფიგურაზე, ხან კი ეს შვილდური მორკალება ქვევით იწევს და გადაჯვარედინების ზემოთ ექცევა. რაც მთავარია, ფიგურის სქემა არსებითად უცვლელი რჩება ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ შვილდურ უღელს ამასთან ერთად ზოგჯერ ბოლოში ემატება მცირე შემამკობელი ელემენტები.

დავით VIII მონეტებზე აღბეჭდილი შუბისპირული ფიგურა ყველაზე მეტად უახლოვდება თამარ მეფის მონეტებზე არსებულ ფიგურის აღნაგო-

ბას. აქაც, ფიგურის შემადგენელ ელემენტებად დანაწევრებით შესაძლო ხდება მივიღოთ მასში ჩაქსოვილი მთავრული ასოები.

მოგვყავს დავით VIII მონეტაზე აღბეჭდილი ფიგურის რამდენიმე ვარიაციული სახეობა და მათი დანაწევრება მონოგრამის შემადგენელ ასოებად (სურ. 26).



სურ. 26

როგორც ვხედავთ, აქაც დაქარაგმებითაა მოცემული მეფის სახელი: მონოგრამის შემადგენელი ასომთავრული ᲗᲐ (დთ) იხსნება როგორც სახელი „დავით“.

დავით VIII მონეტებზე აღბეჭდილი შუბისპირული ფიგურის მსგავსება თამარის მონეტებზე მოყვანილ ფიგურასთან, ცხადია, გამოწვეულია იმით, რომ ორივე შემთხვევაში მონოგრამაში შედის ერთი და იმავე სახელის „დავითის“ შემადგენელი ასოები.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, მონეტებზე მონოგრამის სახით სახელების მოთავსებას ერთგვარი ტრადიცია ჰქონდა საქართველოში. თამარის მონეტაზე წარმოდგენილი ფიგურული მონოგრამა და მისი სახესხვაობანი კიდევ სამი მეფის მონეტებზე, არავითარ საფუძველს არ იძლევა მივიჩნიოთ ის ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნად. ეს ნიშანი მხოლოდ მონოგრამაა, მაგრამ მონოგრამა მუდამ მშვენიერად შედგენილი, მონოგრამა ალმად ქცეული, და ამგვარი ალამ-მონოგრამის მაგალითი, როგორც ზევით დავინახეთ, შემორჩენილი გვაქვს უკვე XI საუკუნიდან.

თინათინ ყაუხჩიშვილი

ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში

თამარის ისტორიკოსები

„ქართლის ცხოვრებაში“ თამარის ორი ისტორიკოსის თხზულებაა შეტანილი: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ მხოლოდ 1884 წელს გახდა ცნობილი (ამ წელს აღმოჩნდა ე. წ. მარიამ დედოფლისეული ნუსხა, სადაც არის დაცული ეს თხზულება) და ამის შემდეგ მან არაერთი ქართველი მკვლევრის ყურადღება მიიპყრო. ამასთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხი დგას: 1. თხზულების შედგენილობის, 2. ამ ისტორიის დაწერის თარიღისა და 3. ავტორის ვინაობისა.

1. თ. ჟორდანიას და ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ისტორიანი და აზმანი“ თავიდან ბოლომდე ერთი ავტორის, თამარის თანამედროვის ნაწარმოებია, ხოლო შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი ავტორს დაუწერია 1195 (ან 1196) წელს, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც შეიცავს ამბებს შამქორის ომის შემდეგ, მას დაუწერია თამარის გარდაცვალების შემდეგ, მაშინვე[1].

პ. ინგოროყვაც ფიქრობს, რომ „ისტორიანი და აზმანი“ ორი ნაწილისაგან შედგება, ხოლო დაწერილია ორი ავტორის მიერ. პირველი ნაწილი დაწერილია თამარის მეფობაში, 1196 წელს, და მისი ავტორი საერო პირია, ხოლო მეორე ნაწილი დაწერილია XIII საუკუნის პირველ მეოთხედში და მისი ავტორი სასულიერო პირი უნდა იყოს[2]. ს. კაკაბაძეც იმავე აზრისაა, რომ „ისტორიანი და აზმანი“ ორი ავტორისაა: „პირველი მემატიანე, რომელსაც ეკუთვნის თხრობა შამქორის ომამდის თანმითვლით, სწერდა 1199 წლის ახლოს; მეორე მემატიანე, რომელსაც ეკუთვნის თხრობა შამქორის ომის შემდეგ ვიდრე ბოლომდის, სწერდა 1270—1295 წლების ახლოს“[3].

კ. კეკელიძე პირველ აზრს ემხრობა, ისიც ნაწილობრივ. მისი დასკვნით, 1. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ არის ერთი მთლიანი ნაწარმოები, ერთისა და იმავე ავტორის ხელიდან გამოსული; 2. პირველი ნაწილი თხზულებისა არაა დაწერილი 1195—1196 წლებში, არც მეორე ნაწილია დაწერილი თამარის გარდაცვალების უმალვე, არამედ მთელი ნაწარმოები დაწერილია ლაშა-გიორგის მეფობის მიწურულში 1222 წლის მახლობლად[4].

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 221 და შმდ.

[2] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ჩახრუხაძე, „კავკასიონი“, 1924, № 1—2, გვ. 277.

[3] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, რუსთაველი და მისი ეფეხისტყაოსანი, 1966, გვ. 114; საისტორიო მოამბე, I, 1924, გვ. 287.

[4] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ როგორც ლიტერატურული წყარო, რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 120 და შმდ.

2. რაც შეეხება ავტორის ვინაობას, ამ საკითხშიც აზრთა სხვადასხვაობაა მკვლევრებს შორის.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ავტორის შესახებ მხოლოდ იმის თქმა შეიძლებ ბა, რომ ის საერო, უფრო კი სამხედრო კაცი უნდა ყოფილიყო. თ. ჟორდანიას აზრით, პირიქით, მემატიანე სამღვდელო პირია. „ისტორიანი და აზმანი" დაწერილი უნდა იყოს ჯვარმტვირთველის ჭყონდიდლის ანტონ გლონისთავის ძის მიერ"[5]. პ. ინგოროყვა ფიქრობს, რომ პირველი ნაწილის ავტორია სარგის I თმოგველი, ავტორი „დილარგეთიანისა". მეორე ნაწილის ავტორი უცნობია, ხოლო სასულიერო პირი ყოფილაო[6].

ს. კაკაბაძის შეხედულებით, „ისტორიათა და აზმათა" ავტორია მანდატურთუხუცესი ჭიაბერი[7].

წინათ კ. კეკელიძე იმ აზრის იყო, რომ ავტორის სახელი და ვინაობა გამოურკვეველია, ყოველ შემთხვევაში, ის არ შეიძლება იყოს არც ანტონ გლონისთავის ძე, არც ჭიაბერიო. ხოლო 1941 წელს დაბეჭდილ შრომაში წამოაყენა დებულება ჰიპოთეზის სახით, რომ თხზულების ავტორად თითქოს ვიღაც არსენი იშხნელი ჩანს[8]. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, იქ, სადაც კ. კეკელიძე კითხულობს „არსენი იშხნელს", წერია „არსენი იყალთოელი" და ეს სახელი ისტორიის ავტორს არ გულისხმობს; თამარის პირველი ისტორიკოსის ვინაობა დღესაც გაურკვეველიაო[9].

ივ. ლოლაშვილის ნაშრომში „ისტორიათა და აზმათა" ავტორად შოთა რუსთაველი არის გამოცხადებული[10]. კ. გრიგოლია კი თამარის ერთ-ერთი ისტორიის (ან „ისტორიათა და აზმათა", ან „ცხოვრება მეფეთა მეფისა თამარის") ავტორად შოთა რუსთაველს მიიჩნევს[11].

„ისტორიანი და აზმანი" საფუძვლიანად აქვთ შესწავლილი თ. ჟორდანიას, ივ. ჯავახიშვილსა და კ. კეკელიძეს, როგორც საისტორიო წყარო და სალიტერატურო ძეგლი.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ისტორიანი და აზმანი" შინაარსიანი თხზულებაა. ამ მხრივ იგი არც ერთ სხვა საუკეთესო ქართულ საისტორიო ძეგლს არ ჩამოუვარდება. ამასთანავე იგი დიდი ნდობის ღირსიც არის. რიტორობისა და შემსხმელობისადმი სიყვარულის მიუხედავად მისი ავტორი, რომელიც კარის ისტორიკოსია, მართლის მთქმელი და პირუთვნელი მემატიანეა[12].

ამ თხზულების ავტორი უაღრესად განათლებული პიროვნებაა, იცნობს როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის ისტორიასა და ლიტერატურას, როგორც საეროს, ასევე სასულიეროს. კ. კეკელიძის სიტყვით, „ავტორი დასავლური, ბერძნულ-ბიზანტიური განათლების მატარებელი და თაყვანისმცემელია; ამას ამეღავნებს მისი ლექსიკონი, რომელშიც ჩვენ ვხვდებით არა მარ-

---

[5] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. L.

[6] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, დასახ. ნაშრომი.

[7] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი.

[8] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 010—011.

[9] იქვე, გვ. 012—013.

[10] ივ. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, რუსთაველი და თამარის ისტორიკოსი. ვინაობის პრობლემა, თბ., 1961, გვ. 59.

[11] კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, შოთა რუსთაველის მოღვაწეობის საკითხისათვის XIII ს. ქართულ სალიტერატურო მწერლობაში, „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები", 1966, გვ. 234—240.

[12] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1945, გვ. 235.

ტო ტექნიკურ სიტყვებსა და ტერმინებს... არამედ საკუთრივ ბერძნულ სიტყვებსაც“ (ჩამოთვლილია სათანადო მაგალითები[13]).

„ისტორია-აზმანში“ ვხვდებით ჰომეროსის, პლუტარქოსის, იოსებ ფლავიუსის, თემისტოკლეს, ალექსანდრე მაკედონელის, კონსტანტინე დიდის და სხვა გამოჩენილი პირებისა და მათი ნაწარმოებების გმირების სახელებს.

ისტორიკოსი იცნობს ჰომეროსს და დიდი აზრისაა მასზე, როგორც შემსხმელზე: ... მოხიბლული შესაქებ მეფეთა ზნეობრივი სახით იგი წერს, რომ თვითონ არ არის ღირსი მათი ქებისა, „შემსხმელად ჯამს ომიროს მერაბამე იგი“ (II, 2). რა არის „მერაბამე“, არ ვიცით. კ. კეკელიძის გამოცემაში სხვაგვარადაა: „რომლისა შესხმაჲ ჯამს ომიროსისა მიერ. რაბამ იგი ადიდა...“[14] მისთვის ცნობილი არიან ჰომეროსის გმირებიც: აქილევსი — როდესაც უნდა ავტორს გიორგი III დახასიათება, მის სხვადასხვა ღირსებას შეაქებს და ერთერთია მისი გმირობა, როგორც გმირი იგი შედარებულია სხვათა შორის აქილევსთანაც: „აქილევ, სამბსონ და ნებროთ გმირთა შორის“ (II, 3). გიორგი III სხვაგანაც არის ამ ბერძენ გმირთან შედარებული: „ახალი ნებროთ, ალექსანდრე და აქილევ“ (II, 23—24); შამქორის ომში მებრძოლ დავით სოსლანზე წერია: „მეფე იქცეოდა მსგავსად აქილევისა“ (II, 71).

„ისტორია“-ს დართულ იოანე ჭიმჭიმელის ლექსში დავით სოსლანი კვლავ აქილევსთან არის შედარებული: „აქილევისებრ ძალითა მპყრობ ელადეთსა ჯამს ისი“ (II, 114).

ისევ აქილევსი იგულისხმება, როდესაც ისტორიკოსი წერს ამირ-მირმანის, ათაბეგ ყიზილ-არსლანის უმცროსი ძმისწულის შესახებ: „მოსიმახოს უცთომელმან მსროლელმან და ვითარ განსწავლილმან კენტავროსისაგან“ (II, 69). კენტავროსისგან მოისრობაში განსწავლული იყო აქილევსი. ამის შესახ. „დავით აღმაშენებლის ისტორიაში“ (ორივე ისტორიკოსი ერთსა და იმავე შედარებას მიმართავს, დავით აღმაშენებელიც, როგორც საუკეთესო ისრისმტყორცნელი ამავე პირებთანაა შედარებული)[15].

პ. ინგოროყვას აზრით, „აქ საყურადღებო ისაა, რომ „ისტორია-აზმათა“ ავტორი საჭიროდ არც კი სთვლის დაასახელოს აქილევსი, რადგან გულისხმობს, რომ მკითხველებმა კარგად იციან, თუ ვინ იყო ის გმირი, რომელსაც კენტავროსმა უცთომელი სროლა ასწავლა“[16]. შეიძლება მართლაც ასეა, მაგრამ მეორე მხრივ, განა აქილევსისთვის ესაა პირველი ნიშანი, რომ მას კენტავროსმა ასწავლა სროლა? ეს მხოლოდ ერთი დეტალია მისი ბიოგრაფიიდან, რაც არც თუ ისე პოპულარულია საერთოდ. ვფიქრობთ, აქ გამორჩენილია სახელი (აქილევსი) და ეს უფრო ხელნაწერის შეცოდებაა, ვიდრე ავტორის ლიტერატურული ხერხი, გამართლებული მკითხველი საზოგადოების განსწავლულებით ჰომეროსის გმირების დეტალურ თავგადასავალში.

---

[13] კ. კეკელიძე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, როგორც ლიტერატურული წყარო, გვ. 135—136.

[14] რუსულ თარგმანშიც, ცხადია, ასევე ექნება კ. კეკელიძეს: «кого воспевать пристало только Гомеру. Сколь умножил слово...» (გვ. 17).

[15] თ. ყაუხჩიშვილი, ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ისტორიოგრაფიაში, I, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1973, № 4, გვ. 117 და შმდ.

[16] პ. ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, გვ. 56.

როდესაც თამარის ქორწინების საკითხს ეხება ისტორიკოსი, ის ჩამოთვლის მსოფლიოში განთქმულ წყვილებს. ასეთები არიან, მაგ., იაკობი და რაქელი, რამინი და ვისი და სხვ. და მათ შორის — „პელოპი მჯნედ მბრძოლი ეპოდამისთჳს, ონომაოს ასულისა“ და „პლუტონ პერსეფონისთჳს“ (II,36).

ბერძნული მითოლოგიიდან კარგად ცნობილი სიუჟეტებია, რასაც აქ გულისხმობს ისტორიკოსი. სახელდობრ: ლიდიიდან საბერძნეთში გადმოსახლებული პელოპი დაინახავს პისის მეფის, ოჟნომაოსის ასულს, ჰიპოდამიას, შეუყვარდება, მოინდომებს მის შერთვას, ამისთვის სძლევს დაბრკოლებას, შეირთავს ქალს და ჯდება პისაში მეფედ. როგორც ცნობილია, არსებობს ეფრემ მცირის (XI ს.) „ელინთა მეზღაპრეობა“, სადაც „ზღაპრობანი დიდისა ბასილის ეპიტაფიასა შემოღებულნი“ ანუ „ზღაპრობანი რომელნი საწარმართოთა წიგნთაგან მოუკსენებიან წიგნთა შინა თჳსთა გრიგოლის...“, შეიცავენ სხვა თხრობათა შორის ასეთსაც: პელოფს და პელოპიდნი (თქმულება პელოპის, ჯნომაოსის და ჯნომაოსის ასულის იპოდამიას შესახებ)[17]. თუ სხვა წყარო არ ექნებოდა ავტორს ამ წყვილის დასახელებისას, ეფრემ მცირის ნაშრომს მაინც გამოიყენებდა და იქიდან ამოიღებდა ამ ცნობას.

რაც შეეხება პლუტონსა და პერსეფონეს, ბერძნული მითოლოგიიდან კარგად ცნობილი ამბავია ესეც — დემეტრეს ასული პერსეფონე მოიტაცა საიქიოს ღმერთმა — პლუტონმა, რომელსაც ქალის მიმართ დიდი სიყვარული ჰქონდა. დემეტრესაც ძალიან უყვარდა თავისი ქალი, ბევრი ძიების შემდეგ მიაგნო მას და ამის შემდეგ — შეთანხმების საფუძველზე, ქალი ნახევარ წელს დედასთან ატარებდა და ნახევარს ქმართან. ეს ამბავიც არის ეფრემ მცირის ნაწარმოებში: „ტრფიალება პლუტონისა პერსეფონისადმი და წარტაცება პერსეფონისი“...[18].

ისტორიკოსი იცნობს ბერძნულ პანთეონს:

გიორგი III, როგორც საუკეთესო მონადირე, ასეა დახასიათებული: „ვითარ იონათან მშჯლდ-კაპარჭოსანი, ვითარ ჩუბინ უცდენელა მსროლელი, მყის სისრა-მყოფი მტერთა და მჭეცთა ზედა, და არტემისა სახედ, რომელი ითქმის „მთაფოლო“, რომელ არს ღმერთი მონადირე“ (II, 6). როგორც აქვე წერია და როგორც საერთოდ ბერძნული მითოლოგიიდან ვიცით, არტემიდე ნადირობის ქალღმერთია და ეს კარგად არის ცნობილი ისტორიკოსისათვის[19].

თამარის დახასიათებისას ერთგან ავტორი წერს: „შჯდთა მათ სარტყელთა ცისათა და მნათეთა სფეროსთა... შეასახა სფერო მიწიერი“ (II, 27—28); ხოლო მნათეთა, ე. ი. მნათობთა, სახელებია: კრონოს, ზევს და აფროდიტე, ერმი (ე. ი. ჰერმესი), აპოლონ და არეა (ე. ი. არესი).

---

[17] ბ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 48—49.

[18] იქვე.

[19] არტემიდეს ეპითეტის მთაფოლოს შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შემდეგი მოსაზრებებია გამოთქმული: ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ეს არის ეპითეტი *ταυροπλος* (1. ხარებით მომავალი. 2. ტაურების ქვეყანაში თაყვანცემული, სადაც *ταυρος* თარგმნეს მთად, იმიტომ, რომ ასე იწოდებოდა ერთ-ერთი მთა კილიკიასა და არმენიას შორის — „ჩვენი მეცნიერება“, № 3 — 4 (15—16), 1925, გვ. 85—86); კ. კეკელიძის აზრით, „მთაფოლო“ არის გრაფიკულ ნიადაგზე დამახინჯებული მეორე ეპითეტი *ἐλαφηβόλος* (სხვა შემთხვევაში ქართულად დადასტურებული ფორმა „ელაფიეოლო“) История и восхваление венценосцев, 1954, გვ. 96. *πολος* და *βολος* — ორივე მოგვცემს ქართულად „ფოლო“-ს გრაფიკულ ნიადაგზე. პირველი ნაწილების (*ταυρο* და *ἐλαφη*) გადმოცემა „მთა“ —სიტყვით (თუ კი აქ მართლა „მთაა“ და არა რაღაც სხვა სიტყვის დამახინჯება), უფრო საეჭვოა.

კრონოსი, ზევსი, აფროდიტე, ჰერმესი, აპოლონი და არესი ბერძნული პანთეონის იმდენად ცნობილი ღვთაებები არიან, რომ მათ შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებთ. იგივე სახელები ერქვა სხვადასხვა პლანეტებს. ერთს კი შევნიშნავთ: ამავე ეპოქაში არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილი იოანე დამასკელის „გარდმოცემის“ ერთ-ერთი ადგილის ნაკლებ ელინოფილი სქოლიასტი წერს: „კრონოს — ზუჰალი, დია — მუშთარი, არეა — მარიხი, მზე — სამბს (ალბათ უნდა იყოს — შამს. — თ. ყ.), აფროდიტე — ზუჰრა, ერმი — ოტარიდი, მთოვარე — ყამარ (S, 1463, 45r) ე. ი. ამ დროს საქართველოში მნათობთა ორივე რიგის (ბერძნული და აღმოსავლური) სახელები იყო გავრცელებული და იმისდა მიხედვით, თუ მწერალი ამ დარგში უფრო მეტად რა განათლებისა, ან ორიენტაციისა იყო, ძეგლშიც ის სახელები გვხვდება.

„ისტორია-აზმათა“ ტექსტში გვხვდება ბერძენ ისტორიულ პირთა სახელები. ისტორიას დართულ იოანე ჭიმჭიმელის ლექსში იხსენიება „თალი მილისეველი“ — ე. ი. თალეს მილეტელი, ძვ. წ. VII—VI საუკუნეების ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი, ნატურფილოსოფიის სკოლის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი. XI—XIII საუკუნეების საქართველოში ისე დიდია ინტერესი ძველი ბერძნული სამყაროსა და, კერძოდ, ფილოსოფიისადმი, რომ არაა გასაკვირი თალესის სახელის (და, ალბათ, არა მარტო სახელის) ცოდნა ფილოსოფოს იოანე ჭიმჭიმელისაგან.

როდესაც ავტორი აქებს და ადიდებს გიორგი III, ადარებს მას ლიტერატურაში განთქმულ გმირებს, „შაჰ-ნამესა“ და ბიბლიის გოლიათებს და ასევე მსოფლიოში სახელმოხვეჭილ ბრძენ-კაცებს: „სოლომონ, სოკრატ და პლატონ ბრძენთა შორის“ (II, 3). „სოლომონ-ბრძენი“ დღესაც ჩვეულებრივი ეპითეტია ძალიან ჭკვიანი კაცისათვის და მომდინარეობს ებრაელთა მეფის სოლომონის სახელისაგან (და ძირითადად „ბიბლიიდან“). რაც შეეხება სოკრატესა (470—399) და პლატონს (427—347), ამ ძველი ბერძენი ფილოსოფოსების მოძღვრება ამ დროის საქართველოში კვლევის საგანიც იყო. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ იოანე პეტრიწის (XI-XII სს.) ორიგინალური თხზულება „განმარტებაჲ პროკლესთჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს“, ხოლო სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი სარგებლობდა იოანე პეტრიწის შრომებით[20]. ასეთ პირობებში სრულიად ბუნებრივია განსადიდებელი მეფის, ავტორისათვის კარგად ცნობილი მსოფლიო მნიშვნელობის ბრძენ კაცებთან — სოკრატესთან და პლატონთან შედარება. ამასვე მოასწავებს პლატონის კიდევ ერთხელ ხსენება და დამოწმება მისი ციტატისა: „ვითარ იტყჳსცა დღე ბერძენთა ხედვისა პლატონ: „კეთილი კეთილთათჳს არს კეთილ, ვინა იგივე კეთილი ბოროტთათჳს ბოროტ“ (II, 53)[21].

---

[20] ქართლის ცხოვრება, II, 013.

[21] იოანე პეტრიწის შრომებში, II, 32—36 მთელი მე-8 თავი დასათაურებულია: „პირველისა კეთილობისათჳს“, მოყვანილია ცალკეული ციტატები და შემდეგ მათი განმარტებებია. მათ შორის სიტყვასიტყვით, რომ ისტორიკოსთან დამოწმებულ ციტატას თანხვდებოდეს, ასეთი არ არის. პლატონის ფილოსოფიაში ერთ-ერთი ძირითადი არის სიკეთის იდეა. ამის შესახებ განსაკუთრებით ბევრია ნაწარმოებებში — „ფედონი“ და „სახელმწიფო“. საკითხავია ეს ციტატი, არ ვიცით.

ავტორს ისტორიათა აღმწერლობაში მისაბაძად მიაჩნია პლუტარქოსი: „იდიდსიტყუა ალექსანდრესადმი პლუტარხოს ზემომაღლელი ისტორიათა მწერლობასა შინა ჴელმწიფეთა შემსხმელობისასა“ (II, 2). როგორც ამ ნაწყვეტიდან ჩანს, ისტორიკოსი იცნობს პლუტარქოსს. მისი (46—120 წწ.) Βίοι παράλληλοι საკმაოდ პოპულარული ნაწარმოები იყო ყოველთვის, ყველა ეპოქაში და, ჩანს, ქართველ ისტორიკოსს ესა აქვს მხედველობაში, როდესაც აქებს პლუტარქოსს და მის მიერ ალექსანდრეს განდიდებაზე ლაპარაკობს. როგორც ცნობილია, ამ კრებულში (Βίοι παράλληλοι) ერთი წყვილი ბიოგრაფიისა არის ალექსანდრე მაკედონელისა და იულიუს კეისრისა. ე. ი., როგორც თვითონ ავტორი ასახელებს, ალექსანდრეს შესახებ ცნობები მას პლუტარქოსის ბიოგრაფიიდან ჰქონია.

გიორგი III მიმართავს ჯარს და თავის სიტყვაში, სხვათა შორის, ახსენებს თემისტოკლესაც, ცნობილ ათენელ სახელმწიფო მოღვაწეს და გამოჩენილ მხედართმთავარს (ძვ. წ. V ს.) (ბერძენ-სპარსთა ომებთან დაკავშირებით): „გუასმიეს ძუელთა მომთხრობელთაგან, თუ რაოდენნი კუეთებანი თავს ისხნეს საღმრთოთა სჯულთათჳს ტომმან ებრაელთამან არტაქსერქსისზე, ელინთა — ოდეს იგი იძღუანებოდეს თემისტოკლეოს მიერ უცთომელისა სპასპეტისაგან სოფლისა მქონებელს მძლესა არტაქსერქსის ზედა, რომელმან ზღუაცა მტკიცე ყო უომრად სპაებთათჳს, ხოლო ათინელთა ერთისა ოდენ ქალაქისაგან (ე. ი. ათენისაგან. — თ. ყ.) უკუნრღუელ იქმნა“ (II,8).

კ. კეკელიძის აზრით, „ებრაელთა ამბავი არტაქსერქსის დროისა ავტორს გაგონილი ექნება ან „ესთერის წიგნიდან“, ან იოსებ ფლავიოსის „იუდელთა ისტორიიდან“, ანდა გიორგი ამარტოლის ხრონოღრაფიიდან, ხოლო ელინთა თავგადასავალი ქსერქსის დროისა — ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი ისტორიიდან“[22]; რომელი ისტორიიდან, ამის დადგენა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

„ისტორიათა და აზმათა“ ავტორი იცნობს კიდევ უფრო ნაკლებ პოპულარულ ბერძენ მოღვაწეებსაც. მაგალითად, თამარის დახასიათებისას იგი წერს: „აჰა იხილვებისცა, ვითარ სოლინარი, მცენსა თანა მედინთა ნაკადისათა, და ვითარ პითოდორა და კრიტია შენებულთა ხედვათაგან განსაცადნი“ (II, 29).

პითოდორასა და კრიტიას შესახებ კ. კეკელიძე 1938 წელს წერდა: „პითოდორა — აქ უნდა იგულისხმებოდეს ალექსანდრე მაკედონელის დროის პითოდორა, შესანიშნავი ხუროთმოძღვარი, რომელმაც ააშენა ათინას ტაძარი პრიენში — კრიტია, თუ ესეც მშენებლობასთან დაკავშირებული პირი არაა, შეიძლება იყოს კრიტია მცირე (VI ქრ. წ.), მეტად განათლებული ადამიანი, რომელსაც პლატონი იხსენიებს დიალოგში „კრიტია“[23]. 1959 წელს კ. კეკელიძე იმეორებს ამასვე და უმატებს: „Но как будто здесь в виду имеется Пифодор и Критий, знаменитые греческие скульпторы V в. (до н. э.)“[24]. რა თქმა უნდა, კონტექსტის მიხედვით სრულიად უდავოა, რომ პითოდორა და კრიტია ორივე უნდა შეიცნოს კაცმა მათი ნაშენის, ნაკეთების, ნაგების მიხედვით, ე. ი. ორივე ან არქიტექტორია, ან მოქანდაკე. ბერძნულ საკუთარ სახელთა ლექსიკონებისა და ინდექსების მიხედვით ყველაზე მეტად საგულვებელი ამ ადგილას არიან მრავალ პითოდოროსსა და კრიტიას შორის ის მოქანდაკე,

---

[22] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, როგორც ლიტერატურული წყარო: გვ. 140—141.

[23] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 141.

[24] К. К е к е л и д з е, История и восхваление венценосцев, გვ. 102.

ხელოვანი კრიტია, რომელიც ფიდიასის დროს მოღვაწეობდა ათენში, ხოლო პითოდოროსი კი 2 სხვადასხვა შეიძლება ვიგულვოთ: 1. პავსანიას მიერ ხსენებული ძვ. წ. VI ს-ის ხელოვანი (მას ეკუთვნოდა ჰერას ერთ-ერთი უძველესი გამოსახულება) და 2. პლინიუსის მიერ დასახელებული, რომლის ნამუშევრებიც პალატინის სასახლეში მოიპოვებოდა. ახლა რომელ ამათგანს გულისხმობს ქართველი ისტორიკოსი, ან რაა მისი წყარო, ძნელია ამის დადგენა. ერთი კია, ის იცნობს თემისტოკლეს, ე. ი. საბერძნეთის ძველ ისტორიას და ეს მოქანდაკეებიც (ე. ი. VI-V საუკუნეების მოღვაწეები) იქ იქნებოდნენ დასახელებული. ამდენად, მეტად მოსალოდნელია უფრო ადრინდელი პითოდოროსის ხსენება. ისე, ძველ ბერძნულ ძეგლებში ასეთი წყვილი — პითოდოროსი და კრიტია — პოპულარული არ არის, როგორც, მაგ., დაედალოსი და იკაროსი (მამა-შვილი), კასტორი და პოლიდევკე (ძმები); ორესტე და პილადე (მეგობრები).

ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე ანტიკურობისა, რომელიც არაერთხელ არის „ისტორიასა და აზმაში" მოხსენიებული, არის ალექსანდრე მაკედონელი.

ჯერესებითი პლუტარქოსმა „იდიდსიტყუა ალექსანდრესადმი" (II, 2. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ზემოთ, სადაც პლუტარქოსზეა ლაპარაკი).

ივანე ათაბაგის სიტყვაში არის ასეთი ადგილიც: „რამეთუ ოდესმე ალექსანდრეცა იძლივა დედაკაცისა მიერ, და ეგრევე სამბსონ დალილასაგან და სოლომონ სიბილასაგან" (II, 13).

თამარმა დაიტირა მუხანათურად მოკლული ამირ-მირმანი; ეს გლოვა შედარებულია ერთ ეპიზოდთან ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრებიდან: „მსგავსად ალექსანდრესა, ვით დასდვა პატივი დიდი პორეს ლუსკუმასა შინა ჯდომითა, ეგრეთვე შავითა შეიმოსა ნათელი იგი..." (II, 76). კ. კეკელიძის აზრით, ეს ადგილი ისტორიაში შესულია რომანიდან „ალექსანდრიანი" („История и восхваление венценосцев"... გვ. 12).

პორეს (Πῶρος) ეპიზოდი კარგად არის ცნობილი ალექსანდრეს ცხოვრებიდან — ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა მასზე ალექსანდრემ 326 წლის მაისში და ეს შესულია მის ყველა ბიოგრაფიაში.

შემდეგ, გიორგი III დახასიათებისას, იგი როგორც სახელმწიფო მოღვაწე, მეფე, მპყრობელი შედარებულია ალექსანდრე მაკედონელთან: „ალექსანდრე და ქაიხოსროს მპყრობელთა შორის" (II, 3). ქაიხოსრო მას „შაჰ-ნამედან" მოჰყავს, ხოლო ალექსანდრეს იცნობს, თავისივე განცხადების თანახმად, პლუტარქოსის ბიოგრაფიიდან; ომში გამობრწყინებული გიორგი III ისევ ალექსანდრესთან არის შედარებული: „თჳთ მეფე ალექსანდრეს სუითა და სიაოშის მოყმეობითა სდევდა მრავალგზის გამომცველი რაზმთა; სცემდა და იცემებოდა, სრვიდა და ისროლებოდა, და ბუმბერაზნი მისნი თანაშემწეობდეს" (II, 9).

გიორგი III გარდაიცვალა და ისტორიკოსი მას კიდევ ერთხელ ადარებს ალექსანდრეს: „ახალი ნებროთ, ალექსანდრე და აქილევ, ქუეყანით ცად მიიმართა" (II, 23—24).

როგორც ვხედავთ, ალექსანდრე მაკედონელის სახელი ხშირად გვხვდება ამ ნაწარმოებში. ჩვეულებრივ ისტორიკოსი მას პირდაპირ „ალექსანდრეს" უწოდებს (II, გვ. 2, 3, 9, 13, 24, 76), ერთხელ კი გვაქვს ფორმა: „ისქანდარ მაკიდოვნელი" (II, 7) — „ვითარ იტყჳს ისტორია ისქანდარ მაკიდოვნელისა". კ. კეკელიძის აზრით, „ამ ადგილს ავტორს მხედველობაში აქვს „ისკანდერნამე" ნიზამი განჯევისა, „შაჰ-ნამეს" მიბაძვით დაწერილი ფანტასტური ისტო-

რია ალექსანდრე მაკედონელისა[25]. პ. ინგოროყვას აზრით, ეს ფორმა მოდის ალექსანდრიანის ირანულ-არაბული ტექსტიდან[26]. ამირ-მირმანი, როგორც უებრო მოისარი, შედარებულია მოსიმახოსთან[27]. „მოსიმახოს უცთომელმან მსროლელმან“ (II, 69). კ. კეკელიძის მტკიცებით მოსიმახოს სახელი შემოსულია მატიანეში მხოლოდ გიორგი ამარტოლის ხრონოღრაფიიდან“[28], ხოლო ტექსტის რუსული თარგმანის შენიშვნაში წერია: „Мосимах, меткий стрелок, упоминается у Иосифа Флавия“ (გვ. 107)[29].

„ისტორიათა“ უკანასკნელ გამოცემაში (ქ.ᲪᲮ., II) არის რედაქტორის კონიექტურა — აფროდისი (გვ. 9) — აღმოცენებული ხელნაწერების (Mm) წაკითხვაზე — ფროდისისა.

„განაწონნა კინენი მსგავსად აფროდისისა მქონესა წყობისა მამტკიცებელისასა“ (ეხება გიორგი III). ამ კონიექტურის მიხედვით ეს არის ალექსანდრე აფროდისიელი, ბერძენი ფილოსოფოსი.

კ. კეკელიძე ამ ადგილს ასწორებს და იძლევა სახელს „ფრიდონს“ („შაჰნამეს“ გმირის სახელს).

კონტექსტის მიხედვით ამ ადგილს არ შეეფერება ფილოსოფოსის მოხსენიება, რომელიმე გმირის სახელი აქ უფრო ბუნებრივია. კონტექსტი კი ასეთია: გიორგი III, სწორუპოვარი ვაჟკაცი, ანისთან ბრძოლის წინ, ცხენზე „აზევებული“ ვრცელი სიტყვით მიმართავს ჯერ მხედრებს, შემდეგ კი მოუწოდებს ამირახორსა და სხვათა და სხვათა, რომ პირველ რიგში მტრის მედროშე უნდა დავცეთო და ამას მოჰყვება: „ესრეთ სასოებით მოქადულმან განვლა რაზმი და სუმპერაზმანი (ე. ი. დასასრული, კიდე, ალბათ, რაზმებისა. — **თ. ყ.**), განაწონნა კინენი (ე. ი. შიგ გაუყარა შუბები. — **თ. ყ.**) მსგავსად აფროდისისა (?) მქონესა წყობისა, მამტკიცებელისასა“ (II, 9). შემდეგ ისევ გიორგის ვაჟკაცობაზეა ლაპარაკი და შედარებულია გმირებთან — ალექსანდრესთან და სიაოშთან.

ს. ყაუხჩიშვილის აზრით, „მსგავსად ფროდისისა მქონესა წყობათა მამტკიცებელისასა“, ე. ი. მსგავსად ფილოსოფოს აფროდისიელისა, რომელიც მტკიცების პოსტულატებს განაწყობდა ხოლმეო. ცხადია, სიტყვით „ფროდისისა“ იგულისხმება ფილოსოფოსი ალექსანდრე აფროდისიელი, რომელსაც პეტრიწი არისტოტელის გვერდით იხსენიებს ხოლმე“[30].

მართალია, ჩვენი ისტორიკოსის ლექსიკაში ბევრი არის ისეთი, რაც ნამდვილად პეტრიწიდან მომდინარედ ჩანს, სახელდობრ, ამავე ფრაზის „სუმპერაზმანი“-ც, მაგრამ ხელნაწერთა „ფროდისისა“ (თუმცა ეს დაწერილობა ყველაზე ახლოს „აფროდისისთან“ არის), მაინც არაა აღსადგენი ფილოსოფოსის სახელად. რაც შეეხება „წყობისა მამტკიცებელისასა“, „წყობა“ უნდა გავიგოთ როგორც „ჯარის“, „რაზმისა“ და „ბრძოლის“ სინონიმი (იხ. II, 625);

---

[25] კ. კეკელიძე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, როგორც ლიტერატურული წყარო, გვ. 146—147.

[26] პ. ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის საალიტერატურო მემკვიდრეობა, გვ. 62—63.

[27] ამის შესახებ იხ. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1973, № 4. გვ. 117 და შმდ., დავით აღმაშენებელის ისტორიკოსთან დაკავშირებით.

[28] კ. კეკელიძე, ისტორიანი და აზმანი..., გვ. 141.

[29] სხვათა შორის ამ ადგილის კ. კეკელიძისეული თარგმანი სწორი არაა: «подобно Мосимаху, меткому стрелку, которого воспитал Кентавр» (გვ. 60). გამოტოვებულია „და ეიაარ განსწავლილმან ქენტაროსისგან“, რაც ეხება აქილევსს და არა მოსიმახოსს.

[30] „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და იოანე პეტრიწი, სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, III, № 1, 1942, გვ. 89—95. ეს ადგილი — გვ. 92.

„მამტკიცებელი“ არის განმამტკიცებელი (ამ ჯარისა) და არა ფილოსოფიური „მტკიცების პოსტულატების განმაწყობელი“. ისე რომ, მე მგონია, აქ ბერძენი ფილოსოფოსი კი არაა მოხსენიებული, არამედ რომელიმე გამოჩენილი გმირი იქნებოდა დასახელებული, ხოლო თუ „ფროდისისა“ მაინცადამაინც ფილოსოფოსს აღნიშნავს, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ადგილი პეტრიწისაგან მომდინარეობს.

კონსტანტინე დიდის სახელი ამ ნაწარმოებშიაც გვხვდება. პირველად ავტორი კონსტანტინეს უწოდებს გიორგი III (II, 10), შემდეგ იხსენებს მას — მასთან დაკავშირებულ ერთ ქრისტიანულ ლეგენდას თამარის ტახტზე დასმის აღწერისას (II, 26), ხოლო მესამედ მაშინ, როდესაც გადმოცემულია თამარ მეფის გარდაცვალების ამბავი და ამასთან დაკავშირებით კონსტანტინე დიდის ძმისწულის ივბიმიანოსის შესახებ არის თხრობა (II, გვ. 112).

ივბიმიანოსის შესახებ შედარებით ვრცელი ტექსტია მოყვანილი (II, 112), რაც, კ. კეკელიძის აზრით, ამოღებულია ნახევრადისტორიული — ნახევრადბელეტრისტული „ივლიანეს რომანიდან“, რომელიც VI ს-ში დაიწერა ასურულად, მერე ძალიან პოპულარული იყო არაბ ისტორიკოსთა შორის და, როგორც ჩანს, ქართულ ენაზედაც არსებობდა ჩვენი მწერლობის კლასიკურ პერიოდში[31].

ივბიმიანოსი (ანუ იობიანოსი) რომის იმპერატორი იყო ერთ წელს (363—364 წწ.) და ზემოხსენებული „ივლიანეს რომანი“ ეხებოდა მას და მის შემდგომ კეისარს, იულიანე განდგომილს.

„ისტორიათა და აზმათა“ ავტორმა იცის „ილჯსიოს ველი“ (— ელისეს ველი, II, 61) Ἠλύσιον πεδίον, ეს იცის იოანე პეტრიწმაც (II, 226, რამდენჯერმე ახსენებს და ისეთსავე კონტექსტში დაახლოებით, როგორც აქვს ისტორიკოსს — „ასფოდელოსთან“ ერთად) — როგორც ჩანს, ილჯსიოს ველი ძველ ალთქმაშიც არის (აქედან აქვს იოანე პეტრიწს თავის ბოლოსიტყვაობაში და შესაძლოა ამ გზით არის „ისტორიაშიც“, ან უშუალოდ ძველი ალთქმიდან).

„ისტორიათა და აზმათა“ ავტორი ბერძნული საკუთარი სახელებიდან აკეთებს ზედსართავებს — მაგ., აქილევსი (ტექსტშია „აქილევ“) — აქილიანი; ალექსანდრე — ალექსანდრიანი; აპოლონი — აპოლონიანი; აფროდიტე — აფროდიტიანი; ავგუსტუსი — ავღუსტიანი; ოლიმპო — ულუმპო — ულუმპიანი.

„მკლავითა აქილიანითა“ ყოველთვის გიორგი III ეხება (II, 9, 11, 25). „სუე ალექსანდრიანი“ და „სიმჯნე... ალექსანდრიანი“ არის თამარი (II, 34, 63). ასევე „შუენება აფროდიტიანი“ და „სიუხუჱ მზეებრი აპოლონიანი“ აქვს თამარს (II, 32). „ავღუსტიანი“ არის თამარი (II, 29). „ულუმპიანად და შუენიერად“ „სუფევდეს... თამარ და დავით“ (II, 75). „ულუმპიანიდან“ წარმოებულია კიდევ ზოგადი ცნება „ულუმპიანობა“ (II, 1; 65).

არის მთელი რიგი ბერძნული სიტყვებისა, რომელსაც ხმარობს ისტორიკოსი (აქაც აღარ ჩამოვთვლი იმათ, რომლებიც საყოველთაო ხმარებისაა).

აზმა (II, 1) ᾆσμα — ქება; ანდრიანტები (II, 21), ἀνδριάς — ქანდაკება; ანტაკრა (II, 12) ἀντικρύ — წინააღმდეგ; ასფოდელო (II, 2; 65) ἀσφόδελος, მცენარეა, აქ „სამოთხე“(?); ბარბაროზი (II, 48) βάρβαρος, ბისონი (II, 21) βύσσος — წმინდა ქსოვილი; დასო (II, 64) δασύ, τό — ხშირი ტყე; დრამა (II, 5;

[31] კ. კეკელიძე, „ისტორიანი და აზმანი...“, გვ. 142—143.

73) δραχμή, ფულის ერთეული; ექსორია (II, 18; აქედან წარმოებული „ექსორიობა“ — II, 65) ἐξορία, ვასილოღრაფი (II, 2) βασιλογράφια, „რომელ არს მოთხრობა მეფეთა“ ირო (II, 25; აქედან წარმოებული „ироელი“ II, 35) ἥρως, გმირი. ისტორია (II, 1, 2, 7, 69, 83) ἱστορία (ივ. ჯავახიშვილისა და კ. კეკელიძის შენიშვნების თანახმად ეს სიტყვა პირველად „ისტორიათა და აზმათა“ ავტორმა იხმარა ქართულ მწერლობაში[32]). ისტრულაბი, ასტროლაბი (II, 113) ἀστρολάβος, ასტრონომიული ხელსაწყო, კატაპელტი (II, 70) καταπέλτης, მანქანა ისართსატყორცნელი, მარმენიო (II, 62) εἱμαρμένη — ბედისწერა; მაღნინტოანი (II, 11) μαγνῆς-ητος; მეტაფრასი (II, 62) μετάφρασις, მეტოქი (II, 91) μετόχιον — მონასტრის ქვეგანყოფილება, ფილიალი; პორფირი (II, 25) πορφύρα; სტუქო (II, 23) στοιχεῖον (სტრიქონი, კავშირი); სუმპერაზმა (II. 9) συμπέρασμα დასკვნა (აქ — დასასრული, კიდე); სფერო (II, 28, 57, 113) σφαῖρα ცის სივრცე, ცის მნათობნი; ტარტაროზი (II, 48) τάρταρος,— ტარტარის, ე. ი. ქვესკნელის მკვიდრი; ფილოპატი (II, 64) φιλοπάτιον, მეფის სანადირო (ეს სიტყვა გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაშიც გვხვდება[33]). ხრიზმოსი (II, 84) χρισμός — წინასწარმოსწავება, მისნობა (გვხვდება „ელინთა მეზღაპრეობაშიც“, გვ. 23, 26 და გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფშიც, გვ. 65).

ამრიგად, დასკვნის სახით რომ გავიმეოროთ ის, რაც უკვე ითქვა, „ისტორიათა და აზმათა“ ავტორის განსწავლულობა ბერძნული ლიტერატურის, ისტორიის, კულტურის საკითხებში საკმაოდ საფუძვლიანი ჩანს და მის მეტყველებაში ბერძნულ ლექსიკას, ასე ვთქვათ, ბერძნიზმებს უმნიშვნელო ადგილი არ უჭირავს.

* * *

რამდენადაც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ მდიდარ მასალას იძლევა ჩვენი თემისათვის, იმდენად თამარის მეორე ისტორიაში ძალიან ცოტაა ცნობები საიმისოდ, რომ მისი ავტორის ანტიკური კულტურის საკითხებში საგანგებო განსწავლულობაზე ვილაპარაკოთ.

„ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა 1923 წელს და ტექსტიც თვითონ დაადგინა. მის ავტორად ბასილი ეზოსმოძღვარია მიჩნეული (თუმცა ამ მოსაზრებას უფრო სამუშაო ჰიპოთეზის სახე აქვს, ვიდრე დებულების). არსებობს მეორე ჰიპოთეზაც — ილ. აბულაძის აზრით, „ცხოვრება მეფეთა მეფის თამარისი“ შოთა რუსთველის თხზულებაა[34]. ეს ისტორია დაწერილია ივ. ჯავახიშვილის აზრით — 1210—1213 წწ., პ. ინგოროყვას აზრით — XIII ს-ის პირველ მეოთხედში, ხოლო კ. კეკელიძის აზრით — 1236 წელზე გვიან[35].

ნაწარმოები მარტივი, სადა ენით, საქმიანად არის დაწერილი და მკვლევართა საერთო აზრია ის, რომ მისი ავტორი თამარის სასულიერო-სარწმუნოებრივი საქმიანობით მეტად არის დაინტერესებული, ვიდრე მისი სამ-

---

[32] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1916, გვ. 166; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, „ისტორიანი და აზმანი..., გვ. 135. —

[33] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, „ისტორიანი და აზმანი...“, გვ. 136.

[34] ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ცნობა შოთა რუსთაველს ისტორიული თხზულების შესახებ, ენიმკის მოამბე, III, 1938, გვ. 202.

[35] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 021.

ხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობით, თუმცა დიდი მეფის ცხოვრების ამ მხარესაც ლაკონურად, მაგრამ მაინც საკმარისი სიზუსტით გადმოსცემს[36].

ბასილი ეზოსმოძღვარი ალექსანდრე მაკედონელს ახსენებს ორჯერ: ერთხელ როდესაც თამარის ჯარმა სძლია სპარსეთის ჯარები, ნათქვამია: „წარმოემართნეს ლაშქარნი დიდად მოხარულნი ულუმპიანსა ამას ზედა ძლევასა, ფრიად უაღრესსა საქებელისა მისგან ძლევისა, რომელი იყო ალექსანდროს დარიოსს ზედა“ (II, 128). ე. ი. თამარის ჯარების მიერ ძლევა უფრო საქებელია, ვიდრე ალექსანდრეს გამარჯვება სპარსთა მეფეზე დარიოსზე. აქ იგულისხმება ცნობილი ფაქტი ალექსანდრე მაკედონელის ბიოგრაფიიდან: მან, როგორც ვიცით, მეფობის მეექვსე წელს (ე. ი. 330 წ.) ხელთ იგდო დარიოსი და „დაჰკლნა მეფობაჲ სპარსთაჲ“ (გიორგი ამარტოლი, ხრონოგრაფი). მეორეგან დავით სოსლანის შესახებ წერია: „არცა თჳთ უქმობდა და არც თჳსთა ყმათა აუქმებდა, ვითარ იგი იტყჳს ვინმე ჟამთა აღმწერელი ალექსანდრესთჳს“ (II, 130). შესაძლოა ჟამთა აღმწერელი აქაც იგივე არისტობულე იგულისხმებოდეს (ვისაც ასახელებს დავითის ისტორიკოსი), ან არადა გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფი“. რაც მთავარია, ყურადღებას იპყრობს სახელის ბერძნული ფორმა „ალექსანდროს“. თუ ბასილი ეზოსმოძღვარს ბერძნული დედანი ისტორიისა არა ჰქონდა ხელთ, ის თარგმანი, რომლითაც მან ისარგებლა, ე. წ. ბერძნიზმებს შეიცავდა (მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს საქართველოში სახელი „ალექსანდრე“ სწორედ ამ ფორმით კარგად იყო ცნობილი).

მეორე პირი, რომელიც ხსენებულია ამ ისტორიაში, არის კონსტანტინე დიდი — მასთან შედარებულია თამარი — „სჯულთათჳს სულითთა (— საღმრთოთა) მეორე კოსტანტინე იქმნებოდა“ (II, 117).

ნაწარმოებში არის ასეთი ადგილიც: „ნამდჳლვე ერმიონთასა უსახელოვნესთა მათ კაცთა, ზაქარია და ივანე“ (II, 128) ე. ი. ზაქარია და ივანე მხარგრძელები უფრო სახელოვანნი იყვნენ, ვიდრე ერმიონის შვილები. ასეა გაგებული გამოცემაში ეს ადგილი. ბროსეს აზრით, ეს ერმიონის შვილები არიან ლედას შვილები, კასტორი და პოლუქსი (ქ.ᴴᴳ., II,653), რაც არ შეეფერება სინამდვილეს. კასტორისა და პოლიდევკეს (პოლუქსის) ღვთაებრივი და მიწიერი მამების სახელები (ზევსი, ტინდარევსი) კარგად არის ცნობილი ბერძნულ მითოლოგიაში, სახელი ჰერმიონი არავითარ ვარიანტში არ გვხვდება მათთან დაკავშირებით. ჰერმიონი იყო ევროპეს ვაჟი, რომელმაც დააარსა არგოლიდაში ქ. ჰერმიონე. ამას გარდა, ბევრნი არიან ქალები — ჰერმიონე: ერთ-ერთია მენელაოსისა და ელენეს ასული (ე. ი. შვილიშვილი ლედასი), მეორეა — დემეტრესა და პერსეფონეს ზედწოდება და სხვ. მაგრამ არცერთი „ჰერმიონი“ ან „ჰერმიონე“ არ არის ისეთი, რომელიც სახელგანთქმული იყო თავისი შვილებით — ორი ვაჟით, როგორც მაგ., ატრევსი (აგამემნონი — მენელაოსი), ტინდარევსი და სხვ. აზრობრივად არც „ჰერმესიდან“ უნდა იყოს წარმოებული „ერმიონი“. ვფიქრობთ, ბერძნული სახელი ჰერმიონი (ერმიონი) აქ არაფერ შუაშია.

იოანე პეტრიწის შრომებში (II) ბერძნული სიტყვების საძიებელში შეტანილია „ერმაული“.

„ხოლო შენ-შორისი გონება ხადე ერმაულთაგან“ (104).

„ერმაულად იმწუერვალენ აპოლლო“ (223).

---

[36] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 020.

ჩვენთვის ეს ადგილი გაუგებარია. იოანე პეტრიწი (ისევე როგორც ბევრი სხვა იმდროინდელი ქართველი ავტორი) იცნობს სახელს „ერმი“ (ჰერმესისათვის), მაგრამ აზრობრივად „ერმი“-დან წარმოებულს არ ჰგავს ეს სიტყვა, ისევე როგორც ზემოთ ხსენებული „ერმიონი“-ც.

საბას ლექსიკონში შეტანილი აქვს სიტყვა „ერმიანი“, რომელსაც ასე განმარტავს: „ერმიანი ესე იგი არს, რაჟამს საშჯელსა შინა განსაჯონ ვინმე თჳნიერ თანა ყოფითა ორკერძოთა მათ მოსარჩლეთათა“ — ე. ი. ზაქარია და ივანე მხარგრძელები უფრო სახელოვანნი არიან, ვიდრე „ერმიანნი“ — ე. ი. ისინი, ვინც განსჯისას ორივე მხარეს არ ისწრებენ, ორივე მხარეს არ ეკითხებიან.

შესაძლოა ეს ახსნაც არ იყოს სწორი, მაგრამ ჩვენი ცოდნის ამ ეტაპზე უფრო ახლოსაა ჭეშმარიტებასთან, ვიდრე მისი ადრინდელი გაგება.

საბასეული „ერმიანის“ ეტიმოლოგია უცნობია.

თამარის ცხოვრების რუსულ თარგმანში, რომელიც ეკუთვნის ვ. დონდუას. ეს ადგილი ასეა: „Действительно, именитые люди, Захария и Иванэ взяли с побежденных пятину“[37]... ე. ი. „ერმიონი“ — „ერმიანი“ თარგმანში სულ გამოტოვებულია. ერთ-ერთ უკანასკნელ ნაშრომში ვ. დონდუა შეეხო ერმიონთა საკითხს. მისი აზრით, Hermion იყო ძველი გერმანელი მეფე, რომელიც სიკვდილის შემდეგ ღმერთად იქცა. ამ სახელით ძველი საქსონები აღნიშნავდნენ მარსს; ომის ღვთაების, ე. ი. მარსის სახელი (ჰერმიონი) შესულა ქართულ ისტორიოგრაფიაში, თამარის ისტორიკოსი ჰერმიონის ძეობით იხსენიებს მხარგრძელებს, ისედაც ბევრი ეპითეტით შემკულთ[38].

ვფიქრობთ, საეჭვოა გერმანელი მეფის, თუნდაც სიკვდილის შემდეგ გაღმერთებულის, სახელი სცოდნოდათ რუსთაველის ეპოქის ისტორიკოსებს, ანდა ძველი საქსონების მიერ ხმარებული მარსის (არესის) აღმნიშვნელი სიტყვა.

ისტორიკოსისათვის ცნობილია ზედსართავი „ულუმპიანი“ (II, 128). იგი ხმარობს ბერძნულ სიტყვებს:

აკროსტიხორად (II, 146) ἀκρόστιχον; დასო —δασύ (II, 131, 144), ექსორია (II, 131) ἐξορία, ლანკანი (II, 139), λεκάνη— ლამბაქი, მაღნანტი (II, 116) — მაგნიტი.

ამრიგად, „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ ანტიკური სამყაროს ცოდნის თვალსაზრისით დიდად საგულისხმო არ ჩანს.

---

[37] В. Дондуа, Басили, историк царицы Тамары, Памятники эпохи Руставели, 1938, გვ. 54

[38] ვ. დონდუა, თამარის დროის „ერმიონთანა“: ორიონი (საიუბილეო კრებული მიძღვნილი ა. შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი), თბ., 1967, გვ. 152—155.

თამარ ოთხმეზური

ქართლი 1723—35 წლებში

(პოლიტიკური ისტორიიდან)

XVIII ს-ის პირველ ნახევარში საქართველოში განსაკუთრებული ძნელბედობის ხანა იყო. სამთავრო-სათავადოთა სისტემა, ტყვის სყიდვა, ლეკიანობა, მძიმე საგარეო პირობები დიდად აბრკოლებდა ქვეყნის შინაგანი ეკონომიური სიძლიერის აღდგენას. შინაფეოდალური ომები ისედაც უკიდურეს მდგომარეობამდე მიყვანილ მწარმოებელ მოსახლეობას ფიზიკურად ანადგურებდა და უცხო მოძალადეებს ქვეყნის დაპყრობას უადვილებდა.

ქართლისა და კახეთის მეფეები ირანის შაჰის ვასალებად ითვლებოდნენ. შაჰს უნდა დაემტკიცებინა მეფის მემკვიდრე ტახტზე, ხოლო გამეფების უფლება მას მიეცემოდა მაჰმადიანობის მიღების შემდეგ.

1676—1688 წლებში ქართლში გიორგი XI, ვახტანგის ძე მეფობდა, ურჩობისათვის შაჰმა ის გადააყენა და მის ადგილას გაამეფა თეიმურაზ I შვილიშვილი ერეკლე I, რომელიც 1688—1703 წწ. იჯდა ტახტზე. შემდეგ გიორგი XI დამორჩილდა ირანის შაჰს და 1703 წელს ისევ მიიღო ქართლის მეფობა, მაგრამ შაჰმა ირანში დატოვა და მის „ჯანიშინად“ მისივე ძმისწული ვახტანგ ლევანის ძე დანიშნა. ვახტანგის „ჯანიშინობა“ 1703—1711 წწ. გაგრძელდა. 1709 წელს გიორგი მეფე დაიღუპა ავღანელებთან ბრძოლაში და ქართლის მეფობა არგუნეს მის ძმისწულს ქაიხსრო ლევანის ძეს, 1911 წელს ისიც ავღანეთში დაიღუპა. მაშინ ვახტანგს „მოუმცნო ყეენმან სიკუდილი ძმისა თვისისა და მიეცა ქართლი მისთვის“. ვახტანგმა „დაუტოვა ძმა თავისი სვიმონ განმგედ ქართლისა და დედოფალი და ძენი თვისნი დაადგინა გორს და თვით წარვიდა მცირედითა კაცითა“[1]. ვახტანგი ირანში დიდ განსაცდელში ჩავარდა, რადგან უარი თქვა მაჰმადიანობის მიღებაზე. ირანის ხელისუფლებას გაუძნელდა გადაწყვეტილების მიღება. ვახტანგმა ყაენს განუცხადა, რომ სჯულის უარყოფას ის ამჯობინებს შაჰის კარმა მეფობა მისცეს მის ერთ-ერთ მაჰმადიან ძმას[2]. „გარნა არიან ძმანი ჩემნი მაჰმადიანნი და რომელი გნებავს წარავლინე და მე ვიყო წინაშე შენსა“[3]. შაჰმა გადაწყვიტა ვახტანგი კარზე დაეტოვებინა, ამავე დროს, მან „წარმოავლინა იესე მეფედ ქართლისად“[4].

ბოლოს, ვინაიდან სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, ვახტანგმა მიიღო კომპრომისული გადაწყვეტილება, მოექცა მუსლიმანად და ქართლის მეფობაც მიიღო. მაგრამ რაკი მას ამავე დროს ირანის სპასალარობაც დაეკისრა და იქ სამხედრო ოპერაციებს ხელმძღვანელობდა, 1716—19 წლებში ქართლს განაგებდა მისი ძე ბაქარი.

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, ქართლის ცხოვრება, წ. II, დ. ჩუბინაშვილის კამიცემა, სპბ., 1854, გვ. 77.

[2] ე. დ ო ნ დ უ ა, ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან, „საისტორიო ძიებანი“, I, თბ., 1967, გვ. 151.

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 77.

[4] იქვე, გვ. 78.

ვახტანგი თბილისს 1719 წელს დაბრუნდა. ირანში ყოფნისას იგი დარწმუნდა ამ ქვეყნის სისუსტეში. ასევე ამჩნევდნენ ამას რუსეთი და ოსმალეთი. ირანი ამ დროს საერთო ეკონომიურ დაქვეითებას განიცდიდა, რამაც XVIII ს-ის დასაწყისიდან გამოიწვია პოლიტიკური დაცემაც. შაჰი სულთან-ჰუსეინი სუსტი ნებისყოფის გამგებელი იყო, ნელ-ნელა საქმეებს თავი მიანება და ქეიფსა და დროსტარებაში იყო. მისი მბრძანებლობის უკანასკნელ წლებში სახელმწიფოში აჯანყებები გახშირდა.

ირანის საშინაო და საგარეო მდგომარეობას განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდა თვალყურს ოსმალეთის ხელისუფლება. ოსმალეთის მთავრობა ცდილობდა სეფიანთა სახელმწიფოს გართულებული მდგომარეობა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა და ხელსაყრელ შემთხვევაში მის წინააღმდეგ გაელაშქრა. ირან-ოსმალეთის პოლიტიკური ინტერესები თავისებურ ასახვას პოულობდა ქართულ სინამდვილეში. ოსმალეთის ხელისუფლება ვერ შერიგებოდა აღმოსავლეთ საქართველოში ირანის დომინირებულ მდგომარეობას და განზრახული ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში გაბატონება. ამ ამოცანის გადაჭრის ხელსაყრელი მომენტი სწორედ XVIII ს-ის 20-იან წლებში დადგა, როდესაც ირანი მძიმე პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა. დიდვეზირმა იბრაჰიმ-ფაშამ გადაწყვიტა ესარგებლა ირანის მძიმე მდგომარეობით და უბრძანა ბასრის, ბაღდადის, მოსულის, ვანის, არზრუმის, ყარსის და ჩილდირის ბეგთა-ბეგებს, სასწრაფოდ დაეკავებინათ ერევანი, თავრიზი, განჯა, თბილისი[5].

ოსმალეთის ხელისუფლებამ თავისი ძალები ირანისა და კავკასიის საზღვრებზე სამ მთავარ ნაწილად გაჰყო: არზრუმის ბეგლარბეგი სილაჰდარ იბრაჰიმ ფაშა სამხრეთ კავკასიაში დაინიშნა, ვანის ვალი ქოფრულზადე აბდულაჰ-ფაშა აზერბაიჯანში სალაშქროდ გაამწესა, ხოლო ბაღდადის ვალი ჰასან ფაშა ჰამადანისა და ქერმან-შაჰის მიმართულებით ერაყის მხარეს დანიშნა. ამ სარდლების უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო დაესწროთ მაჰმუდ ავღანისათვის დასავლეთ ირანში შეჭრა, ხოლო პეტრე I-სათვის კი ბაქოს დაკავება[6].

შაჰი ჰუსეინი უნიჭო მმართველი იყო, მაგრამ სეფიანთა სახელმწიფოს რღვევის მიზეზი იყო საერთო სამეურნეო ნგრევა, შინაკლასობრივი ურთიერთობის გამწვავება და, რაც მთავარია, დაპყრობილ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერება ირანის ბატონობის წინააღმდეგ, მრავალრიცხოვანი სახალხო აჯანყებები მთელს სახელმწიფოში[7].

---

[5] Н. В. Пигулевская, и др., История Ирана с древнейших времен до конца XVIII в., გვ. 310.

[6] I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Tarihi, IV cilt, I kısım. karlofça anlaşmasından XVIII yüzilin sonlarına kadar. Onkara, 1956, გვ. 172.

ი. უზუნჩარშილის თავის ნაშრომში მოტანილი აქვს არზრუმის ვალისადმი გაცემული ფირმანის შინაარსი, რომელშიც გადმოცემულია ირანის მდგომარეობა და მოწოდება ხელსაყრელი შემთხვევის გამოყენებისა და სასწრაფო ლაშქრობის შესახებ.

I. Danişmend, Izahlı Osmanlı Tarihi kronologjisi, cilt 4, Istanbul, 1955, გვ. 13—14.

[7] სეფიანთა სახელმწიფოს დაქვეითება-დაცემის მიზეზების შესახებ დაწვრილებით იხ. И. М. Рейснер, Падение державы Сефевидов и нашествие афганцев на Иран, Доклады и сообщения ист. факультета МГУ, т. 10, М., 1950; М. С. Иванов, Очерк истории Ирана, М., 1952, გვ. 77—81; Н. В. Пигулевская и др. История Ирана..., გვ. 297, 306—309; История стран зарубежной Азии в средние века, М., 1970, გვ. 584—585; К. З. Ашрафян, К вопросу о причинах упадка державы Сефевидов, «Очерки по истории среднего

ირანში კატასტროფა მწიფდებოდა. შვიდთვიანი ალყის შემდეგ, 1722 წელს ოქტომბერში ისფაჰანი აიღეს აჯანყებულმა ავღანელებმა მირ მაჰმუდის მეთაურობით[8]. ჰუსეინი ოჯახით დაატყვევეს, მისი ერთ-ერთი შვილი ისფაჰანიდან გაიქცა და ყაზვინ-თავრიზში შეხიზნულმა შაჰად გამოაცხადა თავი თამაზ II სახელით. მას ემორჩილებოდა გილანი, მაზანდარანი და სამხრეთ აზერბაიჯანი.

ირანში საშინელ მდგომარეობაში იყო ქალაქებიც და სოფლებიც. დარბეული იყო ისფაჰანი, შირაზი, ყაზვინი. ამ ქალაქებმა თავისი მოსახლეობის ორ მესამედზე მეტი დაკარგეს.

რუსეთის ძლიერი ლაშქარი პეტრე I მეთაურობით ირანში შესაჭრელად ემზადებოდა. რუსეთის გეგმებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარებას საქართველოსთან და სომხეთთან, პეტრე I ითვალისწინებდა იმ როლს, რომელიც შეეძლო შეესრულებინათ ქართველებსა და სომხებს რუსეთ-ირანის და რუსეთ-თურქეთის ომებში კასპიის ზღვისათვის და ამიტომ მზად იყო დახმარება გაეწია მათთვის ირანისაგან განთავისუფლების საქმეში[9].

გეგმის მიხედვით, 1722 წ. აგვისტოში რუსეთის არმია დარუბანდსა და ბაქოს შორის უნდა შეერთებოდა ქართველთა და სომეხთა ჯარს, რათა გაეძლიერებინათ ბრძოლა ირანისაგან აღმოსავლეთ ამიერკავკასიის გასათავისუფლებლად. „მოვიდა ელჩი რუსეთის ხელმწიფის პეტრესაგან მეფეს ვახტანგთანა და ებოძა ქარტა წყალობისა და ხლება მისთანა: ძალითა ქრისტისიანთა აქვსდექ ტახტითა ჩემითგან და მოვსრნე მტერნი და წარმოვალ ადგილთა შირვანისთან“[10]. მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა. პეტრე იძულებული გახდა დაბრუნებულიყო ასტრახანში, ლაშქრობის გაგრძელება სახიფათო აღმოჩნდა, რადგან რუსეთის არმიამ დიდი დანაკლისი განიცადა როგორც ხალხის, ასევე სანოვაგის და ცხენების მხრივ. რუსეთის ელჩმა შეატყობინა ვახტანგს, რომ ლაშქრობა გადაიღო. ვახტანგის ლაშქარი თბილისში დაბრუნდა. ლაშქრობის გაგრძელება პეტრემ სარისკოდ მიიჩნია, მით უმეტეს, რომ ამ დროისათვის გამწვავდა ურთიერთობა თურქეთთან და მოსალოდნელი იყო მასთან სამხედრო შეტაკება.

1723 წ. 12 სექტემბერს პეტერბურგში დაიდო ხელშეკრულება ირანის ელჩთან. ირანი უთმობდა რუსეთს დარუბანდს, ბაქოს, გილანს, მაზანდარანს, ასტრაბადს. ამ ხელშეკრულებას თურქეთის მთავრობამ უპასუხა განცხადებით, რომ მთელი ირანი მას ეკუთვნის, და გაუგზავნა მიმართვა მესაზღვრე ფაშებსა და ყირიმის ხანს, რომ ისინი მზად ყოფილიყვნენ ომისათვის. მაგრამ მალე, 1724 წ. იანვარში, იბრაჰიმ ფაშამ გაუგზავნა წერილი პეტრე I და წინადადება მისცა, დაედოთ ხელშეკრულება. ხელშეკრულებამ, რომელიც რუსეთსა და

Востока», М., 1951, გვ. 188—210; История Армянского народа, I, Ереван, 1951, გვ. 240—42; История Азербайджана, I, Баку, 1958, გვ. 289—291; კ. კუტელია, სეფიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, თბ., 1966; გვ. 101 — 108; მ. ბობელიშვილი, სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“, როგორც წყარო სეფიანთა სახელმწიფოს ისტორიისათვის. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, IV, თბ., 1973. გვ. 78—79, 84—85;

[8] ს. ჩხეიძე. ცხოვრება მეფეთა, ქართლის ცხოვრება, II, ტ. ჩუბინაშვილის გამოცემა, სპბ., 1854, გვ. 330.

[9] Г. Пайчадзе, Русско-грузынские политические отношения в I половине XVIII века, Тб., 1970, გვ. 44.

[10] ს. ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, გვ. 331.

თურქეთს შორის დაიდო კონსტანტინოპოლში 1724 წ. ივნისში, სცნო კასპიის-პირეთის პროვინციები რუსეთის საკუთრებად. მასვე მიემაგრა სანაპირო ზოლი დარუბანდთან 119 ვერსისა და შამახიასთან 43 ვერსის სიგანისა. ამის სანაცვლოდ თურქეთმა გაავრცელა თავისი ხელისუფლება ქართლზე, კახეთზე, განჯაზე, შირვანზე, ერევანზე, ყარაბაღზე, თავრიზსა და ყაზვინზე[11].

ამ საზავო ხელშეკრულების საპასუხოდ დაიწყო სახალხო მღელვარებანი რუსეთის და თურქეთის მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე. არ სცნო ეს ხელშეკრულებები არც შაჰ-თამაზ II.

თურქეთის შეჭრა ირანის მიერ დასაკუთრებულ ტერიტორიებზე იარაღით ხელში ხდებოდა[12].

1724 წ. 3 ოქტომბერს თურქებმა აიღეს ერევანი[13], ხოლო 1725 წელს 4 სექტემბერს განჯაც აიღეს[14].

ირან-თურქეთს შორის 1727 წ. 23 ოქტომბერს დაიდო ზავი ირანისათვის მეტად მძიმე პირობებში[15], ეს საზავო ხელშეკრულება ავღანელების და ოსმალების ბატონობას აკანონებდა ირანში. 1727 წლის ხელშეკრულება ასახავდა ოსმალეთის და ავღანების აგრესიის შედეგებს. ისინი უკვე მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიებს ინაწილებდნენ. ოსმალეთმა ამ ხელშეკრულებაშიც, ისევე როგორც 1724 წ. რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებაში, შეიტანა ამიერკავკასიაზე ბატონობის პირობა.

ირანში დამკვიდრებულ ავღანელებს არ ჰქონდათ სეფიანთა დროინდელ ფარგლებში ბატონობის პრეტენზია. რამდენადაც ავღანელთა პოლიტიკური ინტერესები არ სწვდებოდა იმ ქვეყნებს, რომლებიც XVI—XVII საუკუნეებში ირანსა და ოსმალეთის მეტოქეობის უბანს წარმოადგენდნენ, ამდენად ოსმალეთისათვის უფრო ადვილი იყო მისი აგრესიული ზრახვების რეალიზება. მას შემდეგ, რაც სეფიანთა ირანი ავღანელებმა დაამხეს, ოსმალეთისათვის მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენდნენ ამიერკავკასია და რუსეთი, მაგრამ, რუსეთი 1724 წლის ხელშეკრულების ძალით კასპიის ზღვის სანაპიროზე იყო შეჩერებული[16].

რამდენადაც ავღანელები ოსმალეთს არ ედავებოდნენ ამიერკავკასიასა და დასავლეთ ირანს, მათი ბატონობა ირანში სულთნისათვის სასარგებლო იყო. ხსენებული ქვეყნების აღიარებით ოსმალეთის სამფლობელოდ ავღანელები თითქმის არაფერს ჰკარგავდნენ, სამაგიეროდ მათ წინამძღოლს სცნობდა ირანის შაჰების პოლიტიკურ მემკვიდრედ და აღიარებდა მათ უფლებას ირანის გარკვეულ ნაწილზე, რაც ავღანელებს სავსებით აკმაყოფილებდა[17].

1727 წლის საზავო ხელშეკრულებით ოსმალეთი ირანის რელიგიურ საქმეებშიც ჩაერია და სავაჭრო საქმეებიც თავის სასარგებლოდ მოაგვარა. ოსმალეთის განუყოფელი ბატონობის პირობებში XVIII ს-ის 20-იან წლებში საერ-

---

11 А. Д. Новичев, История Турции, გვ. 199; О. П. Маркова, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

12 А. Д. Новичев, დასახ. ნაშრომი, გვ. 199.

13 I. Danišmend, დასახ. ნაშრომი, გვ. 14—15.

14 იქვე, გვ. 15.

15 А. Д. Новичев, დასახ. ნაშრომი, გვ. 199.

16 ვ. ჩოჩიევი, ირანის საერთაშორისო მდგომარეობა ირან-ოსმალეთის 1727 წლის საზავო ხელშეკრულების მიხედვით, თსუ შრომები, ტ. 116, გვ. 402—403.

17 ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრომი, გვ. 404.

თაშორისო ვაჭრობა „ოსმალურ მიმართულებას“ იღებდა, და საერთოდ, როგორც ჩანს, ხელშეკრულების მიხედვით, 1727 წლის საზავო ხელშეკრულების გადაწყვეტილებანი სასარგებლო იყო მხოლოდ ოსმალეთისათვის[18].

1727 წელს კონსტანტინეს (მაჰმად-ყული-ხანს) შაჰმა კახეთთან ერთად სამმართველოდ მისცა ერევანი, ყაზახი და შამშადილუ. („წარმოადგინა ყეენმან მაჰმად-ყული-ხან, ძე ერეკლე მეფისა... მეფედ კახთა; ესე მოვიდა და დასდგა ყაზახსა შინა, რამეთუ მიეცა ყეენსა ერევანი, შამშადილო და ყაზახი“)[19]. შაჰი ენდობოდა ირანის კარზე გაზრდილ კონსტანტინეს და იმედი ჰქონდა გამოეწვია ომი მასა და ვახტანგს შორის. რადგან კახეთის სამფლობელოების ასეთ გაძლიერებას ქართლის ხელისუფალი ვერ დაუშვებდა, შუღლმა საქმე შეიარაღებულ ბრძოლამდე მიიყვანა[20]. 1723 წლის 30 იანვარს შაჰის ბრძანება მოვიდა. ვახტანგს ქართლი ჩამოერთვა და მაჰმად-ყული-ხანს ეწყალობა. მაჰმად-ყული ხანმა ლეკების დახმარებით ორჯერ მოაწყო თავდასხმა თბილისზე და 4 მაისს აიღო კიდეც. დაღესტნელებმა ქალაქი ისე გაძარცვეს, რომ მას რამდენიმე ათეული წლის მანძილზე აღარ დაბრუნებია პირვანდელი სახე.

ამ პერიოდის შესახებ საინტერესო წყაროა XVIII ს-ის თურქი ისტორიკოსი ჩელები-ზადეს „ისტორია“[21]. ჩელები-ზადე თავისი თხზულების დასაწყისში საგანგებოდ აგვიწერს ოსმალთა ლაშქრის მიერ თბილისისა და გორის ციხეების აღებას და ვახტანგის მიერ ოსმალეთისადმი მორჩილების შესახებ ცნობის გაგზავნას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაჰმად-ყული-ხანმა ჭარ-ბელაქნისა და თალას „უბატონო თემებისაგან“ და მათდამი დაქვემდებარებული ლეკებისაგან მიიღო დახმარება, საგანგებოდ მოემზადა, თბილისს მოულოდნელად თავს დაესხა და დაიკავა. „ვახტანგი იძულებული გახდა თავისი მხედრობისათვის ეუწყებინა, რომ გაქცეულიყვნენ გორის ციხისაკენ“[22]. ამრიგად, მაჰმად-ყული-ხანის მიერ თბილისის დაკავებით ქალაქი ირანელთა გამგებლობაში გადადიოდა, რამდენადაც მაჰმად-ყული-ხანის ზურგს უკან ირანელები იდგნენ.

ოსმალეთის ხელისუფლებამ, რომელსაც უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებისაკენ გალაშქრება, არ დააყოვნა, სასწრაფოდ მიიღო სათანადო ღონისძიება. ოსმალეთის მთავარსარდლობამ მაჰმად-ყული-ხანს მორჩილება მოსთხოვა. ჩელები-ზადეს ცნობით, სერასქერმა მას არზა მიართვა, და სთხოვა, ოსმალეთის სახელმწიფოსთვის თავის შეფარების წინადადება მიეღო[23]. ამ წინადადებასთან ერთად ოსმალეთის ხელისუფლებას გადაწყვეტილი ჰქონდა თბილისის დაპყრობა და ვახტანგის წინააღმდეგ გალაშქრება. ირანთან დადებული ზავის დაურღვევლად. თბილისის წინააღმდეგ გასალაშქრებლად ბრძანება მიეცა არზრუმის ვალისა და სერასქერს[24].

---

[18] ხელშეკრულების ტექსტი და თარგმანი იხ. ჩ ო ჩ ი ე ვ ი ს დასახ. ნაშრომი, გვ. 413—419.

[19] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ, ნაშრომი, გვ. 137.

[20] О. П. Маркова, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

[21] تاريخ راشد، جلد۱، تاريخ چلبى زاده افندى۱ من ۷ امسم، سنه ۱۲۸۲ (შემდეგში: ჩელები-ზადე).

ამ თხზულების ერთი ნაწილის ტექსტი თარგმანითურთ გამოაქვეყნა ნ. შენგელიამ (ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ოსმალი ისტორიკოსი ჩელები-ზადე თბილისის და გორის ციხეების დაპყრობის შესახებ, „აღმოსავლური ფილოლოგია“, III, თბ., 1973, გვ. 321—329).

[22] I. H. Uzunçarşılı, დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

[23] ჩ ე ლ ე ბ ი - ზ ა დ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

[24] I. H. Uzunçarşılı, დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

თბილისის წინააღმდეგ დანიშნული სერასქერი სილაჰდარ იბრაჰიმ ფაშა ყარსში დაბანაკების შემდეგ აიყარა და მის მორჩილებაში მყოფ დიარბექრის ვალი ვეზირ არიფ-ფაშასთან, ყარსის ბეგლარბეგ ისჰაკთან და შებინ-ყარა ჰისარის მფლობელ იბრაჰიმ-ფაშასთან ერთად პირდაპირ თბილისისაკენ გაემგზავრა[25].

ოსმალეთის უზარმაზარი ლაშქარი ყარსიდან თბილისისაკენ გამოემართა და გზად რამდენიმე დღე ახალქალაქთან, სოფ. ფოკაში დაბანაკდა. აქ ოსმალო სერასქერს ეახლა და მორჩილება გამოუცხადა ვახტანგის ძმამ — იესე-ხანმა. სოფ. ფოკადან გამოსულ ოსმალთა ლაშქარს გზად ვახტანგის შვილი ბაქარი (შაჰნავაზ II) მიეგება და მანაც სამსახური და მორჩილება შესთავაზა[26].

ჩანს, რომ ქართველმა პოლიტიკოსებმა გაითვალისწინეს არსებული ვითარება, თბილისის დასაპყრობად წამოსულ ლაშქარს ეახლნენ და მორჩილება შესთავაზეს. ოსმალო სერასქერმა თავისი ლაშქრიდან გამოჰყო გარკვეული რაოდენობის ჯარი და პირდაპირ გორის ციხის ასაღებად გაგზავნა. ჩელებიზადე შენიშნავს, რომ გორის ციხის დასაპყრობად და ჩასაბარებლად აუცილებელი იყო გარკვეული რაოდენობის ხალხის გაგზავნა. განაპირა მხარეების მფლობელთაგან ალი-აღა თავზეხელაღებულთა რაზმით აღნიშნული ციხისკენ გაიგზავნა[27]. ოსმალთა სამხედრო ძალებმა გორი ადვილად დაიკავეს. ჩელებიზადე აღნიშნავს, რომ „ციხის მცველებმა კარი გააღეს და მათი შემწეობით ხსენებული ციხე სულთნის სამფლობელოს შეუერთდა“[28]. გორის ციხის ოსმალთა ხელში გადასვლასთან ერთად ოსმალთა ძირითადი ძალა თბილისს მოადგა. მანამდე ოსმალთა სერასქერის მიერ თბილისისკენ გაიგზავნა დერვიშ მეჰმედ-აღა, რომელსაც ევალებოდა ფირმანი გადაეცა თბილისის დროებითი მფლობელისათვის და წაექეზებინა იგი, რათა დამორჩილებოდა ოსმალთა ხელისუფლებას[29]. ოსმალთა ხელისუფლების მიერ წინასწარ ჩატარებულმა ღონისძიებებმა თავისი ნაყოფი გამოიღო. ვიდრე ოსმალთა ძირითადი ლაშქარი თბილისს მიადგებოდა, დერვიშ მეჰმედ-აღამ თბილისის გამგებელი მაჰმადყული-ხანი დაითანხმა, ქალაქი ოსმალებისათვის გადაეცა. ჩელები-ზადეს გადმოცემით, დერვიშ მეჰმედ-აღას „მეშვეობით თბილისის ციხის გასაღების ჩაბარება დაჩქარდა, დასახელებული სიფაჰსალარი თბილისიდან ერთნახევარი დღის სავალზე შეხვდა ზემოხსენებულ სერასქერს და იმ ქვეყნის უბრძოლველად და უომრად აღება-ჩაბარება აცნობა“[30].

ამრიგად, თბილისი უბრძოლველად ოსმალთა ხელში გადავიდა (1723 წ. ივნისს). ამ ფაქტს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სულთანი. ჩელები-ზადეს ვრცლად აქვს აღწერილი სტამბოლში თბილისის აღების შესახებ ცნობის მიღებასთან დაკავშირებით გამართული საზეიმო ცერემონიალი[31].

ოსმალო ხელისუფლებმა მაშინვე მიიღეს საგანგებო ღონისძიებები თბილისისა და მთელი აღმოსავლეთ საქართველოს ინკორპორაციისათვის. ფაქტიურად ოსმალეთის ხელისუფლება უკვე მთელ აღმოსავლეთ საქართველოზე

---

[25] I. H. Uzunçarşılı, გვ. 177.
[26] ჩ ე ლ ე ბ ი - ზ ა დ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.
[27] იქვე.
[28] იქვე.
[29] იქვე.
[30] იქვე, გვ. 48.
[31] იქვე, გვ. 49.

ბატონობის პრეტენზიას აცხადებდა. თურქებმა ციხეებში თავიანთი გარნიზონი ჩააყენეს. ვახტანგმაც, გამოუვალი მდგომარეობის გამო, მორჩილება გამოუცხადა ოსმალეთს; „მეფემან წარუველინა იბ (=12) ჯორი კიდული ოქროვერცხლით და მოოჭვილითა“[32]. იბრაჰიმ-ფაშამ ძალიან მალე იგრძნო თავი საქართველოში სრულ ღამპყრობად. მან „შეიპყრო მაჰმად-ყული-ხანი, პატიმარჰყო“[33], ამავე დროს იგი მოითხოვდა, რომ ვახტანგს ისლამი მიეღო, რადგან არ ენდობოდა მას. ვახტანგმა, რომელიც სამშობლოში ჩამოსვლისას ქრისტიანობას დაუბრუნდა, არ ისურვა ხელმეორედ ისლამის აღიარება. ბაქარმა და იესემ კი მიიღეს ისლამი: ბაქარმა (შაჰნავაზ II) იბრაჰიმ-ფაშას სახელით, ხოლო იესემ (ალი-ყული-ხანმა) მუსტაფა-ფაშას სახელით. ბაქარმა ფაშასთან შეთანხმებით იკისრა ქართლის, ბორჩალოს და ყაზახის გამგეობა, ხოლო იესემ კი კახეთის და შამშადილოსი[34].

ვახტანგი 1723 წ. ივლისში სამხ. ოსეთის მთებში გაიხიზნა. ძალიან მალე, იქით მიაშურა ბაქარმაც, რომელმაც ვეღარ გაუძლო თურქთა გადასახადების სიმძიმეს. მაჰმად-ყული-ხანიც ბაქარის დახმარებით ციხიდან გაიქცა, საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესმა ისინი შეარიგა ერთმანეთს. მაგრამ მუსტაფა-ფაშა (იესე) ისევ თავდაუზოგავად ემსახურებოდა თურქებს. ოსმალებმა „წარმოავლინეს იესე და ისაყ ახალციხის ფაშა სპითა, ვერ წინააღუდგა ბაქარი, ხოლო ოსმალნი მოვიდნენ გორს, მოარბიეს გარემონი“[35], მიადგნენ ცხინვალს, გაანადგურეს ცხინვალი და მისი მიდამოები, სადაც ვახტანგი იმყოფებოდა[36].

ოსმალეთის ხელისუფლებას ეს არ აკმაყოფილებდა, იგი მიისწრაფოდა მთელ ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის. ამიტომ ოსმალთა სარდლობამ თავისი ლაშქარი სასწრაფოდ ერევნისაკენ დაძრა, მაგრამ მოვლენები ამიერკავკასიაში სწრაფად ვითარდებოდა: რუსები ბაქოს დაეპატრონენ, შირვანის ხანს — დაუდ-ხანს, რომელიც ოსმალეთის ორიენტაციისა იყო, ოსმალთა სარდლობამ სათანადო დახმარება ვერ გაუწია. ოსმალო სერასქერმა თბილისში დააყოვნა და ბაქოში ლაშქრობა დააგვიანა. ამიერკავკასიაში მდგომარეობა უფრო და უფრო მწვავდებოდა. ოსმალეთის ხელისუფლებამ სასწრაფოდ გადააყენა სერასქერის თანამდებობიდან სილაჰდარ იბრაჰიმ-ფაშა, რადგან რუსებმა ბაქო აიღეს, ხოლო ბაქოს აღება სწორედ ოსმალო სერასქერს ჰქონდა დავალებული. სერასქერობა უბოძეს არიფ აჰმედ-ფაშას (1723 წ. სექტემბერში)[37].

ახლად დანიშნულმა სერასქერმა ლაშქარი თბილისიდან ერევნისაკენ დაძრა. ოსმალთა ლაშქარს სამი თვე გარემოცული ჰქონდა ერევანი. ერევნის დამცველი — ალი-ყული-ხანი, როდესაც მას ირანელთაგან დახმარების უკანასკნელი იმედი გადაეწურა, იძულებული გახდა დანებებოდა ოსმალებს. ოსმალებმა ერევანი ხელთ იგდეს და მისი დაცვა დაავალეს ანატოლიის ვალის —

---

[32] ვ ა ხ ტ ა ნ გ, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

[33] იქვე.

[34] О. П. М а р к о в а, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

[35] ვ ა ხ ტ ა ნ გ, დასახ. ნაშრომი, გვ. 85.

[36] იქვე, გვ. 86.

[37] I. H. U z u n ç a r ş i l ı, დასახ. ნაშრომი, გვ. 175; D a n i ş m e n d, დასახ. ნაშრომი, გვ. 13—14.

ვეზირ ოსმან-ფაშას[38]. ერევნის აღებამდე ოსმალებმა ნახჭევანიც დაიპყრეს. ერევნის აღება ოსმალეთის ხელისუფლებისათვის დიდი პოლიტიკური წარმატება იყო ამიერკავკასიაში. სულთან აჰმედ III ამ წარმატებისათვის სერასქერი — არიფ აჰმედ ფაშა დიდად დააჯილდოვა, დიარბექრი უბოძა, ერევნის ვილაიეთიც მისცა და სახელმწიფო ხაზინიდან 15000 ყურუში გაუგზავნა[39]. მაგრამ აღნიშნული სარდალი დიდხანს არ ყოფილა ამ თანამდებობაზე, იგი მალე გადააყენეს და მის ნაცვლად დანიშნეს არზრუმის ვალი ჰაჯი მუსტაფა, რომელმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ამიერკავკასიაში და 1725 წ. აგვისტოს ლორე აიღო, ხოლო იმავე წლის სექტემბერში კი განჯა დაიკავა[40].

ამიერკავკასიის ფრონტზე ოსმალთა შეიარაღებულმა ძალებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს. მათ დალაშქრეს მთელი ამიერკავკასია, აღწერეს მოსახლეობა, შეადგინეს არაერთი საბეგრო დავთარი, სადაც დაწვრილებით იყო წარმოდგენილი მოსახლეობის სია, ქვეყნის ადმინისტრაციული ერთეულები, ცალკეული სოფლები თავისი უბნებით. ადგილობრივ მოსახლეობას შეაწერეს ოსმალური გადასახადები, აღრიცხეს ყველაფერი, რაც საგადასახადო ობიექტად შეიძლებოდა გამომდგარიყო. ოსმალო ხელისუფლებმა მოსახლეობის აღწერისა და საბეგრო დავთრების შედგენისას არ დატოვეს არც ერთი დარგი სოფლის მეურნეობისა, რომლისთვისაც ოსმალური გადასახადი არ შეეწერათ. ოსმალეთის ხელისუფლება სასწრაფოდ შეუდგა დაპყრობილი ტერიტორიების „ათვისებას“ და ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის შემოღებას. მაგრამ ოსმალებმა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობისათვის მხოლოდ ოსმალური გადასახადების გაწერა მოახერხეს. ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემა ადგილობრივ ფეოდალურ მიწისმფლობელობას არ შეხებია. მიწა კვლავინდებურად ქართველი მებატონის ხელში რჩებოდა. გლეხი ადგილობრივი მებატონისათვის განკუთვნილი გადასახადების გვერდით იხდიდა უამრავ ოსმალურ გადასახადს, რაც ერთი-ორად აჩანაგებდა მის მეურნეობას. ქართველი გლეხი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ოსმალთა მიერ დაპყრობილ ქართლში „ოსმალობა“ იწყებოდა. ვახტანგ VI გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მან გადაწყვიტა დროებით სამშობლოდან რუსეთს გამგზავრებულიყო დახმარების სათხოვნელად და ომისთვის მოსამზადებლად.

ეს პერიოდი განსაკუთრებული ძნელბედობის ხანა იყო საქართველოში. მწარმოებელ მოსახლეობას უცხოელი დამპყრობლების აუტანელ ბატონობაზე ნაკლებად არ ანადგურებდა საკუთარ მებატონეთა სრული აულაგმაობა.

ყოველივე ამას ემატებოდა ლეკთა თარეში, რომელიც კიდევ უფრო აუარესებდა და აუტანელს ხდიდა მოსახლეობის საერთო მდგომარეობას. ჯერ კიდევ შაჰ-აბას I აღმოსავლეთ საქართველოს აოხრებით დაღესტნელებს გზა გაუხსნა. დასუსტებულ ქვეყანას მთიელთა აქტიური მოგერიების ღონე აღარ შესწევდა და შემოტევაც სულ უფრო და უფრო საშიშ ხასიათს იღებდა[41].

ყოველივე ამის შედეგად ქართლ-კახეთში შემცირდა მცხოვრებთა რიცხვი, დაეცა კულტურული მეურნეობა, გლეხების ნაწილი დატყვევდა და მონებად დაიყიდა, ნაწილი ომებმა იმსხვერპლა, ნაწილი შიმშილობამ.

[38] I. H. Uzunçarşılı, დასახ. ნაშრომი, გვ. 175; Danişmend, დასახ. ნაშრომი, გვ. 13—14.

[39] Uzunçarşılı, დასახ. ნაშრომი, გვ. 178.

[40] იქვე, გვ. 178; Danişmend, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

[41] ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, გვ. 272.

ქართლის საზოგადოება, განურჩეველად ფენისა თუ წოდებისა, ოსმალების უკმაყოფილო იყო.

გლეხები ვერ უძლებდნენ ხარკის სიმძიმეს და იძულებული ხდებოდნენ ბრძოლის სხვადასხვა ფორმისათვის მიემართათ. ისტორიულ საბუთებში დამოწმებულია ცნობები გლეხთა მასიური აყრა-გაქცევისა. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქართველი ფეოდალები იძულებული იყვნენ ყოველი ღონე ეხმარათ აყრილ-გაქცეული გლეხების უკან დასაბრუნებლად. გლეხების დაბრუნებით არანაკლებ დაინტერესებული იყვნენ ოსმალო მოხელეებიც. ისაყ-ფაშას 1732 წ. დათარიღებულ ბრძანებაში ნათქვამია: „ქ. ვეზირი ისჰაყ-ფაშა ვკადრებ ჩვენ მაგიერად მუხრანის ბატონისშვილს მამუკას ასე უანბეთ: მერმე შენის აზნაურიშვილის რატიშვილის სოფელი ხანდაკი და ან სხვა სოფელი აყრილი იყოს, ვისაცა მამულში იყოს, ყველა მოაგროვე; და ნურავის გააცარცვინებ და სადაც შენ გინდოდეს, იქ დააყენე. თუ წაართვა ვინმე, მწვედ გარდავახდევინებ“[42]. იგივე ისაყ-ფაშა იმავე პერიოდში გივი ამილახორს წერს: „მერმე ამ თუმანიშვილის გლეხი, სადაც იყოს აყრილი, თქვენ კაცი გაგზავნეთ, მუბაშირად აუყარეთ და ისევ თავის მამულში მოაყვანინეთ. ნურა კაცი თავის მემკვიდრე გლეხს ნუ დაუჭერენ, თვარემ პასუხს ვერ მოგვცემენ, ისევ თავის სამკვიდრო მამულში ხნას და თესონ, სხვაგან რატომ ან ხვნენ ან დგანან“[43].

ოსმალობის უკმაყოფილო იყვნენ ვაჭრებიც. ქართული ქალაქების ვაჭრები მუდამ ირანული ორიენტაციისა იყვნენ; მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ირანის საერთაშორისო ვაჭრობასთან. ამიტომ ისინიც მოქმედებდნენ ოსმალობის წინააღმდეგ[44].

ოსმალობის წინააღმდეგი იყო ეკლესიაც. ოსმალებმა დახარკეს საეკლესიო ქონება, მისი ყმა-მამული. ხელს უწყობდნენ ტყვეებით ვაჭრობას და მუსლიმანობის გავრცელებას. ოსმალეთის სულთანს მრავალი წლის განმავლობაში დაპატიმრებული ჰყავდა კათალიკოსი დომენტი, აქტიური საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწე, ტყვის სყიდვის და გამაჰმადიანების წინააღმდეგ ენერგიული მებრძოლი[45]. ოსმალობის უკმაყოფილო იყვნენ ფეოდალებიც. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალებმა მეფობის გაუქმების ხარჯზე დიდებულ თავადთა უფლებები გააძლიერეს კიდეც. ფეოდალები მოვალე იყვნენ თავიანთი ყმა-მამულის მფლობელობის უფლება ახლად მიეღოთ ოსმალთა ხელისუფლებისაგან. უფლების ეს განახლება დიდ ხარჯებს იწვევდა. გარდა ამისა, ოსმალური გადასახადების სიმძიმე თანაბრად აწვებოდა ქართული ფეოდალური საზოგადოების ყველა ფენას. „სათანადო სათხოვრისაგან“ შეწუხებული და გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქართველი მებატონე იძულებული ხდებოდა ჩალის ფასად გაეყიდა თავისი ყმა-მამული. ამ მხრივ საინტერესოა ლევან მაჩაბლის მიერ 1725 წლის 7 ივლისს გივი ამილახორისადმი მიცემული „ნასყიდობის წიგნი“, რომლის მიხედვითაც ლევან მაჩაბელი, სათათრო გამოსაღებისაგან ძლიერ შეწუხებული, იძულებულია გივი ამილახორს მიჰყიდოს თავი-

---

[42] საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 429.

[43] იქვე, გვ. 418—419.

[44] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 164; ვ. გაბაშვილი, ფეოდალური საქართველოს კლასები და კლასობრივი ბრძოლა ირანის და ოსმალეთის ბატონობის პერიოდში, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“, გვ. 381.

[45] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 155—156.

სი საკუთარი ყმა: „ესე უთუო და უთამცაო, დრო დაუდებული მიზეზ-შემოუღებელი და ყოვლის ჩხუბისა და ილათისაგან გამოსული ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, მაჩაბელმა, ალხაზიშვილმან ლევან და ძმამან ჩემმან დავით და შვილმან ჩემმან ალხაზ და მომავალთა სახლისა ჩვენისათა ყოველივე თქვენ, ამილახორს ბატონს გივსა, ძმასა ჩვენს ეშიკ-აღას ბაშს ბატონს იოთამს, შვილთა თქვენთა ანდუყაფარს, ბიძაშვილთა თქვენთა იესეს, დემეტრეს, ბარძიმს, და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე ასე, რომე დაგვეჭირა და სათათრო გამოსაღებისაგან დიაღ ძალა დაგვადგა და მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი ყმა, ჩემს ბარათში ნარგები და ბარათიც თქვენ მოგართვით“[46].

ოსმალებმა აღმ. საქართველოში რამდენადმე მნიშვნელოვანი სოციალური დასაყრდენი ვერ გაიჩინეს. მხოლოდ გლეხობის აყრა-გაქცევა არ გამოხატავდა პროტესტს. ქვეყანა შეურიგებლად ებრძოდა ოსმალებს. „ოსმალობის“ თორმეტ წელიწადს (1723—1735 წწ.) დღე არ ყოფილა, რომ მოსახლეობა დამშვიდებული ყოფილიყო. ბრძოლის ფორმები სხვადასხვანაირი იყო: ზოგჯერ იარაღით ხელში გამოდიოდნენ და თავხედ ოსმალებს მადას უმცირებდნენ, ზოგჯერ ქრთამს გაიღებდნენ და ამით ქართველობას ინარჩუნებდნენ. ასე რომ, ამა თუ იმ მომენტში ქართველები ბრძოლის იმ ხერხს იყენებდნენ, რომელიც უფრო ეფექტური იქნებოდა. ხან საამილახორო იყო აჯანყებული, ხან ქსნის ხეობა, ხან სამაჩაბლო, ხან არაგვი, ხოლო კახეთის მეფე კონსტანტინე ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა კიდეც[47].

ქართველ მოღვაწეთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა გივი ამილახორი. მას შესამჩნევი ადგილი უკავია ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყოველ უბანზე.

როცა იესეს გარდაცვალების შემდეგ სულთანმა ქართლი ისაყ-ფაშას ჩააბარა, მას მტკიცე დავალება მისცა სიონი მიზგითად გადაექცია და ქართველთა გათათრება დაეწყო. ქართველთა ეროვნულ დამოუკიდებლობას საფრთხე მოელოდა. ოსმალთა ამ ღონისძიებებს წინ აღუდგა გივი ამილახორი და კარზე მომდგარი ბოროტება ააცდინა ჩვენს ქვეყანას. გივი ამილახორის ამ პატრიოტულ ინიციატივას იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მაშინაც, რომ მის პატივსაცემად ყოველწლიურად სიონის ეკლესიაში ჟამს სწირავდნენ[48].

1732 წელს ოსმალო სულთნის მიერ ქართლის ერისთავებისადმი გაცემული დოკუმენტის მიხედვით აშკარაა ოსმალო ხელისუფალთა ზრახვები და პრეტენზიები ქართული ტერიტორიების მიმართ საერთოდ და ქართველი თავადების მიმართ კერძოდ. ოსმალო ხელისუფალი ამ დოკუმენტის მიხედვით ქართველი თავადებისაგან ითხოვს ერთგულ სამსახურსა და მორჩილებას. ფირმანიდან ჩანს, რომ ქართველი თავადები ნომინალურად იყვნენ „ერთგულნი“ ოსმალო სულთნისა და მხოლოდ გარკვეული პირობის შესრულებით კმაყოფილდებოდნენ. ისინი ყოველ შემთხვევაში მზად იყვნენ აჯანყებისათვის[49].

---

[46] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის გამოცემა, ტ. II, 1953. გვ. 215—216.

[47] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 182.

[48] დ. გ ე რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 409.

[49] ს. ჯ ი ქ ი ა. XVIII ს.-ის ორი თურქული დოკუმენტი, თსუ შრომები, ტ. 99, 1962.

ამასობაში ირანის მდგომარეობა ნელ-ნელა გამოსწორდა, შაჰ-თამაზის სარდალმა ნადირმა ოსმალებს შირვანში შეუტია და ლაშქარი გაგზავნა განჯისა და ერევნის წინააღმდეგ; აიღო შამახია, მოსთხოვა რუსეთს ბაქო-დარუბანდის დაცლა. რუსეთი ვეღარ იცავდა თავის ტერიტორიებს, 1735 წ. 10 მარტს განჯის ტრაქტატით მან მისცა ირანს ბაქო-დარუბანდი და ამიერკავკასიიდან ფეხი ამოიკვეთა. ქართველები ოსმალებს აუჯანყდნენ და ნადირს ეახლნენ. აქ ჩვეულებრივი ვითარება იყო: ხალხი ცდილობდა ერთი მტერი გამოეყენებინა მეორე მტრის წინააღმდეგ, და რადგან ოსმალთა უღელი მეტად მძიმე გამოდგა, ამიტომაც ირანს დაუჭირეს მხარი. ასეთივე მდგომარეობა იყო ამ დროს სომხეთშიც. განმათავისუფლებელი ბრძოლის ხელმძღვანელებმა ხელშეკრულება დადეს ირანის ხელისუფლებთან. სომეხი ხალხისათვის თურქეთი ბევრად უფრო ძლიერი და სახიფათო მტერი იყო, ვიდრე ირანი[50].

ქართლ-კახეთის მოსახლეობა ყიზილბაშებთან ერთად ებრძოდა ოსმალებს. ირანი შეტევაზე გადმოსულიყო და უკვე ამიერკავკასიის ციხესიმაგრეებში უტევდა ურუმთა მეციხოვნე გარნიზონებს[51], ქართველებმა 1734 წ. ოქტომბერში „მოსწყვიტნეს ოსმალნი ტფილისის გარეთნი სრულიად, აგრეთვე გივი ამილახორი შეეტყუა გორის ციხეს ოსმალთა და მოსრნა იგინი და დაიპყრა ციხე“[52]. დაწვრილებით აქვს მოცემული ცნობები გორის ციხის განთავისუფლების შესახებ სეხნია ჩხეიძეს: „შეიყარა ჯარი ამილახორმა გივმა, მოვიდა ბერბუკს ღამით... შეუხდნენ ციხეში, მოკლეს მცველი კარისა, დალეწეს კლიტენი, გამოვიდნენ უზიანოთ და ვინცა ვინ ციხიდამ ურუმნი ჩამოვიდნენ, ამოსწყვიტეს, დაიჭირეს“[53].

გამარჯვებულმა გივი ამილახორმა გორის ციხეში თავისი ჯარი ჩააყენა, მახარობელი და ოსმალთა თავები გაუგზავნა შაჰ-თამაზის სარდალს ნადირს[54]. ყიზილბაშებმა აიღეს თბილისიც, სომხითი, დმანისი, ყაიყული, ყარსი; დამარცხებულმა ოსმალეთმა ირანს დაუბრუნა ერევანი, განჯა, ლორე[55]. ოსმალთა დამარცხების შემდეგ 1735 წ. შაჰ-თამაზმა ქართლ-კახეთის მმართველად თეიმურაზის ძმისწული ალექსანდრე დავითის ძე (ალი მირზა) დანიშნა, ხოლო მის თანაშემწეებად ასლამაზ-ხანი (ორბელიანი) და ალი-ყული-ბეგი (ამირეჯიბი).

ასე დასრულდა 1735 წელს აღმოსავლეთ საქართველოში „ოსმალობა“. იგი არანაკლებად მძიმე ყიზილბაშობამ შეცვალა, რომელიც 1747 წლამდე გრძელდებოდა.

---

[50] Арутюнян, Освободительное движение армянского народа в I четв. XVIII в., М., 1954, გვ. 180.

[51] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

[52] ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 91.

[53] ს. ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 338.

[54] იქვე.

[55] იქვე, გვ. 339; ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

ციცია ჯახიანი

სვეტიცხოვლის ორენოვანი ეპიტაფია

სვეტიცხოვლის ტაძარში აღსავლის კარის წინ, სხვა სამარხებს შორის, იატაკის დონეზე ჩადგმულია სწორკუთხედის ფორმის მარმარილოს საფლავის ქვა (სიგრძე 1 მ 48 სმ სიგანე 50 სმ), რომელზეც ამოკვეთილია ორენოვანი ეპიტაფია (ქართული და არაბული ტექსტით). ქვას ირგვლივ გასდევს აშია.

ეპიტაფიამ ჯერ კიდევ ადრე, ამ საუკუნის დასაწყისში მიიქცია მკვლევართა ყურადღება. მის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ა. ნატროევი, ბ. დორნი.

ა. ნატროევის მიხედვით, ეპიტაფია შესრულებულია ქართულ და სპარსულ ენებზე[1]. ბ. დორნი მართებულად მიიჩნევს ეპიტაფიას არაბულენოვნად[2].

ეპიტაფია იწყება ქართული ტექსტით — ასომთავრულით. შესრულების მხრივ ასოები ჩაღრმავებულია (en creux). წარწერის პირველი, მეორე, მესამე სტრიქონების დასაწყისი და პირველი და მეთხუთმეტე სტრიქონების ბოლო გადაშლილია, რადგან ქვა იატაკის დონეზეა ჩადგმული. მიუხედავად ამისა, შესაძლებელი ხდება დანაკლისი ადგილების დაახლოებით აღდგენა.

წარწერა თექვსმეტსტრიქონიანია. სტრიქონები სწორხაზობრივია, სიტყვები ეასდევენ სტრიქონების დონეს. წარწერის არე (81 სმ × 50 სმ) დაახლოებით თანაბრად არის შევსებული, ნაკლებად ეტყობა წარწერას ამ მხრივ დაუდევრობა. სიტყვებს შორის განკვეთილობის ნიშნად გამოყენებულია სამი წერტილი :., სიტყვები დაქარაგმებულია. პირველ სტრიქონში სიტყვაზე „ჩნს“ ქარაგმის ნიშანი გადაშლილია, მესამე სტრიქონში კი სიტყვის — „ინდიკტიონსა“ სა ასოებზე ზედმეტია. ყურადღებას იპყრობს უმეტესად თანასწორი სიდიდის მოგრძო გულმოდგინედ გამოყვანილი ასოები. ტექსტი იწყება ქანწილით. წარწერა თარიღიანია.

წარმოვადგენთ წარწერის ტრანსლიტერაციას:

1. [ქ] :. ე˘:. მ˘ს :. ოდეს :. ჩ˘ნს :. სამკვიდროს :. სკლ˘მწიფო :.
2. [. . .] ბტ˘ნდი :. მ˘ფის :. შან˘ვზის :. შვილი :. გ˘ი :. ინდიკტიო
3. [. . .] სა :. მ˘ფბისა :. ჩ˘ნისასა :. ე˘ :. ო˘ხნმ ნ :. სოფ˘ლ˘ნ :.
4. მოგვივლინა :. სკ˘ლის :. სა˘ლმბა :. დ :. მიგვ
5. ეფ˘რა :. თვ˘ლთა :. ჩნ˘თგნ :. თ˘ა:. მეც

---

[1] «Замечателен также мраморный камень съ надписями въ начале церковно-грузинскими буквами, а в конце на персидском языке» (А. Натроев, Мцхетъ и его соборъ Свэти-Цховели, Тифлис, 1900, გვ. 320).

[2] «22-го марта я выехал изъ Тифлиса. Первая остановка моя была во Мцхете, знаменитомъ местопогребеніи Грузинскихъ царей. Я списалъ там надгробную надпись на Арабскомъ языке с могилы царицы Тамары...» (Б. Дорн, Отчетъ объ ученом путешествіи по Кавказу и южному берегу Каспійскаго моря, გვ. 267. Труды Восточнаго Отдел. Императ. Русскаго Археолог. Общест. VIII, СПб, 1861, გვ. 247—317, отдельный оттиск).

ამ ეპიტაფიის თავისი სადიპლომო ნაშრომი მიუძღვნა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკის კურსდამთავრებულმა გ. ბურჯანაძემ. სამწუხაროდ, ეს ნაშრომი ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ აღმოჩნდა.

6. ხედრე :. ჩ᾽ნი :. დფ᾽ლი :. თბ᾽რ :. დ :. დვშთ
7. ით :. შეჭირ᾽ვბსა :. ზ᾽ა :. მივი᾽ღთ :. სფ᾽ლ᾽ვ
8. სა :. ჩ᾽ისა :. დ :. განვწ᾽ყვით :. მრ᾽მრილო :.
9. ესე:. ლოსკ᾽მსა:. ზ᾽ა:. ვინც:. ᲩᲐ᾽რკითხ
10. ვიდ᾽თ :. შ᾽ნდბ᾽ს :. ჰყფ᾽დით :. ოკე
11. თო:. ვინმე:. მძლ᾽ვრბ᾽ით:. ანო:. ოძ
12. ღ᾽ებით:. ნ᾽ფმ᾽ბ:. ანო :. დიდ᾽ბლმ᾽ნ :. ეს :.
13. მოშლ᾽ს :. ან :. ეს :. სფ᾽ლვი :. ᲩᲐ᾽ისს᾽ა:. ჩ᾽ნთა:.
14. ცოდვ᾽თა :. თვის :. იგიმც :. გ᾽ნიკითხვ
15. ის:. დღესა:. ნ᾽ს:. დიდსა:. გ᾽ნკითხვისასა:.
16. ად᾽მს:. აქათ :. ზ᾽ :. ათას :. რ᾽ :. პ᾽ :. ი᾽ბ:. ქ᾽კს:. ტᲩᲝᲑ:.

ქარაგმების გახსნით და დაკარგული ასოების აღდგენით ქართული წარწერა ასე იკითხება:

1. ქრისტე. ჟამსა მას, ოდეს ჩვენს სამკვიდროს სახელმწიფო[ს]
2. [გავ]ბატონდი მეფის შანავაზის შვილი გიორგი, ინდიკტიო
3. [ნ]სა მეფობისა ჩუენისასა „ე“, უხანომან სოფელმან
4. მოგვივლინა სიკვდილის სალმობა და მიგვ
5. ეფარა თვალთა ჩვენთაგან თანა-მეც
6. ხედრე ჩვენი დედოფალი თამარ და დავშთ
7. ით შეჭირვებასა შინა. მივიღეთ საფლავ
8. სა ჩვენსა და განვაწყევით მარმარილო
9. ესე ლუსკუმსა ზედა ვინც წარიკითხ
10. ვიდით, შენდობას ჰყოფდით. უკვე
11. თუ ვინმე მძლავრობით ანუ უძ
12. ღებობით მეფემან ანუ დიდებულმან ეს
13. მოშალოს ან ეს საფლავი გახსნას ჩვენთა
14. ცოდვათათვის, იგიმც განიკითხვ
15. ის დღესა მას დიდსა განკითხვისასა.
16. ადამს აქათ ზ ათას რ პ ი, ბ. ქრონიკონს ტᲩᲝᲑ.

აღნიშნული ქართული ტექსტი წაკითხული აქვს ა. ნატროევს[3]. ა. ნატროევის და ჩვენი წაკითხვა დაახლოებით ერთნაირია ორიოდე გამონაკლისის გარდა. ა. ნატროევს თარიღში ჩასმული აქვს ასოთა რიცხვითი მნიშვნელობები: „ადამს აქეთ:. ზ:. ათას (7000), რ(100) პ(80), იბ(12); ქორონიკონს: ტᲩᲝᲑ — 7192 წ.“ იქვე მის მიერ წარმოდგენილია ქართული ტექსტის რუსული თარგმანი, რომელშიც ქორონიკონი გადმოტანილია ქრისტეს წელთაღრიცხვაზე: „От Адама 7192 году в корониконе 372 (1684 г. по Рож. Хр.“)[4].

---

[3] „ჟამსა მას, ოდეს ჩვენსა სამკვიდროს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო შ ი გაბატონდი, მეფის შანავაზის შვილი. გიორგი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა „ე“, უ ხ ა ნ ო მ ა ნ სოფელმან მოგვივლინა სიკვდილის სალმობა, და მოგვეფარა თვალთა ჩვენთაგან თანა-მეცხედრე ჩვენი დედოფალი თამარ, და დავშთით შეჭირვებასა შინა. მივიღეთ საფლავსა ჩვენსა და განვაწყეეთ მარმარილო ესე ლუსკუმსა ზედა. ვინც წ ა ი კ ი თ ხ ვ ი დ ე თ შენდობას ყოფდით. უკეთუ ვინმე მ ძ ლ ა ვ რ ე ბ ი თ ანუ უძღებობით მეფემან, ანუ დიდებულმან ეს მოშალოს, ან ეს საფლავი გახსნას, ჩვენთა ცოდვათათვის ივიმც ვინკითხვის დღესა მას დიდსა განკითხვისასა. ადამს აქეთ: ზ:. ათას (7000), რ (100): პ: (80), იბ (12); ქორონიკონს: ტᲩᲝ:=7192 წ.“ (А. Н а т р о е в, დასახ. ნაშრომი, გვ. 320).

[4] А. Н а т р о е в, დასახ. ნაშრომი, გვ. 320.

უფრო ადრე (1897 წ.) ეპიტაფია გამოცემულია თ. ჟორდანიას მიერ[5]. ავტორს არა აქვს მითითებული საიდან არის წარწერა. იგი იცავს ტრადიციულ ორთოგრაფიას, თუმცა რიგ შემთხვევაში დარღვეულია ასეთი დაწერილობა. ზოგი ადგილი გამოცემის ავტორს ვერ ამოუკითხავს და მრავალწერტილით აღუნიშნავს.

ქართულ ტექსტს მოჰყვება არაბული. მათ შორის გამოტოვებულია მცირე ადგილი (26სმ). არაბული ტექსტი თითქმის მთლიანად არის შემონახული, მხოლოდ მეექვსე და მეშვიდე სტრიქონის ბოლო ნაწილია გადაშლილი. ტექსტი თავისუფლად იკითხება. სიტყვები ყოველთვის არ მიჰყვებიან სტრიქონის დონეს. წარწერის ამომკვეთი ოსტატი ცდილა პროპორციულად შეევსო წარწერის არე (44 სმ × 50 სმ), გამონაკლისს წარმოადგენს მესამე სტრიქონი, რომლის დასაწყისი შეწეულია.

წარწერა შვიდსტრიქონიანია, შესრულებულია ნასხით, ასოები ჩაღრმავებულია, ამოკვეთილია ოდნავ გაკრული ხელით. ოსტატს ვერ დაუცავს პროპორცია ზოგიერთი ასოს გამოყვანისას. თვალში საცემია შედარებით მოზრდილი გაშლილბუნიანი ن-ები ابن, نحن (მეორე სტრიქონი), الاحزان (მეექვსე სტრიქონი), المكان (მეშვიდე სტრიქონი) სიტყვებში. მარყუჟის სიმცირით გამოირჩევა ასო ـ الملك (მეორე სტრიქონი) ملكنا (მესამე სტრიქონი) الملكة (მეხუთე სტრიქონი) სიტყვებში.

ტექსტი მხოლოდ სამ ადგილას არის გახმოვანებული. წარწერა შემკულია დიაკრიტიკული ნიშნებით, გამონაკლისს წარმოადგენს ორი სიტყვა اتينا (პირველი სტრიქონი), الملكة (მეხუთე სტრიქონი). ზოგ შემთხვევაში დიაკრიტიკული ნიშნები ან ზედმეტადაა დასმული, ან აღრეულია.

ყურადღებას იქცევს ლიგატურა في-ს განსხვავებული დაწერილობის რამდენიმე შემთხვევა (მესამე, მეექვსე და მეშვიდე სტრიქონი).

შეინიშნება ასო ـ-ის ასო ا-თან გადაბმის რამდენიმე ვარიანტი ამათგან აღსანიშნავია ორი: როდესაც ასო ـ ასო ا-ის ბუნს დაახლოებით შუა ნაწილში ებმის დახრილი ხაზით სიტყვაში ملكنا (პირველი სტრიქონი) ისევე, როგორც سلطنتنا სიტყვაში ا , س ასოები (მესამე სტრიქონი) და როდესაც ასო ـ ასო ا-ს დახრილი ხაზით ქვემოთ ებმის და მომდევნო ასოებთან გადაბმით სიტყვა საფეხურებრივ სახეს იღებს (ملكنا — მესამე სტრიქონი). ზოგიერთ შემთხვევაში გადაბმის ხაზი უგულებელყოფილია.

ا-ებისა და ك-ების წვეროები მარცხნიდან მარჯვნივ დახრილი მომცრო ხაზითაა ჩამოთლილი.

---

[5]—ქკს: ტობ: „ჟამსა მას ოდეს ჩუᲥნსა სამკჳდროსა საჴელმწიფოში გავᲑატონდით მეფის შანავაზის შვილი გიორგი ინდიკტონსა მეფობისა ჩუᲥნისასა: ე: უხანომან სოფელმან მოგჳელინა სიკუდილის სალმობა და მოგვეფარა თუალთა ჩუᲥნთაგან თანა-მეცხედრე ჩუᲥნი დედოფალი თამარ..უკეთუ ეინმე... ეს საფლავი განხსნას..., იგიმცა განიკითხეს... ადამს აქეთ: ჴრეᲑ. ქკს: ტობ: (ჩემი უბის წიგ. № 1, გვ. 76)". (ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს გამოცემა, წიგნი მეორე, ტფ., 1897, გვ. 499).

დაუდევრადაა ამოკვეთილი كيركى სიტყვაში (მეორე სტრიქონი) პირველი ك. ვერ ვიტყვით, რომ წარწერა წარმოადგენდეს დახვეწილი კალიგრაფიის ნიმუშს. ტექსტში გვხვდება შეცდომებიც, ოსტატი ვერ ფლობს არაბულს, წარწერა უთარიღოა.

არაბულ ტექსტს შემდეგნაირად ვკითხულობთ:

1 فی‌الوقت الذی اتینا الی ملکنا و الی سلطنتنا
2 اتملکنا[6] نحن ابن الملك شاه نوز كيركى
3 فی تاریخ ملکنا و سلطنتنا العالم[7] الفانی
4 غدر[8] بنا و ارسل الینا المرض والموت[9] و اظلم من
5 امام اعیننا[10] متناحب الملکة[11] تمر[12] و بقینا[13] متحیرین
6 و مهمومین فی الاحزان فدفناها[14] افی[
7 مقبرتنا فی هذا المکان واجبنا لها هذا

წარწერა ქართულად ასე ითარგმნება:

1. ჟამსა, რომელსაც მოვედით ჩვენ სამეფოსა და საბრძანებელში
2. და გავმეფდით ჩვენ, ძე მეფისა შაჰნავაზისა გიორგი,
3. ხანსა ჩვენი მეფობისა და მბრძანებლობისა სოფელმა ხრწნადმა
4. გვიმუხთლა ჩვენ და გამოგვიგზავნა ჩვენ სენი და სიკვდილი და დაგვიბნელა
5. ჩვენ თვალნი სიკვდილით დედოფლისა თამარისა და დაგვტოვა გაოგნებულნი
6. და დამწუხრებულნი დარდით და დავასაფლავეთ იგი
7. ჩვენს სასაფლაოზე ამ ადგილას და ვაკმარეთ ჩვენ მას ეს

ეპიტაფიის ქართული და არაბული ტექსტის შედარებისას ირკვევა, რომ ქართული ტექსტი უფრო ვრცელია, არაბული კი წარმოადგენს მის შემოკლებულ თარგმანს. არაბული ტექსტის ნაწილი რიგი გამონაკლისით მისდევს ქართულს. მაგ.: „უხანომან სოფელმან“ არაბულ ტექსტში თარგმნილია როგორც „სოფელმა ხრწნადმა“, გამოტოვებულია, აგრეთვე, სიტყვა „თანამეცხედრე“, რომელიც აზუსტებს თამარ დედოფლის ვინაობას. არაბული ტექსტის ბოლო „ვაკმარეთ ჩვენ მას ეს“ ქართულ ტექსტში საერთოდ არ არის, ქართული ტექსტის მე-11—მე-15 სტრიქონები, რომლებიც შეიცავენ წყევლის ფორმულას, არაბულ ტექსტს არ ახლავს. არაბულში არ არის, აგრეთვე, გადმოტანილი არც ერთი თარიღი ქართული ტექსტისა (გიორგი მეფის ინდიქტიონი და თამარის გარდაცვალების თარიღი).

ეპიტაფიაში მოხსენიებულნი არიან ისტორიული პირები: გიორგი მეფე[15]

---

[6] ეს ფორმა დამახასიათებელია ქრისტიანული არაბული ლიტერატურისათვის (J. Blau, A Grammar of christian Arabic, I, Louvain, 1966, გვ. 169).

[7]-14 ტექსტში დაშვებულია ორთოგრაფიული შეცდომები:

الموث ، غذر ، لعالم ، فذفناها ، بيقنا ، ثمر ، الملكه ، أعوينا

[15] ქართლის მეფე გიორგი XI (1676—1688 წწ. 1703—1709 წწ.) „მაჰმადიანი“ ქართველი ხანი, შაჰნავაზ II წოდებული, ძე ქართლის მეორე მაჰმადიანი მეფის ეახტანგ V შაჰნავაზისა (1658-1675 წწ.), ირანის ვასალი (ვალი), ფორმალურად გამაჰმადიანებული გიორგი მეფე სულით ბოლომდე ქრისტიანი დარჩა. გიორგი მეფის სიკვდილს ბატონიშვილი ვახუშტი ასე აღწერს: „და აჰყარნა ხატნი და ჯუარნი მეფესა მირვეიზ და ფსალმუნი, რომელსა იკითხვიდა ჟამსა მას, და წარმოუელინა



სვეტიცხოვლის ორენოვანი წარწერის ქართული ტექსტი



სვეტიცხოვლის ორენოვანი წარწერის არაბული ტექსტი

შანავაზის (არაბული ტექსტის შაჰნავაზი) ძე და გიორგი მეფის თანამეცხედრე თამარ[16] და წარმოდგენილია სამი თარიღი. ორი თარიღი აღნიშნავს თამარ დედოფლის გარდაცვალებას: 1. ადამს აქათ ზ (ათას რ პ იბ, რაც უდრის 7192 წელს (ძვ. წ. 7192—5508)=1684 წ., 2. ქორონიკონი ტობ=372 წ. (ძვ. წ. 780 +532+372)=1684 წ. თარიღი დასაბამითგან (ადამს აქათ) და ქორონიკონი ემთხვევა ერთმანეთს. მესამე თარიღი აღნიშნავს გიორგი XI ზეობის მეხუთე წელს — ინდიკტიონი „ე"=5 წელს.

თამარის გარდაცვალების თარიღად ქართულ საისტორიო წყაროებში მიჩნეულია 1683 წ.[17]. ჩვენი აზრით, უფრო მართებული უნდა იყოს ეპიტაფიის ორგზისი ჩვენება (დასაბამითგან და ქორონიკონით), რომლის თანახმადაც თამარი გარდაცვლილა 1684 წ.

ეპიტაფია მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის გიორგის გამეფების თარიღის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში განსხვავებული წლებია წარმოდგენილი: 1675[18], 1676[19] და 1678 წწ.[20].

ამ საკითხის გადაწყვეტისას, ვფიქრობთ, უპირატესობა ისევ მცხეთის ეპიტაფიას უნდა მივანიჭოთ, რადგანაც იგი გიორგი მეფის სიცოცხლეში და უსათუოდ მისი მითითებით არის შესრულებული. როგორც აღინიშნა, თამარის გარდაცვალების თარიღი ეპიტაფიის მიხედვით ემთხვევა 1684 წელს, ხოლო აქვე დამოწმებული გიორგი მეფის ტახტზე ასვლის თარიღი ხუთი წლით უსწრებს წინ თამარის გარდაცვალებას (ინდიკტიონსა ე), რაც 1679 წელს გვაძლევს (1684—5=1679). სავარაუდოა, რომ ეს ცნობა უტყუარია და ამდენად მნიშვნელოვანი გიორგი XI ზეობის ხანის დასაზუსტებლად.

გარდა აღნიშნული მომენტებისა, ეპიტაფია საინტერესოა კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისითაც: ამ დროისათვის უფრო მოსალოდნელია ქარ-

---

ყეენსა მეტყუელმან: „ესრეთ გაცდუნებდა მეფე". გიორგი მეფე. ეურჩებოდა ირანის ხელისუფლებას, ამიტომ შაჰმა მის ადგილზე ერეკლე დანიშნა. როდესაც გიორგი შაჰს დამორჩილდა, ქართლის მეფობა ისევ მიიღო 1703 წ.. მაგრამ შაჰმა ის ირანში დატოვა, ხოლო მოადგილედ — „ჯანიშინად" ქართლში მისი ძმისწული ვახტანგ ლევანის ძე დანიშნა. გიორგი ყანდაარის (ავღანისტანი) ბეგლარ-ბეგიც იყო. შაჰმა ავღანთა აჯანყების ჩასაქრობად გაგზავნა, სადაც ის 1709 წელს მირვეისმა მოკლა ღალატით (ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება ს. ყ ა ფ ს ხ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, IV, თბ., 1974, გვ. 456, 8: 457, 3; 467, 10: 464, 4; (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967, გვ. 399; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 186, 193; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1973, გვ. 280, 282, 287.

[16] „ხოლო გიორგის ძისა თ ა ნ ი ს ა თ ვ ს მეფესა პირველვე მოეყვანა ცოლი ელიზბარის შვილის ასული თამარი..." (ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, 454, 25); „... შემდგომად მოკუდა დედოფალი თამარი, ცოლი მეფისა, რომელი იყო კახთ ბატონთა ტომისა, ქ"ესა. ჩ"ქპგ, ქარ. ტ"ოა" (იქვე, 459, 14).

[17] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 459, 15; თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, წიგნი მეორე, გვ. 497; მ. ბ რ ო ს ე, საქართველოს ისტორია, ნაწილი მეორე, ტფ., 1900, გვ. 43.

[18] მ. ბ რ ო ს ე, დასახ. ნაშრომი, შთამომავლობითი სია ქართველ მეფეთა.

[19] ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. ნაშრომი, 457, 7; თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, წიგნი მეორე, გვ. 491; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 186; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, თბ., 1943, ბაგრატიონთა სამეფო სახლის მთავარი შტოს გენეალოგიური ტაბულა, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ე. დ ო ნ დ უ ა, მ. დ უ შ ბ ა ძ ე, გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, შ. მ ე ს ხ ი ა, პ. რ ა ტ ი ა ნ ი, საქართველოს ისტორია, თბ., 1958, გვ. 305.

[20] თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, წიგნი მეორე, გვ. 493, 505; მ. ბ რ ო ს ე, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

თულის გვერდით სპარსული ენის გამოყენება, რისი არა ერთი ფაქტია დადასტურებული აღმოსავლეთ საქართველოს ეპიგრაფიკაში[21]. მართალია, XVI—XVII საუკუნისათვის ქართულის პარალელურად არაბულის ხმარება, თუმცა არ არის გავრცელებული მოვლენა, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ მცხეთის ეპიტაფია განცალკევებით იდგეს ამ თვალსაზრისით. საყურადღებოა, რომ არაბული მინაწერები გვხვდება XVI—XVII საუკუნის ხატებზე ურბნისისა და მამადავითის ტაძრებიდან. ასეთივე პარალელური ქართულ-ბერძნულ-არაბული წარწერები დადასტურებულია სამთავისის ტაძარში (1679 წ.)[22]. სვეტიცხოვლის ტაძრის ცხოველმყოფელი სვეტის ფრესკულ წარწერაში ქართულის გვერდით არაბული ტექსტიც არის წარმოდგენილი[23].

არაბული ენის გამოყენება ადგილობრივი ენის გვერდით XVII საუკუნის დამლევს, ჩვენი აზრით, დაკავშირებული უნდა იყოს ძველ ისტორიულ ტრადიციასთან, რაც განპირობებული იყო მახლობელი აღმოსავლეთის ხალხებთან საქართველოს მჭიდრო კულტურულ-ისტორიული და პოლიტიკური ურთიერთობით.

---

[21] ა. შ ა ნ ი ძ ე, ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, სამენოვანი წარწერა გრუზში, ენიმკის მოამბე, V-VI, თბ., 1940, გვ. 1—11; ჯ. გ ი უ ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართულ-სპარსული წარწერის ფრაგმენტი სოფელ გრემიდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXX-B, თბ., 1974, გვ. 94—95.

[22] ცნობები აღნიშნულ წარწერათა შესახებ მოგვაწოდა ი. ჯ ა ნ დ ი ე რ მ ა, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

[23] შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, გვ. 401—402.

ციალა ბეზარაშვილი

მასალები გლეხი ქალის სამოსელის შესწავლისათვის ქსნის ხეობაში

XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში ქსნის ხეობის მოსახლეობა სამოსელის დასამზადებლად იყენებდა ფაბრიკულ ქსოვილებს. აღნიშნულ ეპოქაში ქალის ჩაცმულობის ელემენტები შეადგენდნენ ორ ძირითად კომპლექსს. ამათგან ერთი იყო სამუშაო ანუ მუდმივად სახმარი ტანსაცმელი — წელსქვეშითი და წელსზევითი სამოსის სახით, ხოლო მეორე — საზეიმო ვითარებაში ჩასაცმელი სარტყელ-გულისპირიანი კაბა. საცვლებად ხმარობდნენ მოკლე პერანგსა და ტოტებიან ქვედა საცვალს.

ძველებური პერანგის დასამზადებლად საჭირო ყოფილა სამი-ოთხი არშინის მასალა, უმეტესად ბამბის ქსოვილები: თეთრი მიტკალი და „ამერიკა", წითელი შალი, „კიტაია". ეს უკანასკნელი გამოიყენებოდა საპატარძლოდ განკუთვნილი საცვლების მასალად. პერანგს სჭირდებოდა გარკვეული სიგრძის ორი განი წინა და უკანა ნაწილებისა და სახელოების გამოსაყვანად. პერანგის გამოსაჭრელად ნაჭერს ორად მოკეცავდნენ და მხრებში გაუჭრელად გამოიყვანდნენ მთლიან ტანს — „წინა კალთას" და „ბეჭებს". ყელს მრგვალად ამოჭრიდნენ და გულისპირს შუაში ჩახსნიდნენ (ზოგიერთ პერანგს ჩაჭრის ხაზი ჩვეულებრივი წესით შუაში კი არ უკეთდებოდა, არამედ გვერდზე). გულისპირის ჩაჭრილი ხაზის ნაპირები ხშირად მორთული ყოფილა ნაქარგითა ოუ გამზადებული არშიებით. მერე მოაკერებდნენ ახალუხის მსგავს საყელოს, რომელსაც აქ — „ხმელ საყელოს" ანუ „შეკრულ საყელოს" უწოდებდნენ. პერანგს „სახლეები" სწორად ჰქონდა მიდგმული. სახელოს ბოლოს ცოტას მიანაოჭებდნენ და ბრტყელ სამაჯეში ჩაამაგრებდნენ, რომელიც საყელოსდარად ერთი ღილით იკვროდა. სახელოს იღლიის ძირას შეუდგამდნენ სამკუთხედის ფორმაზე გამოჭრილ ნაწილს — „ხიტაკი".

პერანგის წინა და უკანა მხარეს, ყელის სიახლოვეს დააკერებდნენ იმავე ან სხვა ქსოვილის ოთხკუთხა ნაჭერს, რომელსაც „სამხრედ", „საბეჭედ" და ზოგჯერ „გულისპირადაც" იხსენიებენ. ქიზიყში აღნიშნული ნაწილებისათვის გამოიყენებოდა მოვის, ნუხაიას, თავთას ნაჭრები[1].

პერანგი, რომელსაც ბოლოში თავისივე ნაჭერს ორი თითის სიგანით გადაუკეცავდნენ, ქალს მუხლებამდე წვდებოდა.

ამგვარი ფორმის პერანგს ზოგჯერ გვერდებში იღლიის ძირამდე „ფერდებად" || „ხიტაკებად" წოდებულ ნაჭრებს უდგამდნენ, ანდა მათ ნაცვლად ერთი ციდას ზომით შეხსნილ ადგილებს უტოვებდნენ. გვერდებშეხსნილი პერანგი ქართლსა და კახეთში „ჩაქიანის" სახელწოდებით იყო ცნობილი[2].

---

[1] ნ. გ ვ ა თ უ ა, ჩაცმულობის ისტორიიდან, თბილისი, 1967, გვ. 39.

[2] იქვე, გვ. 37.

მაღალი საყელოთი და მაჯებით შეკრული პერანგი უფრო ძველი ფორმაა, შემდეგ ხმარებაში შემოსულა უსაყელო და უმაჯო პერანგები.

ქვედა საცვლის ძირითად ტიპად ძველად უბიანი საცვლები ითვლებოდა. უბის არსებობის გარდა, ქვედა საცვალი მასზე მიმაგრებული საწელეს რაობითაც ავლენდა განსხვავებას. ძველებური ოთხწოლტიანი საცვლის დასამზადებლად საჭირო ყოფილა ორი არშინის მასალა. იღებდნენ ორ თანატოლ ნაჭერს, თითოეულს სიგანეზე ორად მოკეცავდნენ და გახსნილ ნაპირებს შიგნითა მხარეს მოაქცევდნენ. ტოტებზე თანაბრად მოზომილ ადგილებში „უბედ“ ანუ „ხიტაკად“ წოდებულ ოთხკუთხა ნაჭერს ჩააკერებდნენ, რის შემდეგაც ტოტებისა და მისზედა ნაწილების ერთმანეთთან მიმაგრებას უზრუნველყოფდნენ.

ქვედა საცვალს ორივე გვერდზე თითო მტკავლის ზომით ჩახსნილი ადგილები ჰქონდა დატოვებული, რომელთა ნაპირებს შიგნიდან სხვა ქსოვილს უდებდნენ. ქვედა საცვლის სარტყლად ხშირად მოიხმარებოდა ორი დამოუკიდებელი სალტე — დაახლოებით 5 სმ სიგანის ორმაგი ნაჭერი, რომლის ბოლოები თითო სმ-ით უფრო ვიწრო იყო სალტის შუა ნაწილთან შედარებით. საცვლის ზედა ნაწილი წელის ზომის თანაბარი სიგანისა რომ გამხდარიყო ან ნაოჭით მიაკერებდნენ, ანდა თითოეულ ნაწილზე შიგნითა მხრიდან სამ ადგილას მაინც პატარა ზომით გამოკერავდნენ. ძველათ საცვლის დამაგრება ხდებოდა თეძოების გასწვრივ; წინა მხრიდან წამოღებულ ხოლტებს უკან შეიკრავდნენ, ხოლო უკანა მხრიდან წამოღებულს — წინ. მოგვიანებით ხოლტებს ღილები შენაცვლებია. მთხრობელთა მახსოვრობაში ქვედა საცვალი ქალს შუა წვივამდე უნდა დასწვდომოდა.

რაც უფრო ძველი ფორმისა იყო საცვალი, ტოტებიც დაგრძელებული ჰქონდა. ამ შემთხვევაში საცვლის ტოტებზე წითელი ქსოვილის გადაკვრა ანდა ტოტის ბოლო ნაწილების ნაქარგითა თუ არშიებით შემკობაც სცოდნიათ. აღწერილი ქვედა საცვალი თარგით წააგავს აღმოსავლეთ საქართველოს ბარში მოხმარებულ ბეიდიშებს[3], მაგრამ იმ განსხვავებით, რომ არ აქვს სარჩული და მოსაქარგავად ოქრომკედის ტოტ-ბაფთებიც არაა გამოყენებული.

საცვლის ქვეშ ეცვათ ბრტყელი ფორმის, უსახელო, წინ ან გვერდში ღილებით შეკრული „ლიფები“. საცვლების ზემოდან ხმარობდნენ წელსზევითსა და წელსქვევით სამოსს („კოფთა“ და „იუბკა“). დასახელებულიდან წელსზევითი სამოსი მზა პროდუქციის სახით ქალაქიდანაც მოჰქონდათ.

მიტკლის წელსზევით სამოსს ქმნიდა „წელის“, გულისპირის ორი „კალთისა“ და „სახლების“ ერთობა. გულისპირი მთლიანად უნდა ყოფილიყო ჩახსნილი და ღილებით შეკრული. სახელოები იცოდნენ სწორი ან მაჯით დაბოლოებული. წელზე მომდგარ ამ ზედაწელის გულისპირსა და საყელოს განსაკუთრებული მორთვა სჭირდებოდა. საყელოს მაგივრობას ხშირად სწევდა გამზადებული არშიის ნაჭერი, რომლის კუწუბიანი ნაპირი ზემოთ იყო მოყოლებული.

მიტკლის „იუბკა“ სამი განისაგან იყო დამზადებული. ერთი სწორი მთლიანი განი წინ იყო „კალთად“ შეყენებული, ხოლო ორი განიდან მიღებული ცერად აჭრილი ოთხი ნაჭერი „უკანა კალთებად“ გამოიყენებოდა. სხვა

[3] ნ. გვათუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

შემთხვევაში ორი განიდან მიღებული ოთხი ირიბი კალთა იქნებოდა მოხმარებული. გვერდებგაკერილ კალთებს ნაოჭი მხოლოდ უკანა მხარეს უკეთდებოდა. ამ სახით გამზადებულ ქვედატანს სათავედ მოაკერებდნენ ორმაგად მოკეცილ ქსოვილის ნაჭერს, რომ წელზე მოსაყენებლად შიგ „რეზინი“ ან „ხონჯარი“ გაეყარათ, ანდა ბრტყელ სალტეს შემოაკერებდნენ და მარცხენა, ჩახსნილ გვერდში ღილით შეიკრავდნენ. სამოსის ამ ელემენტს ბოლოზე ხშირად უკეთდებოდა ნაოჭასხმული „რუში“, რომლის ბოლო ნაპირი გამზადებული ქარგულობის ნიმუშებით ირთვებოდა. ქვედაწელს მარჯვენა მხარეს ანდა შუაში უკეთებდნენ ოთხკუთხი ფორმის ჯიბეს. ამ ელემენტის ზოგიერთი ცალი ბამბის ფერადი ძაფით შესრულებული „ხრიკულების“ ფორმის ნაქარგით იყო დამშვენებული.

საგანგებოდ მორთული შიგნით ჩასაცმელი სამოსის ზემოთ აღწერილი ელემენტები საგარეო სამოსთა რიგს განეკუთვნებოდნენ. ზამთარში დამატებით სცმიათ ამავე ფორმაზე გამოჭრილი, მაგრამ ორმაგი ქსოვილისაგან დამზადებული ბამბის ან მატყლის თხელფენადადებული „ჩიხოლები“[4]. დიდი სიცივეების დროს ხმარებაში ყოფილა, აგრეთვე, შალის ძაფისაგან ყაისნაღით ნაქსოვი ბოლოებიც.

საცვლების ზემოდან „რუბაშკა“ და „კაბა“ ეცვათ. ასეთი სამოსისათვის საჭირო მასალას შეადგენდა ერთფერი ფარჩა, აბრეშუმი თუ ქიშმირი, ასევე სახედაყრილი ჩითი და სატინა. ფორმის მიხედვით გამოიყოფა სამი ტიპის წელსსევითი „ჩერქეზულად“ დაჭრილი, სწორი, და ბეჭებსა და გულისპირში „კოკეტკა“ გაკეთებული. ჩამოთვლილი სამოსის სამივე ტიპიდან სიძველის თვალსაზრისით საინტერესოა პირველად დასახელებული სამოსი, რომელიც ვრძელ, დიდნაოჭიან და რუშებით გაწყობილ კაბასთან ერთად, დიდხანს მოიხმარებოდა ქსნის ხეობაში მცხოვრები ქალების მიერ. მესამე ტიპი შედარებით ახლო წარსულშია ჩამოყალიბებული და ამჟამადაც მოქმედებს, როგორც შუახანს გადაცილებული ქალთა დღენიადაგ მოსახმარი სამოსელის ფორმა.

წელსზევითი სამოსის პირველ ტიპში გაერთიანებული ელემენტები ზოგჯერ ფრანგული ენიდან გადმოღებულ და საქართველოშიც ფეხმოკიდებულ[5] ტერმინის „კერესის“ სახელწოდებას ატარებენ. ქსნის ხეობაში გავრცელებული ამ ტიპის სამოსის დამახასიათებელ ნიშნებად უნდა ჩაითვალოს წელზე ჩოხისებურად გაწყობის წესი და მთლიანი დასარჩულება. წელსზევითი სამოსი შემდეგი ნაწილებისაგან იყო შედგენილი: წინა ორი „კალთა“, უკან „ბეჭები“, გვერდებში ქვემოდან იღლიის ძირამდე შესაყენებელი ირიბად აჭრილი კალთები — „ფერდები“, „სახლები“ და „საყელო“. ფერდის ორი ნაპირიდან ერთი სწორი იყო და მეორე ირიბი. წინა კალთასთან მისაკერებლად მხოლოდ სწორ ნაპირს იყენებდნენ, ზოგჯერ ფერდს ორივე ნაპირი ირიბი ჰქონდა. სახელოები სწორი და უმაჯო იყო. საყელო ძველი ფორმისა — ახალუხისებური, შემდეგ შემოსულა ხმარებაში ყელის ირგვლივ დაფენილი. ზედატანი იკვრებოდა ხუთი-ექვსი ღილით.

---

[4] ნ. გვათუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 46. იხ. ტერმინი „ჩიხორა“.

[5] Н. П. Бранлашвили, Женский костюм горной Рачи. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, X, თბილისი, 1959, გვ. 136.

წელსქვევით სამოსს ქსნის ხეობაში ეწოდებოდა „კაბა“. ფორმის მიხედვით იგი სამი სახისა იყო: სამი სწორი განისაგან შედგენილი, ერთი სწორი, წინა განისა და უკანა ირიბი კალთებისაგან და მხოლოდ ირიბად დაჭრილი კალთებისაგან დამზადებული.

დასახელებულიდან ყველაზე მეტად გავრცელებული ყოფილა მეორე ტიპის კაბა, რომელსაც ასეთი თანმიმდევრობით ამზადებდნენ: მასალად იღებდნენ სამ სიგრძეს, ერთს შეუცვლელად მოიხმარდნენ წინა განად, დანარჩენი ორი კი იჭრებოდა ოთხ კალთად, რომელთაც ცალი გვერდი ირიბი ჰქონდათ. კაბის დამზადებას უკანა მხარეს მოქცეული კალთებიდან იწყებდნენ. კალთებს ირიბი და სწორი ნაპირებით მიაბამდნენ. გამონაკლისს უშვებდნენ უკან შუა ნაწილში მოთავსებული კალთების მიმართ (ორი ირიბი ნაპირი ხვდებოდა ერთმანეთს), რის შემდეგაც ეს ნაწილი კაბისა, სხვებთან შედარებით, უფრო იყო ჩამოგრძელებული. ამიტომ ასეთ ბოლოს ხშირად „კუდიანსაც“ უწოდებდნენ.

წინა კალთად გამოყენებულ სწორ განსაც უნდოდა დამუშავება. მუცლის გაყოლებით დასატანებელ ნაპირს თავიდან ბოლომდე სჭირდებოდა ქსოვილის არათანაბარი ზომით აჭრა შუისაკენ მომატების გზით. ასევე, განის ნაპირებს სიგრძის ნახევრიდან ზემოთა მიმართულებით ცოტას მოაკლებდნენ. ტანზე უკეთ მორგების მიზნით ზოგჯერ ორ-სამ ადგილას „სლატკად“ წოდებულ, პატარა ზომის ნაკეცს უკეთებდნენ.

ცალ-ცალკე გამზადებულ ნაწილებს ერთმანეთზე მაგრად მიაკერებდნენ. მერე კაბის უკანა ნაწილს ორი ძაფით „ნავაჭს“ აუსხამდნენ, რომელიც ორმაგად შეკერილ სათავეში უნდა ჩაემაგრებინათ. მარცხენა გვერდი, როგორც წესი, მტკაველის ზომით ჩახსნილი და ღილით შეკრული უნდა ყოფილიყო. ზოგიერთ კაბას ასევე ჩახსნილი ჰქონდა მარჯვენა გვერდიც, რადგან აქედან ხდებოდა შიგნითა ბოლოზე დაკერებული ჯიბის გამოყენება. ქვედატანს ქობად სამი თითის ზომაზე უდებდნენ აბრეშუმის ქსოვილს. კაბის საბოლოო გაფორმება მიზნად ისახავდა სწორი ან ირიბი „რუშით“ თუ ქალაქური არშიებით მის გაწყობას.

ზემოთაღწერილი სამოსის ერთ ხელს „ფართუკად“ წოდებული წინსაფარი ავსებდა. ქსნის ხეობაში ამ სამოსელის ძველებური ტიპი გულიანი წინსაფრების სახით ყოფილა მოცემული, რომელთა ადგილზე ნახვა დღეს უკვე შეუძლებელია. სამაგიეროდ მეორე ფორმის მარტო წელსქვეითი წინსაფრები კელავ ხმარებაშია, რომლის დამზადებას უნდება ერთი სიგრძის ჩითისა თუ სატინის მასალა.

წინსაფარს ბოლოზე კუწუბიანი ნაოჭით რუშსაც აკერებდნენ და ჯიბეებსაც უკეთებდნენ. საზეიმოდ სახმარი წინსაფარი აუცილებლად შავი სატინისა და ბამბის ფერადი ძაფით მოჭრელებული უნდა ყოფილიყო. ორნამენტის სახეებად გამოიყენებოდა: „ხრიკულები“, „მასკვლავები“, „რტო“, „ფოთლები“ და ა. შ.

ფეხსამოსად ხმარობდნენ გრძელსა და დაბალყელიან წინდებს, რომლებსაც შალის ძაფით და ჩხირებით ქსოვდნენ. სამუშაოდ განკუთვნილი თალხი წინდების გარდა, ჭრელზოლიანი წინდებიც უქსოვიათ; წინდის ქსოვის დამთავრების შემდეგ ძაფს კი არ მოსწყვეტავდნენ, არამედ საჭირო სიგრძის სამ ძაფს ერთად შეგრეხავდნენ და შესაკრავ სახვეელას აკეთებდნენ.

ფეხსაცმელად უხმარიათ როგორც ადგილზე დამზადებული, ისე ქალაქიდან შემოტანილი ფაბრიკული ნაწარმი. ამ დროისათვის იშვიათად, მაგრამ მაინც ყოფილა გამოყენებული საქალო ბაწრებით გაბმულ-გამობმული ქალამნები, რომელშიაც ზამთრობით სითბოს გულისათვის ჩალასაც ჩაიფენდნენ ხოლმე.

ქსნურ თავბურვაში ორი თავსახვევის არსებობა იყო ნავარაუდევი. თეთრი მიტკლის ან ჭრელი ჩითის ხილაბანდს ტოტების უკან წაღებით და მერე შუბლთან განასკვის წესით დაიმაგრებდნენ. ამის ზემოდან უბეურად მოკეცილი თავსახვევი შუბლზე ღრმად ჩამოფარებით ნიკაპთან ორი ტოტით უნდა გაეჩერებინათ. თავსახურავთა უმეტესობა ქალაქური პროდუქციის სახით იყო შეძენილი, რომელთა შორის განსაკუთრებით მოსწონდათ აბრეშუმის ფერადყვავილიანი ან ერთფერი, ფოჩებჩამოშლილი ქიშმირის თავსაფრები.

ყოველდღიურად სახმარი სამოსის იმ ერთობის გარდა, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი და რომლის საუკეთესო ნიმუშები ქსნის ხეობის მთიან ნაწილში მცხოვრებთა მიერ ხშირად საზეიმო სამოსადაც ყოფილა გამოყენებული, ყოფაში მოიხმარებოდა, აგრეთვე, საზეიმო ჩაცმულობის სხვა გამართულობაც, ქართული სარტყელ-გულისპირიანი კაბა მისთვის დამახასიათებელ ჩიხტი-კოპიან თავსახურავთან ერთად.

საქორწილო „ქართული“ კაბის დასამზადებლად საჭირო ყოფილა შვიდ-რვა არშინი საუკეთესო მასალა: ქიშმირი, ფარჩა, ატლასი, „შატლანკა“ ოუ სურო; ზოგჯერ სადა და ხშირად კი სახედაყრილი. ეს რაოდენობა საშუალო ტანის ქალის ზომით ყოფილა განსაზღვრული და მასალად აუცილებლად განიერ ქსოვილს იყენებდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუჭირდებოდათ გრძელი და დიდი ნაოჭით მიყრილი ქართული კაბის ბოლოს შეკვრა. შემდგომ პერიოდში — XX საუკუნის დასაწყისიდან ასეთი კაბების სიგრძეც და ნაოჭიც თანდათანობით მცირდებოდა და შესაბამისად შესაკერი მასალაც იკლებდა. საქორწილო კაბა ორნაწილადი იყო: „ზედატანი“ და „ქვედატანი“.

ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით, საგვირგვინო კაბის ზედატანი ორი ძირითადი ტიპისაა: გულისპირჩასადგმელი და გულშეკრული, საყელოიანი. ორივე დასახელების ზედატანის გამოჭრის დროს გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო პირველი ძირითადი მოთხოვნა — წელზე გაწყობა, რის მისაღწევადაც შემდეგ ხერხებს მიმართავდნენ: გვერდებში შეუდგამდნენ ირიბად აჭრილ ნაჭრებს — „ფერდებს“. გვერდის კალთებს გაკერვის დროს დააცერებდნენ ან ნახევარი სიგრძის ქვემოთ უკან და წინაც შიგნითა მხრიდან რამდენიმე ადგილას გამოკერავდნენ. ასეთი წესით გამონაკვთულ ზედატანს „ჩერქეზულად“ დაჭრილსაც ეძახდნენ. ამის გარდა, გულის კარგად დაყენების მიზნით, გულისპირის კალთებს რქის წკეპლებსაც შემოაყოლებდნენ. ზედატანის ჩახსნილი გულისპირი ერთმანეთს თითქმის ბოლომდე არ უახლოვდებოდა. კახეთში გავრცელებული ასეთი ტიპის ზედატანის ანალოგიურად[6] კალთების მხოლოდ ბოლოები უნდა შეეერთებინათ მცირე ზომაზე გაკერვის გზით, ან დუგმებითა და ღილებით შეეკრათ. უფრო მეტად კი ხმარებაში ყოფილა ბოლომდე გახსნილი ზედატანები. ჩახსნილი ზედატანის ნაპირები ჯვარედინად გადახლართული დაგრეხილი აბრეშუმის ძაფით უკავშირდებოდა ერთმანეთს.

[6] ლ. ბოჭორიშვილი, კახური ჩაცმა-დახურვა, ანალები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბილისი, 1947, გვ. 202.

„სახლართავიანი“ კაბის გავრცელება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებულა და მეოთხედი საუკუნის გასვლის შემდეგაც იხმარებოდა[7]. უსაყელო და გულამოღებული ზედატანისაგან განსხვავებით. მეორე ტიპის კაბას უკეთებდნენ სწორ საყელოს, რომელიც კაცის ახალუხის საყელოს მოგვაგონებს. მხრებთან განივრად მიდგმული სახელოები თანდათანობით ვიწროვდებოდა და ბოლოში ხელის მტევნის შემოწვდომით მაჯაში ემწყვდეოდა, რომლის შეკვრა აბრეშუმის თუ ოქრომკედის პატარა ღილებით ან დუგმებით იყო სავარაუდევი.

სახელოების თავისებურება შიგნითა მხარეს საკმაო მანძილზე შეხსნით იყო ვადმოცემული. სახელოები ბოლოებისაკენ სულ ორი გოჯის სიგრძეზე ჩაბმული იყო ნაკერით. ყოშით დამთავრებული სახელო აქ იშვიათობას შეადგენდა, შეხსნილი სახელოებისა და გულისპირის ნაპირები ხშირად ყოფილა მორთული აბრეშუმის ფერადი გრეხილითა თუ ოქრომკედის ბუზმენტით. ზედატანის ნაწილები იყო: „ბეჭი“, „ფერდები“, „გულისპირის კალთები“ და „მაჯით“ დაბოლოვებული „სახლები“.

წელიანი კაბის ქვედატანად მოხმარებული ბოლო ისეთივე წესით იყო დაჭრილ-შეკერილი, როგორც ეს დავინახეთ ქალის სამოსის ქვედატანის აღწერილობაში. ამიტომ აღწერილობას აღარ გავიმეორებთ და ვიტყვით მხოლოდ შემდეგს: ზოგჯერ ბოლოს, ზედატანის მსგავსად, წელის გარშემო შემოკერებულ ორპირ ტილოს ქამარში დაატანდნენ რქის რბილ წკეპლებს. ასეთ ყესზე დამზადებულ კაბებს, აღნიშნულითა და ნოჯის გარეშე წარმოდგენილს „კარსაჟიან კაბას“ უწოდებდნენ.

ცალ-ცალკე დამზადებული კაბის აღნიშნულ ნაწილებს ერთმანეთს გადააკერებდნენ. გულამოღებული ზედატანის ქვედატანთან დაკავშირების დროს ნაკერს გვერდებამდე მოიტანდნენ, გულდახშული კაბის ირგვლივ შეპოკერების საწინააღმდეგოდ. გულისპირის ახსნილი ნაპირებიდან მარცხენას მარჯვენა გვერდში დაიმაგრებდნენ და მარჯვენას პირუკუ. ზოგიერთები წელიანი კაბის ზედატანსა და ქვედატანს შორის ქსოვილის სარტყელსაც მოათავსებდნენ.

კაბის აღწერილი ტიპი ისეთი თარგით იყო დამზადებული, რომ დამატებით კიდევ საჭიროებდა შესადგმელ სახელოებსა და ჩასაფენ გულისპირს, რომელთა გარეშე კაბა სრულყოფილობას კარგავდა. აღნიშნული ელემენტები, კაბის გახსნილი ნაწილების შევსებასთან ერთად ემსახურებოდნენ, აგრეთვე, მის მხატვრულ გაფორმებასაც. წელიდან დაშვებული ქართული სარტყელის ფუნქცია კი კაბის მოსართავ საშუალებად გამოყენებაში იყო გამოხატული. იგი, აღნიშნული ორი ელემენტისაგან განსხვავებით, ერთნაირ სამსახურს უწევდა წელიანი კაბის ყველა ფორმას და ზოგჯერ კაბა-რუბაშკიან ჩაცმულობასაც კი, რადგან საზეიმო ვითარებაში გამოყენებული სამოსიდან საქორწილო მაინც წარმოუდგენელი ყოფილა სარტყლის გარეშე, რომელსაც ქსნის ხეობის ზოგიერთი მკვიდრი „ორკაპა ფართუკებსაც“ ეძახის. მოძრავ სახელოებს, ე. წ. „ყურთმაჯებს“ და გულისპირს აუცილებლად ერთნაირი მასალისაგან უნდოდა დამზადება. ატლასის სარტყლებს გარდა ხმარებაში იყო მოჩიოული ფარჩისა და აბრეშუმის სარტყლებიც.

---

[7] ნ. გვათუა, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

ხშირი იყო, აგრეთვე, მზა სარტყლების მოხმარების ფაქტებიც.

ზემოთ აღწერილი საგვირკვინო კაბა განეკუთვნება აღმოსავლეთ საქართველოს ბარში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გავრცელებულ „სახლართავიანი კაბის“ ტიპს, რომელიც გრძელ კავებსა და დაბალ ანუ კახურ ჩიხტთან ერთად[8], XIX საუკუნის პირველი ნახევრისათვის დამახასიათებელი ჩაცმულობისაგან ცოტათი განსხვავებულ იერს აძლევდა ამგვარ ტანსაცმელში გამოწყობილ ქართველ მანდილოსანს.

ქართული სარტყელ-გულისპირიანი კაბის კომპლექსი მისთვის დამახასიათებელი თავბურვის გარკვეული ელემენტების ერთობის გარეშე ძნელი წარმოსადგენია. ადგილობრივი ძალების საშუალებით თავსაბურავში შემავალი ელემენტებიდან მხოლოდ ჩიხტიკოპისა და შუბლსაკრავად ვარგისი სადა ხავერდის ზოლის დამზადება ყოფილა ზოგჯერ შესაძლებელი. ძირითადში კი ქართული თავხურვისათვის საჭირო ელემენტები გამზადებული სახით შეიძოდიოდა გორიდან და თბილისიდან. ჩიხტის სახეობებიდან ქსნის ხეობაში მოხმარებული იყო დაბალი ანუ კახური ჩიხტის სახეობა, რომელიც XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან ქართლში იწყებს ინტენსიურ გავრცელებას[9]. თავსაკრავად ერთფერი (თეთრი, წითელი, ლურჯი, მწვანე, შავი) ხავერდი იყო გამოყენებული. ასეთ სადა თავსაკრავებზე შუბლის „მარსკვლავისებური“ ფორმის ალმასის თვალებჩასმული ოქროს ქინძისთავის ხმარებაც ყოფილა წესად. შემძლე ოჯახის ქალი ასეთი ტიპის ქინძისთავის ორ ცალსაც დაიმაგრებდა თავსაკრავზე. ლეჩაქს ზემოთ ბაღდადი ეფარათ თავზე. ბაღდადის ჩამოშვებული ტოტების ნიკაპთან განასკვა არ ყოფილა წესად, ამიტომ ბანდურად ამოატარებდნენ, მერე ორ ტოტს ერთმანეთს დაატოლებდნენ და ქინძისთავის ჩამაგრებით ნახევების გამოხსნის შესაძლებლობას მოხსნიდნენ.

ცნობილია, რომ ქართული ჩიხტი-კოპიანი თავხურვა დამახასიათებელი იყო როგორც გათხოვილი, ასევე სრულწლოვანი გასათხოვარი ქალის თავბურვისათვის[10]. როგორც ჩანს ამგვარი თავბურვის ტარების გამსაზღვრელ ნიშნად მარტოოდენ ქალის სოციალური მდგომარეობა არ ითვლებოდა, არამედ ანგარიში ეწეოდა ასაკობრივ საკითხსაც. ამ წესის გეოგრაფიულ განფენილობაში ქსნის ხეობაც ექცევა. პატარძალს ერთი კვირის განმავლობაში თავი ქართულად დახურული უნდა ჰქონოდა, მერე მისი მოხმარების ვადა თანდათანობით იზღუდებოდა. საპატარძლო ჩაცმულობა ფეხზე ქალაქური გრძელყელიანი წინდებისა და ქალაქშივე დამზადებული ქუსლიანი, ღილებითა და სახლართავით შეკრული მაღალყელიანი „ბაშმაკების“, „პოლსაპოშკების“ მოხმარებასაც ითვალისწინებდა.

სარტყელ-გულისპირიანი ქართული კაბის აღნიშნული კომპლექსის გავრცელების სიხშირის მაჩვენებელი მისდევა ქსნის ხეობის გეოგრაფიულ ზონალობას (ბარი, მთისძირი, მთა) შემდეგი სახით; ბარის სოფლებში მის ხშირ აღრიცხვას მთის მიმართულებით თანდათანობით კლება ემჩნევა, მთის ზოგიერთ სოფლებში კი ეს მაჩვენებელი სრულიად ქრება. წელსზევითი და წელსქვევითი სამოსის ფორმა კი ყველგან ერთნაირად იყო მოხმარებული: ზოგან როგორც ერთადერთი ფორმა საგარეო და საშინაო ჩაცმულობისა, ზოგან კი როგორც მხოლოდ სამუშაო.

[8] ნ. გ ვ ა თ უ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 52.

[9] იქვე.

[10] ლ. ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

ქსნის ხეობაში ძველად არსებული სოციალურად განსხვავებულ ფენათა ჩაცმულობა თარგისა და ზოგიერთ შემთხვევაში მორთულობის მხრივაც თანხვედრი ყოფილა. მხოლოდ ეს არის აღსანიშნავი, რომ ქართულ-გულისპირიან კაბას თავსაბურავთან ერთად გლეხის ქალები მხოლოდ საზეიმო ვითარებაში იცვამდნენ, მაშინ როდესაც თავადის ქალები მას ყოველდღიურად იყენებდნენ. გარდა ამისა, ქალაქიდან შემოსული ევროპული ჩაცმულობის ფორმები სოციალურად აღზევებულ ფენაში ყოფილა ათვისებული, თუმცა ზოგიერთი მათგანის გამოყენების ფაქტები გლეხთა ყოფაშიც იქნა დამოწმებული. აქვე უნდა ითქვას, რომ ქსნის ხეობის მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელის მიხედვით ჩასაცვამ-დასახურავის კომპლექტში არსებითი ხასიათის განსხვავება არ შეინიშნება. ოსურ მოსახლეობაში დგინდება მხოლოდ ძველად არსებული ტანსაცმლის ზოგიერთი ფორმის კონსერვაციის ფაქტები.

სამკაულად ხმარობდნენ თიოებზე ოქროსა და ვერცხლის ბეჭდებს, ხელზე სამაჯურს და ყურებზე ბურთიან საყურეებს.

მხრებზე წამოსასხამი დარაიას თუ აბრეშუმის ოთხკუთხი ფორმის თავშლების ხმარებას ზამთრობით ენაცვლებოდა თბილი, ფოჩიანი ქიშმირები და სახლში შალის ძაფებით ბადიად ნაქსოვი სამკუთხი, ნაპირებზე კუწუბიანი არშია დაყოლებული შალები. ტანზე იცვამდნენ სარჩულ დადებულ „კოსტუმებს“ და მზა „პალტოებს“.

ამრიგად, ქსნის ხეობაში გავრცელებული სამოსელის შესახებ მოპოვებული მასალა ავსებს სპეციალურ ლიტერატურაში ასახულ მონაცემებს აღმოსავლეთ საქართველოს ბარში არსებული ჩაცმულობის შესახებ. სამოსელის კომპლექსების თუ მისი ცალკეული ელემენტების აღწერას კი განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის იმ ნაკვეთის შევსებისათვის, რომელიც მიეძღვნება ქართული ეროვნული კოსტიუმის პუბლიკაციას.

Ц. И. БЕЗАРАШВИЛИ

МАТЕРИАЛЫ ДЛЯ ИЗУЧЕНИЯ ЖЕНСКОЙ КРЕСТЬЯНСКОЙ ОДЕЖДЫ В КСАНСКОМ УЩЕЛЬЕ

Резюме

Работа ставит перед собой задачу выявить в Ксанском ущелье женскую крестьянскую одежду на основе полевого этнографического материала и музейных экспонатов.

В работе дано детальное описание всех отдельных элементов одежды, которые составляют два основных комплекса: будничный и праздничный. Первый комплекс одежды (кофта —«зенатани» и юбка — «квенатани») был употреблен повсеместно, а в некоторых местах и как праздничная одежда. Второй комплекс (платье — «сарткел-гулиспириани каба» вместе с особым головным убором — «чихти-копиани тавбурва») был распространен большей частью в низменных районах, реже в глубь ущелья и совсем не употреблялся в высокогорных селениях.

Различия по социальным признакам выявлялись не покроем одежды, а количеством и оформлением. Формы европейского одеяния в первую очередь были распространены в высшей социальной среде.

Этническая пестрота не отразилась на форме костюма. Среди осетинского населения замечались консервация некоторых старых форм одежды.

დ ი ს კ უ ს ი ა დ ა გ ა ნ ხ ი ლ ვ ა

ზურაბ რატიანი

მსახურთა კლასობრივი ვინაობის გაგებისათვის*

ქართულ ისტორიოგრაფიაში თემის ირგვლივ გამოთქმული ყველა ძირითადი მოსაზრება ცალკე გვაქვს განხილული[1], ამიტომ აქ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ დღევანდელი მკვლევრები უპირატესობას ანიჭებენ იმ აზრს, რომელიც ჯერ კიდევ ა. ხახანაშვილმა გამოთქვა, ხოლო შემდეგ არსებითად ნ. ბერძენიშვილმა და ლ. მუსხელიშვილმა გაიზიარეს. ამ აზრის მიხედვით, მსახური დგას გლეხსა და აზნაურს შუა, მაგრამ ისე, რომ იგი (მსახური) ორთავეს (გლეხისა და აზნაურის) ფუნქციებს ასრულებს ერთდროულად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, XII საუკუნიდან მსახურთა ფენა უწყალოდ ნადგურდება და გლეხობაში ითქვიფება — გლეხდება.

მეორე, უფრო სწორად, პირველი დებულება, ჯერ კიდევ ვახუშტიმ წამოაყენა და შემდეგ ძირითადად იგი გაიზიარეს ნ. ურბნელმა, ივ. ჯავახიშვილმა და ს. ჯანაშიამ. ამ დებულების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მსახურთა ფენა, მართალია, დგას აზნაურზე დაბლა და გლეხებზე მაღლა, მაგრამ მსახურნი გლეხურ ანუ მწარმოებლურ შრომას არ ეწევიან. მსახურთა სამსახური პრინციპულად აზნაურულის მსგავსია, ოღონდ ნაკლებ საპატიო.

აღსანიშნავია, რომ აქ ნახსენები დებულებანი მათ ავტორებს უცილობლად დასაბუთებული არა აქვთ და ისინი უფრო ჰიპოთეზების სახით არის გამოთქმული[2].

ორიოდე სიტყვა ტერმინ „მ ს ა ხ უ რ ი ს“ შესახებ. ეს ტერმინი ქართულ წერილობით წყაროებში ორი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება. პირველი მნიშვნელობა გულისხმობს იმას, რომ მსახური შეიძლება იყოს ყველა, განურჩევლად მისი სოციალური სახისა, ვინც კი რაიმე სამსახურს ასრულებს. მაგ., მსახურია მღვდელიც — ღმრთის მსახური და მსახურია პოლიციური ფუნქციების შემსრულებელი მოხელეც. ამასთან, მსახურს არა მარტო ქართული, არამედ უცხოური სოციალურ-პოლიტიკური წყობის წარმომადგენელსაც უწოდებდნენ.

ასეთი მნიშვნელობით მსახური გვხვდება, მაგალითად, „შუშანიკის წამებაში“, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობასა“ და „იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრებაში“, სადაც სპარსელი და ბერძენი მოხელეებიც მსახურად იხსენიებიან.

---

* წაკითხულია ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის ძველი და შუა საუკუნეების წყაროთმცოდნეობის განყოფილების სხდომაზე, 1973 წლის 1 მარტს (იბეჭდება შემოკლებით).

[1] იხ. ზ. რ ა ტ ი ა ნ ი, საქართველოს სოციალური წყობა XIII-XIV საუკუნეებში (ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით), თბ., 1970, გვ. 95—105.

[2] გამონაკლისია ლ. მუსხელიშვილი, რომელმაც სცადა ხახანაშვილ-ბერძენიშვილის დებულების დასაბუთება (იხ. ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალ-ეკონომიური კატეგორიები XIV-XVII სს., ენიმკის მოამბე, V-VI, თბ., 1940, გვ. 267—319).

ტერმინი „მსახური“ ვიწრო გაგებით ცალკე სოციალური კატეგორიის აღმნიშვნელი სიტყვაა, ისევე როგორც ტერმინები გლეხი, აზნაური, ვაჭარი და სხვ.

ჩვენი დაკვირვებით, პირველი წყარო, სადაც მსახური პირდაპირ და აშკარად ცალკე სოციალურ კატეგორიას აღნიშნავს, ესაა „ვაჰანის ქვაბთა განგება“. ეს ბეგლი XIII ს-ის დასაწყისით თარიღდება. ამიტომ მკვლევარს სრული უფლება აქვს იფიქროს, რომ მსახური, როგორც სოციალური ტერმინი, უკვე XII საუკუნეში იხმარებოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მსახურთა სოციალური წოდება XII საუკუნეში უკვე ჩამოყალიბებული იყო.

მსახურთა წოდების კლასობრივი ვინაობის დადგენა მოხერხდა ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით. ამ წყაროზე დაყრდნობით გაირკვა[3] შემდეგი:

ფეოდალურ საქართველოში მსახურები ისევე ცალკე წოდებას შეადგენენ, როგორც დიდებულები, აზნაურები, ვაჭრები და გლეხები.

მსახურთა წოდება ეკუთვნის გაბატონებულ ანუ ფეოდალთა კლასს და, ბუნებრივია, მსახურნი მწარმოებელნი არ არიან.

ეს წოდება XIII—XIV საუკუნეებში სამ ფენად იყოფა: I. აზნაურად მსახურნი საჩინო ხელით (ამათი სისხლი 12 000 თეთრია); II. აზნაურად მსახურნი არა საჩინო ხელით (ამათი სისხლი 6 000 თეთრია) და III. მსახურად მსახურნი (სისხლი — 1 000 თეთრი).

მსახურთა წოდების სამივე ფენის წევრნი პატრონთა წინაშე პრინციპულად ისეთსავე სამსახურს ეწევიან, როგორსაც აზნაურები, ოღონდ უფრო ნაკლებ საპატიოს[4].

---

[3] ვრცლად ამის შესახებ იხ. ზ. რატიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 95—119.

[4] პირველად ამ საკითხზე მოხსენება წაეკითხა საქართველს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის განყოფილების სხდომაზე, 1965 წლის 5 მარტს.

1966 წელს მ. ლორთქიფანიძემ მსახურთა შესახებ, თუმცა კვლავ ნ. ბერძენიშვილის დებულება დაიმოწმა, მაინც შენიშნა, რომ: „აღბუღას კანონმდებლობაში „მსახურნი“, როგორც ჩანს, ფეოდალურ-გაბატონებული საზოგადოების წევრია“ (მ. ლორთქიფანიძე, სოციალურ ურთიერთობის ისტორიიდან XII ს. საქართველოში, კრებულში: „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 37).

1970 წელს მ. ბერძენიშვილმა, ასევე ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით, აზნაურად მსახურნი კი აღიარა გაბატონებული კლასის წევრად, მაგრამ მსახურად მსახურნი კვლავ მწარმოებლად მიიჩნია (მ. ბერძენიშვილი, საქართველო XI-XII საუკუნეებში, თბ., 1970, გვ. 94—104).

ასევე 1970 წელს გ. ჯამბურიამ თუმცა კი აღნიშნა, რომ „ამ ბოლო დროს საისტორიო ლიტერატურაში გაჩნდა აზრი, რომლის მიხედვით მსახური არათავისუფალ წოდებაში კი არ შედის, არამედ ფეოდალთა კლასში შემავალი ფენაა“, მაგრამ იქვე კატეგორიულად განაცხადა: „ეს შეხედულება, ჩვენი აზრით, სწორი არაა“ (გ. ჯამბური ა, სათავადოთა საკითხისათვის, კრებულში: „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“, I, 1970, გვ. 12).

ასეთი განცხადების შესახებ უნდა ითქვას, რომ ჯერ ერთი, ე. ჯამბურია, ისე იმეორებს ხახანაშვილ-ბერძენიშვილ-მუსხელიშვილის დებულებას, რომ არც კი ახსენებს მის ავტორებს (გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 117; ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქ. და ეთნ. ინსტიტუტის XIX სამეცნიერო სესია, ანგარიშები, თბ., 1970, გვ. 30).

რაც მთავარია, სწორედ ხახანაშვილ-ბერძენიშვილ-მუსხელიშვილის ჰიპოთეზა (რასაც თავის აზრს აერქმევს გ. ჯამბურია) არ დამტკიცდა ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის ანალიზით, ხოლო ვახუშტი-ურბნელ-ჯავახიშვილ-ჯანაშიას ჰიპოთეზა არსებითად დადასტურდა, ე. ი. მეცნიერულად დასაბუთდა. ამიტომ ლიტონი სიტყვებით მის უარყოფას არავითარი მეცნიერული მნიშვნელობა არა აქვს.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნზე შემდგომმა დაკვირვებამ საშუალება მოგვცა ადრინდელი დასკვნები ახალი დებულებით შეგვევსო. რას წარმოადგენს ეს ახალი დებულება? ამისათვის მივმართოთ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნს:

მუხლი B 72: თუ ვისმე კაცი შეეწყნაროს და თავი დაუწეროს, და მან ს ე ფ ე-ქ ა ლ ს ა ზედან სიძობით შეიწყნაროს, ანუ გლეხსა და ანუ გ ლ ე ხ ი ს ა ა ს უ ლ ს ა, წასვლას არას ემართლების.

და თუ მისმან მკვიდრმან ბატონმან წაგვაროს, მის კაცისაგან კიდე არც ცოლს ემართლების და არცა შვილსა — რაითაცა მისრულიყოს იგი კაცი, ეგრევე წაიყვანოს.

თუ მისითა გულითა არ წავიდეს კაცი და სამართალმან წაიყვანოს, ცოლ-ქმართა გაყრა უწესოა და თანა გაყვეს; დ ი ა ც ი ს ა პ ა ტ რ ო ნ ს ა ფ ა ს ი დ ა უ უ რ ვ ო ს[5].

(მუხლი A 72: ... ს ე ფ ე-ქ ა ლ ზ ე დ ა შეისიძოს, ანუ გლეხისა ასული მისცეს... დ ი ა-ც ი ს ფ ა ს ი მ ი უ ბ რ უ ნ ო ს პ ა ტ რ ო ნ ს ა).

ახლა მოვიტანოთ მუხლი B 73:

თუ თავდაუწერელმან კაცმან შეირთოს ცოლი, არცა გლეხსა ზ ე დ ა ვ ი ს შ ე ე ს ი ძ ო ს. დ ა ა რ ც ა ს ე ფ ე-ქ ა ლ ს ა, ვისცა იგი კაცი მართებს მკვიდრად, მისი ცოლი და შვილი-ცა მას მართებენ. და რითაცა შემოსრულა. ეგრეთცა წაიყვანოს და წავიდეს[6].

(A 73 მუხლითაც ასევეა:

...[არცა] **გ ლ ე ხ ს ა** შეესიძოს და ანუ არცა **ს ე ფ ე-ქ ა ლ ს ა**...).

დამოწმებულ მუხლებში ლაპარაკია თავდაწერილი და თავდაუწერელი ყმების უფლება-მოვალეობაზე, რაც სხვაგან გვაქვს საგანგებოდ განხილული[7].

აქ ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ ორივე მუხლში მოხსენიებულია სეფე-ქალი. ეს სეფე ქალი იგივე გლეხის ასულია, მაგრამ წყარო მას საგანგებოდ, ცალკე ახსენებს, ხოლო გლეხის ასულს ცალკე.

რით აიხსნება ეს ფაქტი?

როგორც აღვნიშნეთ 72-ე და 73-ე მუხლებში ლაპარაკია თავდაწერილ და თავდაუწერელ ყმაზე. ეს ყმა უმეტეს შემთხვევაში გლეხია, მაგრამ სოციალურად ასეთივე ყმაა არა გლეხიც — ყმა ვაჭარი, ყმა ხელოსანი — ოსტატი. თავისი მკვიდრი ბატონიდან აყრილ-გამოქცეული ეს ყმა-გლეხი (და სხვ.) ცოლს თხოულობს, იმ ბატონთან, ვისაც შეეკედლა, ვისთანაც თავი დაიწერა ე. ი. ვისიც თავდაწერილი ყმა შეიქმნა (მუხლი 72). ვინ შეიძლება ცოლად ითხოვოს თავდაწერილმა ყმამ? მხოლოდ და მხოლოდ გლეხის ასული, ან სეფე-ქალი. ყმა გლეხს უფლება არა აქვს ცოლად შეირთოს გაბატონებული კლასის წარმომადგენლის ასული. აქედან სრულიად აშკარაა, რომ 72-ე მუხლში ნახსენები სეფე-ქალი არ შეიძლება იყოს გაბატონებული კლასის წარმომადგენლის ასული. იგი ისევე ყმა გლეხის, ან ყმა ვაჭრის ან ყმა ხელოსნის ასულია, როგორც იქვე ნახსენები გლეხის ასული. მაშინ რატომ დასჭირდათ სჯულმდებლებს მათი ცალ-ცალკე მოხსენიება?

ამის პასუხად გავიხსენოთ ძეგლის 24-ე მუხლი:

თუ კაცმან კაცს ს ე ფ ე-ქ ა ლ ი წაგვაროს, ორის მსახურისა სისხლი დაუურვოს[8].

ახლა სავსებით ნათელია, რომ მართალია, 72-ე და 73-ე მუხლებში მოხსენიებული სეფე-ქალი არის ყმა გლეხის, ყმა ვაჭრის, ან ყმა ხელოსნის ასული, მაგრამ უბრალო ყმა გლეხის ასულისაგან განსხვავებით მისი სისხლი ღირს არა

---

[5] ქართული სამართლის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 453. (ხაზგასმა აქაც და ქვემოთაც ჩვენია.—**ზ. რ.**).

[6] იქვე, გვ. 454,

[7] ზ. რ ა ტ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 133—136.

[8] ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 433.

400, არამედ აუცილებლად 1 000 თეთრი. მართალია, გლეხის ასულის სისხლიც თუმცა იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მაინც ღირდა 1 000 თეთრი, ხოლო ამ სეფე-ქალის სისხლი ყოველთვის 1 000 თეთრად ფასობდა. აქ დამოწმებული 24-ე მუხლით სეფე-ქალი, ანუ მოახლე ხომ მსახურთა წოდების სისხლის ოდენობით ფასდება, მსახურთა წოდების სხვადასხვა ფენების სისხლი კი ღირს 12 000, 6 000 და 1 000 თეთრი.

24-ე მუხლიდან კარგად ჩანს, რომ სეფე-ქალიც ასევე მსახურთა სამივე ფენის წევრი ყოფილა. 72-ე და 73-ე მუხლებით კი გამოირკვა, რომ ყოფილა ისეთი სეფე-ქალიც, რომელიც მსახურთა წოდებას არ ეკუთვნოდა, მაგრამ თავისი სეფე-ქალობით, ე. ი. სამსახურით, თანამდებობით გატოლებული ყოფილა მსახურთან. ე. ი. ყმა გლეხის ასული, რომელიც ბატონს სეფე-ქალად ჰყავს, არის გლეხი მსახურად, და ვინაიდან ის მსახურად ჰყავს ბატონს, სწორედ ამიტომ მისი სისხლიც მსახურთა წოდების მესამე ფენას უტოლდება.

ნიშნავს ყოველივე ნათქვამი იმას, რომ ეს სეფე-ქალი წოდებრივად ისეთივე მსახურია, როგორც ძეგლში დადასტურებული (მუხლი 7) მსახურად მსახური?

არ ნიშნავს და აი რატომ:

მსახურად მსახურნი, ისევე როგორც აზნაურად მსახურნი (2 ფენა) შეადგენენ ცალკე მსახურთა წოდებას. ამ წოდების სამივე ფენის წევრს ჰყავს ყმა და არც ერთი მათგანი მწარმოებელი არ არის. მსახურად მსახურობა ისევე მემკვიდრეობით გადადის, როგორც აზნაურობა და დიდებულობა. მსახურად მსახურის ოჯახის ყველა წევრი ისევე მსახურად მსახურია, როგორც აზნაურისა — **აზნაური, დიდებულისა — დიდებული.**

მსახურად გლეხი (ამ შემთხვევაში სეფე-ქალი) მხოლოდ თვითონ პირადად, მარტო ერთი პიროვნება არის ბატონთან მსახურად, მისი ოჯახის სხვა წევრები უბრალო ყმა გლეხებია. მსახურად გლეხი, თუმცა თვითონ პირადად აღარ არის მწარმოებელი, მაგრამ მას არა ჰყავს ყმა, როგორც ეს მსახურად მსახურს ჰყავს. რაც მთავარია, ამ მსახურად გლეხის, აქ სეფე-ქალის, ასეთი მდგომარეობა არ იყო მყარი, რაიმე მემკვიდრეობითობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. არა თუ სეფე-ქალის მემკვიდრე, არამედ თვითონ ეს სეფე-ქალი ყოველ წუთს შეიძლებოდა გამოთხოვებოდა თავის სეფე-ქალობას, ანუ მსახურად ყოფნას და ისევ უბრალო ყმა გლეხად ქცეულიყო. ესეც კარგად ჩანს 72—73-ე მუხლებით, სადაც ლაპარაკია სეფე-ქალის გათხოვებაზე.

ამრიგად, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნზე დაკვირვებამ დაადასტურა, რომ გარდა მსახურთა წოდების სამი ფენისა, XIII—XIV საუკუნეების საქართველოში ყოფილან მსახურად გლეხებიც. ეს მსახურად გლეხები არ არიან წოდებრივად მსახურები, ისევე, როგორც აზნაურებად მსახურები არ არიან წოდებრივად აზნაურები. მსახურად გლეხი წოდებრივად ისევე გლეხია, როგორც გლეხთა ძირითადი მასაა.

როგორ ესადაგება სხვა წყაროების მონაცემები ამ დასკვნას?

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნზე ადრინდელი წყარო „ვაჰანის ქვაბთა განგება“, ასევე ადასტურებს, რომ მსახურთა წოდება გაბატონებულ კლასს ეკუთვნის, ხოლო მსახურად გლეხი კი წოდებრივად მაინც გლეხია და უუფლებო, ჩაგრული კლასის წევრია. მოვუსმინოთ წყაროს:

ჩუენისა სახლისა აზნაურნი და თუნდა **მ ს ა ხ ურ ნ ი** შემოლაზუნდებოდნენ, და ჩუენგან და ჩუენისა სახლისა კაცისაგან მონასტერს შეშუებასა დე დამკჳიდრებასა ღირს-იქმნებოდენ, ესე მონასტრისა პატრონთაგან გაიჩინებოდეს: თუ ნამსახური იყოს და საპატიოჲ აზნაურისშვილი, მწირველთავე თანა დაიწესებოდეს პურითა დე ოქროჲთა და ჯდომითა, ყველათჲთა. კუალადცა ესევე ვთქუათ: თუ დიდად საპატიოჲ და ნამსახური არ იყოს, ნუ იკადრებს მწირველთა თანა დაწესებასა. და უქუეგანესი ამათი **მ ს ა ხ ურ ი**, რომელიცა მონასტერს შეშუებასა და დამკჳდრებასა ღირს-იქმნებოდეს, მწირთა თანა დაეწესებოდეს ტანისამოსითა, ოქროჲთა, პურითა და ყოვლითა საწესოჲთა საქმითა[10].

აქედან ჩანს, რომ მონაზვნად აღკვეცა შეეძლოთ მხოლოდ და მხოლოდ გაბატონებული კლასის წარმომადგენლებს — ყმა გლეხის მონაზვნად აღკვეცაზე „განგება“ სდუმს. ამასთან, თუ დავაკვირდებით, რომ მონაზვნად აღკვეცილი მსახური მონასტრის უმდაბლეს ფენაში ირიცხება (მწირთა), ნათელი გახდება, რომ ყმა გლეხის ბერად შედგომა აშკარად გამორიცხულია. გლეხს რომ ასეთი უფლება ჰქონოდა, მას ბერად შემდგარ მსახურთან არავინ გაათანაბრებდა, ხოლო ბერად შემდგარ მსახურზე დაბალი ფენა კი მონასტერში არ არსებობდა. აშკარაა, ყმა გლეხს არ ჰქონდა უფლება მონაზვნად აღკვეცისა. ეს არცაა გასაკვირი. ყმა გლეხი მწარმოებელი, ყველა ამ საერო და სასულიერო ბატონების მარჩენალი იყო და მისი მონაზვნად აღკვეცა დოვლათის შემქმნელს დააკლებდა გაბატონებულ კლასს.

ამრიგად, „ვაჰანის ქვაბთა განგება“ ადასტურებს, რომ მსახურთა წოდება XIII ს-ის დასაწყისში და, მაშასადამე, XII საუკუნეშიც ისევე გაბატონებულ კლასს ეკუთვნოდა, როგორც ეს XIII—XIV საუკუნეებისათვის დადასტურდა ბექა-აღბუღას სამართლის წიგნით.

ეს მსახურთა წოდების შესახებ, მაგრამ რას ამბობს იგივე ძეგლი მსახურად გლეხზე?

წყაროში იხსენიებიან მსახურნი, „რომელნი ყოველსავე ტრაპეზისა და [სამზ]არეულოჲსა და სახაბაზოჲსა სამსახურსა აღასრულებდნენ“ და: „ხოლო მსახურთა სატანისამოსლად მწირთავე ჰქონდეს ბოტინატი და დოკატი“[11].

ერთი შეხედვით შეუძლებელია იმის გარკვევა, ეს მსახურები წოდებრივად მსახურები არიან, თუ მსახურად გლეხები. თითქოს აქ ორივე მათგანი შეიძლება იგულისხმებოდეს, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ წოდებრივად მსახურთა ძირითად მოვალეობას მთელი ფეოდალიზმის მანძილზე მოლაშქრეობა, ნადირობა, ადმინისტრაციულ-საპოლიციო სამსახური შეადგენდა, მაშინ იქნებ არც შევცდებით თუ ვიტყვით, აქ ნახსენები მსახურები არ არიან წოდებრივად მსახურნი, ესენი მსახურად გლეხები არიან.

მსახურთა წოდება ასევე გაბატონებული კლასის წევრია გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადებით“, წყაროს მე-2 მუხლით:

განმგებელი თუ ქუეყანამან მოკლას, ერთმან სოფელმან, გინა ერთმან პირმან, ჴევმან, — მსახური იყოს განმგებლად. ექუსი ათასი თეთრი დაიურვოს სისხლთა ფასად[12].

განმგებელი ერისთავის შემდეგ პირველი მოხელეა საერისთაოში და, ცხადია, გაბატონებული კლასის წევრია. ეს განმგებელი მსახური რომ აზნაურად მსახურია, ძეგლის მე-4 მუხლითაც დასტურდება, სადაც ასეთივე მოხელედ აზნაურია დასახელებული.

შევაჯამოთ ნათქვამი.

---

[10] ვაჰანის ქვაბთა განგება, თბ., 1939, გვ. 85.

[11] იქვე, გვ. 64, 71.

[12] ქართული სამართლის ძეგლები I, ეგ. 403.

ფეოდალურ საქართველოში არსებობდა მსახურთა წოდება, რომელიც ისევე ეკუთვნოდა გაბატონებულ კლასს, როგორც აზნაურთა წოდება, ოღონდ მსახურნი აზნაურებზე დაბლა იდგნენ.

მსახურთა წოდების გვერდით არსებობდნენ მსახურად გლეხნი, რომელნიც წოდებრივად გლეხები იყვნენ და ჩაგრულ კლასს ეკუთვნოდნენ.

მსახურთა წოდების ძირითადი საქმიანობა იყო ლაშქრობა, ნადირობა, ადმინისტრაციულ-საპოლიციო სამსახური.

მსახურად გლეხთა ძირითადი საქმიანობა იყო ყოველგვარი სამეურნეო სამსახური ბატონის (მეფე, ეკლესია, დიდებული, აზნაური, მსახური, ვაჭარი) კარზე.

ყოველივე ნათქვამი ეხება საქართველოს V—XIV საუკუნეების სოციალურ აღნაგობას.

ახლა ვნახოთ, როგორი მდგომარეობა გვაქვს მომდევნო საუკუნეებში.

პირველ რიგში ვახტანგ VI სამართალი განვიხილოთ.

XVIII ს-ის დასაწყისის ამ ძეგლში მსახურთა შესახებაც საკმაო ცნობები მოიპოვება. 32-ე მუხლით სამართალი მსახურთა წოდების სისხლს განსაზღვრავს:

ამასთან, ასრე, დაკლებით, **მსახურის** სისხლი — ოცდაოთხი თუმანი. ამასთან — მთავარ-დიაკვნის სისხლი, ამასთან — **შუას ვაჭრის ქუემოთ, მესამეს ვაჭრის** სისხლი.

სამართლის მომდევნო, 33-ე მუხლით კი გლეხთა წოდების სისხლია განსაზღვრული:

გლეხის კაცის სისხლი — თორმეტი თუმანი. ამასთან — **მეოთხეს ვაჭრის** სისხლი.
ეს ასრე არის გარიგებული: **გლეხის სისხლზე ერთიორად მსახურისა არის, მსახურზე** ერთიორად — ცალმოგვი აზნაურისა...[13].

აქედან სრულიად გარკვევით ჩანს, რომ მსახურთა წოდება ცალკეა, იგი არც გლეხობაშია ათქვეფილი და არც აზნაურებში.

ბექა-აღბუღას დროინდელ მსახურთა წოდებას თუ ვახტანგ VI ხანის მსახურთა წოდებას შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ ვახტანგის დროს სამართალი აღარ ადასტურებს აზნაურად მსახურთა არსებობას, აქ მხოლოდ მსახურად, ანუ მართებულ მსახურთა სისხლია განსაზღვრული.

რითი აიხსნება ეს გარემოება?

იმით, რომ ვახტანგის დროინდელი საქართველო ღატაკი ქვეყანა იყო, ხოლო ბექას და, განსაკუთრებით, აღბუღას დროინდელი კი დიდად დაწინაურებული და მდიდარი (მიუხედავად მონღოლთა ბატონობის მძიმე შედეგებისა). ვახტანგის დროს თვითონ მეფესაც კი მეფე აღარ ერქვა, თავად-აზნაურიც დაკნინებული იყო. სწორედ აქაა პირველად დადასტურებული ცალმოგვი აზნაური, რასაც ბექა-აღბუღა არც იცნობენ. ასეთ ვითარებაში, გასაგებია, მსახურთა წოდებაც ისევე ჩავარდებოდა გაჭირვებაში, როგორც სხვა წოდებანი. ეს გაჭირვება კი სამართალმა იმით გამოხატა რომ აღარ აღიარა აზნაურად მსახურთა ფენის არსებობა. ცხადია, ამ ფენის თითო-ოროლა წევრი კიდევ იბოგინებდა, მაგრამ მთავარი და არსებითი იმაში მდგომარეობს, რომ იმ დიდი უბედურების შედეგად, რაც საქართველოს თავს დაატყდა XIV—XV სს. მიჯნაზე, სხვასთან ერთად, აზნაურად მსახურთა ფენაც განადგურებული ჩანს XVIII საუკუნისა-

[13] ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 489.

თვის. მაგრამ ეს არ ნიშნავს მსახურთა წოდების მოშლას. მსახურთა წოდება კვლავინდებურად არსებობდა ქვეყნად, რასაც ეჭვმიუტანლად გვიმოწმებს ვახტანგის სამართალიც.

ახლა დავიმოწმოთ სამართლის 204-ე მუხლი: **გლეხის გაყრა ასრე არის.**

მუხლი 204: დარბაზი დერეფნით უფროსისა არის. კალო-საბძელი — უმცროსისა. ღვედი, სახნის-საკვეთი, გუთნის იარაღი — გუთნის დედისა. ცხურის ქუაბი, ერკემელი, რაც არის, მეცხვარისა არის. კმალი, თოფი, ცხენი და იარაღი მსახურისა არის. სხვა მამული ძმაზე გაიყონ და რჩომა — მწყემსზე[14].

ზემოთ, ბექა-აღბულას სამართალზე დაყრდნობით, დამტკიცდა, რომ წოდებრივ მსახურთა გვერდით იყვნენ ისეთი მსახურნიც, რომლებიც მსახურთა წოდებას არ ეკუთვნოდნენ. ასეთებია მსახურად გლეხები. ახლა იგივეს ვახტანგ VI სამართლის წიგნიც ამტკიცებს. ყურადღება მივაქციოთ 204-ე მუხლის სათაურს: „გლეხის გაყრა ასრე არის". აქედან კარგად ჩანს, რომ ამ მუხლში ნახსენები მსახური წოდებრივად არის გლეხი და არა მსახური, ეს არის მსახურად გლეხი.

მსახური, გარდა აღნიშნულისა, ვახტანგის სამართალში დამოწმებულია მე-12, მე-18, მე-40, 49-ე და 83-ე მუხლებში.

მუხლი 12: ერთი ესეც, მამულის ცილებაში გარშე მოფიცარი არ შევარდების. თუ დიდი რამ მამული არის, თვითან ის საბატიოს კაციშვილი უნდა აფიცონ; თუ უდაბლე რამ არის, აზნაურშვილი უფიცონ; კიდევ მის უდაბლეზე — მსახური; და მას ქვეითზე — გლეხი.

იქნების, ერთპირ სოფელიცა აფიცონ და იქნების, ის საბატიოს კაციშვილი თავის მსახურ-აზნაურშვილით და ყმითაც აფიცონ[15].

ეს მუხლიც აშკარად ადასტურებს, რომ არსებობს ცალკე მსახურთა წოდება და იგი გამიჯნულია, როგორც აზნაურთა, ასევე გლეხთა წოდებისაგან. ამ მუხლიდან ისიც გარკვევით ჩანს, რომ ამ დროსაც მსახურთა წოდება გაბატონებულ კლასში შედის. ფრაზა — „ის საბატიოს კაციშვილი თავის მსახურ-აზნაურშვილით და ყმითაც აფიცონ", გარკვევით ადასტურებს ნათქვამს.

მუხლი 40: თუ ან უმცროსს თავადთ, ან აზნაურთ, ან მსახურთ შეეთქუას დიდებულის სისხლი, თავად ცილი არ შეეწამების...

მუხლი 41: გლეხის სისხლის შეწამებაზე სამოცი მოფიცარი შევარდების...[16]

აქ, მე-40 მუხლში უმცროსი თავადი, აზნაური და მსახური, როგორც გაბატონებული კლასის წევრნი, ერთად არიან მოხსენიებული, ხოლო 41-ე მუხლში, გლეხი, როგორც ჩაგრული კლასის წევრი, ცალკე იხსენიება, თუმცა ორივე მუხლი ერთსა და იმავე საკითხს ეხება.

მუხლი 83: თუ ძმამ ძმისა და ან სახლის კაცის მხლებელი გააწბილოს, თუ დასთმობს ძმობითა, კარგი არის.

და თუ არ დასთმო და აღარც მხლებელი ინდომა, გააგდო ან გაახეიბრა, ერთის მსახურის სისხლი მისცეს. და თუ ინდომა, ისრევ ერთის გლეხის სისხლი მისცეს[17].

აქ ნახსენები მხლებელი არის მოახლე, ანუ იგივე სეფე-ქალი, ეს დასტურდება ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულის „ზანდუკით"[18]. მაშასადამე, ისე-

[14] ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 532.
[15] იქვე, გვ. 484.
[16] იქვე, გვ. 492.
[17] იქვე, გვ. 502.
[18] იქვე, გვ. 29.

ვე, როგორც ბექა-აღბუღას სამართლის წიგნით, ვახტანგის სამართლის წიგნითაც დასტურდება მოახლის მსახურობა.ვინაიდან სეფე-ქალზე ან მოახლეზე (აქ 83-ე მუხლით — მხლებელზე) ზემოთ ვრცლად ვიმსჯელეთ აქ აღარას ვიტყვით.

ამრიგად, ვახტანგ VI სამართლის წიგნით ისევე დადასტურდა მსახურთა წოდების არსებობა, როგორც ეს ადრე ბექა-აღბუღას სამართლის წიგნით.

მსახურთა წოდება XVIII საუკუნეშიც ისევე გაბატონებულ კლასში შედის, როგორც ადრე შედიოდა.

XVIII საუკუნისათვის კანონით აღარ არსებობს აზნაურად მსახურთა ფენა, სახეზეა მხოლოდ მსახურთა წოდების ერთი ფენა, მსახურად მსახურისა.

მსახურთა წოდების გვერდით, ისევე როგორც ადრე, არსებობს მსახურთა წოდებაში არშემავალი მსახურიც. ეს არის მსახურად გლეხი. თუკი ადრე მსახურად გლეხს ნაკლებად ევალებოდა მოლაშქრეობა, ახლა სწორედ მოლაშქრეობა გამხდარა მისთვის უფრო დამახასიათებელი. ესეც, ცხადია, საქართველოს გაჭირვებით აიხსნება. ე. ი. პირადად ეს მსახურად გლეხი მსახურის ტიპიურ სამსახურს ეწევა, მაგრამ წოდებრივად იგი გლეხია, განსხვავებით მსახურად მსახურისაგან იგი მსახურად გლეხია. დავიმოწმოთ სხვა წყაროებიც.

განვიხილოთ „ჭიაურის ულუფის წიგნი ალექსანდრე II-ისა", 1593 წლის საბუთი. ეს ძეგლი პირველად ნ. ბერძენიშვილმა გამოაქვეყნა, ხოლო შემდეგ ი. დოლიძემ [9]. ეს წყარო იმდენად მნიშვნელოვანია, რომ აქ მთლიანად დავიმოწმებთ:

ქ. ჭიაურთ მოურავის გოშფარისაგან ერთ[ი] ჭიაურელნი ბევრსა რასმე ძალსა და უსამართლოსა ჩიოდეს, — უფრო ულუფის საქმეზედან და ჩუენ, მეფემა კელმწიფემან პატრონმა ალქსანდრე [ას]რე გაუჩინეთ რომე:

ასმა კუამლმან შემძლ[ემ] მოურავს ერჩიოს, შინ ჩაიყენოს, და ერჩიოს, მთელი ულუფა მისცეს; ამას ქუედამა ასმა კუამლმან კაცმან ექუს-ექუსი შაური მისცეს და ასმან კაცმან კიდევ სამ-სამი შაური მისცეს; და სხუან ამას გარეთ რაცა კაცი გარდარჩეს, ბეზმისქინი კაცი იქნების, ამას ჩამოეხსნას, არა ზედა-აცს.

ამას გარეთ დაგუიდგამს ბაკანი ორლიტრიანი მთელის ულუფისათუის. შემძლე კაცი გავაზურს ჩუენს დიდს სპილენძის თუნგს სამსა მისცემდენ, სამი ერთი ცალი იქნების. ვისცა ტკბილი არ მოუვიდეს, მის სამუქფოს ნუღარასა სთხოვს, ღმრთის ბრძანება არის და არა ზედა-აცს.

მანჯანიკისა ასრე გაგუიჩენია, რომე, თუ სხუის თემის კაცი მოვიდეს და ჭიაურელს კაცისასა დაჯდეს, მისგან ერთი ჩარექი აბრეშუმი მოურავსა ერვების და ჭიაურელი კაცი რომელ ჭიაურშიგან დაჯდეს და მანჯანიკი ახუივოს, იმასა ქურჩულუღი არა ზედან-აცს.

აგრეთვე სამოურაო აიღებოდეს: მეულუფემ მთელისა ულუფისა და ექუს შაურიანისა ერთი შაური აიღოს და სამშაურიანსა ნურასა სთხოვს.

საყდრის ყმაზედან ლაშქარ-ნადირობისაგან კიდე ჯელს ნურას დაიდებს სხუას საქმეზედან, და ნურცა მანჯანიკის ყორჩულუღსა ნუ აიღებს.

ყმიანის კაცისას რომე მემანჯანიკე იჯდეს, ყორჩულუღის აბრეშუმი ამას ზედან არა აცს, და ნურცა მისასა მჯდომს მემანჯანიკესა სთხოვს, და ნურცა მისის ყმასასა.

და ქათამი, ასის დიდის ულუფის გამომღები კაცი რომელიც არის, კუამლად, როდესაცა ულუფა აიღოს, ოროლი ქათამი მისცეს: და მსახურს არცა ამას წინათ გამორთმია ქათამი და ნურცა აწცა სთხოვს.

და ქარავანს რომელსაც ეკიდოს ულაყს, ულაყისათვის ერთის შაურის მეტს ნუ სთხოვს.

და ჭიაურთათ რვა კაცი მსახურად გუიახლებია, ოთხი მსახური და ოთხი მოყალნე.

[9] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. I, 1940, გვ. 361—362; ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 207—208.

როგორც საბუთიდან ჩანს, ჭიაურის მოურავს დიდად შეუვიწროებია ხალხი. ჭიაურელებს მეფესთან უჩივლიათ. აღსანიშნავია, რომ ჭიაურის მოსახლეობის ყველა ფენა („ერთობილნი") გამოდის მომჩივანი. მეფე მოურავს ულუფის ნორმას უდგენს. და ამ ნორმას განსაზღვრავს მოსახლეობის ეკონომიური დანაწილების საფუძველზე. ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით მეფე ჭიაურის მოსახლეობას ოთხ ჯგუფად ჰყოფს: I — ასი კუამლი შემძლე, II — ამას ქუედა ასი კუამლი, III — ამას ქუედა ასი კუამლი კიდევ, და IV — სხუა ამას გარეთ რაცა კაცი გადარჩეს.

ამ ეკონომიური დანაწილების საფუძველზეა დადგენილი ულუფის ნორმაც მეტ-ნაკლებობით.

აქ ხაზგასასმელია, რომ მთელი ულუფა, ე. ი. სრული გადასახადი ეკისრება მხოლოდ და მხოლოდ პირველი კატეგორიის გადამხდელს: „ა ს მ ა კ უ ა მ ლ მ ა ნ შ ე მ ძ ლ ე მ მოურავს ერჩიოს, შინ ჩაიყენოს და ერჩიოს, მ თ ე ლ ი უ ლ უ ფ ა მ ი ს ც ე ს".

დანარჩენი კატეგორიის გადამხდელები მთელ ულუფას არ იხდიან, ანუ იხდიან ნაკლებს.

ტკბილს, დადგენილი ნორმით, ასევე აუცილებლად იხდის მხოლოდ პირველი კატეგორიის გადამხდელი, ანუ „შემძლე კაცი".

დანარჩენები ტკბილს ან იხდიან, ან არა, შეძლებისდაგვარად.

მერე აბრეშუმის გადახდის ნორმაა დადგენილი. ამის შემდეგ კი ასეთი დებულებაა:

აგრეთვე სამოურაო აიღებოდეს: მ ე უ ლ უ ფ ე მ მთელისა ულუფისა და ექუსშაურიანისა ერთი შაური აიღოს და სამშაურიანსა ნურასა სთხოვს.

აქედან გარკვევით ჩანს, მოურავს გადასახადთა აკრეფისას ახლავს ქვეშევრდომი მოხელე, რომელსაც მეულუფე ჰქვია. თავისი სამსახურის სანაცვლოდ ეს მეულუფე ისევე იღებს გასამრჯელოს, როგორც თვითონ მოურავი, ოღონდ, ცხადია, გაცილებით ნაკლებს. აქ მეულუფის ნორმა ასეა განსაზღვრული: პირველი კატეგორიის გადამხდელისაგან, ანუ შემძლე კუამლისაგან, ანუ მთელის ულუფის გადამხდელისაგან მეულუფეს ეკუთვნის ერთი შაური, ასევე ერთი შაური ეკუთვნის მეულუფეს მეორე კატეგორიის, ანუ ექუსშაურიანის გადამხდელისაგან. სხვა, მესამე და მეოთხე კატეგორიის გადამხდელთაგან მეულუფეს ფული არ ერგება.

ახლა თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ პირველი კატეგორიის გადამხდელად ასი კომლია დასახელებული და ასევე მეორე კატეგორიის გადამხდელადაც ასი კომლი, მივიღებთ, რომ მარტო ფულადი შემოსავალი ამ მეულუფეს ჭიაურელთაგან 200 შაური ჰქონია.

სოციალურად ვინ იყო ეს მეულუფე?

ამაზე პასუხს გვაძლევს წყაროს ბოლო ფრაზა: „და ჭიაურთათ რ ვ ა კ ა ც ი მ ს ა ხ უ რ ა დ გუიახლებია, ო თ ხ ი მ ს ა ხ უ რ ი დ ა ო თ ხ ი მ ო ყ ა ლ ნ ე".

სრულიად აშკარაა, მოურავს ჭიაურში ულუფის აკრეფისას თან ახლავს რვა მსახური. სწორედ ეს მსახურია ზემოთ მოხსენიებული მეულუფე. მაგრამ თვითონ ეს რვა მსახური ყველა არ იყო წოდებრივად მსახური. ამას გარკვევით აღნიშნავს წყარო: ოთხი მათგანი წოდებრივად მსახური იყოო და ოთხი კიდევ მსახურად გლეხი — აქ მოყალნე.

ამ ცნობაში შესანიშნავად არიან გამიჯნული წოდებრივად მსახურები და არაწოდებრივად, ანუ მსახურად გლეხები: აქ აშკარად ჩანს მსახურად მსახური და მსახურად-მოყალნე.

ეს წყარო ერთხელ კიდევ ადასტურებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ წოდებრივად მსახურთა გვერდით არსებობდნენ წოდებრივად არა მსახურნი, ანუ მსახურად გლეხნი — აქ მოყალნენი.

განვაგრძოთ წყაროს განხილვა. წყაროში შემდეგ საყდრის ყმაზეა ლაპარაკი და აქაც საკითხი ნათელია.

მომდევნო აბზაცში ვკითხულობთ:

ყ მ ი ა ნ ი ს კ ა ც ი ს ა ს რომე მემანჯანიკე იჯდეს, ყორჩულეული აბრეშუმი ამას ზედან არა აცს. და ხურცა მისასა მჯდომს მემანჯანიკეს სთხოვს. და ნ ურ ცა მ ი ს ი ს ყ მ ა ს ა ს ა.

სოციალურად ვინ არის აქ დამოწმებული ყმიანი კაცი? რატომ არ ასახელებს წყარო მას გამოკვეთილად?

საქმე ის არის რომ „ყმიან კაცში“ აქ იგულისხმება არა ერთი, არამედ სამი წოდების წევრი. ამ ყმიან კაცში შედიან აზნაურებიც, მსახურებიც და გლეხებიც. ამ დროისათვის არც ყველა აზნაურს ჰყავდა ყმა და არც ყველა მსახურს. თუმცა კანონით ყმა ორივეს ეკუთვნოდა, ხოლო კანონის საწინააღმდეგოდ, ზოგჯერ ყმა გლეხსაც ჰყავდა. ამიტომ გამოთქმა „ყმიანი კაცი“ ზუსტად განსაზღვრავს, რომელ აზნაურს, რომელ მსახურს და რომელ გლეხს შეეხება ის. გვაძლევს კი ეს წყარო იმის საფუძველს, რომ დაბეჯითებით ვამტკიცოთ „ყმიანი კაცი“ მსახურიც ყოფილა?

მომდევნო აბზაციდან („დ ა ქ ა თ ა მ ი, ა ს ი ს დ ი დ ი ს უ ლ უ ფ ი ს გ ა მ ო მ ღ ე ბ ი კაცი რომელიცა არის, კუამლად, როდესცა ულუფა აიღოს, ოროლი ქათამი მისცეს; და მსახურს არც ამას წინათ გამოართმია ქათამი და ნურცა აწცა სთხოვს“). ჩანს, რომ მსახური ამ დიდის, ანუ მთელის ულუფის გამომღებ კაცზე მაღლა დგას. წყაროში დაწყებული ფულადი, ტკბილის, აბრეშუმისა და დამთავრებული ქათმის გადასახადით ყველგან პირველ რიგში შემძლე კაცი, პირველი კატეგორიის გადამხდელი იხსენიება. ამ შემძლე კაცზე მაღლა მდგომი უკვე აღარ იხდის ულუფას, რადგან მას ეს არ ეკისრება. ასეთი კი ამ წყაროში არის მსახური. ულუფის არც ერთი სახის — ფულის, ტკბილის, აბრეშუმისა და ქათმის საგადასახადო ნორმის განსაზღვრისას მსახური არსად არ იხსენიება. ეს სავსებით ბუნებრივია.

მაგრამ, რადგან წყარო ხაზგასმით ამბობს, მსახურს ქათამს ნუ გამოართმევენო, ესეც იმის ნიშანია, რომ მოურავს ძალით, უკანონოდ უცდია ასეთი რამ. ოღონდ აქ უნდა განვმარტოთ, რომ, დებულება ეხება არა წოდებრივად მსახურს, არამედ მსახურად გლეხს, და აი, რატომ: წოდებრივად მსახურს, როგორც წესი, თვითონ ჰყავდა ყმა და ეს ყმა იხდიდა ულუფას, ხოლო საკუთრივ მსახურის მიერ ულუფის გადახდაზე ლაპარაკიც ზედმეტია. წოდებრივად გლეხი კი, რომელიც მსახურად იყო, ასევე არ იხდიდა ქათამს, უფრო სწორად ქათამს არ იხდიდა იმ გლეხის ოჯახი, რომლის ერთი წევრიც მსახურად ჰყავდა ბატონს. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მსახურად გლეხის მსახურობა არც მემკვიდრეობითი იყო და არც ერთი პიროვნებისათვის იყო სამისდღეშიო. ყოველ წუთს შეიძლებოდა ეს მსახურად გლეხი კვლავ უბრალო გლეხად ქცეულიყო. გასაგებია, ასეთ ვითარებაში ხარბი მოურავი ადვილად გამოძებნიდა საბაბს და ქათამსაც უკანონოდ აართმევდა ამ მსახურს, ანუ მსახურად გლეხის

ოჯახს. ვიმეორებთ, წოდებრივად მსახურს კი ამ ქათმის ასართმევ საბაბსაც ვერ უპოვნიდა მოურავი.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ „ჭიაურის ულუფის წიგნი“ ეხება ბარის საქართველოს, ე. ი. საქართველოს ძირითადი ნაწილის სურათს იძლევა; წყაროში დამოწმებული ტკბილის გადასახადი ამის უტყუარი დასტურია.

ამრიგად, ზემორე დასკვნები კიდევ უფრო განამტკიცა აქ განხილული XVI ს-ის წყაროს ანალიზმა.

განვიხილოთ შემდეგი წყარო: „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა“, 1782 წლის ძეგლი, შედგენილი ვახტანგ ბატონიშვილის მიერ.

განჩინების მე-12 მუხლი შემდეგს განსაზღვრავს:

ქ. მ ს ა ხ ურ ი თ ა ვ ი ს მ ა მ უ ლ ს ვერ გაჰყიდის, ამიტომ რომ ის მამული, ჩვენის სამსახურის სანუქფოთა აქვს მიცემული.

თუ ან გაჰყიდის და ან იყიდის ვინმე, გამსყიდველსაც და მსყიდველსაც დიდად ავად მოვეპყრობით: ი მ მ ა მ უ ლ ს ა ც წ ა ვ ა რ თ მ ე ვ თ დ ა თ ა ვ ი ს ს ა მ კ ვ ი დ რ ო ს მ ა მ უ ლ ზ ე დ ა ც კ ე ლ ს ა ვ ა ღ ე ბ ი ნ ე ბ თ, რადგან მ ს ა ხ ურ თ მ ა მ უ ლ ი, ვინც ჩ ვ ე ნ ნ ი მ ს ა ხ ურ ნ ი ი ქ ნ ე ბ ი ა ნ, ი მ ა თ თ ვ ი ს ა რ ი ს გ ა ნ წ ე ს ე ბ უ ლ ი, სხვათ არ მიეცემა[20].

ამგვარად ირკვევა, რომ თვით XVIII ს-ის დასასრულსაც კი, 1782 წელს, მსახურთა წოდების წევრს ჰქონია ა. სამკვიდრო მამული და ბ. სამსახურის სანუქფოდ მიცემული მამული.

უაზრობა იქნება ვიფიქროთ, რომ მსახური ამ ორსავე მამულს თავისი, საკუთარი ხელით ამუშავებდა. ამის გაფიქრებაც კი გამორიცხულია, თვითონ ამავე წყაროს განმარტებიდან: „ის მ ა მ უ ლ ი ს ა მ ს ა ხ ურ ი ს სანუქფოდ აქვს მიცემული“ — მსახურსო. სწორედ აქედან უცილობლად ჩანს, რომ მსახური იმ მამულს კი არ ამუშავებდა და ეს კი არ იყო მისი სამსახური (ასეთი სამსახური ვლეხს ეკისრებოდა), არამედ იგი სრულიად სხვა, გარკვეულ სამსახურს ეწეოდა და მის სანუქფოდ, ანუ სანაცვლოდ ეს მამული ჰქონდა ნაბოძები.

შემდეგ: ვახუშტი ბატონიშვილის აზრი მსახურთა შესახებ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცალკე გვაქვს განხილული. აქ მაინც ვიმოწმებთ ვახუშტის, ამჯერად, როგორც წყაროს: „ხოლო წესი აქუნდათ; რომეთუ კერპთა მღვდელთა პატივნი და რიგნი იყუნენ ცალ კერძათ, ვითარცა სულიერთა. ხოლო სოფლიერნი: პირველი ერისთავნი, ბ) მთავარნი, გ) აზნაურნი, დ) ვაჭარნი, ე) მსახურნი, ვ) მუშაკნი-გლეხნი“[21].

სრულიად გარკვევით წერია — გარდა გლეხისა, მუშაკი, ანუ მშრომელი, მწარმოებელი არავინ არისო.

შემდეგ: „ხოლო ვაჭართა პატივი იყო აზნაურისა ქვემორე და ვიეთთმე სწორი. და შემდგომად პ ა ტ ი ვ ი მ ს ა ხ ურ თ ა მ ე ფ ი ს ა თ ა, გ ლ ე ხ თ ა ძ ე თ ა, და მ ე რ მ ე ჩ ი ნ ე ბ უ ლ ი თ ა მ ა თ თ ა წ ე ს ი ს ა მ ი ე რ პ ა ტ ი ვ ი მ ს ა ხ ურ თ ა მ ა თ თ ა“?

რას ნიშნავს გამოთქმა: „პ ა ტ ი ვ ი მ ს ა ხ ურ თ ა მ ე ფ ი ს ა თ ა, გ ლ ე ხ თ ა ძ ე თ ა და მ ე რ მ ე ჩ ი ნ ე ბ უ ლ თ ა მ ა თ თ ა წ ე ს ი ს ა მ ი ე რ პ ა ტ ი ვ ი მ ს ა ხ ურ თ ა მ ა თ თ ა?

ვფიქრობთ, თუ ამ წერილში მოტანილი თვალსაზრისით არ გავიაზრეთ ეს წინადადება, მაშინ მისი წაკითხვა უაზრობამდე მიიყვანს მკვლევარს, რისი მაგალითიც უკვე არსებობს.

[20] ქართული სამართლის ძეგლები, II, გვ. 452.
[21] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 14.

ამიტომ ეს დებულება ნიშნავს შემდეგს: ვაჭართა შემდეგ იდგა მსახურთა წოდება და ამ მსახურთა წოდების პატივი ჰქონდათ ბოძებული გ ლ ე ხ ი ს ძ ე თ (და არა საერთოდ გლეხის ოჯახსო!), და ამის გამო ეს გლეხის ძენი, ე. ი. წოდებრივად გლეხები, პირადად მსახურთა წოდებასთან იყვნენ გათანაბრებულნი.

ამრიგად, ვახუშტის მიხედვით მსახური არ არის მუშაკი, მსახურთა წოდების ფარგლებში არსებობს მსახური გლეხის ძე, პირადად მსახურის პატივბოძებული, ხოლო ოჯახით, ე. ი. სოციალური მდგომარეობით, გლეხი-მუშაკი.

კიდევ დავიმოწმებ ორ საბუთს: პირველი XVI ს-ის დასასრულს განეკუთვნება და პირობითად მას ეწოდება „ნუსხა ნაჟანეულის საკათალიკოსო გლეხების ბეგრისა". ამ წყაროში ორმოცამდე გლეხის გვარია ნახსენები. აქვე იხსენიება მსახურთა ორი გვარიც:

34. ქ. სახლობს ოთხი კვამლი მსახურნი ძაძუა, მართებს ლაშკრობა, მწედ კარგი პურის ჭმევნა თვითომან, მეექუსეს წელიწადსა ოთხთ განაყოფთა ორი ზროხა, თივა, ღომი და ფეტვი ცხენისათვის.

35. არის კონჯარია ოთხი კვამლი მსახური, მართებს ამათ ლაშკრობა და კარგი პურის ჭმევნა.

ამ ძეგლის შემდეგ დაახლოებით მეოთხედი საუკუნის მერე შედგენილი საბუთი[22] კვლავ იხსენიებს მსახურებს — ძაძუებსა და კონჯარიებს.

256. მართებს გაბრიელს ძაძუას გოჩჭუმუ. ზროხის ნახევარი, ლაშკრობა და თივა.
257. მართებს აბრამ ძაძუას გოჭკუმუ, ზროხის ნახევარი, ლაშკრობა და თივა.
258. მართებს ირდაშელას ძაძუას გოჭკუმუ. ზროხის ნახევარი, თივა, ლაშკრობა.
259. მართებს ინგარიას ძაძუას გოჭკუმუ ზროხის ნახევარი. ლაშკრობა, თივა.
283. მართებს მამალეის კონჯარიას გოჭკუმუ. სამსახური, ლაშკრობა, თივა.
284. მართებს გიორგი კონჯარიას გოჭკუმუ და ლაშკრობა, თივა.
285. მართებს ხახუტას კონჯარიას გოჭკუმუ. ლაშკრობა, სამსახური. თივა.
286. მართებს თოსკუამია კონჯარიას გოჭკუმუ და ლაშკრობა.
287. მართებს გკანიშასა კონჯარიას გოჭკუმუ. ლაშკრობა.

წინა საბუთთან შედარებით ოთხის ნაცვლად ხუთი კომლი მსახური კონჯარიაა აქ ნახსენები და ეს ამ გვარის წინსვლაზე მიგვითითებს. გარდა ამისა, წინა საბუთში მსახურ კონჯარიათა ოთხივე კომლს მხოლოდ და მხოლოდ ლაშკრობა და პურის ჭმევა ევალებოდათ. ამ საბუთით კი კონჯარიათა ხუთი კომლიდან სამს უკვე გარდა ლაშკრობისა და პურის ჭმევისა სხვაც ევალება, კერძოდ, მამალეის კომლს — სამსახური და თივა, ხახუტასას — ასევე სამსახური და თივა, ხოლო გიორგი კონჯარიას კომლს — თივა.

ეს მონაცემები კარგად გვიჩვენებენ მსახურ კონჯარიების გაძლიერებას. ამასთან, აქედან ისიც კარგად ჩანს, რომ კონჯარიების ყველა კომლი ერთნაირი შეძლებისა არ ყოფილა, ამაზე მიგვითითებს მათი გახსხვავებული ვალდებულებანი.

ამავე წყაროში დაცულია ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობა: „ქ. ნ ა ჟ ა ნ ურ ს ე რ თ ი ა ს ი ს თ ა ვ ი ს ე უ უ ლ ი გ ლ ე ხ ი დ ო ხ ვ ა დ ი კ ო ნ ჯ ა რ ი ა ს უ ბ ო ძ ე თ. ჩ ვ ე ნ ს დ რ ო შ ი ვ ი ც ო დ ი თ ვ ე რ გ ა ი ს ხ ი დ ო დ ა და იმ გლეხის სახლის კაცი თუ ამ კონჯარიას გვარმან კაცმან გაყიდოს და კ"ხმან შეიტყოს და მოსახ-

[22] იხ. აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსაკალი მოსაკრებლების დავთარი, 1621. წ., ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 420—423.

ლობით არ წაართვას. ჩვენიმც ცოდვა აქუს. და თუ არ გაყიდოს, ჩუენდა წყალობად აქუს და ნუ მოშლით; ვინც გაუყიდველად ჩუენი წყალობა მოუშალოთ ჩემიმც ცოდვა გაქუს[23].

აქ სრულიად გარკვევით ნათქვამია, რომ პატრონი (აქ კათალიკოსი) თავის მსახურს (კონჯარიას) უბოძებს გლეხს.

საბუთში ხაზგასმულია, ჩვენ დროში გლეხის გაყიდვა აკრძალულიაო და ეს გასაგებიცაა. XVII ს-ში ტყვეთა სყიდვა ხომ ქვეყანას აჩანაგებდა. ამასთან პატრონმა იცის, რომ მისი მსახური კონჯარია ჯერ კიდევ ვერაა ეკონომიურად მომძლავრებული და მას ყმა გლეხის სამსახურით თანდათან მოღონირებას ურჩევნია ამ გლეხის გაყიდვა და ერთბაშად ფულის შოვნა. სწორედ ამიტომ საგანგებოდ უკრძალავს პატრონი მსახურს გლეხის გაყიდვას.

მაშასადამე, XVII საუკუნის საბუთითაც ერთხელ კიდევ მტკიცდება, რომ მსახურთა წოდებას არა მარტო XII—XIV საუკუნეებში, არამედ, გაცილებით გვიან, XVII საუკუნეშიც, კანონით ჰყავდა ყმები და, ცხადია, მსახურთა წოდება ისევ გაბატონებულ კლასში შედიოდა.

არსებითად ასეთი დასკვნები მივიღეთ სხვა წყაროთა ანალიზიდანაც[24].

ახლა კი შევაჯამოთ ნათქვამი:

1. მსახურთა წოდება საქართველოში მთელი ფეოდალიზმის მანძილზე არსებობდა, დასაბამიდან დასასრულამდე.

2. მსახურთა წოდება ყოველთვის შედიოდა გაბატონებულ კლასში — ფეოდალთა კლასში, და იდგა ამ კლასის უმდაბლეს საფეხურზე.

3. მსახურთა წოდების წევრებს საქართველოს ფეოდალური სამართლის ძალით ყოველთვის ჰყავდათ ყმები, ჰქონდათ მამული, როგორც სამსახურის საუნქფო, ასევე სამკვიდრო.

4. მსახურთა წოდების ძირითად მოვალეობას შეადგენდა: მამაკაცებისას — ლაშქრობა, მონადირეობა, სხვადასხვა ადმინისტრაციული სამსახური. დედაკაცებისას — სეფე-ქალობა ანუ მოახლეობა.

5. საქართველოს ძლიერების ხანაში მსახურთა წოდება ფენებად იყოფოდა. კერძოდ, XII—XIV საუკუნეებში მსახურთა წოდებაში სამი ფენა შედიოდა: I. მსახურად, ანუ მართებულ მსახურთა, ეს იყო ძირითადი ფენა, II — აზნაურად მსახურთა, არა საჩინო ხელით და III — აზნაურად მსახურთა, საჩინო ხელით, ეს იყო უმაღლესი ფენა.

6. XVIII საუკუნიდან სამართალი აღარ სცნობს აზნაურად მსახურთა ფენებს. ამიერიდან მსახურთა წოდება ძირითადად მხოლოდ მართებული, ანუ მსახურად მსახურთა ერთადერთი ფენისაგან შედგება. ეს მსახურად, ანუ მართებული მსახურნიც პრინციპულად აზნაურების მსგავსი უფლება-მოვალეობისანი იყვნენ.

---

[23] ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 423.

[24] გარდა აქ მოტანილისა, განხილული გვაქვს „დასტურლამალის", თეიმურაზ II 1749 წლის „მცხეთის სასარდლოს განაწესების წიგნის", ერეკლე II „ქაზიყში სამეფო და სამოურავო სარგოს შესახებ ვანჩინების", — 1744—1762 წწ., 1774 წლის „მორიგის ლაშქრობის განაჩენის" 1669 წლის „წილკნის ღვთისმშობლის სამწყოს სიგელის", 1670 წლის გრიგოლ ალაევერდელის „წყალობის წიგნის (ქოზმანაშვილისადმი)". „ქუთაისიოზ მალაქიას მოლაშქრე კაცთა ნუსხის, 1616—1621 წ. და სხვა წყაროთა მონაცემები, რომელთა აქ მოტანა მასალის სიდიდის გამო არ ხერხდება.

7. ქართული მსახურთა წოდება და დასავლეთ ევროპის შევალიე-რიტერ-ნაითჰუდთა წოდებანი ბევრ რამეში ჰგვანან ერთმანეთს.

8. მთელი ფეოდალიზმის განმავლობაში მსახურთა წოდების გვერდით — პარალელურად არსებობდნენ წოდებრივად არა მსახურნი — მსახურად გლეხნი (როგორც მამაკაცები, ასევე დედაკაცები). პირადად ეს წოდებრივად არა მსახურნი — მსახურად გლეხნი, წოდებრივად მსახურთა თითქმის ყველა პრივილეგიით სარგებლობდნენ. ზოგჯერ მათ ყმებიც ჰყავდათ. ხოლო, ვიდრე თვითონ მსახურად ითვლებოდნენ, მიწისმოქმედნი აღარ იყვნენ. მაგრამ სოციალურად ეს მსახურად გლეხნი მაინც გლეხები იყვნენ, რადგან მათი ოჯახის ყველა დანარჩენი წევრი გლეხი იყო. გარდა ამისა, მსახურობა ამ მსახურად გლეხისა არ იყო არც მემკვიდრეობითი და არც პირადად ერთი პიროვნებისათვის მყარი. მსახურად გლეხი ყოველ წუთს შეიძლებოდა რიგით გლეხად ქცეულიყო. მსახურად გლეხთა ოჯახებს ჰქონდათ გარკვეული შეღავათები, მაგრამ არა ყოველთვის.

9. მსახურთა ინსტიტუტმა უდიდესი როლი ითამაშა საქართველოს ისტორიაში. სწორედ მსახურნი (წოდებრივად და არაწოდებრივად) იყვნენ საქართველოს სამხედრო პოტენციალის მთავარი ძალა. აურაცხელი საშინელი სისხლისმღვრელი ომები ძირითადად მსახურთა გადატანილია. სხვადასხვა ჯურის გადამთიელებთან დაუსრულებელ ომებში ქართველი ერის ფიზიკურად გადარჩენა, პირველ რიგში ერის იმ შვილთა გმირობის შედეგია, რომელთაც მსახურნი ეწოდებოდათ.

მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება მათი დამსახურება, სრულიად განსაკუთრებულია მსახურთა როლი საქართველოს კულტურის ისტორიაში.

ცხადია, ეს საკითხი ცალკე კვლევის საგანია, მაგრამ, ვფიქრობთ, ორიოდე სიტყვა ამის შესახებ აქაც შეიძლება ითქვას.

მართალია, კლასობრივ საზოგადოებაში კულტურას კლასობრივი შინაარსი აქვს და ფეოდალურ საქართველოშიც ასე იყო, მაგრამ ჩვენში კლასთა შორის კულტურული უფსკრული არ არსებობდა. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ქართველი გლეხი არასოდეს არ ყოფილა ისეთი ბნელი, შეზღუდული, უკულტურო პიროვნება, როგორიც იყვნენ ზოგი ქვეყნის მწარმოებელნი. ამის მიზეზი ის იყო, რომ დიდი ქართული კულტურა ფაქტიურად არასოდეს არ ყოფილა დაყოფილი ცალკე ელიტისა და ცალკე მდაბიოთათვის (ნათქვამი სრულიად არ გამორიცხავს იმას, რომ თვით კულტურა კლასობრივი შინაარსის შემცველი იყო).

ფეოდალური ხანის საქართველოს კულტურის ასეთი თავისებურება არა ერთი მიზეზით იყო განპირობებული. უმთავრესი ამ მიზეზთა შორის უეჭველად მსახურთა ინსტიტუტის არსებობა გახლდათ. ეს დასკვნა გამომდინარეობს მსახურთა კლასობრივი ვინაობის აქ წარმოდგენილი გაგებიდან.

სწორედ ქართული კულტურის ასეთმა თავისებურებამ განაპირობა ის, რომ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შედეგად, როცა მშრომელ კლასებს კულტურული ზრდის არნახული პირობები შეექმნათ, ქართველი ერი უმოკლეს ხანაში გადაიქცა მსოფლიოს ერთ-ერთ მოწინავე, მაღალკულტურულ ერად.

ილია ჭყონია

სახლიშვილობის სოციალური გუნებისათვის

სახლიშვილი ისევე, როგორც სახლიკაცი რთული სიტყვაა, რომელიც ნათესაობის ნომენკლატურას განეკუთვნება. სახლიშვილობა წარმოშობით ნათესაობის სისტემის ერთი უძველესი კატეგორიათაგანია. გარკვეული დროიდან სახლიშვილი და სახლიშვილობა „მე"-ს სოციალურ მდგომარეობას გამოხატავდა. წინამდებარე წერილში ბოლო მომენტზეა გამახვილებული ყურადღება.

ვრცელ მონოგრაფიულ გამოკვლევაში — „ქართველ ტომთა უძველესი სარწმუნოება და საწესო გრაფიკული ხელოვნება"[1] — ვ. ბარდაველიძემ დასვა და გაარკვია სახლიშვილისა და სახლიშვილობის, როგორც სოციალური ინსტიტუტის წარმოშობა-განვითარების დრო და ვითარება. ამ საკითხთან ერთობლიობაში დადგენილია და ახსნილი ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის ერთი ადრეული საფეხურთაგანი, რომელიც როგორც რელიგიური სისტემის ნაწილი და წყარო, აღებულ კონკრეტულ შემთხვევაში, თავისებურად ასახავდა ადრეკლასობრივი საზოგადოების დროინდელი ურთიერთობის რეალურ ვითარებას.

ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე ვ. ბარდაველიძემ გამოავლინა ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის შემადგენლობა. პანთეონს ორი რანგის ღვთაება ჰყავდა: I. დიდ-დიდნი — „ოქროს ტახტზე" დაბრძანებული ღმერთის ხელმწიფობით და II. ადგილობრივი, რომლებიც, აგრეთვე, ორად იყვნენ გაყოფილნი: 1. ჯვარი და ხატი; 2. ღვთიშვილნი[2]. ღმერთსა და ღვთიშვილებს შორის მამაშვილური კავშირი სუფევდა. იქვეა განმარტებული, რომ ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის წარმოსახვის თავდაპირველი საფეხური, როცა ღვთიშვილი სისხლით ნათესაობის კავშირს გამოხატავდა, შეესაბამებოდა პირველყოფილ-თემურ საზოგადოებას და ყალიბდებოდა ამ ნიადაგზე გაჩენილი რწმენა-წარმოდგენების ზემოქმედებით.

მომდევნო საფეხურის პანთეონში ღვთიშვილი უკვე სოციალური მდგომარეობის აღმნიშვნელი ხდება. „ღმერთი"-„მამა" ამიერიდან დესპოტური ხელისუფლების პატრონია. ღმერთის, resp. მამის მიერ დაწესებული „ღვთის კარის გარიგების" ძალით ღვთისშვილებს უზენაეს ხელისუფალთა „კარზე" უნდა აეტანათ მეთემე-საყმოებისაგან აკრეფილი გადასახადი ნატურით. საყმო სამსახურვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის პასუხს აგებდა როგორც საყმო, ასევე მისი „წარმომადგენელი" „ღვთისკარზე". ღვთისშვილის ურჩობისათვის ღმერთი ანადგურებდა ერთსაც და მეორესაც. პირველი კლასობრივი სა-

---

[1] Б. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957.

[2] ღვთიშვილი-ღვთის, resp. ღმერთის+შვილი.

ზოგადოების სახლიშვილობის კვალობაზე უნდა იქნას გააზრებული მოცემული პანთეონის ღვთიშვილობა. ამ დონეზე ღვთიშვილში პერსონიფიცირებულია სახლიშვილი, რომელიც თავის მხრივ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენაში არის გაღვთიშვილებული. ეს მომენტი ვ. ბარდაველიძის მიერ შემდეგნაირად არის კვალიფიცირებული: „Понимание **гвтишвили**, как слова со значением, подобным социальному термину сахлишвили, поддерживается в сфере релипиозных верований взаимоотношениями Гмерти и местных божеств: с одной стороны, деспотическим характером, проявляемым Гмерти в отношении своих „сынов", а с другой, полной зависимостью **гвтишвили** от Гмерти и их рабским подчинением и служением ему"[3].

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შემორჩენილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ვ. ბარდაველიძემ აღადგინა სახლიშვილობის თავდაპირველი სოციალური შინაარსი. ნაშრომში გადმოცემულია კონკრეტული ეთნოგრაფიული მონაცემები: სახლიშვილები ჰყავდათ შეძლებულ კომლებს; სახლიშვილები ღარიბნი, ან თითქმის სულ უქონელნი იყვნენ. ზოგან რამდენიმე კომლს ერთი სახლიშვილი ჰყავდა, რომელიც „ზიარსახლიშვილად" იწოდებოდა (ხევსურეთი). სახლიშვილი ასრულებდა სხვადასხვა სამუშაოს შეძლებული კომლის მეურნეობრივი საჭიროების მიხედვით და ცხოვრობდა „შვილად" ამყვანის ოჯახში სოფლად, ან, როგორც წესი, საძოვრებზე, „ბინებში", რადგან უმრავლეს შემთხვევაში სახლიშვილი მწყემსი იყო. ზიარსახლიშვილი კი, როგორც წესი, სოფელში იყო და შინა სამუშაოს ასრულებდა: ზამთარში ეზიდებოდა წყალს, უვლიდა საქონელს, ზაფხულზე მთებში მიერეკებოდა და მწყემსავდა; ამზადებდა შეშას, მუშაობდა მინდორში და სხვ.[4]. შრომის ანაზღაურება ხდებოდა ნატურით, რომლის რაგვარობა მეურნეობის მაპროფილებელ დარგზე იყო დამოკიდებული. სახლიშვილობის ყავლის გასვლის დღიდან „მშვილებელ" სახლსა და „შვილობილს" შორის კავშირ-ურთიერთობა ყოველ მხრივ ძალადაკარგულად ითვლებოდა.

წარმოშობით სოციალური სახლიშვილი — ღვთიშვილი ძველაღმოსავლურ შვილობილს შეესატყვისება; ამ დონეზე სახლიშვილი და შვილობილი პარალელური ცნებებია. ზემოთქმულის დასტურად ვ. ბარდაველიძე შიუთითებს ი. დიაკონოვის ნაშრომის — „Развитие земельных отношений в Ассирии" სათანადო გვერდებს სადაც წერია, რომ ყიდვა-გაყიდვის შესახებ გარიგება სრულდებოდა შვილობილობის საფარველით. შემონახულია დოკუმენტები შვილობისა, სადაც ჩვეულებრივია პირობა, რომლის მიხედვით შვილობილი ვალდებულია ემსახუროს მშვილებელს, იმუშაოს მინდორში და შინ. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ შვილობილი მუდმივად გადადიოდა მშვილებელთან, აღნიშნულ ფაქტიურ მდგომარეობას ი. დიაკონოვი შემდეგნაირად განმარტავს: „Ясно, что этого рода сделки были для разоряющегося крестьянства средством спастись от долгового рабства; ... правда, по такому договору крестьянин попадал под патриархальную власть „усыновителя", но все же оставался формально свободным человеком, а не рабом"[5].

[3] ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 4.

[4] იქვე.

[5] И. М. Дьяконов, Развитие земельных отношений в Ассирии, Л., 1949, გვ. 59, 66—67.

ამრიგად, შეიქმნა შესაძლებლობა მტკიცებისა, რომ ა. წარმოშობით ნათესაობის ნომენკლატურის ტერმინს — სახლიშვილს და სახლიშვილობის ინსტიტუტს სოციალური შინაარსი უნდა გასჩენოდა პირველ კლასობრივ საზოგადოებაში; ბ. ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვით ინიღბებოდა ადრეკლასობრივ საზოგადოებაში მოქმედი ექსპლუატაცია მონა-ყმა სახლიშვილისა და ასე გრძელდებოდა მომდევნო კლასობრივ საზოგადოებებში მათი შესატყვისი ექსპლუატაციის ფორმა-შინაარსით. კაპიტალისტურმა ურთიერთობამ, როგორც ცნობილია, „დაანგრია ყველა ფეოდალური, პატრიარქალური, იდილიური ურთიერთობანი"... და „რელიგიური და პოლიტიკური ილუზიებით მიჩქმალული ექსპლუატაციის ადგილას დაამყარა აშკარა, უსირცხვილო, პირდაპირი, ტლანქი ექსპლუატაცია"[6]. ცხადია, რომ ასეთ პირობებში „სახლიშვილობა" ექსპლუატაციის მიჩქმალვის ფუნქციას ვეღარ შეინარჩუნებდა.

XIX ს-ის საქართველოში ეთნოგრაფიული და ფოლკლორულ-ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, სახლიშვილი არის მოჯამაგირე. ასეა განმარტებული სახლიშვილი „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში": „სახლიშვილი კუთხ. (ხევს. ფშ. მთიულ.) იგივეა, რაც მოჯამაგირე". ასევე სინონიმებია მწყემსი და მოჯამაგირე:

„მე ჩემ ცხვარზედ მოვკვდები,
ვაი, მწყემსებო, თქვენი ბრალივ!"

ანდა:

„სამი ათასი ცხვარი მყავ, იმოდენივე ბატკანი,
ცამეტ-თოთხმეტი მწყემსი მყავ, იაურიძე-სარქალი"[7].

მოვალეობითა და „შვილობით" სახლიშვილს სხვი[ს]შვილიც ეწოდებოდა; „ნასხვისშვილარი" — ნამოჯამაგირალია: „შვიდის წლის ნასხვისშვილარი, ერთ დილას დამათვლეინეს"[8]; ვაჟა-ფშაველას „მცირე ლექსიკონში" სხვიშვილი — მოჯამაგირეა. საილუსტრაციოდ მოტანილია ადგილი „ბახტრიონიდან": „ოცს წელს სრულ სხვიშვილადა ვარ, სამშობლო გამიწირია"[9]. იმავე პოემაში ნათქვამია: „ოცი წელია მწყემსად ვარ, — თუშეთს, უცხოსა მხარესა"... იქვეა თქმული მწყემსის ძნელბედობაზე:

„ოც წელს მიწა მაქვს ლოგინად, ცა მახურია საბნადა,
ავდარში შავი ნისლები ტანზე მეხვევა „საბნადა"[10].

ამავე მოჯამაგირის — მნიშვნელობისა არის თუშური **„ცხვი[ს]შვილი"**. ხალხურ ლექსში — „ღთისოს გიყოჯ" ნათქვამია:

„მწყემსობამ დამასნეულა, მუდმივ ცხვის შვილობამავ,
სადუცეს ჩაკოანთ ცხვარმა, პირის ვერ ბრუნებამაო,
ძლევამან ანგარიშისამ ჯამაგირ მეტებამაო,
ჭკვიანმა ხაზეინებმა, გულ-ენის ჩვენებამაო[11].

ანალოგიური შინაარსისაა სხვის-შვილი ქართული სამართლის ძეგლებში. „სხვის კარად მყოფი გლეხი" სხვის-შვილად არის მოხსენიებული აღბუღას სამართლის 70-ე მუხლში. „თუ გლეხსა სხვის-შვილი წაუვიდეს, რაცა შეუტანია, იგი, და რაცა მოუგია, იგიცა, ორივე გაყვეს,..." ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის 229-ე მუხლში, რომელიც „ქირავნობისათვის" არის განკუთვნილი ეკი-

[6] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1952, გვ. 42.
[7] თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბ., 1960, ლექსი № 196.
[8] რავ.წყრინა ფილ. მეცნ. კანდიდატმა ალ. ჭინჭარაულმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.
[9] ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი (შეადგინა ალ. ჭინჭარაულმა).
[10] ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ., 1960, გვ. 417.
[11] თ. უთურგაიძე, დასახ. ნაშრომი, ლექსი № 98.

თხულობთ: „... ან თავის სხვის-შვილი და მოჯამაგირე არის, ამის მეოთხედი სისხლი მიეცემის, ამისათვის რომ სასიკუდილოს ადგილს გაგზავნოს“, „გამგზავნელი“-დამქირავებელი ასე უნდა მოიქცეს იმ შემთხვევაში, თუ „სახლის-შვილი და მოჯამაგირე“ იქ „მოკუდება“[12].

ზემოაღნიშნული და სხვა მისთანანი ფაქტიური მდგომარეობის კვალიფიკაციისათვის ნიშანდობლივია ჰეხტის, ამ „მეტად კეთილგანზრახული მიმართულების ფრიად ტიპიური „Kleinbürger“-ის ცდა, რათა მიაფუჩეჩოს ფაქტები და „დაამტკიცოს, რომ არავითარი „სოციალური უფსკრული“ არ არსებობს არც მდიდრებსა და ღარიბებს შორის, არც გლეხსა და მოჯამაგირეს შორის“..., „ბატონებსა და შინამოსამსახურეთა შორის (Gesinde — შინამოსამსახურეცაა და მოჯამაგირეც), — გვაუწყებს ჰეხტი, — ჯერ კიდევ ნამდვილი პატრიარქალური ურთიერთობა არსებობს ამ სამ სოფელში. „ბატონი“, ე. ი. გლეხი, რომელსაც 3—4 ჰექტარი მიწა აქვს, „შენობით“ ელაპარაკება მოჯამაგირეს, პირდაპირ სახელს ეძახის მას, ისიც თავის მხრივ „ძიას“ ეძახის (Vetter), ხოლო გლეხ ქალს — „ძალუას“ (Base) და „თქვენობით“ მიმართავს... მოჯამაგირეები მთელ ოჯახთან ერთად უსხედან სუფრას და თითქოს მის წევრებად ითვლებიან“[13].

მოჯამაგირე, როგორც წესი, ჰყავდა „მაცხოვრებელ“!— „მეცხვარე“ დიდ ოჯახს. ჩაკოიანთ დიდი ოჯახი, რომლის მოჯამაგირე — „ცხვის შვილი“ იყო „ღვთისოს გიო“, ჩვენს ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი, XX ს-ის დასაწყისამდე კარგად შემონახული საოჯახო თემი, რომელიც სხვა თუშურ საოჯახო თემებთან შედარებით შედგებოდა მრავალრიცხოვანი წევრებისაგან[14]. იმავე ნაშრომში არაერთგზის არის მოტანილი მონაცემები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თუშურ საოჯახო თემთა ცხვრის მეურნეობებში ოჯახის წევრთა თანაბრად მონაწილეობდნენ, აგრეთვე, დაქირავებული მწყემსები, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში გამოსული იყვნენ პატარა ოჯახებიდან. ამის წინ ავტორი წერს: ფარების პატრონებს, რომლებსაც ჰყავდათ რვიდან ათამდე დაქირავებული მწყემსი, უწოდებდნენ „ხაზეინებს“. აქვე ისიცაა თქმული, რომ მფლობელობის აღნიშნულ ფორმას, რომელიც შექმნილია თუშეთში მეცხვარეობის დიდი მასშტაბით განვითარების შემდეგ და დამახასიათებელია სასაქონლო წარმოებისათვის, არ გააჩნდა თავისი საკუთარი სახელი და გამოითქმოდა XIX ს-ის საქართველოში არა ქართული ტერმინით — „ხოზაინ“[15]. ამას მოჰყვება დასკვნა: „Итак, по имеющимся у нас сведениям, тушинская семейная община в XIX столетии представляла сравнительно состоятельную хозяйственнородственную организацию, основанную на овцеводческом хозяйстве. Малочисленные семьи представляли собой в рассматриваемое время экономически слабые единицы“[16].

ამავე ნაშრომის მიხედვით ირკვევა, რომ თუშური საოჯახო თემის ცხვრის მეურნეობაში დაქირავებული მწყემსები ორ კატეგორიად იყოფოდნენ; გარდა ამისა, მოჯამაგირეებად მოზარდებიც გვხვდებოდნენ[17]. ამას მოჰყვება კონკრე-

---

[12] ქართული სამართლის ძეგლები I. ტექსტები გამოსცა. გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ.

[13] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 200—201.

[14] Р. Харадзе, Грузинская семейная община, I, Тб., 1960, გვ. 109.

[15] რ. ხარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 125.

[16] იქვე, გვ. 124.

[17] იქვე, გვ. 123.

ტული მასალა იმის თაობაზე, თუ რომელ მათგანს რას და რამდენს აძლევდა „ხაზეინი“.

თუშეთში არსებული დიდი ოჯახების ცხოვრების შესახებ ველზე მოპოვებული საკუთარი მასალაც მოგვეპოვება, მაგრამ რაც ზემოთ ითქვა მოჯამაგირეობის თაობაზე, ყოველ შემთხვევაში ამჯერად, დამატებას არ საჭიროებს. მეტ-ნაკლებად იგივე მდგომარეობაა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში საერთოდ. სამაგალითოდ შევჩერდებით ხევში მცხოვრებ დიდ ოჯახებზე. ამ შემთხვევაში ჩვენი მონაცემები უფრო კონკრეტული და სრულია. სახელგანთქმულ „დიდ ჩეკიენთ“ დიდ ოჯახს, რომელიც 8—9 ათასი სული ცხვრის პატრონი იყო, სხვადასხვა დროს ჰყავდა 22 დაქირავებული მწყემსი-მოჯამაგირე. „მწყემსები იყვნენ მთიულები ჭართლიდან, ნაწილი მლეთედან, ნაწილი ჩვენი მოხევეები. ჭართლიდან იყვნენ: გიგაურები — ეოგია, პეტრე, მათია. ალექსი აფციაური დოლის ქედიდან იყო; სანდრუა და მიხა ალექსის ძმები, ესენიც ჩვენი მწყემსები იყვნენ. მლეთიდან იყვნენ ნაზღაიძეები შიო და ვანუა; გარბნიდან ილიკო, ალექსი და ნიკო ქუქიშვილები. გუჯარიძეები, ერთსაც და მეორესაც ალექსას ეძახდნენ. გაიბოტენიდან ვანო და მიხელა“...[18] „ბეკურენის“ 44 სულიან ოჯახს ჰყავდა 6000 სული ცხვარი. ამ ოჯახის ერთ-ერთი მონაწილის, 85 წლის მაქსიმე გიორგის ძე ყამარაულის ცნობით „ჩეკიენთ და ჩვენ გვყავდა ცხორი. 4—5 მწყემსი სულ გვეჭირა. ერთი იყო გოგნაურელი ისაკაი; ერთსა სვიმონს ეძახდნენ, ისიც გოგნაურელი იყო. მწყემსები ბევრი გვეჭირა, ვინღა მაიგონებს“. ზოგიერთ შემთხვევაში მოჯამაგირეს სახლში ტოვებდნენ, თავად კი ცხვარში მიდიოდნენ. ყაზბეგის რაიონში 1971 წელს მივლინების ანგარიშში ისიც გვიწერია, რომ „ამ წყების მონაცემების იმდენად გამრავლება შეგვიძლია, რამდენი დიდი ოჯახების შესახებაც გვაქვს მასალები ჩაწერილი, მაგრამ ახლა მოკლედ გვინდა იმის თქმა, რომ ხევშიც არ ყოფილა არცერთი ცხვრის პატრონი დიდი ოჯახი, რომელსაც დაქირავებული მწყემსი — მოჯამაგირე არ ჰყოლოდა“[19].

ვ. ითონიშვილის ნაშრომის — „მოხევეთა საოჯახო ყოფა“ — ერთ-ერთ დასკვნით ნაწილში ლაპარაკია იმაზე, რომ „მეცხვარეობის განვითარების საფუძველზე XIX ს-ის მეორე ნახევარში ზოგიერთი ოჯახი ეკონომიური ბრძოლის ფრონტზე გამარჯვებული გამოდიოდა და მეურნეობის ყველა სფეროში უპირატესობას აღწევდა. ამგვარი ოჯახების სახით ხევში ჩამოყალიბდა ეკონომიურად აღზევებული ფენა, რომელიც მოსახლეობის ერთ ნაწილს ექსპლუატაციას უწევდა და სოციალურად ემიჯნებოდა. ოჯახში მყოფი მუშახელი ვეღარ უძღვებოდა ყოველმხრივ გაფართოებულ მეურნეობას, ამიტომაც იყენებდნენ დაქირავებულ შრომას. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ზოგიერთ ოჯახს ათეული მწყემსი და მწველავი ემსახურებოდა. სოციალ ეკონომიური დიფერენციაცია, პირველ ყოვლისა, დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის იგრძნობოდა“[20] ამონაწერის დედააზრი, ისტორიულ-ეკონომიურ ლიტერატურას თავი რომ დავანებოთ, იმავე წყების ეთნოგრაფიული მონაცემების განმაზოგადებელ ნაწილში უფრო ადრე მოკლედ და მკაფიოდ აქვს გამოთქმული რ. ხარაძეს: „Рост экономического благосостояния семейной об-

[18] ი. ჭ ყ ო ნ ი ა, ყაზბეგის რაიონში მივლინების ანგარიში, 1971, გვ. 18. საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების არქივი, № 29.

[19] ი. ჭ ყ ო ნ ი ა, დასახ. ანგარიში, გვ. 18.

[20] ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, მოხევეების საოჯახო ყოფა, თბ., 1970, გვ. 71.

щины полностью подчинялся хозяйственной деятельности, которая предполагала в интересах капиталистического производства необходимость привлечения наемной рабочей силы. Тем самым она теряла последние устои своего существования, о вместе с тем и местные особенности, возникшие и развивающиеся в совершенно других общественно-экономических условиях"[21]. პირველ შემთხვევაში ლაპარაკია საერთოდ „ოჯახზე" და არა დიდ ოჯახზე, როგორც ეს ნამდვილად იყო; ამით იჩქმალება „დიდი ოჯახი", როგორც კულაკი.

ნაშრომში, — „მოხევეების საოჯახო ყოფა" — იმის შესახებაც არის ლაპარაკი, რომ „რამდენიმე წლის სამწყესოს (ჯამაგირში კუთვნილი ცხვრის) აღების შემდეგ მწყემსი თითონ ხდებოდა ცხვრის პატრონი და მოჯამაგირეობასაც თავს ანებებდა. ამ გზით ხევში დღითიდღე მატულობდა ცხვრის მყოლი ოჯახების რიცხვი, ხოლო ზოგიერთი პირი სარქლობასაც კი აღწევდა"[22]. ჩვენ მიერ შეკრებილ მასალებშიც არის ჩაწერილი ერთი-ორი შემთხვევა, როცა მწყემსად წასულებს ცხვარი გაუჩენიათ და „ცხვრის პატრონნი" გამხდარან. ჩვენი კარკუჩელი მთხრობელის 85 წლის მაქსიმე გიორგის ძე ყამარაულის ცნობით, მისი ბიძები — ლევანაი და ციცილაი, მწყემსად წასულან: „ჩემი ბიძა ლევანი საქართველოში იყო რამდენიმე წელი. ლევანმა მორეკა 500 ცხორი და 3 ცხენი. დიდი ხანი იყო მწყემსად. რო დაბრუნებულა (ლევანი) ძმას ძმა ვერ უცვნია. ხევსურეთში სოფლის ცხვარს მწყესავდა ციცილაი და გიგაი; იმათაც ჩამოერეკათ ცხვარი. ხევსურულმა ცხვარმა უფრო ინაშენა". იმავე დროს შინ „დამრჩალა უფროსი ძმა გუგუა და კიდევ სხვა". როგორც ჩანს, ძმებს გაუმრავლებიათ ცხვარი 6000 სულამდე და ახლა თავად დაუქირავებიათ მოჯამაგირეები. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ცხოვრების ასე მოწყობას ხელი შეუწყო ერთი მხრივ, იმან, რომ ეს ოჯახი, მისი წევრების მოჯამაგირედ წასვლის დროს, საშუალო გლეხის კატეგორიას განეკუთვნებოდა, ხოლო მეორე მხრივ, — მრავალ მუშახელიანობამ („დავწვრილშვილდი დავიწივე, დამეზარდნენ — ავიწივე"! ხალხური). უმრავლეს შემთხვევაში მოჯამაგირე ვერა და ვერ ხდებოდა ცხვრის პატრონი. ყაზბეგელი როსტომ მიხეილის ძე გიგაურისა (81 წ.) და გრიგოლ გიორგის ძე ქაზალიკაშვილისაგან (77 წ.), ერთდროულად მუშაობის დროს ჩაწერილი მასალების მონაცემების მიხედვით, გიგაურის გვარის „დიდ ჩეციენთის" მწყემსები „გაიბოტენიდან იყვნენ კიდენ: — ვანას ეძახოდეს, მიხელას, მესამეს — ილიკო, კიდენ ბაძოს. ამათგან ბევრი ვერავინ გააშენა. ცოტა ცხვარი კი ყველას ჰყვანდა", „ცოტა ცხვრის" ყოლა არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ვამტკიცოთ „... მწყემსი თითონ ხდებოდა ცხვრის პატრონი", რომ „ამ გზით ხევში დღითი დღე მატულობდა ცხვრის მყოლი ოჯახების რიცხვი", ... რაც სოფელში იმ დროისათვის არსებულ „სოციალურ უფსკრულს" ვერ ამოავსებდა. ნამდვილად კი მოვლენები საწინააღმდეგო მიმართულებით ვითარდებოდა. ერთ-ერთ ისტორიულ-ეკონომიურ გამოკვლევაში ვკითხულობთ: „განსაკუთრებით ფართო მასშტაბით მისდევდნენ მეცხვარეობას თიანეთისა და დუშეთის მაზრების ქართველი მთიელები, მაგრამ იმის გამო, რომ თანდათან იზრდებოდა მეცხვარეობასთან დაკავშირებული ხარჯები (საზაფხულოდან საზამთრო საძოვრებზე და პირუკუ ცხვრის გადარეკვა, საძოვრების სადესეტინო გამოსაღებებისა და საი-

[21] რ. ხ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 71.

[22] ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

ჯარო ქირის ზრდა), წვრილი მეურნენი თანდათან იდევნებოდნენ ამ დარგიდან და ცხვარი შედარებით მცირერიცხოვან მდიდარი კომლების ხელში გროვდებოდა"[23]. აღნიშნული ფაქტი განვითარების საერთო კანონზომიერების კონკრეტული მომენტია. აქვე უნდა ითქვას, რომ სწორედ დიდი ოჯახები იყვნენ „შედარებით მცირერიცხოვანი მდიდარი კომლები"; როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც საჭირო იყო კონკრეტული ანალიზი და ზემოაღნიშნული მდგომარეობის „საზოგადოებრივი წარმოების მთელ წყობაში" განხილვა-განზოგადება, რომ გამოირიცხულიყო „საყოფაცხოვრებო განსხვავებათა არევა კლასთა სხვადასხვა მდგომარეობასთან". დიდი ოჯახის სოციალური ბუნების განმსაზღვრელი მონაცემების გაზრდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგრაფიიდან, რასაკვირველია, შეიძლებოდა, მაგრამ ამის საჭიროება არ ჩანს, რადგან მათ შორის არსებითი მნიშვნელობის განსხვავებას, აღძრულ საკითხს სხვაგვარად რომ განმარტავდა, ვერ ვპოულობთ.

როგორც ეხედავთ ამ შემთხვევაში დიდი ოჯახის ცხოვრების ერთ-ერთ ძირითად კომპონენტზე, — სახლიშვილების — სხვათაშვილების მოჯამაგირეების დაქირავება-ექსპლუატაციაზე არის ყურადღება გამახვილებული. ამავე თვალსაზრისით მოკლედ შეეხებით ქიზიყის ეთნოგრაფიულ მონაცემებს. აქაც ს ხ ვ ა თ ა შ ვ ი ლ ო ბ ა მოჯამაგირეობის სინონიმი იყო: „სხვათაშვილობაში გავატარე დღე და წუთისოფელი, სხვათაშვილობით დაგზარდეყე"[24]. რ. ხარაძე განიხილავს ქიზიყში მცხოვრებ „საოჯახო თემებს". ერთი იმათგანია დ ი დ შ ა ნ შ ა ა ნ თ საოჯახო თემი, (ქვემომაჩხაანი), რომელიც შედგებოდა ოთხი გაუყრელი ცოლშვილიანი ძმისაგან, საოჯახო თემს მეთაურობდა ილია, რომელიც ამავე დროს იყო ქევხა — ოფიციალურად დანიშნული თანამდებობის პირი სოფელში; სტეფანე მიწათმოქმედებას ეწეოდა (შინაკაცი); ფრიდონი — მეძროხე, ბესო — მღვდელი, სიკო — მეცხვარე, ნიკო — ფოსტის მოხელე, ცაკო — მეცხვარე, ზალიკო — მიწის მუშა (შინაკაცი) იყო. დ ი დ შ ა ნ შ ა ა ნ თ ჰყავდა არანაკლებ 4—5 დაქირავებული მწყემსი, რომლებიც მუდმივად ცხვარში იყვნენ. ამ ოჯახს 2000-მდე ცხვარი ჰყავდა[25].

გამოკვლევაში — Экономический быт государственных крестьян Сигнагского уезда, Тифлисской губернии — ა. არღუთინსკის აღწერილი აქვს გიგია კოჭლამაზაშვილის „მდიდარი ოჯახის" ცხოვრება. ერთ კომლად ცხოვრობდნენ ცოლშვილიანი ძმები და ძმათაშვილები, სულ 28 სული. ამათგან მამრობითი სქესისა — 15, მათ შორის 11 მუშახელი; დედრობითი სქესისა 13, მათ შორის — 7 მუშახელი. ამ კომლს ჰყავდა 3 მოჯამაგირე[26]. ეთნოგრაფიაში ერთხმად აღიარებული სადღეისო ნომენკლატურის მზა ნორმებს თუ გავყვებით, გიგია კოჭლამაზაშვილის კომლი საოჯახო თემად თუ მის „გადმონაშთურ ფორმად" უნდა მივიჩნიოთ. ნამდვილად კი ეს დიდი ოჯახი ტიპიური კულაკური კომლია. ა. ბენდიანიშვილს გადმოცემული აქვს იმავე „სიღნაღის მაზრის სოფ. ბოდბე — ზურაბიანის მცხოვრებ მდიდარი გლეხის გოგია კოჭლამაზაშვილის ოჯახის" უძ-

---

[23] ალ. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ძველი სოფელი 1864—1917 წწ. (ისტორიულ-ეკონომიური გამოკვლევა), 1967, ისტ. მეცნ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი, გვ. 383—384 (ხელნაწერი ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, დ—323).

[24] სტ. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი, ქიზიყური ლექსიკონი.

[25] რ. ხ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 102—103.

[26] М Э Б Г К З К, т. IV, ч. II, 1886, გვ. 331—338.

რაე-მოძრავი ქონებისა და შემოსავალ-გასავლის არღუთინსკისეული გაანგარიშება და, თავის მხრივ, იძლევა ამ გზით მიღებული მონაცემების კვალიფიკაციასა და დასკვნას: გოგია კოჭლამაზაშვილის ოჯახის „შეიძლება ბევრ მემამულესა და ვაჭარ-მრეწველს შეშურდებოდა. ასეთი ძლიერი კულაკური კომლები კი იშვიათი გამონაკლისი როდი იყო კახეთის სინამდვილეში. პირიქით, გოგიას ოჯახი ტიპიურ კულაკურ ერთეულს წარმოადგენდა“[27]. ასევე, „სიღნაღის მაზრის მასალების მიხედვით“ გ. ბოსტოღანაშვილს აღწერილი და გამოკვლეული აქვს „მეცხოველეობის კულაკურ მეურნეობაზე“ დამყარებული დიდი ოჯახების ცხოვრება[28].

ზემოხსენებული ფაქტების ანალიზისა და დასკვნების დასტურად სხვა მკვლევართა ნაშრომების მოშველიებაც შეიძლებოდა, მაგრამ მოხსენებული იმდენად ნიშანდობლივია დიდი ოჯახის ბუნების განსაზღვრისათვის, რომ ამ მხრივ მიმატება არსებითს მაინც და მაინც ვერ შეცვლიდა. როგორც ცნობილია, გლეხთა სოციალური კატეგორიების განსაზღვრისათვის ჩვენ უნდა ავიღოთ კომლთა დაჯგუფება არა ოჯახის სიდიდის, არა მუშახელის რიცხვის მიხედვით, არამედ აუცილებლად სამეურნეო შეძლების მიხედვით ნათესი, მუშაპირუტყვის, ძროხების, ცხვრის რაოდენობა და სხვ.

ამ განმარტების მიხედვით, საქართველოს ახალი ისტორიისა და ეთნოგრაფიის დროინდელი დიდი ოჯახი, რომელიც ჩვენი ეთნოგრაფების მიერ ერთხმად არის აღიარებული „საოჯახო თემად“ თუ მის „გადმონაშთურ ფორმად“, არც მეტი და არც ნაკლები, არის კულაკური დიდი ოჯახი. ერთი-მეორესთან „საოჯახო თემის“ კულაკურ დიდ ოჯახთან, თუნდაც „გადმონაშთური ფორმით“ დანათესავების ცდა, იქნებოდა „რაღაც მჭლე ეკლექტიზმის“ ერთ-ერთი მაგალითი. ამ დონეზე დიდი ოჯახები და მოჯამაგირეები ერთდროული, ერთმანეთის თანაარსი, უერთმანეთოდ არარსებული სოციალური კატეგორიებია. ასეა, თუ დიდ ოჯახს განვიხილავთ „საზოგადოებრივი წარმოების მთელ წყობაში“: სწორედ ასე და არა სხვანაირად უნდა განვიხილოთ აქ აღძრული საკითხიც.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ცხოვრების პირველწყარო და სიმდიდრე-სიღარიბის საზომი აღებულ დროსა და ვითარებაში მეცხვარეობა იყო. ისტორიულ-ეკონომიური და ეთნოგრაფიული გამოკვლევებით ისიც არის დადგენილი, რომ დიდ ოჯახებს, როგორც წესი, ჰყავდათ ათასობით სული ცხვარი. აღნიშნული გარემოება განსაზღვრავდა ოჯახის მოწყობის — წყობა-აგებულების წესრიგს. ადრე კი, როგორც ეს გამოკვლეული აქვს გ. ჩიტაიას, მესაქონლეობა შერწყმული იყო მიწათმოქმედებასთან: ოჯახიც ამის მიხედვით იყო აშენებული. მიწათმოქმედებასთან მესაქონლეობის ძველებურ შერწყმასა და ურთიერთგანპირობებულობას მეტ-ნაკლებად ინარჩუნებდა საშუალო გლეხობა. ისიც ცნობილია, რომ XIX ს-ის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (გარდა ხევსურეთისა) მეცხვარეობა გამოეყო მიწათმოქმედებას და იგი მეურნეობის თავისთავადი დარგი

---

[27] ა. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 391.

[28] გ. ბ ო ს ტ ო ღ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, სავაჭრო მიწათმოქმედება აღმოსავლეთ საქართველოში XXI (1901—1921 წწ.) სიღნაღის მაზრის მასალების მიხედვით, ისტ. მეცნ., კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი, 1968, გვ. 104, 109, და სხვა (ხელნაწერი ინახება ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, დ. 360).

გახდა. ამ დროიდან მოკიდებული მეცხვარეობამ მნიშვნელოვანწილად შეცვალა სოფლის ცხოვრების მიმართულება და მეურნეობის დარგთა თანაფარდობა.

ზემოხსენებული ფაქტიური მდგომარეობის მიუხედავად, ცხვარბევრი დიდი ოჯახების მეურნეობაშიც კი, ცხვარმა ვერ „შეჭამა" მიწათმოქმედება და მასთან შეთანხმებული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. აღნიშნული მომენტი ჩვენი მთის მოსახლეობის დამჯდარი ცხოვრებისეული კულტურის ისტორიული მოწმობაა. დიდ ოჯახში ცხვრიდან შემოსული ფული პირველ ყოვლისა თვით ცხვრის მეურნეობას ხმარდებოდა (საძოვრებით უზრუნველყოფას, „ბინების" გამართვას, მოვლა-პატრონობას, მოშენება-გამრავლებას და სხვ. მისთ.). ამასთანავე დიდი ოჯახები „ცხვრის ფულით" ყიდულობდნენ სახნავ-სათეს მამულებს, სათიბსა და ზოგჯერ ტყესაც არა მხოლოდ თავიანთ სოფლებში, არამედ ბარში. მაგ., მაქართელ დიდებაანთ (გვარად წიკლაურია. — **ი. ჭ.**) ცნობილ დიდ ოჯახს ტყე და მამული უყიდია „ქომოთ" ბაზალეთში, სათიბი — კაწალხევს. 85 წლის კარკუჩელი მაქსიმე გიორგის ძე ყამარაულის ცნობით, მამა-ბიძების გაყრის დროს „15—16 წლის ვიქნებოდი, მეტის არა", ბეკურენთ დიდ ოჯახს „გარბანში ჰქონდა ნაყიდი მამული ორი გუთნისა, 3 დღე უნდოდა ხვნა. მე ბალღი ვიყავ მაშინა". „სათიბი გვქონდა ნაყიდი კიბეს, სახარეს..., 260 თუმანი ფული წაიღეს კორიშვილებმა, რაც იმის მამული იყო, სუ/ლ/ ჩვენ ვიყიდეთ. ცხვარი მაშინ 3 მანეთს ზევით არ იყო". სოფ. თოთიდან სოფ. არშაში 40 წლის წინ გადმოსახლებული, 1882 წელს დაბადებული ვლადიმერ სიმონის ძე ხულელიძისაგან ჩაწერილი მასალების მონაცემებით, „ჩვენ გვყვანდა ნანაი, მეცხვარე იყო. 5 კაცი ყვანდა დაქირავებული. ერთს აქ ტოვებდა, — 40 სულს ძროხასა და მოზვრებს მოვლა უნდოდა. ჩვენ მწყემსად სულ შინაურები გვყავდა... ერთად როცა ვიყავით, იმდენი სახნავი გვქონდა, რომ ერთი თვე უნდებოდა ხვნა. ორი უღელი ხნავდა, მესამე უღელი ხფარავდა. 770 თუმნის ნაყიდი (მამული) გვქონდა თოთს გიორგი გენერისაგან (გენერლისაგან, — **ი. ჭ.**). ხოფაი ვაკე, გვირგვალაი სნოელებისაგან გვაქვს ნაყიდი, — ტიტე ღუდუშაურისაგან. ყაზბეგიანთაგან ვიყიდეთ ცხრაწყარო, დეკიანი, მაღლითქობაი, დარანაი, ფერდი, — ეს სულ მთებია. ერთი დღიური ექნებოდა ვინმეს, იმასაც ყიდდნენ".

ამ წყების კონკრეტული მონაცემების კიდევ მოტანა შეიძლებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვადასხვა მხრიდან, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეთნოგრაფიის წილად თქმულიც საკმარისია სოფელში მომხდარი კლასობრივი დანაწევრების, კერძოდ, დიდი ოჯახის კულაკურ კომლად კვალიფიცირების სამაგალითო არგუმენტად*.

---

* წაკითხულია მოხსენებად ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის გაერთიანებულ სამეცნიერო სესიაზე, რომელიც მიეძღვნა პროფ. ვ. ბარდაველიძის ხსოვნას, 1972 წ. 26 იანვარს (იხ. თეზისები). ეს წერილი დასაბეჭდად გადაცემული იყო, როცა გამოქვეყნდა დ. ფურცელაძის საინტერესო ნაშრომი — „სხვისშვილობისა და მისი სამართლებრივი შინაარსისათვის" (ჟურნ. „საბჭოთა სამართალი", № 2, 1974 წ.), რომელიც, სამწუხაროდ, ვერ გამოვიყენეთ.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

XVII საუკუნის თურქი მოგზაურის ევლია ჩელების ცნობები საქართველოს შესახებ

(გ. ფუთურიძის პუბლიკაციის გამო)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა გ. ფუთურიძემ პირველად ჩვენს ისტორიოგრაფია-წყაროთმცოდნეობაში თურქული ენიდან მთლიანად თარგმნა და გამოაქვეყნა ცნობილი თურქი მოგზაურისა და ისტორიკოსის ევლია ჩელების თხზულების „მოგზაურობის წიგნის“ II ტომი, რომელშიც მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ[1]. მცირე ხნის შემდეგ გ. ფუთურიძემ გამოსცა ამავე სახელწოდების მეორე ნაკვეთი, სადაც გადმოცემულია ევლია ჩელების ცხოვრება და მოღვაწეობა, გაანალიზებულია პირველ ნაკვეთში მოტანილი ცნობები და განმარტებულია ისტორიული ტერმინები[2].

სახელგანთქმული თურქი მოგზაური ევლია ჩელები დაიბადა 1611 წ. სტამბოლში, სასახლის ოქრომჭედელთა უფროსის, მეჰმედ ზილის ოჯახში, დედამისი აფხაზი ქალი იყო.

ევლია ჩელები თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული ადამიანი იყო: იცოდა თურქული, არაბული, სპარსული, ბერძნული, სირიული და თათრული ენები; შეეძლო ხატვა, სიმღერა, ყურანის ზეპირად კითხვა; შესწავლილი ჰქონდა ისტორიული და გეოგრაფიული ლიტერატურა, აღმოსავლური პოეზია, მუსიკა და სხვ. მოგზაურობებისადმი ლტოლვა ევლიას ბავშვობიდან ჰქონდა დაყოლილი. „მოგზაურობის წიგნის“ II ტომის შესავალში იგი თავის თავზე ამბობს: „სულ იმას ვფიქრობდი... ქვეყანა მოვიარო და შეეძლო მსოფლიოს მოგზაური გავხდე-მეთქი“[3].

ამიტომაც მიეცა თუ არა საშუალება, ახალგაზრდა ევლიამ მშობლების დაუკითხავად დატოვა სტამბოლი და ბურსას გაემგზავრა. ასე დაიწყო მისი ხანგრძლივი მოგზაურობები, რომლებსაც მან თითქმის ოთხი ათეული წელი მოანდომა. იგი დადიოდა ზღვითა და ხმელეთით. დაჰყვებოდა სავაჭრო ქარავნებს, ლაშქარს, დიპლომატიურ მისიებს და ასე მოიარა ანატოლია, ირანი, მესოპოტამია, სირია, ეგვიპტე, სუდანი, ეთიოპია, არაბეთის ნახევარკუნძული, ბალკანეთის ნახევარკუნძული, ყირიმი, კავკასია, სამხრეთ რუსეთი, უნგრეთი, პოლონეთი, ავსტრია და კიდევ ზოგიერთი სხვა ქვეყანა.

ევლია ჩელები თავისი მოგზაურობების დროს დღიურებს ადგენდა. ეს დღიურები მისი თხზულების ძირითად და ყველაზე ძვირფას ნაწილს შეადგენდნენ. მათში უამრავი ცნობებია თავმოყრილი ევლიას მიერ ნანახი ქვეყნების ხალხთა ცხოვრების შესახებ. მაგრამ ამასთან ერთად „მოგზაურობის წიგნში“ ფართოდ არის გამოყენებული, ავტორეთე, გადმოცემები, ლეგენდები, სხვადასხვა პირთაგან მოსმენილი ამბები. სამწუხაროდ, ევლია ჩელები ამგვარ ინფორმაციას, როგორც წესი, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე იღებდა და ამიტომ მის თხზულებაში ზოგჯერ უხეშ შეცდომებსაც ვხვდებით. მაგ., ევლია ჩელების აზრით მეგრელები და იმერლები წარმოშობით თათრები არიან, ხოლო აფხაზები, ჩერქეზები და ლაზები — ყურეიშთა ტომის არაბები[4]. ამიტომ ცხადია, რომ „მოგზაურობის წიგნი“ განსაკუთრებულ კრიტიკულ მიდგომას მოითხოვს. მაგრამ მიუხედავად ასეთი ნაკლისა, ევლია ჩელების თხზულებაში იმდენი მნიშვნელოვანი და უნიკალური ცნობაა შემონახული, რომ მისი გვერდის ავლა შეუძლებელია იქ აღწერილი ქვეყნებისა და ხალხთა ისტორიის შესწავლისას.

„მოგზაურობის წიგნი“ მთლიანად არც ერთ ენაზე არ არის თარგმნილი, მაგრამ მისი ნაწილები რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნის აღწერას შეიცავენ, გამოქვეყნებულია ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ბერძნულ, რუ-

---

[1] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, ქართული თარგმანი, თბ., 1971.

[2] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. II, გამოკვლევა, კომენტარები, თბ., 1973.

[3] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, ქართული თარგმანი, გვ. 9.

[4] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. I, ქართული თარგმანი, გვ. 98, 100.

მინულ, უნგრულ, სერბულ, პოლონურ, ბულგარულ ენებზე. საბჭოთა კავშირში — რუსულ, ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ მოთავსებულია ძირითადად „მოგზაურობის წიგნის“ II, VII და VIII ტომებში[5]. არც ერთი მათგანი ჩვენში დღემდე მთლიანად თარგმნილი არ ყოფილა, თუმცა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ფ. ბრუნმა ინგლისურიდან რუსულად თარგმნა ევლია ჩელების თხზულების ის ადგილები, რომლებიც აზოვის ბრძოლას[6], დასავლეთ კავკასიის სანაპიროებზე მოგზაურობასა[7] და ამიერკავკასიის მდგომარეობას შეეხებოდა[8]. ამ თარგმანებში ბევრი შეცდომაა გაპარული, რადგან ორიგინალიდან არ არის თარგმნილი და აღმოსავლური ტერმინები ძალიან დამახინჯებულია. ასეთივე ნაკლი აქვს II და VII ტომებიდან ამოღებული ნაწყვეტების თარგმანს, რომელიც დაღესტნის გ. ცადასას სახ. ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტში ინახება ხელნაწერის სახით.

განსაკუთრებით ბევრი გაკეთდა საბჭოთა კავშირში ამ უკანასკნელ წლებში რამდენიმე მაღალ დონეზე შესრულებული თარგმანის გამოქვეყნებით „მოგზაურობის წიგნიდან“.

1961 წ. ა. ს. ტვერიტინოვას რედაქტორობით გამოქვეყნდა ევლია ჩელების ცნობების თარგმანი უკრაინისა და მოლდავეთის შესახებ კომენტარებითურთ[9].

1967 წ. გამოვიდა ა. ხ. საფრასტიანის სომხური თარგმანი, რომელიც შეეხება ევლია ჩელების ცნობებს სომხეთის შესახებ[10].

[5] ცნობები დასავლეთ სომხეთზე არის, აგრეთვე, III, IV და V ტომებში.

[6] ф. К. Брун, Неудачная осада Азова турками в 1641 г. и занятие ими крепости по оставлении оной казаками. «Записки Одесского об-ва истории и древностей», т. VIII, Одесса, 1872.

[7] ф. К. Брун, Путешествие турецкого туриста вдоль по восточному берегу Черного моря, «Записки Одесского об-ва истории и древностей», т. IX, Одесса, 1875.

[8] ф. К. Брун, Заметки турецкого туриста о состоянии Закавказского края около половины XVII в., газ. «Кавказ», 1870 г. 5, 7, 14 июня.

[9] Эвлия Челеби, Книга путешествия (Извлечение из сочинения турецкого путешественника XVII века), перевод и коментарии, I, Земли Молдавии и Украины, М., 1961.

[10] თურქული წყაროები, III, ევლია ჩელები, თარგმანი, წინასიტყვაობა და შენიშვნები ა. საფრასტიანისა, ერევანი, 1967, (სომხურ ენაზე).

გარდა ამისა, ევლია ჩელების ცნობებს საქართველოსა და კავკასიის სხვა ქვეყნების შესახებ არაერთი სხვა მკვლევარიც შეხებია (ვ. ბარტოლდი, ი. ყიფშიძე, ს. ჯიქია, ვ. გაბაშვილი, გ. ფუთურიძე, ა. გენკო, ლ. ლავროვი, ე. კუშევა, ნ. ვოლკოვა, ს. აშურბეილი, დ. გუდიაშვილი და სხვ.).

„მოგზაურობის წიგნის“ II ტომში დაწვრილებით არის აღწერილი ევლია ჩელების მიერ 1640—1648 წწ. მოვლილი ადგილები. იგი იწყება ოსმალო სულთნების ყოფილი სატახტო ქალაქის — ბურსას აღწერით. ევლია დაწვრილებით აგვიწერს ანატოლიის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქის არქიტექტურულ ძეგლებს, მეჩეთებს, მედრესეებს, ვაჭართა ფუნდუკებს, აბანოებს, წყლის წისქვილებს, ქალაქის გასართობ და სასეირნო ადგილებს, მუსლიმ წმინდანთა საფლავებს, ბურსის მცხოვრებთა საქმიანობას, ენას, სამოსელს და სხვ.

1640 წელს ევლია ტრაპიზონის ვალის ქეთხუდად დანიშნეს და იქ გაემგზავრა. გზაზე მან დაათვალიერა და აღწერა ქალაქები სინოპი, სამსუნი, გირესუნი და ბოლოს „ლაზიკის ძველი ვილაიეთის დიდ ქალაქსა და კეთილმოწყობილ ციხე“[11] ტრაპიზონს მიაღწია. ევლია ჩელები მოგვითხრობს ქალაქის ისტორიას, იძლევა მისი სახელწოდების ეტიმოლოგიას, აღნიშნავს, რომ ტრაპიზონს ზოგჯერ „ქეემო ბათუმს“ და „ლაზიკის ქალაქს“ უწოდებდნენ, აგვიწერს ტრაპიზონის მცხოვრებლების გარეგნობას, საქმიანობას, ქალაქის არქიტექტურულ ძეგლებს, გვაწვდის ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობებს ლაზების შესახებ და სხვ.

1641 წ. ევლია ჩელები ოსმალთა ლაშქრის ერთ-ერთი რაზმის შემადგენლობაში აზოვის ციხისაკენ სალაშქროდ გაემართა. მათი გზა კავკასიის შავიზღვისპირეთის გასწვრივ მიდიოდა და ევლიასაც საშუალება მიეცა საფუძვლიანად დაეთვალიერებინა ეს მხარე.

სამეგრელოს მოკლე აღწერის შემდეგ ევლია ჩელები აფხაზეთზე გადადის. მისი ცნობით აფხაზებს მდ. „ფაშიდან“ ანაპის ციხემდე მდებარე ტერიტორიები ეჭირათ და 25 ტომად იყოფოდნენ. „მოგზაურობის წიგნში“ ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი სოციალ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურულ-რელიგიური ვითარების ამსახველი ცნობაა ამ ტომების შესახებ. ზოგი ამ ცნობათაგანი სხვა ავტორთა სიტყვებს ადასტურებს (მაგ., ცნობა ე. წ. „საჰაერო დაკრძალვის“ შესახებ), ზოგი კი სრულიად ახალი და უნიკალურია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ევლია ჩელების მიერ

[11] „მოგზაურობის წიგნის“ ქართული თარგმანი, გვ. 81.

მოყვანილი აფხაზური და საძური ენების მაგალითები. ეს არის ამ ენათა პირველი დადასტურება წერილობით წყაროებში (საძური ენის ნიმუშების მნიშვნელობა იზრდება იმითაც, რომ დღეს ამ ენაზე კავკასიაში აღარავინ ლაპარაკობს).

აფხაზეთის გავლით ევლია ჩელები აზოვის ციხესთან დაბანაკებულ ოსმალებს შეუერთდა და დონის კაზაკებთან აზოვისათვის წარმოებული ბრძოლები აღწერა. საერთოდ ევლია ხშირად მონაწილეობდა სამხედრო ლაშქრობებში. 1645 წ. იგი კუნძულ კრეტას დაპყრობის მოწმე გახდა. ეს ამბავიც მისი თხზულების II ტომშია მოთხრობილი.

არზრუმის ვილაიეთში სამსახურის დროს ევლიას ხშირად უხდებოდა სიარული ახლო-მახლო პროვინციებში. განსაკუთრებით ხანგრძლივი და საინტერესო აღმოჩნდა მისი ერთ-ერთი მოგზაურობა ამიერკავკასიის ქვეყნებში. ევლიამ ინახულა ნახჭევანი, თავრიზი, ერევანი. იქიდან განჯისა და ბაქოს გავლით დარუბანდში ჩაევიდა, სამხრეთ დაღესტანი შემოიარა, აღწერა და ბოლოს, საქართველოსაკენ გამოემგზავრა. ევლია მოგვითხრობს თბილისის წარსულის შესახებ. ეს თხრობა სავსეა ნახევრად ლეგენდარული ამბებით და უფრო ოსმალეთთან ურთიერთობის ცალკეულ მომენტებს ეხება. შემდეგ აღწერს თბილისის ციხეს, მეტეხს, ქალაქის მეურნეობის დარგებს, თბილისის ცხელ წყლებს. ეს აღწერილობა მართალია შედარებით მოკლეა, მაგრამ საინტერესო ცნობებს შეიცავს.

თბილისიდან ევლია მტკვრის ხეობას აჰყვა. მოკლედ აღწერა მცხეთა, გორი, აწყური, ახალციხე. ჩამოთვლილი აქვს ახალციხის სანჯაყები და ხასები. სანჯაყებში არსებული ზეამეთები და თიმარები, ეხება საქართველოს მეფეთა წარმომაელობის საკითხს, მოჰყავს მაგალითები შავშეთის ქართველების კილოდან.

1647 წ. ევლიამ გონიოს ციხის დაპყრობაში მიიღო მონაწილეობა. მისი ცნობით, ამ ბრძოლაში ოსმალებს „სამი ათასამდე ჩაცმულ-დახურული შეიარაღებული... მეგრელი აზნაური, ათასამდე ქვეითი მეთოფე და ქართველი წარჩინებულები“[12] ეხმარებოდნენ. ამას გარდა ოსმალო სარდლებსა და მეთაურებს შორის მრავალი ქართველი, აფხაზი და ჩერქეზი ერია. გონიოს აღების შემდეგ ოსმალებმა სამეგრელოზე გაილაშქრეს და მისი ზოგიერთი რაიონი დაარბიეს. ხელთ იგდეს ნადავლი და ტყვეები. საერთოდ, ევლია არაერთგზის გვაუწყებს იმ პერიოდში ქართველი, აფხაზი და ჩერქეზი ტყვეების ყიდვა-გაჩუქების შესახებ. „მოგზაურობის წიგნიდან“ კარგად მოჩანს ჩამორჩენილი ოსმალეთის როლი ამ მანკიერი სენის გავრცელების საქმეში.

საბრძოლო მოქმედებათა აღწერის პარალელურად ევლია ჩელები სამეგრელოს მოსახლეობაზე და მის საქმიანობაზეც მოგვითხრობს, მოჰყავს მეგრული ენის მაგალითები.

„მოგზაურობის წიგნის“ II ტომი ანატოლიის ამბების აღწერით მთავრდება.

სარეცენზიო ნაშრომის მეორე ნაკვეთში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გ. ფუთურიძეს გადმოცემული აქვს ევლია ჩელების ცხოვრება და მოღვაწეობა, გაანალიზებული აქვს I ნაკვეთში მოტანილი ცნობები საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ, განმარტებული აქვს ისტორიული ტერმინები.

ევლია ჩელების, როგორც მოგზაურისა და ისტორიკოსის შესწავლა არც ისე ადვილი საქმეა. თანამედროვე საბჭოთა თურქოლოგიაში ამის შესახებ თითქმის არაფერი არ დაწერილა[13] მიუხედავად იმისა, რომ „მოგზაურობის წიგნის“ სხვადასხვა ტომებში ევლია ჩელები მდიდარ ცნობებს გვაწვდის თავისთავზე. გ. ფუთურიძეს ამ ცნობების დამუშავებისა და ჩვენს სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანის მიზნით „მოგზაურობის წიგნის“ ათივე ტომის შესწავლა მოუხდა, რაც დაკავშირებული იყო გარკვეულ სიძნელეებთან, რომელთა დასაძლევად საჭირო იყო დიდი ფილოლოგიური და ისტორიული მომზადება, მთელი აღმოსავლური სამყაროსა და, კერძოდ, XVII ს-ის ოსმალეთის იმპერიის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა.

გ. ფუთურიძემ ევლია ჩელების თხზულების სხვადასხვა ტომში გაბნეული საინტერესო მასალების მოტანით დაადგინა „მოგზაურობის წიგნის“ წყაროები. მან აღნიშნა რომ ევლიას, პირადი დაკვირვებების გარდა, გამოყენებული აქვს ისტორიული თხზულებები (თურქული, არაბული, სპარსული, ბერძნული, ლათინური), თურქული დოკუმენტები, ეპიგრაფიკული ძეგლები, ნუმიზმატიკის მონაცემები, ფოლკლორული მასალები, ნათესავებისა და ნაცნობების ნაამბობი და ა. შ.

გ. ფუთურიძე აღნიშნავს, რომ ევლია ჩელების თხზულების ისტორიულ ნაწილში მთავარი ადგილი ომების აღწერას უჭირავს. ევლია აღწერდა და თვითონაც მონაწილეობდა ოსმალთა მძარცველურ ლაშქრობებში. მას, როგორც

[12] „მოგზაურობის წიგნის“ ქართული თარგმანი, გვ. 323.

[13] ევლია ჩელების ცხოვრებასა და მოღვაწეობას შეეხო ნ. შენგელიაც (იხ. ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, XV—XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974).

ფეოდალური კლასის შვილსა და მორწმუნე მუსლიმანს კანონზომიერად მიაჩნია „ურჯულოთა“ ქვეყნების რბევა. ევლია ჩელები აუღელვებლად აღწერს მშვიდობიანი ქრისტიანული მოსახლეობის დედაბუდიანად ამოწყვეტის და ტყვედ წასხვის მაგალითებს, მაგრამ ამავე დროს იგი სასტიკი მოწინააღმდეგეა მუსლიმანური სოფლების აწიოკებისა, რომელსაც ანატოლიაში ამბოხებულ ფაშათა ჯარები აწარმოებდნენ.

„მოგზაურობის წიგნში“ მოტანილი ცნობების გაანალიზებისას გ. ფუთურიძე საგანგებოდ ჩერდება ცნობებზე საქართველოს შესახებ. იგი ადგენს, რომ ევლია ჩელები ტერმინ „გურჯისტანს“ სხვადასხვა ადგილას განსხვავებული მნიშვნელობით ხმარობს. ზოგ შემთხვევაში „გურჯისტანს“ ევლია აღმოსავლეთ საქართველოს უწოდებს, ზოგჯერ კი „გურჯისტანის ვილაიეთს“ — დასავლეთ საქართველოს. ამას გარდა, როგორც ცნობილია, „გურჯისტანის ვილაიეთად“ ოსმალთა მიერ დაპყრობილი სამცხე-საათაბაგოც იწოდებოდა.

მკელევარი ხაზს უსვამს, რომ XVII ს-ში საქართველოში ძალიან ფართოდ იყო გავრცელებული ტყვის სყიდვა და „მოგზაურობის წიგნიდან“ ამის დამადასტურებელი არაერთი მაგალითი მოჰყავს.

ევლია ჩელები თავის მრავალტომიან ნაშრომში ხშირად განმარტების გარეშე იხსენიებს ძველი დროის მეფეებს, ხალიფებს, სარდლებს, სხვადასხვა ციხესიმაგრეებსა და ქალაქებს, ბრძოლებს და ა. შ. ამიტომ გ. ფუთურიძემ „მოგზაურობის წიგნის“ ქართულ თარგმანს დაურთო შენიშვნები, სადაც მოცემულია ცნობები ევლიას მიერ ნახსენები ისტორიული პირებისა და მოვლენების შესახებ. გარდა ამისა, გამოკვლევას დართული აქვს ვრცელი ტერმინოლოგიური კომენტარები, სადაც განმარტებულია ოსმალეთის იმპერიაში გავრცელებული სპეციალური ტერმინები.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სარეცენზიო ნაშრომს ზოგიერთი ნაკლიც გააჩნია. მაგ., ჩვენი აზრით საჭირო იყო, რომ ევლია ჩელების ცნობები შეძლებისდაგვარად შედარებული ყოფილიყო XVI—XVII საუკუნეების სხვა ავტორების ცნობებთან და თვითონ გამოკვლევაც უფრო ვრცელი ყოფილიყო. ამას გარდა „მოგზაურობის წიგნის“ ქართული თარგმანის შენიშვნებში რამოდენიმე უზუსტობას ვხვდებით. მაგ., ევლია ჩელების მიერ აღწერილი კამშის ტომი გ. ფუთურიძეს შესაძლებლად მიაჩნია ტამიშს დაუკავშიროს[14]. სინამდვილეში „მოგზაურობის წიგნის“ კამში უბიხთა ერთერთ საზოგადოებას — ხამიშს წარმოადგენს და არავითარი კავშირი არა აქვს დღევანდელ ოჩამჩირის რაიონში მდებარე სოფ. ტამიშთან.

ასევე ევლია ჩელების მიერ აღნიშნული მდ. ლიფო. გ. ფუთურიძე გამოთქვამს აზრს, რომ ეს უნდა იყოს მდ. ბზიფი, თუმცა თავის ვარაუდს ეჭვქვეშ აყენებს და სავსებით სამართლიანად[15]. ევლია ჩელები წერს, რომ მდ. ლიფო გეჩიების ქვეყანაში მოედინებაო. გეჩიების ადგილ-სამყოფელი კი მდ. ფსოუს გასწვრივ იყო. ასე, რომ ევლია ჩელების მიერ მოხსენიებული მდ. ლიფო დღევანდელი ფსოუა და არა ბზიფი.

„მოგზაურობის წიგნის“ ქართულ თარგმანში გ. ფუთურიძე, როგორც წესი, ეთნიკურ სახელებს, სოციალურ და სხვ. ტერმინებს არ თარგმნის. მაგ., ევლია ჩელები აფხაზებს „აბაზებს“ უწოდებს და გ. ფუთურიძესაც თარგმანში აბაზები აქვს. ეს სავსებით სწორია და შეესაბამება პუბლიკაციის სამეცნიერო ხასიათს. მაგრამ „მოგზაურობის წიგნის“ „გურჯისტანსა“ და „მეგრელისტანს“ იგი საქართველოდ და სამეგრელოდ თარგმნის (გვ. 196, 290, 293, 330 და სხვ.), რაც ჩვენი აზრით სწორი არ უნდა იყოს[16].

ასევე მართებულად არ მიგვაჩნია დაღესტნის ჰაქიმის, „დაღესტნის მბრძანებლად“ თარგმნა (გვ. 284, 290, 291). უფრო სწორი იქნებოდა, რომ ტექსტში დარჩენილიყო ევლიასეული ტერმინები, ხოლო მათი განმარტება შენიშვნების სახითაც შეიძლებოდა.

ძაგრამ ზემოაღნიშნული შენიშვნები არ ამცირებენ პუბლიკაციის დიდ მეცნიერულ ღირებულებას. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნის“ თარგმანით და მასთან დართული გამოკვლევა-კომენტარებით გ. ფუთურიძემ მნიშვნელოვნად შეავსო ისტორიული მეცნიერების განკარგულებაში მყოფი ცნობები XVII ს-ის საქართველოს შესახებ. მისი პუბლიკაცია ქართული წყაროთმცოდნეობის მნიშვნელოვანი შენაძენია.

---

[14] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. II, გვ. 70.

[15] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. II, გვ. 70.

[16] ზოგჯერ გ. ფუთურიძე „გურჯისტანსაც“ წერს (გვ. 82, 83, 273, 199 და სხვ.) მაგრამ ასეთ ხან გურჯისტანის, ხან საქართველოს ხმარებას მხოლოდ გაუგებრობის წარმოქმნა შეუძლია.

გიორგი ანჩაბაძე

ВАНИ, 1. АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ РАСКОПКИ 1947—1969, под ред. проф. О. Д. Лордкипанидзе

Тбилиси, 1972.

В последние годы научная общественность, и в первую очередь специалисты по античной археологии, все более пристально следят за раскопками Вани — замечательного археологического памятника на территории Грузии, приобретающими все более широкий размах и уже приведших к открытию памятников мирового значения. В начале 1973 г. в Тбилиси отмечалось 25-летие работ Ванской археологической экспедиции Института истории, археологии и этнографии АН Груз. ССР — одной из крупнейших экспедиций грузинских археологов[1]. Экспедиция начала исследования Ванского городища в 1947 г. под руководством ныне покойной Н. В. Хоштариа, в последние же годы большой коллектив археологов, работающих в ее составе, возглавляет проф. О. Д. Лордкипанидзе.

Хотя первые упоминания в научной литературе о древностях из Вани относятся еще к середине прошлого столетия, вплоть до создания экспедиции Н. В. Хоштариа, сведения об этом археологическом памятнике ограничивались лишь известиями о случайных находках отдельных предметов древности. Спорадические же раскопки здесь проводились от случая к случаю и без единого плана. Тем не менее и обнаруженные в то время материалы позволяли прийти к заключению, что на месте Вани в античную эпоху находился крупный центр, широко связанный с греческим миром. Однако вся специфика этого интереснейшего древнего центра на территории Западной Грузии была выявлена лишь в результате систематических раскопок за последние четверть века.

Обширный археологический материал, добытый за это время, — строительные остатки великолепной сохранности, керамика, скульптура из камня и бронзы, тончайшей работы ювелирные изделия из драгоценных металлов, а также эпиграфические находки[2] все более определенно обрисовывают этот древний город как крупный центр Колхиды, который О. Д. Лордкипанидзе убедительно сопоставляет со святилищем Левкотей, упоминаемым Страбоном (XI, 2, 17)[3].

Хотя научная и научно-популярная библиография о древностях Вани насчитывает уже значительно более сотни названий, до сих пор отсутствовали как последовательные публикации результатов раскопок, так и, тем более, обобщающие труды об этом интереснейшем памятнике, вызывающем все больший интерес у специалистов и получившем, особенно в результате открытий последних лет, мировую известность. Теперь этот пробел начинает заполняться широко задуманной серией трудов экспедиции, выход в свет первого тома которой — рецензируемой книги — был приурочен к 25-летнему юбилею экспедиции.

Том открывается большой и обстоятельной статьей О. Д. Лордкипанидзе «Ванское городище (Раскопки. История. Проблемы)», напечатанной параллельно на грузинском и русском языках (грузинский текст — стр. 7—42; русский — стр. 43—80). После кратких сведений о геогра-

[1] См. 25 лет Ванской археологической экспедиции (1947—1972). Тезисы научной сессии и библиография, Тб., 1973.

[2] Т. С. Каухчишвили, Греческие надписи Вани, САН Груз. ССР, LXVIII, № 1. 1967, стр. 253 сл. (на груз. яз., резюме на русск. яз.).

[3] О. Д. Лордкипанидзе, К локализации ΤΟ ΤΗΕ ΛΕΥΚΟΘΕΑΣ ΙΕΡΟΝ ВДИ, 1972, стр. 106 сл.

фической ситуации городища и истории его изучения автор рассматривает историю города на основании всей совокупности добытых раскопками археологических материалов. По мнению О. Д. Лордкипанидзе, на месте города античной эпохи существовало более древнее поселение, о характере которого единичные находки VIII—VII вв. до н. э. пока не позволяют судить. Основная масса археологического материала датируется VI—I вв. до н. э. В пределах этого более чем пятивекового отрезка времени выделяются два основных этапа: VI—IV вв. и конец IV или начало III — середина I вв. до н. э.

Первый этап, представленный в ванских раскопках чрезвычайно скудными строительными остатками, не позволяет пока прийти к каким-либо обоснованным заключениям о характере построек и городской планировки. Он выделяется главным образом благодаря обильным вещественным находкам из культурных слоев городища и ряду богатых погребений (№ 6—11). Подробному, всестороннему описанию и анализу замечательных золотых украшений из погребений посвящена значительная часть статьи О. Д. Лордкипанидзе. Основная проблема, которая здесь занимает автора, — это вопрос о колхидской торевтике. На основании многочисленных сопоставлений он приходит к важному выводу, что золотые украшения из Вани являются произведениями местного, колхидского искусства, истоки которого лежат в ассирийском и манаманейском искусстве. Вместе с тем, он прослеживает и определенные связи с синхронным исследуемым украшениям искусством цивилизаций Ирана и греческого мира. Особое внимание в этой связи уделено анализу мотивов украшений — теме борьбы животных. Здесь убедительно показано ахеменидское влияние в изображениях животных и, вместе с тем, хорошее знакомство мастеров с греческим архаическим искусством.

Далее в статье подробно рассматриваются местные бронзовые изделия из погребений, колхидская керамика и привозные греческие вещи. Среди последних выделяются изделия аттической торевтики из серебра и бронзы и аттическая художественная керамика. Большинство этих вещей довольно точно датируется второй четвертью V в. до н. э., что приводит автора к важному и убедительному выводу об активизации греческой торговли под гегемонией Афин с Колхидой и Причерноморьем в целом сразу же после решающих побед афинян в греко-персидских войнах. Однако О. Д. Лордкипанидзе не без основания полагает, что в рассматриваемый период взаимоотношения с греческим миром не оказали еще заметного влияния на жизнь Вани — это влияние отчетливо проявляется лишь в результате длительной истории взаимоотношений с греками во второй половине IV в. до н. э. Наиболее ярко это явление иллюстрируется погребением знатного воина (№ 9), открытым в 1969 г. и весьма определенно датируемым самым началом второй половины IV в. Здесь греческое влияние, прослеживаемое в предшествующее время довольно слабо, ярко проявляется как в деталях вооружения погребенного и других элементах погребального инвентаря, так и в самом обряде погребения.

С конца IV или начала III в. до н. э. начинается новый этап в истории ванского поселения. Следует согласиться с предположением О. Д. Лордкипанидзе, что именно с этого времени Вани превращается в крупный город—храмовый центр. Такое предположение подкрепляется всем комплексом многочисленных теперь строительных остатков: крепостных стен, храмов, святилищ и т. д. Автор дает общую характеристику открытых памятников, сопоставляя их с данными литературных источников и аналогичными археологическими памятниками, открытыми в первую очередь в Малой Азии. Прослеживая появление и развитие культа Диониса в Вани на основании археологических данных, автор связывает их с этнографическими параллелями — ныне существующими обрядами на территории Грузии. Следует отметить, что если выводы, базирующиеся на археологическом материале, обоснованны и убедительны, то куда менее убедительными представляются весьма отдаленные этнографические параллели. С нашей точки зрения, аргументация автора не пострадала бы и без них.

В итоге своего исследования О. Д. Лордкипанидзе повторяет свою, уже выс-

казанную ранее, гипотезу о Вани как храмовом городе, отождествляемым им со страбоновым святилищем богини Левкотеи. Помимо интерпретации Страбона, он приводит в пользу своей точки зрения решающий, с нашей точки зрения, археологический аргумент: отсутствие на территории городища сооружений жилого характера, а также культурных напластований, обычных для городских поселений светского типа; с другой же стороны — обилие культовых зданий на всех трех террасах городища и характерные особенности комплексов находок.

Характеризуя особенности строительных примеров и технику кладки крепостных стен и культовых зданий в Вани автор приходит к выводу, что при типично местной планировке построек строительные приемы и навыки заимствованы ванскими мастерами из эллинистической строительной техники. Не отрицая возможности такого подхода к решению этого вопроса, отметим все же, что не менее вероятным представляется прямое участие греческих зодчих и мастеров в строительстве Вани. Такой подход представляется тем более вероятным, что, как отмечает сам автор, одновременно в Вани продолжают существовать и развиваться и местные строительные приемы и навыки, не характерные для Греции.

В заключение статьи О. Д. Лордкипанидзе ставит весьма важную и интересную, но и не менее сложную, проблему о путях распространения эллинистической культуры на территории Западной Грузии. С его точки зрения, это распространение шло не через прибрежные греческие города, а сложным путем через внутренние районы Малой Азии и Иберию. Хотя автор и приводит ряд веских доказательств в пользу выдвигаемой им гипотезы, они все же не могут пока считаться окончательно решающими проблему. Прежде всего в этом плане необходимо иметь в виду, что пока по существу еще ничего не известно об облике, характере, экономике и культуре причерноморских городов Колхиды. Поэтому, как нам представляется, еще рано делать окончательные выводы, полностью сбрасывая со счетов и этот путь распространения эллинизма.

Античный Вани был разрушен и прекратил свое существование в середине I в. до н. э. На основании археологических данных О. Д. Лордкипанидзе убедительно связывает это с двумя последовавшими одно за другим вражескими нашествиями — сначала боспорского царя Фарнака, а затем, в 47 г. до н. э., Митридата VII Пергамского.

Следует отметить, что весьма интересная и содержательная статья О. Д. Лордкипанидзе все же не в полной мере отвечает своему подзаголовку (Раскопки. История. Проблемы): она скорее состоит из очерка отдельных проблем, получающих историческую интерпретацию. Вероятно, это объясняется состоянием источников, которые пока еще фрагментарны и не позволяют составить связную картину истории раскапываемого замечательного памятника.

Остальные статьи сборника, напечатанные на грузинском языке с резюме на русском, представляют собой публикации археологического исследования Вани в разные годы и анализ некоторых материалов.

В статье Н. В. Хоштария «История археологического изучения Вани» (стр. 81—95, рис. 1—19) дается краткий обзор археологических работ, проведенных на Ванском городище начиная с конца прошлого века, когда небольшие раскопки здесь осуществил Е. С. Такайшвили, и до 1966 г. Особое внимание автор уделяет раскопкам богатых ванских погребений, раскрытых в начальный период работы Ванской экспедиции на центральном холме городища в конце 40-х и в 50-х гг. (№ 1—5). Погребения дали яркое представление о богатстве правящей верхушки города, а также впервые сигнализировали об элементах культа его обитателей. К сожалению, описание погребений не сопровождено графической документацией (как мы увидим, этот недостаток присущ и другим работам сборника).

В кратком отчете О. Д. Лордкипанидзе и Т. К. Микеладзе (стр. 96—110, рис. 20—32) подведены общие итоги раскопок 1960—1961 гг. на IV участке, расположенном в юго-восточной части городища. Здесь были обнаружены развал сырцовой стены и большое скопление кровельной

черепицы, относящиеся к заключительному этапу жизни города (II—I вв. до н. э.). Материал из раскопок довольно разнообразен — черепица, местная и импортная керамика, в том числе амфоры, и т. д. К сожалению, этот материал не нашел достаточного отражения ни в русском резюме, ни в иллюстрациях. Особый интерес среди находок вызывает превосходно сохранившийся поздне-эллинистический бронзовый светильник (рис. 23).

В отчете Н. В. Хоштариа, Р. В. Путуридзе и А. М. Чкониа об итогах работ, проведенных в 1961—1963 гг. в северо-восточной части городища (стр. 111—134, рис. 33—76), описывается раскоп площадью около 350 кв. м (VI участок), на котором были обнаружены остатки оборонительной стены, а также построек, примыкавших к стене изнутри города. Дается также описание трех погребений (№ 6—8), два из которых были разграблены еще в древности. Богатое непотревоженное погребение (№ 6) содержало многочисленные произведения колхидского ювелирного искусства, среди которых особенно замечательны золотые серьги с изображением всадников (рис. 39 а) и золотая диадема, украшенная сценами борьбы животных. Хотя инвентарь погребения издан в отчете подробно и полно, следует с сожалением отметить, что и здесь графическая документация отсутствует, а без нее этот важный и интересный памятник не может быть правильно понят. Необходимо отметить и то, что пользование планом раскопа (рис. 34) затруднено отсутствием легенды.

В отчете Г. А. Лордкипанидзе (стр. 135—146, рис. 77—91) дается информация об основных итогах раскопок 1961—1963 гг. на вершине холма «Ахвледианис гора» (I участок). Здесь были в отчетные годы обнаружены наиболее древние культурные слои городища с привозной и местной керамикой V—IV вв. до н. э. Особый интерес представляют остатки деревянного сооружения. Приводятся также краткие сведения о небольшом разведочном раскопе, заложенном в северной части холма в 1962 г.

Раскопки 1963 г. завершили первый этап работ Ванской археологической экспедиции, в продолжение которого были получены весьма важные и ценные данные о древнем городище, но работы все же велись в сравнительно небольшом объеме и между раскопочными кампаниями были более или менее длительные перерывы. Новый этап исследования Ванского городища начался в 1966 г., когда после некоторого перерыва раскопки были возобновлены в крупном масштабе, и с тех пор ведутся систематически ежегодно.

Уже первый год работ, итогам которого посвящен отчет Н. В. Хоштариа, О. Д. Лордкипанидзе, Р. В. Путуридзе и Г. И. Лежава (стр. 147—174, рис. 93—117), привел к открытию значительного и в высшей степени интересного архитектурного комплекса — городских ворот III в. до н. э., привратного святилища и мощеной улицы, ведущей к нему. Обнаруженный возле ворот мраморный постамент статуи с греческой надписью «Молю тебя, Владычица», существенно подкрепил предположение о том, что Вани был храмовым городом. Одновременно в 1966 г. были начаты раскопки еще одного святилища (II в. до н. э.), расположенного в 200 м к юго-западу (в отчете ошибочно указано — к юго-востоку) от городских ворот. Следует отметить, что отчет о раскопках 1966 г. более подробен, чем предыдущие. К сожалению, планы и профили, иллюстрирующие текст, не комментированы на русском языке, (на них не только отсутствуют легенды, но в двух случаях нет даже указателя масштаба), что затрудняет пользование ими.

Хотя раскопки следующего, 1967 г., увенчались блестящими открытиями, отчет о них в сборнике предельно лаконичен (Н. В. Хоштариа, О. Д. Лордкипанидзе, Р. В. Путуридзе — стр. 175—185, рис. 121—149). Во время этой раскопочной кампании экспедиция закончила исследование остатков культового здания II в. до н. э., упомянутого выше. В нем были обнаружены остатки мозаичного пола, каменный алтарь и многочисленные культовые приношения. Наибольший интерес среди последних представляют найденные у алтаря фрагменты огромного бронзового сосуда, от которого сохранились многочисленные скульптурные украшения: фигурки орлов, горельефные изображения головок божеств круга Диониса, статуэт-

ки Ники и т. д. В 1967 г. продолжались раскопки и привратного участка городища, где была выявлена и расчищена часть крепостной стены, сложенной из рустованных квадров. Кроме того, было начато изучение восточного склона центральной террасы, где в слое были найдены многочисленные архитектурные детали, среди которых особо выделяются высеченные из известняка огромные скульптурные львиные головы. Поиски поистине монументального здания, которому принадлежат найденные детали, стали одной из основных задач экспедиции на последующие годы, но пока, к сожалению, все усилия не привели к его обнаружению.

Столь же краток, как и предыдущий, отчет о раскопках 1968 г. (О. Д. Лордкипанидзе, Р. В. Путуридзе — стр. 186—197, рис. 150—159), которые привели к открытию части оборонительной стены к северо-западу от городских ворот, а также большого круглого храма конца IV—II вв. до н. э. Кроме того, к югу от святилища с мозаичным полом были открыты остатки большого здания с контрфорсами, погибшего, как и весь город, в I в. до н. э.

Заключительный отчет рецензируемого тома, составленный О. Д. Лордкипанидзе, Р. В. Путуридзе, В. А. Толордава и А. М. Чкониа (стр. 198—242, рис. 160—225), посвящен раскопкам 1969 г., принесшим Вани мировую известность. В этом году, как известно, были открыты два богатейших погребения — «знатной колхидянки» и «знатного воина». Замечательные ювелирные изделия колхидских мастеров, обогатившие Золотую кладовую Государственного музея Грузии, серебряные, бронзовые и керамические сосуды аттических мастерских, а также другие находки получили широкое освещение как в советской, так и в зарубежной печати. О них уже шла речь и в начале нашей рецензии, что избавляет от необходимости вновь возвращаться к ним. Отметим лишь, что отчет содержит исчерпывающую характеристику всех этих находок. В 1969 г. были также полностью завершены раскопки круглого храма и, что особенно важно, исследовались наиболее ранние культурные напластования городища, относящиеся к VI—IV вв. до н. э.

Заключительные статьи рецензируемого тома посвящены определению и исследованию остеологических материалов (А. Л. Цицишвили — стр. 243—251, рис. 226; Н. Н. Гамрекели — стр. 252—254; Н. И. Бурчак-Абрамович — стр. 255—257, статья написана на русском языке), а также технологическому изучению ванских диадем (И. А. Андриашвили — стр. 258—265, рис. 227—231). Среди костного материала выделены бык, овца, коза, свинья, лошадь—животные, разводившиеся населением древнего Вани. Кости птиц представляют лишь домашнего гуся. Пока что остеологический материал еще недостаточен, чтобы на его основании можно было бы делать сколько-нибудь обоснованные заключения о составе ванского стада, но в статьях приведены интересные наблюдения относительно облика древних животных. Интересные и важные наблюдения сделаны и по технологии изготовления ванских диадем.

В заключение рецензии нельзя не остановиться и на некоторых общих недостатках, присущих обсуждаемому тому. Прежде всего хотелось бы отметить чрезмерную лаконичность резюме большинства отчетов, которая наносит ущерб адекватному пониманию описываемых объектов. Очевидно, в следующих томах серии «Вани» на это следует обратить внимание и давать в отчетах о раскопках более детальное описание исследуемых памятников, более полную характеристику стратиграфии и строительных остатков. Насколько можно судить по опубликованным отчетам, уже назрели возможность и необходимость систематической публикации различных групп материала, накопленных раскопками.

Одним из существенных недостатков рецензируемой книги является отмечавшиеся уже упущения в графике. Хотя графическая документация в техническом отношении выполнена на весьма высоком уровне, тем не менее встречаются отдельные просчеты. Так, например, общий план городища, почему-то помещенный посредине текста отчета о раскопках 1966 г. (между стр. 160 и 161), что затрудняет пользование им при знакомстве с другими отчетами, лишен линейного масштаба. Этот недостаток присущ и ряду других

чертежей (рис. 73а, 84, 105—106). Кроме того, за исключением одного разреза (рис. 84), чертежи лишены легенд. Было бы также целесообразно и желательно отмечать на планах строительных остатков различные хронологические периоды построек. Очень досадно отсутствие планов и разрезов погребений, которым в книге уделено столь большое внимание. Хотя фотографические иллюстрации в целом отвечают требованиям, было бы желательно сопровождать изображенные на них вещи либо линейными масштабами, либо указанием масштабов в подписях к рисункам. В заключение отметим, что краткие резюме на русском языке и совсем уж краткая аннотация ко всей книге на английском явно не могут удовлетворить потребности подавляющего числа специалистов, глубоко заинтересованных в детальном изучении результатов раскопок в Вани, но лишенных возможности читать по-грузински. Очень хорошо, что список иллюстраций опубликован параллельно на трех языках — грузинском, русском и английском, но этого все же недостаточно. При все возрастающем интересе историков, археологов и искусствоведов к древностям Вани крайне желательно издание всех материалов параллельно на грузинском и русском языке, как это сделано в настоящем томе по отношению к вводной статье О. Д. Лордкипанидзе. Учитывая большую научную значимость и остальных материалов, опубликованных в этом томе, хотелось бы высказать пожелание, чтобы он целиком был переиздан на русском языке, что чрезвычайно расширило бы круг его читателей.

Приведенные критические замечания, касающиеся частных, порой технических вопросов, нисколько не влияют на общую весьма высокую оценку труда. Выход в свет «Вани 1» — крупное событие не только грузинской, но и всей советской археологии.

Автору настоящей рецензии посчастливилось неоднократно посещать раскопки в Вани и наблюдать неуклонный качественный рост экспедиции. В настоящее время раскопки в Вани осуществляются большим высококвалифицированным коллективом специалистов, возглавляемым О. Д. Лордкипанидзе, коллективом, слаженности работы, энтузиазму и самоотверженности которого можно дать лишь самую высокую оценку. Успеху работы способствует превосходно организованная и хорошо оснащенная экспедиционная база. Хочется от души пожелать коллективу Ванской археологической экспедиции новых больших успехов и открытий и скорейшей подготовки к изданию очередных томов столь хорошо и своевременно задуманной серии.

И. Б. БРАШИНСКИЙ

ქრონიკა და ინფორმაცია

უნგრელი ისტორიკოსის ლაიოშ ტარდის დაბადების 60 წლისთავი

უნგრელი ისტორიკოსი ლაიოშ ტარდი უკვე რამდენიმე ათეული წელია, რაც დიდ და ნაყოფიერ კვლევით მუშაობას ეწევა უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობისა და საქართველოს ისტორიის დარგში.

ლაიოშ ტარდი დაიბადა 1914 წლის 28 ივლისს ბუდაპეშტში. კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, დაამთავრა ბუდაპეშტის უნივერსიტეტის ორი ფაკულტეტი — იურიდიული და ფილოლოგიური, ხოლო მუშაობა დაიწყო ისტორიის დარგში. 1954 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1973 წლის, მაისში თბილისში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ლაიოშ ტარდიმ წარმატებით დაიცვა დისერტაცია ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „შუაევროპული საზოგადოებრივი აზრი საქართველოზე და საქართველო-უნგრეთის ურთიერთობა XVI საუკუნეში“.

ამ ნაშრომში მოცემულია როგორც საქართველოს, ისე საქართველო-უნგრეთის ურთიერთობის შესახებ უნგრულ, გერმანულ, ლათინურ, იტალიურ, ფრანგულ, ინგლისურ, ესპანურ და პორტუგალურ ენებზე არსებული საინტერესო, მათ შორის ბევრი დღემდე ჩვენთვის უცნობი დოკუმენტური მასალა.

საქართველოსა და საქართველო-უნგრეთის ურთიერთობის საკითხებს დაწყებული XIII საუკუნიდან დღემდე ლაიოშ ტარდი ათეული წლებია იკვლევს. ამ დარგში მას გამოქვეყნებული აქვს 200-მდე ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიებიც. მისი ზოგიერთი ნაშრომი ეხება უნგრეთ-რუსეთის ურთიერთობასაც. ლაიოშ ტარდის ნაშრომები იბეჭდება არამარტო უნგრეთში, არამედ ავსტრიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში და ევროპის სხვა ქვეყნებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გამოკვლევა ქართლის მეფის სიმონ I შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა ფრანგულ ენაზე საფრანგეთში. ნაშრომში თავმოყრილია ევროპის ქვეყნების არქივებსა და წიგნთსაცავებში ავტორის მიერ მოპოვებული დღემდე უცნობი დოკუმენტური მასალა, რომელიც შუქს ჰფენს სიმონ მეფის საგარეო-პოლიტიკურ მოღვაწეობას.

საქართველოში ქართულ ენაზე ითარგმნა ლაიოშ ტარდის ისტორიულ-ბიოგრაფიული ხასიათის რომანი „იაკუბ ბეი“. იგი ეხება ერეკლე II დროის საქართველოს, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობას.

საქართველოსა და საქართველო-უნგრეთის ურთიერთობის საკითხებზე ლაიოშ ტარდის კვლევის წარმატება განაპირობა, ჯერ ერთი, იმან, რომ გარდა თავისი მშობლიური უნგრულისა მან კარგად იცის რუსული და დასავლეთევროპული ენები; მეორე, სისტემატურად მუშაობს ევროპის ქვეყნების არქივებსა და წიგნთსაცავებში, სადაც მიაკვლია ისეთ უნიკალურ მასალას, რომელიც შუქს ჰფენს აქამდე ბურუსით მოსილ საკითხებს. ლაიოშ ტარდის კონტაქტი აქვს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ევროპის ქვეყნების ისტორიის განყოფილებასთან და თანამშრომლობს მასთან.

ლაიოშ ტარდი ამჟამად ბუდაპეშტში უნგრეთის არქეოლოგიური ბიბლიოთეკის დირექტორია. იგი არის უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების აქტიური წევრი.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ დიდად დააფასა ლაიოშ ტარდის სამეცნიერო მოღვაწეობა, კერძოდ, მისი ღვაწლი ჩვენი ქვეყნების ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით დააჯილდოვა შრომის ორდენით.

უნგრეთის ცენტრალურმა გაზეთმა „მადიარ ნენზიმ“ მის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას მიუძღვნა ვრცელი სტატია, სადაც განსაკუთრებით ხაზგასმულია ლაიოშ ტარდის ქართველოლოგიური მოღვაწეობა.

ქართველი კოლეგები ულოცავენ ქართული კულტურის დიდ მეგობარს ლაიოშ ტარდის დაბადების 60 წლისთავს, უსურვებენ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ახალ ნაყოფიერ მოღვაწეობას სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

პროფ. ა. აფაქიძის დაბადების 60 წლისთავი

ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ ანდრია მელიტონის ძე აფაქიძეს დაბადების 60 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წელი შეუსრულდა. იგი დაიბადა 1914 წლის 3 სექტემბერს სოფელ ზანაში (ცხაკაიას რაიონი). პირველდაწყებითი სწავლა სოფლის არასრულ საშუალო სკოლაში მიიღო, შემდეგ სწავლა განაგრძო ცხაკაიას პედტექნიკუმში. 1932 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1937 წელს.

არქეოლოგიაში მუშაობა ა. აფაქიძემ დაიწყო ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში. 1935 წელს პროფ. გ. ნიორაძემ ის ჩარიცხა განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ არქეოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. აქედან მოყოლებული 40 წლის განმავლობაში ა. აფაქიძე წარმატებით განაგრძობს კვლევა-ძიებას საქართველოს არქეოლოგიაში. მან თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის ნივთიერი კულტურის შესწავლის საქმეში, ქართული საბჭოური არქეოლოგიის განვითარებაში. 1941 წელს ა. აფაქიძემ პირველმა საქართველოში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია არქეოლოგიაში, ხოლო 1959 წელს ასევე პირველმა მოიპოვა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1943 წელს იგი დანიშნეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორად და მთელი ათი წლის განმავლობაში უძღვებოდა ამ რთულ უბანს.

ამჟამად პროფ. ა. აფაქიძე ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ანტიკური ხანის არქეოლოგიის განყოფილებას.

პროფ. ა. აფაქიძე 70-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე. 1963 წელს მონოგრაფიისათვის — „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძვლ საქართველოში" — ა. აფაქიძეს მიენიჭა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის პრემია. იგი 25 წლის მანძილზე მონაწილეობდა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში, ხელმძღვანელობდა არმაზისხევის, ბაგინეთის, წიწამურის, სარკინესა და მთაქართლის არქეოლოგიურ გათხრებს.

პროფ. ა. აფაქიძის სახელთან არის დაკავშირებული ბრწყინვალე ძეგლების აღმოჩენა მცხეთის შიდა ციხის (ბაგინეთის) ტერიტორიაზე. მასვე ეკუთვნის კლასიკური წყაროების „პარმოზიკეს", და „სევსამორას" ლოკალიზაცია. მისი თანაავტორობით გამოსულმა არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლების გათხრების მეცნიერულმა ანგარიშებმა (მცხეთა, I) მსოფლიო არქეოლოგების ყურადღება მიიპყრო.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირში პირველი წყალქვეშა არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა 1953 წ. სოხუმის ყურეში, ა. აფაქიძის ხელმძღვანელობით. ამ დროიდან მოყოლებული მისი სამეცნიერო ინტერესები საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქებს უკავშირდება. იგი ხელმძღვანელობს ბიჭვინთის არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომელმაც არაერთი უნიკალური ძეგლი აღმოაჩინა. პროფ. ა. აფაქიძე მონაწილეა კლასიკური არქეოლოგიის VII, VIII და IX საერთაშორისო კონგრესებისა იტალია, საფრანგეთსა და სირიაში (1958, 1963, 1969 წწ.).

სამეცნიერო, საველე-არქეოლოგიურ საქმიანობასთან ერთად ა. აფაქიძე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დიდი როლი შეასრულა მან არქეოლოგთა კადრების მომზადების საქმეში. მისი გამოზრდილი არქეოლოგები წარმატებით მუშაობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

პროფ. ა. აფაქიძე ცნობილია, როგორც საზოგადო მოღვაწე. იგი არის კულტურის ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი და სხვ.

სსრ კავშირის დიდი სამამულო ომის გამოცხადების პირველსავე დღეებში ა. აფაქიძე გაწვეული იყო მოქმედ არმიაში, იბრძოდა სტალინგრადისა და ჩრდილოკავკასიის ფრონტებზე. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით და სსრ კავშირის მედლებით. იგი არის სკკპ წევრი 1939 წლიდან.

ჩვენი სამეცნიერო საზოგადოება მხურვალედ ულოცავს პროფ. ა. აფაქიძეს დაბადების 60 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წლისთავს, უსურვებს მას ჯანმრთელობას და შემდგომ წარმატებებს სამეცნიერო და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის 1978 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილი საანგარიშო სესია

1974 წლის 15 მარტიდან 25 აპრილამდე მიმდინარეობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ 1973 წელს ჩატარებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს, აგრეთვე, ქუთაისის, ბათუმის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებმა. გამოიცა სესიაზე წასაკითხი მოხსენებების კარგად ილუსტრირებული მოკლე შინაარსები ქართულ და რუსულ ენებზე.

სესიის მუშაობის გეგმა ითვალისწინებდა მოხსენებების მოსმენას სხვადასხვა პერიოდების მიხედვით: დაწყებული ქვის ხანის ადრეული პერიოდიდან ვიდრე გვიანფეოდალური ეპოქის ჩათვლით.

სესიაზე მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებები:

1. „სამეგრელოს ქვის ხანის საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგების“ შესახებ მოხსენებით გამოვიდა გ. გრიგოლია (თანაავტორი მ. ნიორაძე). მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ექსპედიციამ ცხაკაიასა და წალენჯიხის რაიონებში გამოაელინა ქვის ხანის ოცზე მეტი ახალი ძეგლი, რომელთა ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი ემთხვევა მუსტიეულ პერიოდს, ხოლო ზედა — ახალი ქვის ხანის საფეხურებსაც მოიცავს. აღსანიშნავია სამუშაოები საკაჟიას მღვიმეში (თერჯოლის რ-ნი), სადაც აღმოჩნდა მეცნიერებისათვის დღემდე უცნობი ქვედაპალეოლითური (მუსტიე) კულტურული ფენა და, აგრეთვე, სამუშაოები სოფ. ხორშის (ცხაკაიას რ-ნი) ნეოლითურ სადგომზე.

2. „შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში“ წარმოადგინა ნ. ბერძენიშვილმა (თანაავტორები ზ. წერეთელი, კ. კალანდაძე, გ. ხუბუტია). ექსპედიცია ორ რაზმად მუშაობდა. პირველი — გათხრით სამუშაოებს აგრძელებდა ჩხორთოლის ნეოლითურ ნამოსახლარზე, ხოლო მეორე რაზმმა, ზღვისპირეთში ქვის ხანის ახალი ძეგლების გამოვლენის მიზნით, დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა მდ. მდ. ბზიფის, წარჩეს და მოქვის ხეობებში.

3. მოხსენებით „თრიალეთის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიცია“ გამოვიდა მ. გაბუნია. ექსპედიციამ საანგარიშო წელს სამუშაოები ჩაატარა სოფ. ქოსალარის (თეთრი წყაროს რ-ნი) მიდამოებში.

მოპოვებული მასალა ტიპოლოგიურად ნეოლითურ ხანას მიეკუთვნება. ექსპედიციამ მოიხილა, აგრეთვე, ხრამის ხეობაში მრავალი მღვიმე, რომელთა მიდამოებში მეზოლითამდელი პერიოდის უამრავი ობსიდიანის იარაღ-ანატკეცი ყრია, თვით მღვიმეში კი არაფერი ჩანს.

4. „უძველესი ნასოფლარის ნაშთი აბასთუმნიდან“ — მოხსენებით გამოვიდა კ. კალანდაძე. მან აღნიშნა, რომ მესხეთ-ჯავახეთის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციის ერთი რაზმი მცირე მასშტაბის გათხრებს ატარებდა დაბა აბასთუმანში ყანობილის მთის ძირას შემთხვევით მიკვლეულ უძველეს ნამოსახლარზე. გაირკვა, რომ აქ არსებობს ადრესამწყათმოქმედო და მესაქონლე ტომების უძველესი ნასოფლარი, რომელიც თავისი კულტურით ახლო დგას წინა აზიისა და კავკასიის გვიანნეოლითურ და ენეოლითურ ძეგლებთან.

5. „ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგებზე“ ილაპარაკა ტ. ჩუბინიშვილმა (თანაავტორი ლ. ჭელიძე, ლ. ნებიერიძე, გ. მირცხულავა, ე. ლისიცინა, მ. ყარაშვილი). საანგარიშო პერიოდში, აღნიშნა მან მოხსენებაში, ექსპედიციამ გააგრძელა გათხრები ბოლნისის რაიონის სოფ. არუხლოსთან არსებულ ადრესამწყათმოქმედო კულტურის (ძვ. წ. V—IV ათასწლ.) ორ სამოსახლოზე (არუხლო I და II). ექსპედიციის ერთ-ერთ მთავარ საკითხს შეადგენდა მიწათმოქმედების სისტემის გარკვევა.

ექსპედიციამ, აგრეთვე, წოფის ნამოსახლარის (მარნეულის რაიონი) სტრატიგრაფიის დადგენის მიზნით გაჭრა სადაზვერვო თხრილები, რამაც კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა, რომ წოფის ნამოსახლარზე „მტკვარ-არაქსისამდელი“ ფენები უძრავ მდგომარეობაში არ შემონახულა.

6. საყურადღებო მასალა იყო მოყვანილი ი ცვინარიას მოხსენებაში „გუანდრას ნასახლარის გათხრები“. ს. გუდაუთთან მდებარე გუანდრას ნამოსახლარზე დადასტურებულია რამოდენიმე ფენა, ამათგან I ანტიკური დროისაა, II — ადრე ბრინჯაოს განეკუთვნება, ხოლო III — ენეოლითის დროის ნაშთებს შეიცავს. ავტორის ვარაუდით ადრე ბრინჯაოს დროის მასალები ახლო პარალელებს პოულობენ ოჩამჩირის სინქრონულ მასალებთან, ხოლო ენეოლითის პერიოდის მასალები გარკვეულად უკავშირდებიან ყუბანისპირეთის ძეგლებს: მეშოკოს, მაიკოპს და სხვ.

7. „კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია“ — ასეთი იყო კ. ფიცხელაურის მოხსენების თემა (თანაავტორები ნ. ბამაიაშვილი და შ. დედაბრიშვილი). საანგარიშო წელს ძირითადი სამუშაოები მიმდინარეობდა „ალაზნის ველის დიდ გორასამარხზე“. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, აქ წარმოდგენილი კონსტრუქციის გორასამარხის აღმოჩენა, რომელიც ძვ. წ. III ათასწლ. დასასრულს მიეკუთვნება, კავკასიაში პირველი შემთხვევაა.

ექსპედიციას მოუხდა № 2 გორასამარხის თხრის დაწყებაც, რომელიც წნორის მეცხოველეობის სახნავის ტერიტორიაზე მდებარეობს. საინტერესო მონაპოვარი იყო გორასამარხის ყრილის ქვეშ. ცენტრალურ ნაწილში მიწაში ამოღებული ოთხკუთხი დასაკრძალავი დარბაზი, რომლის კონტურები შემოიხაზა გადამხურავი ძელების ნაშთების მიხედვით. სამარხში აღმოჩნდა ორი მიცვალებული. ამათგან ერთი სრულიად უინვენტარო, ხოლო მეორის თავის არეში აღმოჩნდა 60-ზე მეტი ბიკონუსური ფორმის ოქროს მძივი, ვერცხლის სამაჯურები და სხვ. სამარხის ცენტრალური ნაწილი ხის ურემს ეკავა. მასზე დაწყობილ მრავალ თიხის ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა ოქროს საკინძი, ლომის ოქროს ქანდაკება, ოქროს გარსაკრავი, ოქროს მილაკი, ბრინჯაოს მრგვალი ფირფიტა, ძელის და ობსიდიანის ისრისპირები და სხვ. სამარხის იატაკის მოლესილობაში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ოქრო. გორასამარხი № 2 წინასწარულად ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრული საუკუნეებით თარიღდება.

გაითხარა, აგრეთვე, ერთი სამარხი, რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებით თარიღდება. ალაზნის ველის სამხრეთ ნაწილში გამოვლინდა აქემენიდური ხანის მასალებიც, ხოლო მის დასაელეთ ნაწილში — რამოდენიმე დიდი გორასამარხი, ერთი დიდი ნამოსახლარი ბორცვი გვიანბრინჯაო-რკინის ხანის, ამავე დროის სამაროვანი და გვიანფეოდალური ხანის ციხის ნანგრევები.

8. რ. აბრამიშვილის მოხსენებაში „დიდი თბილისის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში“ (თანაავტორი ვ. ნიკოლაიშვილი, ნ. ოქროპირიძე, ა. რამიშვილი) შეჯამებული იყო ფართო ხასიათის სამუშაოები, რასაც ექსპედიცია აწარმოებდა დიღმის ხეობასა და დიდი თბილისის ტერიტორიაზე. საანგარიშო წელს ითხრებოდა ბრინჯაო-რკინის ხანის ნასახლარები და სამაროვნები. აღნიშნულ ტერიტორიაზე გაითხარა 22 სამარხი, რომელთა შორის უძველესები შუა და გვიანბრინჯაოს პერიოდს განეკუთვნებიან. სამარხები, მათში აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით, დროის დიდ მონაკვეთს მოიცავენ (ძვ. წ. XIII—XII სს. I ნახევარი — ძვ. წ. V ს-ის I ნახევარი).

თრელიგორების მეორე ბორცვის აღმოსავლეთ ფერდზე ითხრებოდა, აგრეთვე, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნასახლარი, სადაც გამოვლინდა სათავსები და მათ მიდამოებში სხვადასხვა სამშენებლო დონეები. ძალზე საყურადღებო მასალა იქნა მოპოვებული № 36 სათავსში, რომელიც დაახლოებით ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებით თარიღდება.

გათხრებით გამოვლენილი იყო, აგრეთვე, აბსიდიან ნაგებობის (აბანოს) ნაშთებიც, რომლის თარიღი III—IV საუკუნეებით განისაზღვრება.

ექსპედიცია აწარმოებდა დაზვერვებსაც, რის შედეგადაც დიღმის ხეობაში და დიდგორის მიდამოებში გამოვლინდა სხვადასხვა დროის ნასახლარები და სამაროვნები.

9. „მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის წინასწარი ანგარიშის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ო. ღამბაშიძე (თანაავტორი ვ. ართილაყვა). საანგარიშო წელს ექსპედიცია განაგრძობდა „ჩიტახევის მიწების“ მრავალფენიანი სამაროვნის შესწავლას (ბორჯომის რ-ნი). გაითხარა 13 ქვით ნაგები და 18 ორმო-სამარხი.

სამარხები მათში აღმოჩენილი სხვადასხვა სახის ინვენტარის მიხედვით შემდეგნაირად თარიღდებიან: I ჯგუფი მიეკუთვნება შუაბრინჯაოს ხანიდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ პერიოდს (ძვ. წ. XV ს.); II ჯგუფი — ძვ. წ. XIV—XIII სს.; III ჯგუფი — ძვ. წ. VIII—V სს.; VI ჯგუფი — ძვ. წ. II და I ათასწლეულის მიჯნის საუკუნეებს, ხოლო V ჯგუფი — ძვ. წ. I ათასწლეულის I მეოთხედს.

გარდა სამაროვნისა, გაითხარა, აგრეთვე, შუასაუკუნეთა ნამოსახლარი, სადაც აღმოჩნდა მარანი, რომლის ნაშთები IX—XIII საუკუნეებში თავსდება.

10. ბ. ტეხოვმა წაიკითხა მოხსენება „არქეოლოგიური გათხრები სამხრეთ ოსეთში“. საანგარიშო წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-

აკლეევითი ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია ორ ჯგუფად მუშაობდა დიდი ლიახვის ხეობაში. პირველი ჯგუფი იკვლევდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანისა და ანტიკური ხანის ძეგლებს, მეორე — გვიანფეოდალური ხანის ძეგლებს.

თლის სამაროვანზე გაითხარა 32 სამარხი. სამარხებში აღმოჩნდა საინტერესო მასალა, რომელიც თარიღდება ძვ. წ I ათასწლეულის პირველი ნახევრით.

სოფ. სტირფაზთან გაითხარა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნასახლარი. ბორცვის — „ცარციათი კაძახის“ ჩრდილო ფერდობზე მიკვლეული ნასახლარი თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოთი და I ათასწლეულის დასაწყისით.

იმავე ბორცვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე გაითხარა გვიანანტიკური ხანის სამაროვანი. გამოელინდა 15 სამარხი და ანტიკური ხანის ნასახლარის ნაშთები.

11. ასევე საყურადღებო მასალა იყო მოყვანილი თ. მიქელაძის მოხსენებაში „კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიების შედეგები (თანაავტორები გ. ფხაკაძე, მ. ბარამიძე, გ. ლორთქიფანიძე, დ. მუსხელიშვილი, დ. ხახუტაიშვილი). როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ექსპედიცია მუშაობდა მდ. მდ. აბაშის, რიონის, ხობისა და ინგურის აუზებში. მუშაობა წარიმართა შემდეგ ობიექტებზე: ა. სოფ. საელიაოში ბორცვ „კურზიანზე“, სადაც შესწავლილ იქნა 3 კულტურული ფენა, აქედან I — ძვ. წ. Iათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. II-ის ასაკი გვიანბრინჯაოს ხანის საწყისი საუკუნეებით განისაზღვრება, ხოლო III ფენა, საეარაუდოა, ადრებრინჯაოს ხანას ეკუთვნოდეს.

ექსპედიციამ მდ. აბაშის მარცხენა ნაპირის მესამე ტერასაზე ნეოლითის თუ ადრე ენეოლითის დასახლების ნაშთებს მიაკვლია.

ბ. სოფ. წყემში № 3 ბორცვზე სადაზვერვო სამუშაოებმა სტრატიგრაფიულ ჭრილში დაადასტურა გვიანბრინჯაოს ხანის 4 კულტურული ფენა, რომლებიც წარმოდგენილია ერთმანეთისაგან ლითოლოგიურად განსხვავებული 10 შრის სახით.

გ. ყულიევში მდ. ხობისპირა ნასახლარის პირველ უბანზე დამთავრდა ახ. წ. IV—V საუკუნეებში აგებული საფორტიფიკაციო ტიპის ნაგებობების გამოვლენა და იქ არსებული „ზვინულის“ შესწავლა. მეორე უბანზე გამოვლინდა 5 დონე (ფენა), რომელთაგან პირველი — XIX საუკუნისაა, მეორე — შუასაუკუნეების, მესამე — ძვ. წ. VII—V საუკუნეების, ხოლო მეოთხე ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნას მიეკუთვნება. მასალის სიმცირის გამო ვერ მოხერხდა მეხუთე დონის ასაკის განსაზღვრა.

დ. ანაკლიის დიხა-გუძუბა II-ზე გამოვლენილი ხის კონსტრუქციის ნაწილი, აგრეთვე, ნამოსახლარის არსებობასთან დაკავშირებული სხვა ნაშთების აღმოჩენაც უდავოდ ადასტურებს აქ ძვ. წ. VI—V საუკუნეების მნიშვნელოვანი ნამოსახლარის არსებობას.

ე. საქორქიოში სიმაგრის დასახლების შესწავლასთან ერთად მიმდინარეობდა რიონის მარცხენა ტერასის დაზვერვები, რის შედეგადაც მიკვლეულია ძვ. წ. V—IV საუკუნეების ნასახლარები, რომლებიც დასახლების სისტემას ქმნიან. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მას ადგილი აქვს ძველი ფასისის უშუალო სიახლოვეში.

ვ. საანგარიშო წელს სიმაგრის ნამოსახლარზე მოპოვებულმა მასალებმა დაადასტურა ადრეე შემუშავებული თარიღი: უძველესი, მეორე ფენის ნასახლარი არ სცილდება ძვ. წ. VI ს-ის უკანასკნელ მეოთხედს, ხოლო პირველი ფენის ნასახლარი — ძვ. წ. V ს-ის პირველ ნახევარს.

12. შ. ჩართოლანის მოხსენებაში წარმოდგენილი იყო სვანეთის არქეოლოგიური კვლევის ძირითადი შედეგები. მან აღნიშნა, რომ იფარის, მულახის და მესტიის ტერიტორიაზე მიკვლეულია ადრე, შუაბრინჯაოს, ანტიკური და ფეოდალური ხანის რამოდენიმე ობიექტი. სვანეთის კომპლექსური ექსპედიციის მიერ მოპოვებული სხვადასხვა სახის მასალები გარკვეულ წარმოდგენას იძლევა უძველესი რელიგიური რწმენა-წარმოდგენის შესახებ.

13. „კასპის და გორის რაიონების არქეოლოგიური ექსპედიციის“ შედეგები შეაჯამა გ. ცქიტიშვილმა (თანაავტორები ზ. შატბერაშვილი, ჯ. გვასალია, ა. ნუცუბიძე, ჯ. გვეტაძე, შ. ირემაშვილი, გ. ხუბუტია, მ. ყარაშვილი, გ. ჯინჯიხაშვილი, რ. კვიტაშვილი, თ. ჩიმაკაძე). საანგარიშო წელს ექსპედიცია ორი მიმართულებით მუშაობდა. 1. ძეგლების აღრიცხვა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა ნუსხისათვის და 2. გათხრების გაგრძელება კავთისხევის „ციხიაგორაზე“.

ექსპედიციის მიერ, კასპისა და გორის რაიონების ტერიტორიაზე, სულ მიკვლეულ იქნა 89 ძეგლი, ამათგან 18 წინაფეოდალური ხანის სამაროვნები და ნამოსახლარებია, დანარჩენი კი ფეოდალური ხანის ნასოფლარ-ნაეკლესიარები და სამაროვნები.

საყურადღებოა სოფ. ნოსტეს მიდამოებში ძველი ქვის ხანის 9 სადგომის მიკვლევა (აშელი, მუსტიე, ზედა პალეოლითი), რაც პირველი შემთხვევა უნდა იყოს შიდა ქართლის მტკვრის

მარჯვენა სანაპიროზე. კავთისხევის მიწებში ორ სამოსახლო ბორცვზე დადასტურდა გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კულტურული ფენები.

გათხრების შედეგად გაირკვა, რომ „ციხიაგორა“ კომპლექსური ძეგლია. იგი შედგება გორისა, ნასოფლარისა და სამაროვნისაგან. დადასტურებულია ადრე და გვიანბრინჯაოს ხანის, აგრეთვე, ანტიკური პერიოდის ფენები. განსაკუთრებით საინტერესოა ძვ. წ. IV—III ს-ის ნაგებობები. გაითხარა სატაძრო ნაგებობების ნაწილი, რომლებიც მსგავსებას იჩენს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დაცულ საკულტო ნაგებობებთან.

14. მოხსენებით — „ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები“ — გამოვიდა ო. ლორთქიფანიძე (თანაავტორები რ. ფუთურიძე, გ. ლეჟავა, ნ. მათიაშვილი, ა. ჭყონია, ი. კაჭარავა, მ. მიწიშვილი, ე. თოლორდავა, გ. ლორთქიფანიძე, ნ. კიღურაძე, ე. გიგოლაშვილი). საანგარიშო წელს ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია განაგრძობდა გათხრებს ვანის ნაქალაქარზე და მის გარეუბნებში: ციხე სულორის ნაციხვარზე, სოფ. დაბლაგომსა და დაფნარში.

ვანის ნაქალაქარზე გათხრები ძირითადად სამ უბანზე წარმოებდა.

1. ქვედა ტერასაზე აღმოჩენილია საკმაოდ გრანდიოზული სატაძრო-საკულტო ნაგებობათა კომპლექსი, რაც ძვ. წ. II—I ს-ის მასალებითაა წარმოდგენილი.

2. ცენტრალურ ტერასაზე გათხრები მიმდინარეობდა ე. წ. თეთრი ქვით ნაგები შენობის შიგნით. შესწავლილი მასალა (ქვევრი), კოლხური და იმპორტული ამფორების, სუფრის და სამზარეულო ჭურჭლის ფრაგმენტები, საწაფები, ძვ. წ. I საუკუნით თარიღდება.

3. ბორცვის თავზე თხრა წარმოებდა საფეხურებიანი საკურთხეველის აღმოსავლეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით. აქ გამოვლენილი კულტურული ფენები ქრონოლოგიურად დროის დიდ მონაკვეთს მოიცავენ — საშუალო საუკუნეებიდან წინარეანტიკურ ხანამდე. ადრეანტიკური და ელინისტური ხანის ნაშთები ფიქსირებულია საანგარიშო წელს შესწავლილ თითქმის მთელ ფართობზე.

ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთი რაზმი (ხელმძღვანელი მ. მიწიშვილი) კვლავ მუშაობდა ციხესულორის ნაციხვარზე, სადაც გამოიყო ოთხი სამშენებლო პერიოდი: ადრეანტიკური, ელინისტური ხანა, ადრე შუასაუკუნეებისა და გვიან შუასაუკუნეების ხანა.

ექსპედიცია გათხრებს აგრძელებდა სოფ. დაბლაგომის მიდამოებში ნასაკირევისა და ნაციხვარის ბორცვებზე, სადაც ელინისტური ხანის ქვევრსამარხთა ნაშთებია ფიქსირებული. აგრეთვე, ნასაყდრევის ბორცვზე, რომელიც გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარ გორას უნდა წარმოადგენდეს.

არქეოლოგიური სამუშაოები განაახლა დაფნარის რაზმმა (ხელმძღვანელი ნ. კიღურაძე), რომელმაც „ჩაის გორის“ სამხრეთ კალთაზე ძვ. წ. V—IV საუკუნეების რკინის სადნობი ქურის ნაშთები მოიპოვა. „დაფნის გორის“ ჩრდილო-დასავლეთ კალთებზე გაითხარა, აგრეთვე, ძვ. წ. IV—III საუკუნეებითა და ძვ. წ. II საუკუნით დათარიღებული სამი ქვევრსამარხი.

15. „ბიჟვინთის არქეოლოგიური ექსპედიცია“ — ასეთი იყო ა. აფაქიძის მოხსენების თემა. ექსპედიცია განაგრძობდა ციხე-ქალაქის შიდა ნაწილის კვლევას და თხრიდა „დიდი პიტიუნტის“ სხვადასხვა უბანს. შეისწავლებოდა ქვედა (ძველი) სამშენებლო ჰორიზონტის ნაგებობათა ფრაგმენტები. სვეტის საყრდენები მიუთითებენ, რომ პიტიუნტის უძველესი ტაძარიც ბაზილიკური ნაგებობა ყოფილა, კოლონებით — სვეტებით დაყოფილი სამ უმთავრეს ნაწილად, სამ ნავად.

სოფ. ალაპაძში აპაშნიკ ბორცვზე ადრე გათხრილი დიდი ტაძრის იატაკის დაცვის მიზნით ექსპედიციამ განახორციელა საკონსერვაციო სამუშაოები.

16. „ბათუმის არქეოლოგიური ექსპედიციის 1973 წლის დაზვერვების ანგარიში“ გააკეთა ს. გოგიტიძემ (თანაავტორი — ა. ინაიშვილი). ექსპედიციამ აჭარის წყლის ხეობასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირა ზოლში მიაკვლია, როგორც ქვის ხანის, ასევე ბრინჯაოსა და წინაანტიკური ხანის ნაშთებს. სტაციონარული გათხრები განახორციელა ფიჟვნარის ანტიკური ხანის ნაქალაქარზე და აწარმოვა, აგრეთვე, დაზვერვითი სამუშაოები სოფ. ქობულეთის ადრენეოლითურ ნამოსახლარზე.

17. ფიჟვნარის სამაროვნის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შესახებ მოხსენება გააკეთა ა. კახიძემ (თანაავტორები ნ. ვაშაკიძე, ლ. ჩხაიძე, ა. ინაიშვილი). ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის ფიჟვნარის რაზმმა საანგარიშო წელს სამუშაოები განაგრძო ძვ. წ. V ს-ის ბერძნული სამაროვნის ტერიტორიაზე, სადაც გამოვლენილ იქნა 7 ინჰუმაციური და 2 კრემაციული სამარხი.

გათხრების მეორე ობიექტს ფიჟვნარის ადრეელინისტური ხანის სამაროვნის ტერიტორია

წარმოადგენდა, სადაც გაითხარა ერთი სამარხი, დანარჩენ ფართობზე გამოვლენილ იქნა ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის კულტურული ფენა.

18. „ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგებზე" მოხსენება წაიკითხა ა. ბოხოჩაძემ. ექსპედიცია მუშაობდა ძირითადად ნასტაკისის ველზე, მცირე გათხრითი სამუშაოები ჩაატარა ძალისში, ხოლო დაზვერვები — მუხრანის ველზე.

ნასტაკისის ველზე, ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილ იქნა მასალები, რომლებიც მოწმობენ, რომ აქ ადამიანს უცხოვრია შუა-ბრინჯაოს ხანიდან ახ. წ. VI საუკუნემდე.

ძალისას ტერიტორიაზე დასრულდა მოზაიკის იატაკიანი აბანოს გათხრა, რომელიც ახ. წ. II საუკუნეს მიეკუთვნება. მიკვლეულ იქნა სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები, სამაროვანი და სხვ.

სოფ. მუხრანის მიდამოებში მიკვლეულ იქნა ყორღანი და სამოსახლო გორა, რომლის ზედაპირზე შეგროვებულ იქნა ბრინჯაოსა და მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი ჭურჭლის ნატეხები.

19. მოხსენებით „რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის იაღლუჯის რაზმის მუშაობის ანგარიში" გამოვიდა გ. ნასიძე (თანაავტორი ც. ჩიკოიძე). გათხრებმა გამოავლინა ძვ. წ. III—I საუკუნეების სამარხები და ნამოსახლარის ნაშთები.

20. მოხსენება „ეშერის ნაქალაქარზე წარმოებული გათხრების შესახებ" წაიკითხა გ. შამბამ. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, საინტერესოა ეშერის ნასახლარზე აღმოჩენილი კაპიტალური ქვის ნაგებობანი, რომლებიც ძვ. წ. II—I საუკუნეებით თარიღდება.

21. ნ. თუშიშვილმა გააცნო სესიას ალგეთის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ძირითადი შედეგები (თანაავტორები ჯ. ამირანაშვილი, დ. ბერძენიშვილი, თ. თოდრია, გ. მირცხულავა).

პირველ უბანზე (ბუეღულეთის ნასოფლარი) მუშაობა მიმდინარეობდა 3 ობიექტზე, სადაც გაითხარა შუასაუკუნეების ხანის ნასოფლარი, მარანი, საწნახელი და სამაროვანი. აღნიშნული ძეგლები IV—XIII საუკუნეებით თარიღდება; მეორე უბანზე ითხრებოდა ჭალის ნასოფლარი. გამოვლენილია რამოდენიმე კულტურული ფენა, რომლებიც შეიცავენ ანტიკური და ადრეშუასაუკუნეების ხანის არქეოლოგიურ მასალებს. მესამე უბანზე, სოფ. მაწევანში მიკვლეულ იქნა ადრეანტიკური ხანის სამაროვანი, სადაც 3 სამარხი გაითხარა; მეოთხე უბანზე სოფ. ხოპისის მიდამოებში მიკვლეულია გვიან ბრინჯაოს ხანის სამაროვანი. ექსპედიციის მიერ გათხრილი ერთი სამარხი ძვ. წ. XIII—XII საუკუნეებით თარიღდება. იქვე ახლოს მიკვლეულია ქვაყრილიანი ყორღანები, რომლებიც შესაძლოა სამაროვნის თანადროული იყოს. ხოპისის ქედზე გაითხარა ახ. წ. V—VIII საუკუნეების სამარხები, ადრეშუასაუკუნეების ნაგებობათა ნაშთები და სხვ. პარალელურად მიმდინარეობდა ალგეთის ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა.

22. საყურადღებო მასალა იყო მოყვანილი რ. რამიშვილის მოხსენებაში, რომელმაც ყინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები შეაჯამა (თანაავტორები ბ. ჯორბენაძე, ლ. წითლანაძე, ზ. წერეთელი, ზ. კალანდაძე, გ. რჩეულიშვილი, მ. მარგველაშვილი, ვ. ჩიხლაძე, ივ. წიკლაური, ვ. ასლანიშვილი, ი. ბაქრაძე, გ. ღამბაშიძე).

ა. გრძელდებოდა სადაზვერვო სამუშაოები ქვის ხანის ძეგლების აღმოსაჩენად არაგვის ხეობაში (ზ. წერეთელი). ბაზალეთის პლატოზე, სოფ. მლაშესთან, აღმოჩნდა ნეოლითური მასალები, ხოლო კიშაურის ველზე მოპოვებულ იქნა მუსტიური წვეტანები და ნეოლითური საფხეკები: ბ. ბრინჯაოს ხანის ძეგლების აღმოჩენის მიზნით მუშაობა გაიშალა სოფ. ყინვალის დასავლეთ ნაპირზე (ლ. წითლანაძე). გ. არმაზული გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ძეგლები ითხრებოდა რამოდენიმე ადგილას (რ. რამიშვილი); დ. ფეოდალური ხანის ძეგლებიც ერთდროულად რამდენიმე ადგილას ითხრებოდა; კვლავ გრძელდებოდა „ნაქალაქარის" სამაროვნის შესწავლა (მესამე უბანი, ბ. ჯორბენაძე, ივ. წიკლაური).

საყურადღებო შედეგი მოჰყვა სამაროვნის ჩრდილოეთი უბნის გათხრას, სადაც გამოჩნდა ერთნაგიანი, დარბაზული ეკლესია, საკურთხეველში ორი გრძივი ნიშით, და სამხრეთი მინაშენით. ეკლესიის გარშემო გაიხსნა 118 სამარხი, რომლებიც იქ აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით შუაფეოდალური ხანით თარიღდება. თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ ზოგიერთი სამარხი შუაფეოდალურიდან გვიანფეოდალურისაკენ გარდამავალ ხანასაც ეკუთვნოდეს. ეკლესიასთან გაითხარა მიწისქვეშა თაღოვანი აკლდამა, რომლის ქვედა ფენები XII ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება.

გარდა სტაციონალური სამუშაოებისა, მნიშვნელოვანი სადაზვერვო სამუშაოები ჩატარდა მთიულეთის არაგვის ხეობაში. მცირე სადაზვერვო სამუშაოები ჩატარდა, აგრეთვე, თამარის ციხეზე, სადაც დაცულია უაღრესად მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული კომპლექსი; ე. საანგარიშო წელს ექსპედიციის მზვე-

რავმა რაზმმა (გ. ღამბაშიძე) იმუშავა მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე სოფ. ტყარშეტის მიდამოებში არსებული სამი ეკლესიის ინტერიერის არქეოლოგიურ გაწმენდაზე და შეისწავლა ამ ეკლესიებთან დაკავშირებული სამაროვნები. ეკლესიები IX-დან X—XI საუკუნეების მიჯნამდე თარიღდებიან.

23. „კუხეთის რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის“ მუშაობის შედეგები შეაჯამა ნ. უგრელიძემ (თანაავტორები თ. არჩაძე, ლ. ბასიაშვილი, მ. ჩხატარაშვილი, ე. ჯანდიერი). ფეოდალური ხანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მრავალფენიანი ძეგლის (გორგასლის ეპოქიდან — გვიანფეოდალური ხანის ჩათვლით) რუსთავის ციხის აღმოსავლეთ შიდა ზღუდეში აღმოჩნდა (III ბურჯის პერანგში) VI—VII საუკუნეების ორნამენტიანი სტელების ნაწილები, ამავე მხარეშია გამოვლენილი გარე ზღუდე (40 სმ სიგრძის), აქვე აღმოჩნდა ელინისტური ხანის მძივი (მილიფიორი), რაც პირველი შემთხვევაა ციხეზე მონაპოვართა შორის. ციხის დასავლეთ ნაწილში — ამ უბნის მთელ სიგრძეზე (58 მ) გამოვლინდა ტექნიკურად ბრწყინვალედ ნაგები ადრეფეოდალური ხანის შიდა ზღუდე — ოთხი ნახევარწრიული კონტრფორსით (ორი კოშკი და ორი ბურჯი) ამ უბანზე გათხრებმა სტრატიგრაფიული სიახლე მოგვცა: ყველაზე ადრეული ფენა გვიანბრინჯაოს ხანის ნასახლარია. ამ ფენაზე გამართულია ადრეფეოდალური ხანის შიდა ზღუდე, ხოლო მის თავზე XII—XIII საუკუნეების ნასახლარის ნაშთი.

24. მოხსენებით „ვარდციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში“ გამოვიდა ვ. ჯაფარიძე (თანაავტორი — კ. მელითაური). საანგარიშო წელს ექსპედიცია აგრძელებდა მუშაობას ვარდციხის ნაქალაქარზე (ადრე შუასაუკუნეების ძეგლი), სადაც გაითხარა C კოშკი, გამოვლენილია საფორტიფიკაციო სისტემასთან დაკავშირებული კედლების ახალი რიგი. პარალელურად მუშაობდა გეგუთის რაზმი, რომელსაც ევალებოდა არქეოლოგიური დაზვერვების და გათხრების წარმოება მდ. რიონის ორივე ნაპირზე. სოფ. გეგუთში ითხრებოდა ფეოდალური ხანის ძეგლი „რკინის ჯვარი“, „წმინდა ელია“ და კოშკი. სოფ. პატრიკეთში დაიწყო შესწავლა სამოსახლო გორისა, რომლის გარეთ, საძიებო თხრილში დადასტურდა წინარეანტიკური ხანის კულტურული ფენა. გარკვა, რომ ფეოდალურ ხანაში გორისათვის ირგვლივ რიყის ქვისაგან ნაგები ზღუდე შემოუელიათ.

მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე, სოფ. როხში მიკვლეულ იქნა ადრეფეოდალური ხანის სამოსახლოს ნაშთი. მაიაკოვსკის რაიონში ჩატარებული დაზვერვებიდან აღსანიშნავია სოფ. ქვედა დიმის სამოსახლო გორა.

25. „დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში“ წაიკითხა ვ. ჯაფარიძემ (თანაავტორები ჯ. ამირანაშვილი, კ. მელითაური). როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ექსპედიციამ დაასრულა მუშაობა ნაქალაქარის გარეუბანში ე. წ. „საყდრისქედის ეკლესიის“ გაწმენდა-შესწავლაზე. ეკლესიაში აღმოჩნდა სტელის ბაზა და ჯვარი, აგრეთვე, კანკელი შემკული ჩუქურთმებით. დმანისის ექსპედიციამ ეკლესიის სამხრეთ ფასადთან აღმოაჩინა დიდი სამშენებლო ქვა ასომთავრული წარწერით, ხოლო დასავლეთ კედლის ძირში თამარის მონეტების ორი განძი. ეპიგრაფიკული ძეგლები XII ს-ის პირველი მეოთხედით თარიღდება, ხოლო თამარის მონეტების ორი განძი საფუძველს იძლევა დავაზუსტოთ ეკლესიის აშენების თარიღი XII ს-ის დასასრულით და XIII ს-ის დასაწყისით.

26. ლ. შარვაშიძემ წაიკითხა მოხსენება „პშანდრა (აილაგა-აბიკუ)“. ძეგლი, რომელიც მდებარეობს ქ. გუდაუთთან, წარმოადგენს კომპლექსს, რომელიც შედგება დანგრეული ეკლესიის, დასაკრძალავი დარბაზისა და სხვადასხვა ნაგებობებისაგან. პშანდრას მთელი კომპლექსი შუასაუკუნეების ძეგლია და მოითხოვს დაცვას შემდგომი დანგრევისაგან.

27. „ზოგიერთი არქეოლოგიური ობიექტის არქეომაგნიტური მეთოდით დათარიღების ცდები“ — ასეთი იყო ზ. ჭელიძის მოხსენების თემა. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დათარიღების ცდომილება არ აღემატება 50 წელს. ნიმუშები, რომლებიც აღებული იყო ბიჭვინთის, ვანის კერამიკული ქურებიდან, დაფნარში გადამწვარი ალიზის კედლიდან, გამოკვლეული იყო ე. ტელიეს მიერ დამუშავებული თანდათანობითი ორმაგი გახურების მეთოდით. ექსპერიმენტების შედეგად ბიჭვინთის კერამიკული ქურა თარიღდება ახ. წელთაღრიცხვის VI ს-ის დასაწყისით, ვანის — ახ. წ. VII ს-ის პირველი ნახევრით, ხოლო გადამწვარი ალიზის კედელი — ძვ. და ახ. წელთაღრიცხვის მიჯნით.

28. ზ. ჭელიძემ თავის მეორე მოხსენებაში ისაუბრა კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გამოვლენილი სამი მატერიალური კულტურის ძეგლის არქეომაგნიტური გამოკვლევის შედეგებზე (თანაავტორი მ. კვირიკაძე), რის მიხედვითაც საქორქიოს აგურის ნაგებობა თარიღდება ახ. წ. IX ს-ის დასასრულით და X ს-ის დასაწყისით, ჭიათურის რაიონის სოფ. ვაჭევში გამოვლენილი ორი რკინის სადნობი ქურა ხერგულის კლდე I და II თარიღდება ახ. წ. IX ს-ის დასასრულით, ხოლო ჭოღა II-ის რკინის სადნობი ქურა — ძვ. წ. XIII საუკუნით.

29. მოხსენებით „ცხოველთა ძვალეულის ნაშთები ვანიდან“ გამოვიდა ან. ციციშვილი. მან აღნიშნა, რომ ვანის ნაქალაქარის პირველ უბანზე, „თეთრ შენობასთან“ 150-ე ნაკვეთში და სოფ. დაბლაგომში მოპოვებული ძვლოვანი მასალა ადგილობრივი მოსახლეობის მესაქონლეობისა და ცხერის, თხისა და ღორის მოშენების განვითარებაზე მიუთითებს, რაც შეეხება ტაძრებიდან მომდინარე ძვლებს — ისინი შეწირულ ცხოველთა ჩონჩხის ნაწილები უნდა იყოს.

სესიის ყველა მოხსენება ფართოდ იყო ილუსტრირებული დიაპოზიტივებით. მოხსენებების ირგვლივ ბევრი საინტერესო აზრი გამოითქვა, გაიმართა ცხოველი კამათი.

სესიის ბოლო სხდომაზე ო. ლორთქიფანიძემ შეაჯამა სესიის მუშაობის შედეგები. მან აღნიშნა, რომ სესია ძალიან ნაყოფიერი და საინტერესო აღმოჩნდა. 1973 წ. დიდმნიშვნელოვან არქეოლოგიურ აღმოჩენებს ჰქონდა ადგილი. რისი მოწმენიც გახდნენ სესიის მონაწილენი. მომხსენებლები არ იყვნენ შეზღუდულნი რეგლამენტით, რამაც მათ საშუალება მისცა ერცელი ინფორმაციები მოეწოდებინათ ჩვენთვის.

ო. ლორთქიფანიძემ ყურადღება შეაჩერა იმ ხარვეზებზე, რომლებიც შეინიშნებოდა საანგარიშო წლის მუშაობაში და იმ ამოცანებზე, რაც სესიამ დასახა.

მედეა ნიორაძე

ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია

მიმდინარე წლის 22—25 აპრილს ჩატარდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა მორიგი სამეცნიერო კონფერენცია. მოსმენილი მოხსენებები გამოირჩეოდა თემატიკის აქტუალობით, თანამედროვეობასთან მჭიდრო კავშირით. ახალგაზრდა მომხსენებლებმა გამოაელინეს ისტორიული პროცესების, საზოგადოების განვითარების კანონზომიერებისა და სათანადო ფაქტიური მასალის ცოდნა. სამეცნიერო კონფერენციაზე აღინიშნა მოსმენილი მოხსენებების მაღალი იდეურ-პოლიტიკური დონე, მომხსენებელთა კარგი მომზადება.

სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენებებით გამოვიდნენ: გ. გამყრელიძე — „რევოლუციამდელ საქართველოში არქეოლოგიურ კვლევა-ძიებათა ისტორიიდან“, ლ. ფაშაევა — „წალკელ ურუმთა თანამედროვე ოჯახის ეკონომიური საფუძვლები“, ე. გიგოლაშვილი — „ელინისტური ხანის კერამიკა ქ. დურა-ევროპოსიდან“, გ. ზაქარიაძე — „საბჭოთა ხალხის როლი საქართველოსათვის ეროვნული კადრების მომზადებაში (1926—1932 წწ.), მ. გოჩიაშვილი — „მოუჭიქავი თიხის ჭურჭელი კვეტერიდან“, ს. გაბუნია — „მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ზოგიერთი წეს-ჩვეულება ბასკეთში“, კ. კახიანი — „აღმოსავლურ-ამიერკავკასიული ცული“, ი. ცვინარია — «О глиняных рогатых столбиках закавказского Причерноморья в эпоху бронзы», რ. თოფჩიშვილი — „XX საუკუნის დასაწყისში ფშაველთა შირაქში ჩამოსახლების ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები“, ვ. სადრაძე „ბრინჯაოს მახვილები დიღმის ხეობიდან“, ტ. კიკნაძე — „თავისუფალი დროის პრობლემები მცირე ქალაქის პირობებში (ქ. მახარაძის მაგალითზე)“ გ. ანჩაბაძე—„სამხედრო საქმე კავკასიის მთიელ ხალხებში ევლია ჩელების ცნობების მიხედვით“, ნ. კეკელიძე — „სოციალური ინფორმაციის მოპოვების მეთოდიკის საკითხები“, რ. გაგლოევი—„Стырразский могильник V—II вв. до н. э. в свете новых археологических раскопок“, ა. კოკოევა— «Представление о загробном мире по данным нартского эпоса“, მ. წოწელია—„Памятники раннесасанидской торевтики“.

ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა და ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენციის მუშაობა შეაჯამეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჩიტაიამ, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორებმა მ. გეგეშიძემ და ა. კოპლავაშვილმა.

სოციალისტური ქვეყნების მეცნიერთა კონფერენცია ბუდაპეშტში

მიმდინარე წლის 23—25 აპრილს ბუდაპეშტში ჩატარდა ძველი აღმოსავლეთის სპეციალისტების საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მუშაობაში, გარდა სოციალისტური ქვეყნებიდან მიწვეული მეცნიერებისა, მონაწილეობდნენ აღმოსავლეთმცოდნეები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, ინგლისიდან, ბელგიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, იტალიიდან, ერაყიდან, ავსტრიიდან, ისრაელიდან და სხვ. თავისი მეცნიერული მნიშვნელობით, ისევე როგორც მონაწილეთა რაოდენობით, კონფერენცია მსოფლიო მნიშვნელობის თავკრებულს წარმოადგენდა. საბჭოთა კავშირიდან კონფერენციას ესწრებოდა ორ ათეულამდე მეცნიერი — აღმოსავლეთმცოდნე, რომელთა შორის იყო წარმოდგენილი ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექვსი თანამშრომელი: გ. მელიქიშვილი, გრ. გიორგაძე, დ. ხახუტაიშვილი, ნ. ხაზარაძე, ჯ. შარაშენიძე, რ. რცხილაძე.

კონფერენციის პლენარული სხდომა გახსნა და მიწვეულ მეცნიერებს მიესალმა პროფ. ი. ჰარმატა (უნგრეთი), რომელმაც აღნიშნა საბჭოთა მეცნიერების აქტიური და მრავალრიცხოვანი მონაწილეობა ასეთ საერთაშორისო ღონისძიებაში. პლენარულ სხდომაზე პირველი მოხსენება წაიკითხა აკად. გ. მელიქიშვილმა — „მახლობელი აღმოსავლეთის ძველ საზოგადოებათა სოციალ-ეკონომიური წყობილების საკითხის ზოგიერთი ასპექტი“. მოხსენების მნიშვნელობაზე ილაპარაკა თავის შემაჯამებელ სიტყვაში პროფ. ჰარმატამ.

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა გრ. გიორგაძემ კონფერენციას გააცნო მოხსენება „ცნება „თავისუფალი“ და „არათავისუფალი“ ხეთებთან“. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ვ. კოროშეცმა (იუგოსლავია), ა. კამენჰუბერმა (გფრ), ი. მ. დიაკონოვმა (სსსრ, ლენინგრადი).

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორ დ. ხახუტაიშვილის მოხსენების თემა იყო „ქართველურ ტომთა წვლილი რკინის მეტალურგიის წარმოებაში მახლობელ აღმოსავლეთში“. სხდომის თავმჯდომარემ პროფ. ჰ. კლენგელმა (გდრ) აღნიშნა ავტორის არქეოლოგიურ ძიებათა დიდი მნიშვნელობა.

კონფერენციამ მოისმინა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ნ. ხაზარაძის მოხსენება „ძვ. წ. IX—VII სს. აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნო-პოლიტიკური გაერთიანებების ეთნოკულტურული დახასიათებისათვის (თაბალი)“. მოხსენება შეაფასა პროფ. ზაბლოცკამ (პოლონეთი).

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ჯ. შარაშენიძემ კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება: „ძველი შუამდინარეთის სუქალმახები (ურის III დინასტია)“ მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ი. მ. დიაკონოვმა (ლენინგრადი), ჯ. პეტინაჩომ (იტალია), გ. საურელმა (გდრ), ბ. ჰრუშკამ (ჩეხოსლოვაკია).

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი რ. რცხილაძე კონფერენციაზე წარდგა მოხსენებით „აღმოსავლეთის სპეციფიკის პრობლემა ჰეროდოტეს ისტორიაში“. მოხსენების შესახებ აზრი გამოთქვა სხდომის თავმჯდომარემ პროფ. ე. ლიპინსკიმ.

კონფერენციაზე მოსმენილ იქნა მრავალი საყურადღებო მოხსენება ძველი აღმოსავლეთის სოციალ-ეკონომიური ისტორიის, სამართლისა და ფილოლოგიის საკითხებზე. მათ შორის აღსანიშნავია მ. დანდამაევის (ლენინგრადი) მოხსენება, რომელიც შეეხებოდა ახალი ბაბილონის სამეფოს საზოგადოების სოციალურ სტრატიფიკაციას. კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ი. მ. დიაკონოვის მოხსენება პატრიარქალური მონობის შესახებ ძველ მახლობელ აღმოსავლეთში. სულ კონფერენციაზე მოსმენილ იქნა ორმოცზე მეტი მოხსენება. მოხსენებათა თეზისები დაიბეჭდა უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობაში. განზრახულია უახლოეს მომავალში გამოიცეს მოხსენებათა სრული ტექსტები.

რუსუდან რცხილაძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია

1974 წლის 8—10 აპრილს ჩატარდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია.

მოხსენებით „საქართველოში კულტურული რევოლუციის განხორციელების ეტაპები და თავისებურებანი“ გამოვიდა პროფ. ი. კაჭარავა. მან განმარტა საკითხის მნიშვნელობა და მისი გაშუქების ძირითადი მიმართულებანი; ხაზი გაუსვა, რომ ზოგიერთი მკვლევრის მიერ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია უმართებულოდაა მიჩნეული კულტურული რევოლუციის ერთ-ერთ ამოცანად. ნამდვილად კი, მომხსენებლის აზრით, იგი წარმოადგენს კულტურული რევოლუციის ისეთივე დამაბრკოლებელ ფაქტორს, როგორიცაა მისთვის „საჭირო მატერიალური ბაზის“ უქონლობა.

შემდეგ მომხსენებელმა ჩამოაყალიბა საქართველოში კულტურული რევოლუციის ძირითადი ამოცანები და შეეხო ისეთ საკითხებს როგორიცაა: 1. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების სპეციფიკური პირობები, რომლებმაც ერთგვარად განსაზღვრეს საქართველოში კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი; 2. სოციალისტური კულტურის თუ კულტურული რევოლუციის წანამძღვრები ან ელემენტები. აქ ორი კულტურის შესახებ ლენინურ მოძღვრებაზე დაყრდნობით დაახასიათა ქართული სოციალისტური კულტურის ჩამოყალიბების გზები; 3. კულტურული მშენებლობის შედეგები, კულტურის ფრონტზე მოპოვებული წარმატებები და კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის ქვეყნად არსებული — „მატერიალური ბაზა“.

საქართველოში კულტურული რევოლუციის განხორციელების თავისებურებათა საჩვენებლად პროფ. ი. კაჭარავამ დაახასიათა რევოლუციამდელი საქართველოს ისტორიული განვითარების ოთხი ძირითადი თავისებურება: 1. ქვეყნის წვრილბურჟუაზიული ხასიათი; 2. ქვეყნის ნახევრად კოლონიური მდგომარეობა; 3. ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების სიჭარბე და ეროვნული საეღარუნოებით შენიღბული მწვავე კლასობრივი ბრძოლა და ბოლოს, 4. მოსახლეობის ეროვნული სიჭრელე და ეროვნული ინტელიგენციის შედარებითი სიჭარბე.

მომხსენებელი შეეხო, აგრეთვე, იმ შეცდომებს, რომლებიც დაშვებულ იქნა ორი ათეული წლის მანძილზე საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების სფეროში და რომლებმაც ხელი შეუშალეს კულტურული რევოლუციის შემდგომ, ახალ ეტაპზე განვითარებას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კულტურული რეეოლუციის ძირითადი მიზანია ადამიანის შეგნების, მისი მორალის გარდაქმნა, ახალი ადამიანის, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის ჩამოყალიბება. სანამ ეს არ მოხდება, კულტურული რევოლუცია, ამ თვალსაზრისით, კვლავ გრძელდება და ვითარდება ახალ ისტორიულ ვითარებაში. კულტურული რევოლუცია არ არის მარტო კლუბების, თეატრების, სამკითხველოების და სხვათა შექმნა; წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია და კულტურის დაწესებულებათა შექმნა მხოლოდ საშუალებაა კულტურული რევოლუციის განსახორციელებლად.

პროფ. ი. კაჭარავას მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს ისტ. მეცნ. დოქტორებმა ა. კოპლავაშვილმა, ნ. მახარაძემ, ც. კალანდაძემ და ისტ. მეცნ. კანდიდატმა ლ. ტუხაშვილმა.

რ. კოპლამაზაშვილის მოხსენების თემა იყო „საქართველოში აგრარული ურთიერთობის საკითხისათვის (1926—1929 წწ.)“; იგი შეეხო მიწის ყიდვა-გაყიდვასა და საიჯარო ურთიერთობას საქართველოში და აღნიშნა, რომ აგრარული რეეოლუციის განხორციელების მიუხედავად საქართველოს სოფლის მოსახლეობის ნაწილი უმთავრესად კულაკობა, კვლავ ინარჩუნებდა მიწის შედარებით დიდ ფართობებს. ამის გამო სოფლად ადგილი ჰქონდა მიწების, შენიღბული ფორმით (ხანგრძლივი იჯარა და სხვ.) ყიდვა-გაყიდვის შემთხვევებს.

მომხსენებლის აზრით, მიწის გაყიდვის ძირითად მიზეზად უნდა ჩაითვალოს: 1. მატერიალური ხელმოკლეობა, რომელიც აიძულებდა გლეხს მიწის გაყიდვას; 2. მოსახლეობის ნაწილის „ორმისამართიანი ცხოვრება“, ქალაქად ცხოვრების სურვილი; 3. ყოფილ თავადაზნაურთა შეუგუებლობა სოფლად შრომისადმი; 4. მოსახლეობის ერთ ნაწილში წარმოების საშუალებათა ნაკლებობა.

მიწის ყიდვის ძირითად მიზეზებად მომხსენებელმა მიიჩნია: 1. მეურნეობისათვის გამოსადეგი მიწის სიმცირე ან უმიწობა, 2. სოფლის მეურნეობის საერთო აღმავლობა, 3. მეურნეობის გაფართოების სურვილი (ასეთ მეურნეობათა უმრაველესობას შეადგენდნენ კულაკური მეურნეობები), 4. დიდი რაოდენობით სამუშაო ძალის არსებობა — „ჭარბი აგრარული მოსახლეობა".

მომხსენებლის მიერ მიახლოებითი გაანგარიშებით საქართველოს გლეხთა დაახლოებით ერთი მესამედი ჩაბმული იყო საიჯარო ურთიერთობაში. მოიჯარადრეთა ცენტრალურ ფიგურას, მომხსენებლის აზრით, წარმოადგენდა საშუალო გლეხი, რაც აიხსნება, ჯერ ერთი, გლეხურ მეურნეობათა შორის მათი დიდი ხვედრითი წილით და, მეორეც, წარმოების საშუალებებით მათი, შედარებით, უკეთ უზრუნველყოფით.

მდიდარ მეურნეობათა შედარებით მცირე ხვედრითი წილი მოიჯარადრეთა შორის აიხსნება, ჯერ ერთი, მათი საერთო სიმცირით, მეორეც, ისინი უკეთ იყვნენ უზრუნველყოფილი მიწით და მესამე იმით, რომ გაურბოდნენ მიწის იჯარით აღებას, კულაკებად გამოცხადების შიშით. მომხსენებელმა დასძინა, რომ სახნავი მიწის იჯარით აღების ყველაზე გავრცელებული წესი იყო საზიარო იჯარა, ყველაზე ნაკლებად გავრცელებული — შერეული წესით აღება. მდიდარი გლეხები უფრო ხშირად იჯარით აძლევდნენ ბაღებს, ვენახებს, პლანტაციებს და სხვ. შრომატევად კულტურებს, ხოლო იჯარით იღებდნენ სახნავ მიწას მარცვლეულის დასათესად. ღარიბი გლეხები კი — პირიქით. ორივე შემთხვევაში ღარიბი გლეხობა განიცდიდა ექსპლუატაციას.

მიწის რენტასთან ერთად მდიდარი გლეხობა იღებდა იჯარით გაცემულ ნაკვეთზე დაბანდებული კაპიტალის სარგებელს. ღარიბი მოიჯარადრე ფაქტიურად ხდებოდა დაქირავებული მუშა.

რ. კოპლამაზაშვილის მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს ისტ. მეცნ. დოქტორებმა ი. კაჭარავამ და ა. კოპლავაშვილმა.

„თერგდალეულების ეროვნული პროგრამის" შესახებ მოხსენება გააკეთა ისტ. მეცნ. დოქტორმა ა. ბენდიანაშვილმა. მან მიუთითა, რომ მთელ მსოფლიოში ფეოდალიზმზე კაპიტალიზმის გამარჯვების ეპოქა ეროვნულ მოძრაობასთანაა დაკავშირებული და გააკრიტიკა ზოგიერთი „მემარცხენე" სოციალ-დემოკრატი, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარებას იმ მოტივით, რომ ეს გააღვივებს დაჩაგრული ხალხების ეროვნულ მოძრაობას და მშრომელი მასების სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის ინტერნაციონალურ ერთობას ვნებას მიაყენებსო. მათ ავიწყდებოდათ — დასძინა მომხსენებელმა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კაპიტალიზმის ადრეულ საფეხურზე საერთო დემოკრატიული მოძრაობის შემადგენელი ნაწილი იყო, ხოლო მოგვიანებით გადაიქცა სოციალისტური რევოლუციის რეზერვად; არ ესმოდათ, რომ სოციალური და ეროვნული მოძრაობა ერთად ქმნიდა რევოლუციურ სიტუაციას. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ რუსეთის იმპერიაში ჩაგრული ერები უმრავლესობას შეადგენდნენ, ბურჟუაზიული და სოციალისტური რევოლუციების წარმატება დიდად იქნება დამოკიდებული ამ ჩაგრული ერების პოზიციაზე. ამიტომ „ცარიზმის მიერ დაჩაგრული ერების რუსეთისაგან თავისუფლად გამოყოფის უფლების აღიარება უეჭველად სავალდებულოა სოციალ-დემოკრატიისათვის, მათი დემოკრატიული და სოციალისტური ამოცანების გულისათვის"[1]. მომხსენებლის აზრით, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს მიაჩნდათ, რომ სოციალური და ეროვნული მოძრაობანი ერთმანეთს კი არ ასუსტებდნენ, არამედ აძლიერებდნენ. ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ერწყმოდა სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლას და ორივე ერთად ქმნიდა რევოლუციურ სიტუაციას, საერთო ნაციონალურ კრიზისს, აადვილებდა ცარიზმისა და კაპიტალიზმის დამხობას. ამიტომ ქართველი პატრიოტების ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენისათვის XIX ს-ის 60-იან წლებში სავსებით ბუნებრივი, სამართლიანი და პროგრესული მოვლენა იყო. არავითარ საჭიროებას არ შეადგენს ფაქტიური სინამდვილის დამახინჯება, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თერგდალეულების ბრძოლის მიჩქმალვა, მათი მხოლოდ ავტონომისტებად გამოცხადება.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ თერგდალეულებმა დასძლიეს 32-იანელთა სოციალური კონსერვატიზმი და ქართველი ხალხის ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლების პრობლემა ბატონყმობის მოსპობასა და საერთოდ სოციალურ-პოლიტიკურ პროგრესს დაუკავშირეს. ისინი ცარისტული რუსეთის მიღმა კარგად ხედავდნენ არაოფიციალურ, პროგრესულ და რევოლუციურ რუსეთს. თერგდალეულებს სწამდათ, რომ რუსეთი ადრე თუ გვიან დემოკრატიულ სახელმწიფოთა რიგში ჩადგებოდა, ხორცს შეისხამდა სოციალური და ეროვნული თავისუფლების იდეები, მაგრამ რუსეთის განა-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 22, გვ. 188.

ხლების ეს რწმენა როდი განაიარაღებდა მათ. პირიქით, ქართველი მოღვაწეები თავის მოვალეობად თვლიდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი პროგრამის პოზიციებიდან თანდათან მეტი დარტყმები მიეყენებინათ ცარიზმისათვის, ხელი შეეწყოთ საერთო დემოკრატიული მოძრაობის გაფართოებისათვის, რადგან უამისოდ საქართველოს ეროვნული თავისუფლება განუხორციელებელ ოცნებად მიაჩნდათ.

მომხსენებლის აზრით, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურთა პროგრამა-მაქსიმუმი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენას ითვალისწინებდა. XIX ს-ის 60-იან წლებში მათი უმრავლესობა ცარიზმის წინააღმდეგ აჯანყების იდეას უჭერდა მხარს, საქართველოს სრულ დამოუკიდებლობაზე ოცნებობდა. მაგრამ მომდევნო ხანაში თერგდალეულებმა ანგარიში გაუწიეს არახელსაყრელ პოლიტიკურ პირობებს და ძალაუნებურად შეკვეცეს თავიანთი მოთხოვნები. შექმნილ სიტუაციაში თერგდალეულები მხარს უჭერდნენ რეფორმებს, მოითხოვდნენ რუსეთის იმპერიის ფედერაციულ სახელმწიფოდ გარდაქმნას და მასში შემავალი ერების ავტონომიურ სახელმწიფოებრივ ერთეულებად მოწყობას.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ ეს იდეა არ იყო უნიადაგო, მაგრამ დასახული პროგრამის განხორციელება შეუძლებელი იყო ბრძოლის გარეშე. რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მასშტაბი და გაქანება კი არასაკმარისი აღმოჩნდა. მეფის მთავრობამ საჭიროდ არ ჩათვალა მისთვის ანგარიშის გაწევა და დაჩაგრული ერებისათვის ავტონომიურ სახელმწიფოთა სტატუსის მიცემა.

პროფ. ა. ბენდიანიშვილის მოხსენების გარშემო ქამათში მონაწილეობა მიიღეს ისტ. მეცნ. დოქტორმა ც. კალანდაძემ და ისტ. მეცნ. კანდ. ლ. ჩიქოვანმა.

ც. კალანდაძე გამოვიდა მოხსენებით „ამიერკავკასიის ხალხთა კულტურული ურთიერთობის ახალი ფორმები“, მან ილაპარაკა იმ დიდ როლზე, რომელსაც კულტურა ასრულებს საბჭოთა ხალხებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში, ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ამიერკავკასიის ხალხთა შორის კულტურულმა კავშირმა თვისობრივად ახალი ფორმა და შინაარსი მიიღო. ერთა შორის სოციალისტური თანამშრომლობა ამდიდრებს თითოეული მათგანის კულტურასაც, რასაც ადასტურებს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების გაერთიანებული სამეცნიერო სესიების, სიმპოზიუმებისა და თათბირების ჩატარება, მსახიობთა ურთიერთგასტროლები და სხვ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში ამიერკავკასიის ხალხთა კულტურული ურთიერთკავშირი კიდევ უფრო მტკიცე, გეგმიური და მრავალმხრივი გახდა.

ისტ. მეცნ. დოქტ. ც. კალანდაძის მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს ისტ. მეცნ. დოქტორებმა ი. კაჭარავამ და ს. კალანდაძემ.

ისტ. მეცნ. დოქტ. მ. ჯიჯეიშვილის მოხსენების თემა იყო „მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში“. მან საქართველოს მაგალითზე ფართოდ გააშუქა საბჭოთა მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის სოციალ-ეკონომიური საფუძვლები, ნათელჰყო საზოგადოების წამყვანი საწარმოო ძალის — მუშათა კლასის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის გაძლიერებისა და განმტკიცების ისტორიული აუცილებლობა კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს მუშათა კლასის რაოდენობრივი და თვისებრივი ხასიათის ცვლილებებზე, მის ადგილზე განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში.

ისტ. მეცნ. დოქტ. მ. ჯიჯეიშვილის მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს ისტ. მეცნ. დოქტ. ა. კოჭლავაშვილმა და ისტ. მეცნ. კანდ. ე. ქვათაძემ.

* * *

სამეცნიერო სესიამ მოისმინა ა. ბარამიძის მოხსენება „ივ. ჯავახიშვილი და ძველი საქართველოს სოციალური ისტორიის საკითხები (პირველყოფილ-თემური წყობილება, სახელმწიფოს წარმოშობა)“. ივ. ჯავახიშვილი ძველი საქართველოს სოციალური ისტორიის კვლევა-ძიებისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა გვაროვნული წყობილებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს. გამომდინარე სტრაბონის ცნობათა ანალიზიდან, იგი ავითარებდა იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით პირველ საუკუნეში საქართველოში გვაროვნული წყობილება არსებობდა სახელმწიფოებრივი სისტემის სახით. ივ. ჯავახიშვილის აზრით II საუკუნეში საქართველოში ადგილი აქვს მიწაზე კერძო საკუთრების გაჩენას. პირველი კლასობრივი საზოგადოება საქართველოში, მისი აზრით, ფეოდალიზმია, რომლის სოციალურ საფუძველს თავისუფალნი („აზნაური“) და არათავისუფალნი („უაზნო“) შეადგენენ. ა. ბარამიძის მოხსენების გარშემო გამართულ კამათ-

ში მონაწილეობა მიიღეს მ. დუმბაძემ და გ. მელიქიშვილმა.

ი. ტაბაღუას მოხსენება მიეძღვნა ფრანგი მისიონერის ჟან რიშარის ვინაობის გარკვევის საკითხს, რომელიც სულხან საბა ორბელიანს ევროპაში ყოფნის პერიოდში (1713—1716 წწ.) ერთხანს თან ახლდა. თვით საფრანგეთის ისტორიოგრაფიაში ნაკლებადაა ცნობილი ჟან რიშარის ბიოგრაფია და მოღვაწეობა. მაგრამ ევროპის სხვადასხვა არქივებში (პარიზი, ვერსალი, საბლე, მარსელი, რომი) შემონახული მასალების მიხედვით მკვლევარმა შეძლო დაედგინა ზოგიერთი დეტალი ჟან რიშარის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მოხსენების ირგვლივ აზრი გამოთქვა ქ. ჩხატარაიშვილმა.

ჯ. სტეფნაძის მოხსენება შეეხებოდა XI—XII სს. ქართველ მეფეთა ტიტულების გაგების საკითხს. ქართველ მეფეთა ტიტულატურაში — „მეფე — აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა“ ცალკეული ქვეყნების სახელები დალაგებულია ბაგრატიონთა უფლების ქეშ მათი შემოსვლის თანმიმდევრობის მიხედვით. ტიტულ „მეფეთ მეფეს“ ცვალებადი შინაარსი ჰქონდა. თავდაპირველად იგი ქვეყანაში ორი სხვადასხვა უფლების მქონე მეფის არსებობის გამო წარმოიშვა, XII ს-ის საქართველოს მეფეთა ტიტული „მესიის მახვილი“ ქართველ მეფეთა აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროში პირველობის დაჩემების ცდა უნდა იყოს და ჯვაროსანთა ომებთან კავშირში უნდა წარმოშობილიყო. ჯ. სტეფნაძის მოხსენების შესახებ აზრი გამოთქვა დ. მუსხელიშვილმა, მ. ლორთქიფანიძემ და მ. დუმბაძემ.

დ. მეგრელაძის მოხსენების თემა იყო „საგლეხო გადასახადების ისტორიიდან XV—XVIII საუკუნეებში“. ფეოდალურ საქართველოში საგლეხო გადასახადი ძირითადად ორგვარი იყო: „დებულობა“ ან დადებული გადასახადი და შეწირული. XV—XVI საუკუნეებში არის ცდები გაზრდილი საწყაოებით მწარმოებელი საზოგადოების დაბეგვრისა, მაგრამ ეს ცდები მფლობელთა კლასის უკანდახევით მთავრდება. XVII—XVIII საუკუნეების მანძილზე მმართველი წრეების მხრივ შეინიშნება ცდები ექსპლუატაციის რეგლამენტაციისათვის. მოხსენების შესახებ აზრი გამოთქვა, მ. ჯამბურიამ.

გ. მაისურაძე გამოვიდა მოხსენებით „ბაქარ ვახტანგის ძე და ამიერკავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლა XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის დასასრულს. „რუსი მოხელეების ზოგი ჩვენება და სომხური წყაროების კრიტიკული განხილვა საშუალებას აძლევს მკვლევარს, ამიერკავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული 1722 წლის ნაცვლად 1724 წლით დაათარიღოს (სამხედრო რაზმებითურთ დავით-ბეგის ყაფანში და შერგილაანთ ფილიპეს მთიან ყარაბაღში გაგზავნა), რაც არსებითად სცვლის ვითარებას ამ ბრძოლაში ბაქარის როლის სასარგებლოდ. ასეთი შეფასების სისწორეს ამაგრებს მცხეთაში 1724 წლის იანვარში ბაქარისა და მაჰმად-ყული ხანის მოლაპარაკება-შეთანხმებაში გავლენიანი ყარაბაღელი სომეხი მელიქის ესაი უზბაშის მონაწილეობის ფაქტიც. გ. მაისურაძის მოხსენების შესახებ აზრი გამოთქვა დ. მეგრელაძემ.

თ. პაპუაშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ვაჰანავანქის ახლად აღმოჩენილი სომხური წარწერა და ჰერეთის დედოფალი დინარის (X ს.) ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი საკითხი“. 1970 წ. ვაჰანავანქის კომპლექსის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა საფლავის ქვა წარწერით „დინარ“. გ. მ. გრიგორიანის დასკვნით აღნიშნული ქვა უნდა ეკუთვნოდეს ჰერეთის დედოფალს დინარს (X ს.), რომელიც უნდა ყოფილიყო დაკრძალული სივნიეთის სამთავროს ტერიტორიაზე მდებარე ვაჰანავანქის მონასტერში. თ. პაპუაშვილი ითვალისწინებს რა დინარის რელიგიურ მრწამს (ქალკედონიტობას), მის წარმოშობას, ჰერეთის, სომხეთისა და სივნიეთის პოლიტიკურ ვითარებას X საუკუნეში, ასკვნის, რომ შეუძლებელი იყო ქართველი მართლმადიდებელი დედოფლის დაკრძალვა სივნიეთის სომხურ მონოფიზიტურ მონასტერში. თ. პაპუაშვილის მოხსენების შესახებ აზრი გამოთქვა მ. ლორთქიფანიძემ.

მ. ინაძის მოხსენების საგანს წარმოადენდა „ათენი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ. წ. V ს. მეორე ნახევარში“. ანტიკურ მწერლობაში დაცული საინტერესო მონაცემები ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევარში ათენსა და პონტოსპირა ქალაქებს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ. პელოპონესის ომის წინ ათენის მიერ მიღებული ზომები (კლერუქიების შექმნა) პონტოსთან ერთად საფიქრებელია აღმ. შავიზღვისპირეთის რაიონებსაც შეეხო. არქეოლოგიური მონაპოვრის საფუძველზე სავარაუდებელია, რომ ათენის დასაყრდენი ბაზები სავაჭრო ფაქტორიების სახით დაარსდა ფიჭვნარის, ოჩამჩირის, ეშერის ტერიტორიებზე. ათენის პოლიტიკურმა და ეკონომიურმა გააქტიურებამ პონტოს სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში ხელსაყრელი პირობები შექმნა იმისათვის, რომ ძვ. წ. V ს-ის 30-იანი წლების ახლო ხანებში კოლხეთს საბოლოოდ დაეღწია თავი

სპარსეთის გავლენისაგან. მ. ინაძის მოხსენების შესახებ აზრი გამოთქვა მ. ლორთქიფანიძემ.

გ. მამულიამ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ქელისა და ქელმწიფის გენეზისი ძველ ქართლში". პატრიარქატის განვითარების შედეგად მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრის ლ. მროველის მიერ მოხსენებულ „ქართოსიან" ტომებში ქელის ინსტიტუტი ჩამოყალიბდა. ქელი მამასახლისის (მცხეთოსის) დესპოტურ უფლებას აღნიშნავდა დანარჩენ ოთხ „ქართლოსიანზე". რადგან ის მთა, რომელსაც მთა ქართლი (არმაზი) შეერქვა, ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის ხანაში ჯართა // ქართა მიერ იყო დასახლებული, მას ქართა ეწოდა. მცხეთელი მამასახლისი ქართლოსის „საყდარზე" იჯდა და, ამის გამო, იგი „ქართლოსიან" უფალთა შორის ზენა უფლად ითვლებოდა, რომლის მიწა-წყალსაც „ზენა სოფელი" წარმოადგენდა. „ქართლოსიანთა" ნათესაურ სისტემებს (თჯისი // სახლი) ვრცელი მიწა-წყლის მომცველი ტერიტორიული თემი — „სოფელი" შეესატყვისებოდა. როგორც სახლის, ასევე სოფელის ,ეძველესი ნიშვნელობა დიდ ტერიტორიულ ერთეულებს უკავშირდება, რაც ქელის ინსტიტუტით იყო განპირობებული. ძვ. წ. IV ს-ის მიწურულს ფარნავაზი მეუფე — „ქელმწიფე", ხოლო დანარჩენი „ქართლოსიანები" ერისთავ — „სეფეწულები" გახდნენ. სეფე-სახლში სწრაფვა ქელის გამკვიდრებისათვის ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების დროიდანვე არსებობდა. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე ქართლში ქელმწიფენი ქართლის სამეფოში მხოლოდ de facto არსებობდნენ. იურიდიულად ფეოდი ქართლში თავდაპირველად ეკლესიის წიაღში გაფორმდა. ქართლის სამეფოში ქრისტიანობის დამკვიდრებით ქელი ქართლში რომაული სამართლის ნორმებს დაექვემდებარა, რაც გახელმწიფების ტენდენციებს კიდევ უფრო აძლიერებდა. ქართლის სამეფოს გაუქმებამ იურიდიულად გააფორმა „ქელმწიფობა" და ფეოდმაც მთლიანად მოიცვა ქართლის სოციალური ცხოვრების ყველა სფერო აგნატური ნათესაობის სისტემა კოგნატურით შეიცვალა და ფეოდალური იერარქია ჩამოყალიბდა. გ. მამულიას მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ა. ბარამიძემ, დ. მუსხელიშვილმა და ო. ლორთქიფანიძემ.

სესიის მუშაობა შეაჯამა აკად. გ. მელიქიშვილმა. მან აღნიშნა სესიის თემატიკის აქტუალობა და მთელი რიგი მოხსენებების მაღალი მეცნიერული დონე. კერძოდ, იგი მიესალმა ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომელთა მიერ მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებულ მოხსენებათა გამოტანას სამეცნიერო სესიაზე.

ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო სესია ქუთაისში

მიმდინარე წლის 9—10 ივნისს ქუთაისში ჩატარდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო სესია, მიძღვნილი საქართველოს ისტორიის პრობლემებისადმი. სესიის მოწყობის ინიციატორი და ორგანიზატორი იყო ინსტიტუტის ალკკ კომიტეტი, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო საბჭო და ქუთაისის ალკკ საქალაქო კომიტეტი.

სამეცნიერო სესიამ მოისმინა მ. ნ ი ო რ ა ძ ი ს მოხსენება „ახალი აღმოჩენები საკაჟიას მღვიმეში". მასში გამოთქმული იყო მოსაზრება საკაჟიის მღვიმეში აღმოჩენილი ახალი მასალის მუსტიეური ხანით დათარიღების შესახებ. თ. ბ ე რ ა ძ ე — „იმერეთის სამეფო გვიანფეოდალურ ხანაში" — შეეხო იმერეთის სამეფოს ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებს. კ. კ ა ხ ი ა ნ მ ა — „აღმოსავლურ-ამიერკავკასიური ტიპის ცული დასავლეთ საქართველოში" — განიხილა ცულის გავრცელების არეალისა და ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენის საკითხები. ჯ. გ ვ ე ტ ა ძ ი ს მოხსენება „კიმერიელთა ისტორიის შესწავლის ზოგიერთი საკითხი" შეეხებოდა „გიმირ" ქვეყნის ლოკალიზაციის საკითხს. შ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ მ ა „ახალი მასალები კოლხეთის მთიანეთის ისტორიისათვის" ყურადღება გაამახვილა სვანეთის სამეცნიერო-კომპლექსური ექსპედიციის მიერ ბოლო წლებში გამოვლინებულ ადგილობრივი და უცხოური წარმოშობის არქეოლოგიურ მასალაზე. გ. ა ნ ჩ ა ბ ა ძ ი ს მოხსენებაში „XVIII ს. თურქი მოგზაურის ეელია ჩელების ცნობები დასავლეთ საქართველოს შესახებ" ნათქვამი იყო, რომ ეელია ჩელების თხზულებაში, როგორც წერილობით წყაროში, პირველადაა დადასტურებული აფხაზური და საძური ენების არსებობა. ვ. ს ა დ რ ა ძ ე მ — „ბრინჯაოს მახვილთა განვითარების საკითხისათვის" — ისაუბრა ბრინჯაოს მახვილების ზოგიერთი ტიპის განვითარება-გავრცელების საკითხებზე.

სამეცნიერო სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. სესიის მუშაობა შეაჯამა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფაკულტეტის დეკანმა დოც. პ. ვაჭრიძემ.

9 ივნისს მოეწყო თბილისიდან ჩასულ ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა და ქუთაისის სამეცნიერო და შემოქმედებითი ახალგაზრდობის შეხვედრა.

პროფესორ სერგი მაკალათიას ხსოვნას

ქართულ ისტორიულ მეცნიერებას გამოეცალა თვალსაჩინო მკვლევარი, მზრუნველი პედაგოგი, სპეტაკი ადამიანი — საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგი მაკალათია.

პროფ. ს. მაკალათიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში და თავისი კვალი დატოვა ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ფოლკლორის, ნუმიზმატიკის, დარგში. მან წამოიწყო საქართველოში მხარეთმცოდნეობითი ეთნოგრაფია და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მის განვითარებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

სერგი მაკალათია დაიბადა 1893 წლის დეკემბერში სოფ. სეფიეთში (ყოფ. სენაკის მაზრა) მასწავლებლის ოჯახში. დაწყებითი განათლება იქვე მიიღო, ხოლო შემდეგ სენაკში სწავლობდა. 1910 წელს ს. მაკალათია ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1916 წელს წარჩინებით დაამთავრა. სემინარიაში მისი მასწავლებლები იყვნენ ვასილ ბარნოვი, იპოლიტე ვართაგავა. ია კარგარეთელი და სხვები, შემდეგში ქართული კულტურის სახელმოხვეჭილი მოღვაწენი.

თბილისის უნივერსიტეტის გახსნისთანავე სერგი მაკალათია პირველი წყების სტუდენტი გახდა. — იგი ჩარიცხეს სიბრძნისმეტყველების დარგზე, საისტორიო განხრით. აქ ს. მაკალათია ისმენს ივანე ჯავახიშვილის (საქართველოს ისტორია), გრიგოლ წერეთლის (საბერძნეთისა და რომის ლიტერატურის ისტორია), შალვა ნუცუბიძის (ფილოსოფია), დიმიტრი უზნაძის (ფსიქოლოგია), კორნელი კეკელიძის (ქართული ლიტერატურის ისტორია) და სხვა მეცნიერ-პედაგოგების ლექციებს.

თბილისის უნივერსიტეტში ყოფნისას, ს. მაკალათია, ექვთიმე თაყაიშვილის დავალებით, ამზადებს და მოხსენებად კითხულობს ნაშრომს „ატენის სიონი", რომელმაც მაღალი შეფასება მიიღო და გამოქვეყნდა 1920 წელს.

1921 წლის გაზაფხულიდან, ე. ი. ჯერ კიდევ სტუდენტად ყოფნისას, ს. მაკალათიამ მუზეუმში დაიწყო მუშაობა. 1922 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და 1923 წელს გაემგზავრა თავის პირველ სამეცნიერო ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში, რომელსაც მრავალი სხვა მოჰყვა.

ს. მაკალათია იყო 1934 წლის 20 ნოემბერს დაარსებული მხარეთმცოდნეობის საზოგადოების მდივანი, რომელსაც ფ. მახარაძე ხელმძღვანელობდა. ამ საზოგადოების ხაზით მას დავალებული ჰქონდა საქართველოს რაიონებში მუზეუმების ჩამოყალიბება. ს. მაკალათიამ ეს დავალებაც პირნათლად შეასრულა — მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით დაარსდა ყაზბეგის, გორის, ახალციხის, მესტიის, ცაგერის საშხარეთმცოდნეო მუზეუმები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე ს. მაკალათიამ, როგორც მისი მოგონებებიდან ჩანს, ივ. ჯავახიშვილის დავალებით ხელი მოკიდა მუზეუმში ეთნოგრაფიულ მუშაობას, ახალ პირობებში მის ორგანიზაციას, კადრების მოზიდვას, კატალოგების გაქართულებას, არსებული ფონდების ახალი კოლექციებით შევსებას, ექსპედიციების მოწყობას, და ამ მიმართულებით მნიშვნელოვან შედეგებსაც მიაღწია.

ფრიად სასარგებლო მუშაობა ჩაატარა ს. მაკალათიამ შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის სექციაში; ხანგრძლივ ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა ჩვენი რესპუბლიკის პედაგოგიურ ინსტიტუტებში და მხარეთმცოდნეობით მუზეუმებში.

ს. მაკალათია 80-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელთა შორის ბევრია ფუნდამენტური მონოგრაფიული გამოკვლევა, რომლებიც შეადგენენ ქართული ეთნოგრაფიული ლიტერატურის მნიშვნელოვან შენაძენს.

ს. მაკალათიას ნაშრომებში სპეციალური ადგილი უჭირავს მხარეთმცოდნეობითი ხასიათის მონოგრაფიებს. ამას დიდად შეუწყო ხელი იმ გარემოებამ, რომ იგი ათეული წლების მანძილზე დაუღალავ შემკრებლობით მუშაობას ეწეოდა გეოგრაფიულ და მხარეთმცოდნეობის საზოგადოებათა ხაზით, როგორც მათი ერთ-ერთი წამყვანი წევრი.

საქართველოში ყველა იცნობს საქმის ღრმა ცოდნით და დიდი სიყვარულით დაწერილ მის ნაშრომებს, როგორიცაა: „მთიულეთი“ (1930), „მთის რაჭა“ (1930), „თუშეთი“ (1933), „ფშავი“ (1934), „ხევი“ (1935), „ხევსურეთი“ (1936), „მესხეთ-ჯავახეთი“ (1938), „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“ (1940) და მთელი სერია შედარებით მცირე მოცულობის ნაშრომებისა, რომლებიც მან ქართლის ძირითად ხეობებს მიუძღვნა.

ყველა ეს ნაშრომი ერთი გეგმითაა დაწერილი: გეოგრაფიული მდებარეობა, ისტორიული მიმოხილვა, ეკონომიური მდგომარეობა, საზოგადოებრივი ყოფა, დამახასიათებელი რეალიები, ხალხური ჩვეულებანი, ცრუმორწმუნეობა, საკულტო ადგილ-სამლოცველოები და მათთან დაკავშირებული რიტუალი.

მაგრამ ს. მაკალათიას სამეცნიერო პროდუქცია ეთნოგრაფიის დარგში მარტო მხარეთმცოდნეობითი ლიტერატურით არ ამოიწურება. მასში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის მონოგრაფიებს. ამ რიგის გამოკვლევები შეეხებიან ქართველი ხალხის ყოფის ყველა ძირითად დარგს და პირველ ყოვლისა ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიის შესწავლას ისახავენ მიზნად. ასეთი პრობლემატიკიდან კვლევის ერთ-ერთ მთავარ საგნად ს. მაკალათიამ დაისახა მითრას კულტის ასახულობის საკითხი ქართველთა უძველეს რწმენა-წარმოდგენათა სისტემაში. ამ საკითხს მან მიუძღვნა რამდენიმე სპეციალური გამოკვლევა.

სამამულო ომის წლებში ს. მაკალათიამ გამოაქვეყნა ბროშურების მთელი სერია — „დიმიტრი თავდადებული“ (1942), „ვახტანგ გორგასალი“ (1942), „თამარ მეფე“ (1942), „დავით აღმაშენებელი“ (1944), „გიორგი ბრწყინვალე“ (1944), „ერეკლე II გმირობა და თავდადება“ (1945), რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მოსახლეობის პატრიოტული სულისკვეთების შემდგომ განმტკიცებაში.

პროფ. ს. მაკალათიას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოში წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების საქმეშიც. ასეთია მისი „1920—1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის“, რომელიც გამოქვეყნდა ქართულ და ფრანგულ ენებზე, „ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები“, „დვანის ნეკროპოლის განათხარი მასალა“, „ფლავისმანის უძველესი ნეკროპოლი“ და სხვა, რომელთაც ქართულ-კავკასიურ არქეოლოგიურ ლიტერატურაში საერთო აღიარება მოიპოვეს.

დიდი ამაგი დასდო ს. მაკალათიამ ჩვენში ნუმიზმატიკური კვლევა-ძიების განვითარებასაც. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს მისი „სეფიეთში აღმოჩენილი რომაული ფულების განძი“, რომელშიც შესწავლილია რომის XII იმპერატორის ტრაიანე-ალექსანდრე სეევერუსის სახელით მოჭრილი 400-მდე ვერცხლის მონეტა. აღსანიშნავია, აგრეთვე, ისეთი გამოკვლევა, როგორიცაა „კოლხური დიდრაქმა“. ამ ტიპის მონეტის ზოგ ნომინალზე აღბეჭდილი ლეგენდა, ავტორმა კარგად გამოიკვლია, სხვათა შორის, ძველი ქართული წარმართული პანთეონის რიგი საკითხის გასაშუქებლად.

ნუმიზმატიკის ფაქტები პროფ. ს. მაკალათიას მიერ გამოყენებულია არა მხოლოდ როგორც არქეოლოგიური მასალის თანმხლები და დამათარიღებელი მაჩვენებლები, არამედ პირველ ყოვლისა როგორც სამონეტო სისტემის ევოლუციის, ქვეყნის სოციალ-ეკონომიური განვითარებისა და კულტურულად დაწინაურებული ხალხების ურთიერთობის შესწავლის წყარო.

პროფ. ს. მაკალათიას ნაშრომებს კარგად იცნობენ და აფასებენ როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

პროფ. ს. მაკალათიას სახით დაკარგეთ ჭეშმარიტი საბჭოთა მეცნიერი-პატრიოტი და საზოგადო მოღვაწე. უაღრესად გულთბილი ადამიანი და მეგობარი. მისი უანგარო ღვაწლი დაფასდა საბჭოთა მთავრობის მიერ — დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

სერგი მაკალათიას ნათელ ხსოვნას სათუთად შეინახავს ქართველი ხალხი.

ალექსი რობაქიძე

ნიკოლოზ რეხვიაშვილი

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ნიკოლოზ ბიჭიას ძე რეხვიაშვილი.

ნ. ბ. რეხვიაშვილი დაიბადა 1904 წელს რაჭის მაზრის სოფ. ჭიორაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. სოფ. ახუთის (ჩხოროწყუს რაიონი) დაწყებითი სკოლის შემდეგ 1921 წელს შედის ზუგდიდის ჰუმანიტარულ ტექნიკუმში, რომელსაც 1924 წელს ამთავრებს და მასწავლებლობას იწყებს სოფელ ახუთის შვიდწლიან სკოლაში. 1926 წელს ნ. რეხვიაშვილი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. 1930 წელს ამთავრებს უნივერსიტეტის აღნიშნულ ფაკულტეტს და მუშაობას იწყებს საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში.

ნ. რეხვიაშვილი საქართველოს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ასპირანტურის თეორიული კურსის დასრულების შემდეგ 1939 წელს მუშაობას იწყებს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1941 წელს იგი იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე — „ქართული მეტალურგიის ისტორიიდან. — მჭედლობა რაჭაში“. 1942 წლიდან 1951 წლამდე ხელმძღვანელობდა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებას. 1965 წელს იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე — „ქართული ხალხური მეტალურგია“.

ნ.რეხვიაშვილმა თავისი წელილი შეიტანა მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდების გამდიდრების საქმეში. მან დიდი მუშაობა გაწია მუზეუმში იმერეთიდან შემოსული მსოფლიო მნიშვნელობის ხის ჩუქურთმის უნიკალური კოლექციების შესაგროვებლად. მთელი თავისი მეცნიერული მოღვაწეობა მოანდომა ქართული ხალხური მეტალურგიის საწყისების ისტორიის შესწავლას. შეისწავლა მთის რაჭის, კერძოდ, სოფელი წედისის ხალხური მეტალურგია (რომელიც მხოლოდ აქ იყო შემონახული გადმონაშთის სახით).

წლების მანძილზე მოთმინებითა და დიდი გულისყურით კრებდა ზეპირსიტყვიერ და ნივთიერ მასალებს. ეთნოგრაფიული მასალის კამერალურ დამუშაებას აწარმოებდა მრავალი მხრიდან. ქიმიური ანალიზების მეშვეობით ადგენდა წედური ფოლადის ჯერედ უცნობ შედგენილობას, დამაჯერებლად ასაბუთებდა ზეპირსიტყვიერი მასალის ღირსებას და ეთნოგრაფიულ მასალას საბუთის ძალას აძლევდა. მას ქართული ხალხური მელითონეობის ისტორიის საკითხებზე მრავალი გამოკვლევა აქვს გამოქვეყნებული, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფიები: „მჭედლობა რაჭაში“ (1953 წ.) და „ქართული ხალხური მეტალურგია“ (1964 წ.). მისთვის არ არსებობდა დიდი და პატარა საკითხი. მეცნიერული კეთილსინდისიერებით უდგებოდა, როგორც საკვლევი თემის ძველ პერიოდს ისე მის ტრანსფორმაციას ახალ ეპოქაში. იგი ეთნოგრაფიულ მოელენას თუ ნივთს წარმოაჩენდა, როგორც ისტორიულ ჭრილში, ისე გეოგრაფიულ განზომილებაში. ამის საფუძველზე მისი მრავალი გა-

მოკვლევა საშუალებას იძლევა ახსნა მოეძებნოს საქართველოსა და კავკასიის ქვეყნების არქეოლოგიურ მასალებს. ამ თვალთახედვით აღსანიშნავია მისი ერთ-ერთი გამოკვლევა „ქართულ კავკასიური გრეხილი ხელადი“, რომელშიც ნ. რეხვიაშვილმა ქართული და კავკასიის ხალხების ეთნოგრაფიული მონაცემები გააანალიზა ისტორიულ, ფოლკლორულ და არქეოლოგიური მასალის შუქზე. ამ ნაშრომს გარდა წმინდა თეორიული მნიშვნელობისა პრაქტიკული მხარეც გააჩნია, რაც თანამედროვე მელითონეობაში ყურადღებას იმსახურებს.

ნ. რეხვიაშვილმა, როგორც მუზეუმის მუშაკმა თავისი კვლევა-ძიების ძირითად ობიექტად მუზეუმის ფონდები გადააქცია, ხოლო კვლევის წყაროდ ხალხში შემონახული ეთნოგრაფიული ზეპირსიტყვიერი მასალა. იგი საუკეთესოდ ერკვეოდა სამუზეუმო ნივთის შეცნობაში. ამ საქმეში მას დიდი პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილება გააჩნდა, მისი ხელმძღვანელობით და მონაწილეობით მრავალი ეთნოგრაფიული გამოფენა მოეწყო, რომელთაც თვალსაჩინო როლი შეასრულეს ქართული კულტურის პროპაგანდის საქმეში.

ნ. რეხვიაშვილი იყო წამომწყები ეთნოგრაფიული ფონდების კატალოგებად გამოცემისა. მისი თანაავტორობით გამოიცა „ქართული კერამიკის კატალოგი“ (1964 წ.).

ნ. რეხვიაშვილის 50-მდე გამოქვეყნებული ნაშრომი ქართული ეთნოგრაფიის შესანიშნავ საგანძურშია შესული, რომლითაც ხელი შეუწყო ამ დარგის განვითარებას.

ნ. რეხვიაშვილი ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა ეთნოგრაფების მომზადებას, ეხმარებოდა და მეცნიერულ კონსულტაციებს უწევდა სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს. იგი მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად პედაგოგიურ მუშაობასაც ეწეოდა — თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობდა ლექციების კურსს ქართულ ეთნოგრაფიაში; იყო რამდენიმე სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ნ. რეხვიაშვილი დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენითა და მედლებით.

წავიდა ჩვენგან ბ-ნი ნიკო, იგი ჯერ კიდევ ბევრის გაკეთებას ფიქრობდა.

ნიკო რეხვიაშვილის სახით დიდი დანაკლისი განიცადა ქართულმა ეთნოგრაფიამ და ისტორიულმა მეცნიერებამ.

გიორგი ჯალაბაძე

რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-24-07 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.XI.74; შეკვ. № 2197; ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 7×108 1/16; ნაბეჭდი თაბახი 17.33; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15.52; უე 01079; ტირაჟი 1000.

ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19

*

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19